

~~0-79~~  
1952

114/  
6

ბ  
  
ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

# მნათობი

5

მ ა ნ ბ ი



1952

# ენათმეცნიერება



6337

~~1-252~~

უძველესი ლიტერატურულ-მხატვრული  
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძეგალი

საპარტვილოს საბჭოთა მწიგნობის კავშირის ორგანო

წელიწადი ოცდამეცხრე

5

★

მ ა ი ს ი

19

სახელგამი  
თბილისი

52



შინაარსი



კონსტანტინე ბაშსახურდია — ვახის ყვავილობა, რომანი, გაგრძელება . . . . .	3
ნავიშ ვიწმითი — ვას შემდეგ, რაც ციხეში ვარ. ლექსი, თარგმანი თერქულიდან ვახტანგ კეკელიძისა . . . . .	34
მიხაილ ორაბაძე — მეგობრობა, გაგრძელება . . . . .	36
ხარირონ ვარდოშვილი — ბულაჩაურის წვალი. ლექსი . . . . .	59
პოლიქარპე კაპაბაძე — ბედნიერი სამყედლო, პიესა . . . . .	61
ოთარ შიშიძე — ხეების სიმღერა. ლექსები . . . . .	104
ფრიდონ ხალვაში — მშვიდობის ჯარისკაცი, პოემა . . . . .	106
—	
ლავროსი ქალანდაძე — გ. ლენინის „ფორთოხალა“ და „ბერშოულა“, წერილი . . . . .	121
ოთარ ჩხიძე — ნიკო ლომოური, წერილი . . . . .	128
შალვა ალხაზიშვილი — ლენინადო და ვინჩი, წერილი . . . . .	133
—	
ანტ. კალენჯერიძე — ვ. ვარციხელი, „ტრაქტორისტები“, ბიბლიოგრაფია . . . . .	144
შოთა ძიმიშვილი — ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის საბავშვო პედაგოგი- ური ინსტიტუტის შრომები, X“. ბიბლიოგრაფია . . . . .	146
ილ. ფიქარიშვილი — გ. სიხარულძე, „ლენინი და სტალინი ა/კ. ხალხთა მეგობრობის სულისჩამდგმელები და ორგანიზატორები“, ბიბლიოგრაფია . . . . .	148
დ. ირმაშვილი — გ. ნორაძე — „საბჭოთა ლიტერატურის სწავლების საკითხები ქარ- თულ საშუალო სკოლაში“, ბიბლიოგრაფია . . . . .	152
ივ. სურგულაძე — ი. დოლიძე — „ადრინდელი ფეოდალური სამართლის ძეგლები“, ბიბლიოგრაფია . . . . .	154
ახალი წიგნები . . . . .	ვარჯიანის მე-3 გვ.

რედაქტორი

ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

ნიკოლოზ აბიაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ლევან ახათიანი,  
შალვა აფხაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ილო მოსაშვილი,  
შალვა რადიანი, ლეო ძიბაძე, სიმონ ჩიქოვანი, ოთარ ჩხიძე,  
სერბი შილაია.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/V-52 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 9<sup>3</sup>/<sub>4</sub> ფ.  
ში 04004. შეჯ. № 204. ტირაჟი 6000.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიული მრეწველობის,  
გამომცემლობისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის  
კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат Печати Грузполиграфиздата при Совете Министров Грузинской ССР.  
Тбилиси, улица Марджанишвили, № 5.

რედაქციის მისამართი: მარჯანიშვილის ქ. № 5. ტელ. 3-23-42.



# ჰაჲის ყჰაჲილობა

რომანი \*



## შიწმობაჲსება

დამღერებულსავით ისხდნენ მანქანაში მეღეა და ვახტანგი. ვერც ახლადმიღებული მერსედეს ბენცის საამურმა ქროლვამ, ვერც ახლად დაგებულმა, გულდრონიანმა გზამ, ვერც იმ ცვლილებამ, რომელნიც ამ უკანასკნელი წლების მანძილზე განეცადა ამ მშვენიერ კუთხეს, უგუნებობა ვერ გაუფანტეს ქალს. მას ჯერაც ვერ ებატივებინა ქმრისთვის, რომ, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ „ვიღაცა თხუზნია, გლეხის გოგონას“ შეურაცხყოფამ ისე შესძოა ეს სოლიდური კაცი, ისიც პროფესორი, რომ სამი საათით დააგვიანა გამგზავრება თელავს, სადაც მათ ამდენი პატაკემული ნათესავი უცდიდა სადილად.

ბერძუბაში წარამარა ჩიოდა მეღეა: ამდენ ხანს ძია ნიკოს, მამიდა თეკლესა და დეიდა ვარას რად ვალოდინებთო. მანქანაში ჩაჯდა თუ არა, მოიღუშა და ხმა ჩაიწყვიტა. აბრეშუმის ცხვირსახოცი პირზე აეფარებინა. იჯდა და მიშტერებოდა თელავის გზის გაღმაგამოღმა გადაშლილ სანახებს, პირს რომ მოიბრუნებდა, რაიმე თქმას დააპირებდა, შოფრის ზურგს ესროდა მზერას და ეს ზურგი იყო ერთგვარი ბარიერი, მისი უკმაყოფილების შემზღულდევი.

მანქანა გამალეებული მიჰქროდა გუდრონიან გზაზე და ზედ დაყრილ ქვი-

შას აფორიაქებდნენ ბორბლები, ნაფხვენები ეხლებოდნენ მანქანის ფრთებს და ამის გამო ისეთი მონოტონური წიგწიცი ისმოდა, თითქოს უწვრილესი ძეწკეები და ზანზალაკები შეუსხამთო მისთვის.

ვახტანგი კარგად ამჩნევდა, რომ სწორედ შოფერის სიახლოე ქმნიდა ერთგვარ უხერხულობას, მწვავედ განიცდიდა ამას: რას იფიქრებსო ამის გამო ეს უცხო კაცი. უნდოდა გამოლაპარაკებოდა მეღეას, მაგრამ სათქმელს ვერ მოუყარა თავი, ბოლოს ფანჯრიდან გაიხედა, გულით ეწადა, საამური რამ გაეზიარებინა ცოლისთვის, ამიტომაც წამოცდა ანაზღად:

„რა მშვენიერი გზა გაუკეთებიათ, მედიკო! როგორც ჩანს, სულ ორიოდე კვირის წინათ დაუსხამთ გუდრონი“.

„მიტომაც აგრე უცნაურად ჰყარს აქაურობა.“

„მართალი გითხრა, მე არა მძაგს ეს სუნი. მე ის მტვერიც მიყვარს, დღევანდელ ჩვენს ქალაქებში რომ ცვივა, ხარაჩოებშედგმულ ახალ ნაგებობათა ირგვლივ, თუმცა მე ყოველივე ხმაურობა მაწუხებს უკვე, მაგრამ ის გნიასიც მახარებს, მშენებლობას თან რომ დაჰყვება ხოლმე. მე ყველაფერი მიყვარს, რაც ჩვენი ქვეყნის აღორძინების მაცნეა.“

„რას იზამ, ჩემო ვახტანგ, კაცია და გუნება, ხომ გაგიგონია, მე არც გუდრონის სუნი მიყვარს, არც ბენზინისა.“

\* გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 3.

რაც შეეხება მტვერს, უეჭველად მის კოტის ფირმის ნელსურნელება მიჩნეულია. საერთოდ მერჩია, ისეთ დროს დავბადებულაყავ, როცა ეს ყოველივე მზად დამიხედებოდა, მაშინ არც გულრონის სუნი შემაწუნებდა და არც ეს ალიაქოთი.“

„ოჰო, ასეთი რამეები ვის არ უყვარს, მედიკო. მეტი რა გინდა, ამ ათიოდე წლის მანძილზე რამდენი რამ გაუყეთებიათ. აბა მოიგონე, დანჯღრეული ეტლებით რომ დავჩაქჩაქებდით მე და შენ თელავსა და ბერმუხას შორის.“

როგორი გოროხები იყო ზაფხულობით ამ გზაზე, ხოლო ზამთრობით ტლაპოებში დაცურადნენ გიგო მეეტლის ცხენები. ზომ გახსოვს, სწორედ იმ ტყის პირად დაუწყდა სახამლავეები გიგოს ცხენებს, ქარბუქი ნამქერს გვაყრიდა ცხვირპირში, მოკუტული ვისხედით ეტლში მე, შენ და განსვენებული ნანა, შიშისაგან ვცახცახებდით: მგლის ხროვას გზა არ გადაეჭრა ჩვენთვის.“

მედეა ისე დადუმდა და ფანჯრიდან გაიხედა. ვახტანგმა თავის მაჯის საათს შეავლო თვალი და თქვა:

„ნახევარ საათში თელავში ვიქნებით, ჰა, შენ რას იტყვი, ანდრო?“

„ვგონებ, უფრო ადრეც, ბატონო პროფესორო.“

„ეს ჩემთვის კარგია, — თქვა ვახტანგმა და მედეას მიჰხედა, — ბოლოს და ბოლოს მხოლოდ ერთ საათს მოეუნდები ბერმუხასა და თელავს შორის, იმავე დღეს გავბრუნდები უკან.“

„რაო, შენ უკვე თანხმობა მიეცი თელავის ინსტიტუტს?“

გაანხლებული ტონით იკითხა მედეამ.

„აბა რას ვიზამდი, მედიკო, თუმცა მე უპარტიო კაცი ვარ, მაგრამ საერთოდ დისციპლინა მეც მეხება ხომ? ხელმძღვანელი ამხანაგები საჭიროდ თვლიან ამ მხარეში ვიმუშაო ერთ ორ წელს, თელავის მევენახეობის ინსტიტუტი

წინ უნდა წავწიოთ, გარდა ამისა, ჩემს მიკრონაკვეთზე ცდები უნდა მოვახდინო ვაზის ამპელოგრაფის თანამართლებით. თბილისში კარჩაკეტილი ცხოვრებას ვინ გაცლის, ხოლო თელავში იმდენი მოკეთენი გყავს, სტუმრების მიღებასა და გაცილებას მოეუნდებით. გარდა ამისა, მაშინდა თეკლესა და ბიძიანიკოს შინიდან ხომ არ დავითხოვე? ამიტომაც გადავწყვიტე ბერმუხაში დაეფუძნდე ერთ-ორ წელს.“

„ჰო, მაგრამ, სანამდის უნდა ვიცხოვროთ იმ მოუწყობელ სასტუმროში?“

„გუშინწინ ხომ გუებნებოდი, ამ თვის დამლევს ფინურ სახლს გამომიგზავნიან თბილისიდან, მზიანეთში მოვააწიებ პატარა აგარაკს.“

მედეამ შეხედა შოფერის ზურგს, ვნის წვერზე დაიჭირა საყვედურის სიტყვები.

გამალებული მიჰქროდა მანქანა და ისეთი მონოტონური წიკწიკი ისმოდა კვლავ, თითქოს წერილზე წერილი ძეწყვები და ზანზალაკები შეესხამათ მანქანისათვის.

„ვისაც თავისი სამშობლო მართლაც უყვარს, იგი მის სამსახურში ყოველივე უხერხულებას უნდა თუთოიგდეს წინასწარ, თუ ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობა მოითხოვს ამას. სახელმწიფო კურორტი როდია, ჩემო კარგო, ისეთი სამყოფელი აირჩიო, როგორც შენ გეპრიანება.“

მე რომ კომფორტი დამესახა ჩემი ცხოვრების მიზნად, მომპელიეში მტოვებდნენ კათედრასთან და იქ დავრჩებოდი. დამეთანხმები, მომპელიეში უფრო მეტი კომფორტია, ვიდრე ბერმუხაში.“

„ეჰ, ჩემო კარგო, გამოტეხილად რომ გითხრა, ყოველი, ასე თუ ისე კულტურული, ადამიანის სამშობლო მხოლოდ დიდი ქალაქია.“

კორინთელს ბრაზი წაეკიდა გულზე, მცირე ხანს შეიკავა თავი და მერმე ოღნავ გასაგონად უთხრა ცოლს:

„ასეთი აზრები შენ არც უნდა გაივლო, როგორც ქართველმა ქალმა, გულში, ამგვარი რამ მხოლოდ პარიზელ სნობებს<sup>1</sup> თუ დაშვენდებოდათ...“

მედიკოსაც გულით ეწადა, მკვახე, ძლიერ მკვახე პასუხი გაეცა ამის მიტქმელისათვის, მაგრამ გულში დაახშო სათქმელი და შოფერს გადასძახა:

„რომელი საათია, ანდრო?“

„შვიდის ნახევარი“;

კორინთელი მდუმარედ უთვალთვალებდა კრამიტით გადახურულ ახალ სახლებს, კოლმეურნეობების კონტორებს, ფარდულებს, საგაზაფხულო წესრიგში მოყვანილ ზერებსა და აყვავებულ ბაღებს.

რომელიღაც ახლადაგებულ სკოლასთან გაიარა მანქანამ, ახალი თაობის მზიარული ძრვამული ისმოდა, პაწია ბუდრუგუნა გოგო-ბიჭებისკენ გაეცა შერა, მოაგონდა: ოდესღაც ამ ადგილას დაფეხვილი სამიკიტნოები იდგნენ, ლოთების ღრიალი და ზურნის გულისწამლები ჭიჭყინი აყრუებდა აქაურობას, იმ ზერების ნაცვლად გაუქვლი ძეძვიანი იყო.

მანქანამ სრიალით გადაიქროლა ახლადაგებულ ხიდზე. ამ ხევში ნაწვიმარზე გასვლას იშვიათად თუ გაბედავდნენ უთამამესი მეეტლეებიც.

პაპიროსს სწევდა კორინთელი და ახლადდარგულ კაკლის ნერგებს უკვირდებოდა, წინასწარ ახარებდა ის აზრი, რომ ათბოდე წლის შემდეგ აქ ჩრდილმრავალი კაკლის ალღეები დაუხვდებოდნენ მგზავრს.

„როგორც კი ბერმუხას გავბრუნდები, ციხისთავი უნდა შევავლიანო და კაკლის ხეები იქაც უნდა დავრგათ. გაიფიქრა კორინთელმა.

როგორც ყოველთვის, იმ საღამოსაც მშვენიერი იყო კავკასიონი. უჩინარ მხატვარს მოეხაზა ღრუბლების მომუგნე ბროლის ბასტიონების კონსტრუქციები, მრავალსართულიან ქორედებსავით ცადალანძულნი, ხოლო მათ ქვემოთ ლილისფერი ფორეჯები შესდგომოდნენ აქა-იქ, ხოლო ამ მოლიბრო ზოლებს გაყოლებით ისეთი ერთობლივი სილურჯე იყო განფენილი, თითქოს ზღვა მისდგომიო იმ მთებსა და იმ თეთო მწვერვალებს.

ყოველივე ამას ზედ დაჰკაბებოდა უცნაური აპოთეოზი მრავალფერად აყვავებული ღრუბლებისა. საამო სანახავი იყო თეთრად მორიალე მარმარეები, რომელთა ზიგზაგიან კიდევებს სინგურისფერი ალმური წაჰკიდებოდა. მიჰქროდა მანქანა, თანდათან იცვლებოდა ეს პანორამა.

მანქანამ სამზრეთისაკენ გადაუხვია, უკვე შორს დარჩნენ კავკასიონის მწვერვალები, თვალწვედენელი სილურჯე უფრო დამუქდა ბინდბუნდში.

დარბაისლურად ისხდნენ გვირგვინოსანი მყინვარები მუსლინით შემკულ კვარცხლბეკებზე და ცის თავანზე მიეხვინათ მოოქვრილი ღრუბლებით შემოვრავნილი თავები.

ხევეს გადაღმა ორბები რიალებდნენ ცაში და იქიდან უთვალთვალდნენ მინდორზე გაფანტულ ცხვრის ფარებს.

მანქანა შეაჩერა შოფერმა, კაპოტი ახადა მოტორს და კარტერს დაუწყო კირკიტი.

კორინთელი ძირს ჩამოვიდა, დააკვირდა გზის პირად გაბნეულ ფარეხების ნაკელში ამოთხვრილ ფარას, რომელიც ხარბად სძოვდა ახლად შეღერებულ ბალახს. უამრავი შოშიები დასეოდნენ ცხვრებს, ისინი ზოგს თავზე ასხდნენ, ზოგს ზურგზე, უჩიჩქნიდნენ ჯერაც დაუბანელ მატყლს: ტკობებზე ნადირობას დაწაფებულნი.

<sup>1</sup> სნობი — მეტიზარა კაცი, რომელიც უფრო მეტად ინებობს თავს, ვიდრე ამას მისი ინტელექტუალური და მატერიალური სახსრები შესაძლებელს ხდიან.

ისიც შენიშნა კორინთელმა, თუ როგორ უნებევრდებოდნენ ცხერები ამ მზრუნველ მეგობრებს, თავს უშვერდნენ საამურ ხიჩინს. და ისე გატვრიწულნი იყვნენ, როგორც ბატონები, რომელთაც ფეხისგულებს ფხანდნენ ყმები, თუ ნაყმეები. და როცა ადგა მთელი გუნდი შოშიებისა და მთის ძირას გაფანტულ მეორე ფარისკენ გაემართა, რათა იქ განეგრძოთ ერთგვარი „სანიტარული მომსახურება.“ ანაზღად გაეცინა კორინთელს, ბუნების უცნაური გონიერების გამოჩენით გახარებული.

შოფერმა წესრიგში მოიყვანა მოტორი. ისევ გამალებული მიჰქროდა გუდრონიან შოსეზე მერსედეს ბენცი. მონოტონური წიკწიკი ისმოდა კვლავ და ეს დაეინებულა, რიტმული ხმაური ისე ხშიანდებოდა, როგორც გულში მოღიმამე სიხარულის აკომპანიმენტი.

## XX

როგორც იქნა, გამოჩნდა ერეკლე მეფის სასახლე თავისი გარუჯული ბასტიონებით. მთელი თავისი სიყრმე ამ სასახლის შემოგარენში გაეტარებინა ვახტანგ კორინთელს. ეს იყო მისთვის თავდაპირველად დევების ბუნაგი. აქ უცხოვრიათ დევებს, მერმე თითქოს აყრილან და წასულანო.

როცა ცნობიერება წამოეძალა ყმაწვილს, ერეკლეს კარის ეკლესიის დიაკონს, პაპა ნოშრევანს, გამოჰკითხა ამ სასახლის პატრონყოფილთა ვინაობა.

უდიდამოდ, გულდაწყვეტილად მოუთხრო ბალს სიტყვაძვირმა პაპამ კახთა ბატონის გამწარებული ცხოვრებისა და გაცხარებული ბრძოლების ამბები და ეს ყოველივე ისე ჩარჩა კორინთელს ხსოვნაში, თითქოს ეს გუშინ მომხდარიყო, ან გუშინწინ.

ყმაწვილის წარმოდგენაში ეს იყო მთელს ქვეყანაზე უდიდესი სასახლე,

რომელიც თავისი სიდიდითა და ქედმაღლობით სრესდა მის ფრგველივ მდებარე სახლებსა და ქოხებს. როგორც იმ ქარაფს გადმოღმა, ისე გადაღმა, რომელზედაც ეს სასახლე დღესაც დგას ამჟამად.

სწორედ ამ ქარაფს გადაღმა, ხევში, ზედ გალავნის ძირას იდგა კორინთელიანთ აიენიანი ქვიტიკირის სახლი, საყმოდ მოზრდილი, მაგრამ ვაგლახად დაჩიავებული, კახთა ბატონის ზეიადი სასახლის გასწვრივ დგომისგან.

გადიოდა წლები, ვახტანგ კორინთელი ახალსა და ახალ ქალაქებსა და სასახლეებს ათვლიერებდა; შინ მიბრუნებულს უკვე ნაკლებად გრანდიოზულად ეჩვენებოდა ეს სასახლე.

ახლა, ამ უკანასკნელად, მრავალსართულიან ქორედების მნახველს მთლად დაპატარავებულად ეჩვენა იგი, მაგრამ მაინც გამოუტყდა თავის თავს: ეს იყო მისთვის ყველაზე მეტად ძვირფასი ყველა სახლთა და სასახლეთა შორის.

მანქანამ მარჯვნივ ჩაუხვია ვიწრო ქუჩაში და თავქვე მიმავალ შარას ჩაჰყვა.

კორინთელი ძირს ჩამოვიდა და ხაცმოკიდებული, ძველთაძველი მუხის ქიშკარი გააღო.

ეზოში შესვლისთანავე თვალში ეცა ბეხრეკა მუხები, უკვე მთლად დაბერებული ლეღვისა და კაკლის ხეები, ტალავრების ხარაჩოებზე მისეული, კამეჩის მუხლის სისხო ვაზები, გაბერწებული მსხლები, რომელთა გადამხმარ შტოებში, კაჰკაჰის ბუდეებსავით შეუფუთლიყვნენ ფითრის ბუჩქები.

ეზოს ერთ კუთხეში რიყის ქვისაგან ნაგებ გოდოლზე უშველებელი ლეღვები იდგნენ. ეს ოდესღაც მტკიცე ფარი სამეფო სასახლისა, კორინთელებს მარნად ჰქონდათ გადაკეთებული, ხაცსმოკიდებულ კედლების ძირში ალიზში ამოთხვრილ ქვევრებს ნილოსის კო-

კოდილებსავით დაეძინათ გამომშრალი ხახა.

იქვე ეყარნენ დამტრეული ურმები და ფარცხები, გრძელტარიანი ორში-მოები და დაძენილი კალათები.

ეზოში ჩამიჩუმე არ ისმოდა. ბებერი მგელძალა კიბის თავზე იწვა. მანქანის ხმაზე მან თავი წამოსწია და ერთი შეიკყეფა.

კორინთელმა იგრძნო: ამ ეზოში ყველაფერი სიძველისა და სიბერის უტყუარ ტვიფარს ატარებდა, — ეს ქვითკირის სახლი, ეს ხეები და ეს ძალოცი.

ქარაფისაკენ მიიხედა და თვალი მოჰკრა ერეკლეს სასახლის კარის ეკლესიას, სადაც სამი თაობის სიცოცხლის მანძილზე მედავითნედ იყვნენ ვახტანგის პაპა, ამ უკანასკნელის მამა, და შორეული პაპა — გარსევანი, როლის მხოლოდ გადმოცემითი მოგონება დარჩენილიყო კორინთელიანთ ოჯახში.

გრძელსა და განიერ ტალავერებს ქვეშ მიმავალნი დაცერებულ ქვის კიბემდის მიეყვანა.

„რა შიშმედ ასასვლელია იმ სახლის კიბეები, სადაც ოდესღაც შენთვის უძვირფასეს ადამიანებს უცხოვრიათ, რა ცივად ელავენ ის ფანჯრები, რომელნიც არასოდეს გაიღებიათ იმისათვის, რომ მათ გადმოგხედონ კვლავ, ვინც აღარ არიან უკვე.“

რა უსიამოდ მოსასმენია იმ კარების კრიალი, რომლის გაგონებას თან არ მოჰყვება მათი გამოჩენა ამიერიდან“.

ამას ფიქრობდა ვახტანგ კორინთელი და ნელი ნაბიჯით აღიოდა მამისეული სახლის ქვის კიბეებზე.

ძალმა ისევ დაიყეფა უღიმიამოდ, წამოდგომა სცადა. მაგრამ ველარ შესძლო, თავისი თელგამიანი თვალებით შეხედა თუ არა ახლადმოსულთ, იცნო ვახტანგი, იწვა და თავის ბანჯგვლიან კუდს არაკუნებდა ფილაქანზე.

ვახტანგი მოეაღერსა ძალს შეჭრილ ყურებზე და მორგვივით მსხვილ თავზე მოუცაცუნა ხელი.

ანაზღად გაიღო აივნის კარი და წელში მოდრეკილი მამიდა თეკლე გამოფათურდა. უნაბივით შეწყენარულკე-ბზე იწვიმეს ცრემლებმა, დამკნარი ხელები ქედზე შემოჰხვია ვახტანგს, კოცნიდა ყვრიმალში. მთელი სხეული უძაგდაგებდა.

„ვინც მოვიდა, გაუმარჯოს!“  
 მოისმა როხროხა ხმა, ომახიანი, ბრგე მოხუცი შემოეგება ახლადმოსულთ, გაშალა თავისი გრძელი მკლავები, ჯერ მედეას გადაეხვია, მერმე მაგრად მიიხუტა თავის განიერ მკერდზე ვახტანგი, ორივე ხელი მკლავებზე წაავლო, ოდნავ გადააწვივინა თავი, კიდეც აკოცა და თქვა.

„შენ კარგად იცი, სიკვდილი მე არასოდეს მიწამებია, ვახტანგ, მაგრამ ამ წუთში მართლაც ვირწმუნე, რომ სიკვდილი მართლაც არ არსებობს ამ ქვეყნად. ძალის ყეფა რა შემომესმა, თეკლეზე აღრე მოვედი კართან, სულგანაბული გითვალთვალედი, როგორ ამოდირდი კიბეზე, ასე მეგონა: განსვენებული მამაშენი გაცოცხლებულა და შინ მობრუნებულა-მეთქი, ჩემმა მხემ“.

„ეგ ცნობილია, ძია ნიკო, — მიუფო ვახტანგმა, — რაც უფრო მეტად უახლოვდება ადამიანი სიკვდილსა და სიბერეს, მით უფრო ემსგავსება თავის მშობლებს.“

ძია ნიკომ შერისხა ცოლი, მიუხედავად ამისა, ტიროდა მამიდა თეკლე. ამ გნისზე გამოვიდნენ ქვრივი ბიცოლები და ბიძათაშვილები ცოლები, შაონსებმა თავშეკავებული, ერთობლივი ქვითინი შექმნეს.

მამაკაცური ნაბიჯით გამოიარა დერეფანი გრძელკისერა, ახმახმა, სახედაკენიკოლა ქალმა.

„დეიდა ვარა,“ — წამოიძახა მედიკომ და შემოეხვია მას. ბოლოს ეს გრძელკისერა დეიდა სულ ახლოს მივიდა კორინთელთან და თავის ძარღვიანი, გრძელი ხელი საკოცნელად გაუწოდა სიძეს, ისეთი გასხიბული გამო-



მეტყველებით, როგორც ეს ჩვევოდა ძველ „კნეინებს“, როცა ისინი თავიანთ მოურავებსა და ღარიბ ნათესაებს შეეყრებოდნენ ხოლმე.

როცა სასტუმრო ოთახში შეიყვანეს ახლადმოსულნი, გაფშეკილი იჯდა დეიდა ვარა სამიერ შემოხეულ, ზამბარებ-მომილი სავარძელში და გამალებული უთვალთვალებდა ვახტანგ კორინთელის: შექალაქებულ საფეთქლებს. ამ ქალის გამოცივებულ, ოდნავ ჭრუტა თვალე-ბში ვერავინ ამოიკითხავდა, უხაროდა თუ სწყინდა მას კორინთელის დანახვა ამ წუთში.

ვახტანგმაც საკმაოდ არაპეგობრული მზერა ესროლა „დეიდა ვარას“ და წამსვე შენიშნა: ზომაზე მეტად მოსძალე-ბოდა თმიანობა უკვე შექალაქებულს, რომელსაც ახლგაზრდობაშიაც ისეთი უღვაშები ჰქონდა, როგორც ახლად-შეღერებულ ბიჭუნებს გაუჩნდებათ ხოლმე.

ეს უღვაშები უკვე შევერცხლოდა მას, ხოლო ეჩოსავით წამოწეულ ნიკაპს ქვემოთ და ყბების სათავეში ისეთი მენხერი თმა გამოსვლოდა, როგორც ქოსა მამაკაცებს შეუღდებათ. იგი სრულიადაც არა ჰგავდა იმ ფაშფაშა ჩაქვრობებულ „კნეინებს“, რომელთაც ილია ქაეჭავაძე აგვიწერდა ხოლმე.

ვახტანგს მუდამ სძულდა მედეას დეიდა, თავადი დადიანის ამპარტავანი ქალი, რომელსაც „კნეინა ვარას“ ეძახ-და ხუმრობით, ვახტანგის მამიდის ქმარ-ი — ნიკო მირიანაშვილი.

რა თქმა უნდა, ვიდრე „კნეინა ვარას“ უწოდებდნენ ამ ქალს, ნიკო ვერ უბე-დავდა მას ასეთ შეხუმრებას, მაგრამ რევოლუციონ შემდეგ ნიკოც გაათამა-მდა და უკვე მორიდებლად შეარქვა: „ბიძია ვარა“ ამ გაზულუქებულ „კნეი-ნას“. „ბიძია ვარამ“ სამაგიერო მიუზღო დამსახურებულ ვეტქიმს — ნიკო მი-რიანაშვილს — „ვირების ექიმი“ შეარ-ქვა მას.

როცა ქალები სასადილო დარბაზში გავიდნენ, ვახტანგ კორინთელს უკდგა, მზერა შეავლო ბუხრის მარჯვენა მარცხნით კედელზე ჩამწკრივებულ, გაზოხუნებულ სურათებს, დედა, პა-ტარა დაიკო ნანა, სამი გარდაცვალე-ბული ბიძია, ამათ შემდეგ მთლად ბუნ-დოვნად მოჩანდნენ ოთხი თაობის თავ-კაცების თეთრწვეროსანი პაპა და პა-პის მამა და შორეული პაპა, — გარსე-ვანი, — მედავითენი ერეკლე მეფის კა-რის ეკლესიისა, ბოლოს ვახტანგის მამა — ალექსი, მიწისმზომელის ფორმაში გამოწყობილი, გრძელწვერა ვაჟაკი.

ეს გადასული ლანდები საწყალო-ბლად აწურულიყვენ კირით შეაე-თრებულ დაბალ კედელზე, როგორც ამ სოფლიდან გასულთა აჩრდილნი, რომელთათვისაც ამ უკანასკნელ წლებს ფერგამკრობლობა შეუმატებოდათ სა-გრძნობლად.

ხელის დაბანა მოთავდა თუ არა, ძველებური, გრძელ სუფრის თავთან დამჯდარმა ძია ნიკომ არ დააყოვნა, ძკლავზე ხელი წაავლო ვახტანგს და გვერდით მოისვა.

ვახტანგი თვალნათლივ ხედავდა, ასე თუ ისე, ყველას მიწვედნოდა ყოველ-თა შემმუსვრელი სიბერის შამარი, ყველას, ძია ნიკოს გარდა. თითქმის არ შეცვლილიყო ეს შეუცვლელი თამადა, გაუტეხელი ეპიკურელი, უკვე თმაშე-ვერცხლილი პროვინციელი ღონ ვუა-ნი, რომელსაც ჭალარაც ვერ ათმობი-ნებდა ლეინისა და ქალისადმი ტრფი-ალს.

მის კეთილშობილურ, ოვალურ სა-ხეს, მაღალ შებლს, გრუზა ფაფარით დამშვენებულს, ძლიერ უზღებოდა ჰვლისებრ ხვეული თეთრი წვერი. ოდ-ნავ მოდრეკილ ცხვირსა და დაწვისთა-ვების არეში მოჩანდა ისეთი წვრილი და წითელი ძარღვები, რომელნიც დეი-ნის მოყვარულთა სახეებს შეუღდება ხოლმე. ხმაც ჰქონდა ამ ბუხუნა ბერო-კაცს დიდი ფიზიკური ძალისა და სიმ-

რთელის მაუწყებელი. ხოლო, წითელი, მსუქანი ტუჩები და ჯერაც შეუმუსვრელი კბილები სიცოცხლისადმი განუზომელ სიყვარულს ამჟღავნებდნენ.

კორინთელი ღიმილოვანი გადახედვდა ხოლმე ამ გახარებულ, ვეება ქაეკაცს, მის გრძელ მკლავებსა და არცთუ მოკლე, მსხვილ თითებს, ბებერი მამლის დეზებსავით ყვირულ ფრჩხილებს და თავისთვის ფიქრობდა:

„რომელიმე თანამედროვე მხატვარს რომ მოუნდეს თრობის ღმერთის — ბახუსის გამოსახვა, უეჭველია, ძია ნიკოს აირჩევდა.“

არ გამართლდა მედეას შიში: დაგვიანების გამო ძია ნიკო ვაგვიწყრებიაო რომ ამტკიცებდა. როცა ვახტანგმა ამ ამბის გამო მოიბოდიშა, ასეთი პასუხი მიიღო:

„კაია რომ დაიგვიანე, ვახტანგ, მე მაქვს ჩემი მოსაზრება და მერმე გეტყვი.“

ყოფის საქმეებში მრავალნაცადმა მოხუცმა კარგად იცოდა: ვახტანგი და მედეა ორიოდ საათით ადრე რომ ჩამოსულიყვნენ, მამიდა თეკლე ხელახლა შეიცხადებდა თავის ძმას, შეიქმნებოდა ქალების ვიწვიში, დაუყოვნებლივ სასაფლაოზე წასვლას მოითხოვდნენ და ნიკო მირიანაშვილს ისე არაფერი სძულდა, როგორც ტირილი, პანაშვიდი და სასაფლაო.

ბოლოს ეს ყოველივე იმით დასრულდებოდა, რომ სიცოცხლეზე განუზომელად შეყვარებულ „ძია ნიკოს“ წამწარებოდა ის შინაურული ნადიმი, რომლის მოსაწყობად მთელი კვირა დაფუსფუსებდა იგი.

ისიც დაცდილი ჰქონდა მას: სუფრა და ღვინო ისეთი რამეებია, სიკვდილისათვის დაფიქრებას ოდნავ მაინც რომ აქარებენ.

ძია ნიკოს არ სიამოვნებდა შოოსანი დედაკაცების სიწრაველე ამ სუფრაზე და ამიტომაც ბოდიშობდა ვახტანგის წინაშე:

ვაეთა სკოლის დირექტორია დაგვიპტივე, სამიოდე მასწავლებელიც, მაგრამ თბილისიდან კომისიის წევრება და ბოდიში შემოთვალეს.

იცი კიდევ ვინ დაგვიპტივე? დოცენტი ზურაბ არადელი, შენი მეგობარი, რომელიც შენთან ერთად იყო უცხოეთში.

„საოცარია, რად არ მოვიდა, ჰა?“

„არ ვიცი სწორედ. დღეს მე გული უნდა ვიჯერო მოგზაურობის ამბების მოსმენით. სად რა ნახეთ, რა გზებით იარეთ?“ უთხრა ძია ნიკომ ვახტანგს.

„ჩვენ კონსტანტინოპოლიდან ბომბების ჩავედით, მოვიარეთ ცეილონი, იავა, მადაგასკარი, პოლანდური ინდოეთი, ტოკიოს ვუწიეთ, იქიდან ნიუიორკი და ვაშინგტონი. ამ ქალაქში ახალი დავალებანი მოგვაწვდინეს საქართველოდან, სამხრეთ-ამერიკა მოველეთ, ჰაიტის კუნძულზედაც ვიყავით, ჰაიტოდან ბარსელონაში ჩამოვედით, სამხრეთ ესპანეთიდან შამპანის პროვინციაში ჩავედით, ბოლოს გავიარეთ მთელი იტალია — მილანი, ფლორენცია, ნეაპოლი, ათინაში ჩავედით, სამერძნეთი გადავიარეთ და ისევ სტამბოლით შინ გამოვბრუნდით.“

„ცისთვალა“, — დაიბუხუნა ნიკომ.

შემოვიდა პატარა გოგონა, რომელსაც მართლაც ცისთვალას ფერი თვალები ჰქონდა.

„წადით შენ და ლევანი მარანში, ხელალები მოიტანეთ.“

ეს განკარგულება მისცა ცისთვალას ნიკომ და მერმე მიუბრუნდა ვახტანგს და გულითადად ევედრა:

„თუ ჩემი ბიძიკო ხარ, დღეს უნდა დავლიოთ. მხოლოდ სამი ყანწი, შესანდობარი, დანარჩენი ხელალები, ზომ გახსოვს მამაშენს უყვარდა ხელადებით სმია, სამღვთოს გადახდის დღეებში.“

კორინთელი შეევედრა: ავად ვარ, ნუ მასმევო ღვინოს.

ამასობაში ცისთვალამ და ლევანამ სველი ხელალები შემოიტანეს და ჩამოარიგეს.

„ბიჭო ლევანა, ხომ ხედავ დაგვალაღატეს სტუმრებმა, ამ დედაკაცების იმედით რას დაეღვევთ, მოდი, გაგვიმაგრე გუნება“. ლევანამ დააფახულა თავისი გრძელი წამწამები, მორცხვად ჩაჯდა შავოსან ქალებს შორის, რომელიც ეკლესიის ყვავებივით გარს მოსხლომოდნენ სუფრას.

„ღმერთო დიდებულო და დიდად სახსენებელო“, — თქვა თამადამ, თუმცა მას, როგორც ებიკურელსა და ვეტერქიმს, „ყოველივე ანგარიში გასწორებული ჰქონდა ღმერთთან“, როგორც თავით იტყოდა ხოლმე.

წამოდგა ეს ბახუსის თანამოსაყდრე ამ ქვეყანაზე და მის გრძელ მარჯვენაში აღიმართა ჯიხვის ყანწი, რომელიც დღენიადაგ ხმარებისაგან ისე ლაპლაპებდა, თითქოს სტერლინგის ლაკი ზედ გადაუტრავთო.

როცა თამადამ გავსილი ყანწი შეაძლია ვახტანგს, მას არც ისე დიდი წინააღმდეგობა გაუწევია, რადგან გზაში მოყენებულმა წყენამ და მიცვალებული მამის ოჯახში მიბრუნებამ იმდენი იღუმელი წუხილი დააგროვა მის გუნებაში, გადააწყვეტინა, ცოტა მაინც დაეღია, ამიტომაც შეეკითხა თამადას ხმადაბლა:

„ჯერ მითხარი, რა ღვინოა ეგ ძია ნიკო?“

„არამც და არამც არ დაგისახელებ, ჩემო ვახტანგ, მიიროვი და გამოიციანი. შენ ხომ იცი ამქვეყნად ყველაფერზე უფრო ძნელია ძველი ღვინოსა და ახალგაზრდა ქალის გამოცნობა“.

ვახტანგს გაეცინა.

„გარდა ამისა, — განაგრძო ნიკომ, — აღამიანების საერთო სენია, ისინი მომეტებული ზალისით აქებენ იმას, რაც უკვე ათასჯზის ნაქებია, რადგან ახალის საჭებრად მარტოოდენ საჭებარის ღირსებები როდი ემარა, არამედ ახლის შე-

ნიშვნის უნარიცაა საჭირო. ამიტომაც აღამიანებსა და ფოსტის ცხენებს ნაჩვევ გზაზე ჩაქჩაქი ურჩევნიათ ხოლმე. ბიჭობა ისაა, იგი აქო, რაც სხვებს არ უქიათ ჯერ. ჰა, ჰა, ჰა.“

ამ სიტყვებმა ისე წაახალისა კორინთელი, მედვას პროტესტის მიუხედავად, ადგა, თავის სიუბაუქე მოიგონა, ყანწი გამოსცალა და ცერის ფრჩხილზე დააკაუნა გადმოყირავებული ყანწის ყელთ.

ახლა თამადის ერთადერთი იმედი იყო მეზობლიანთ ლევანა.

ამასობაში ცისთვალა მიუახლოვდა თამადას, ზედ ყვრიმალთან მიუტანა ტუჩი და უჩურჩულა: სტუმრები გეაზღუნო.

„კეთილი იყოს მათი მობრძანება, — დაიბუხუნა გახარებულმა თამადამ და სასტუმროში შემოვიდა სამი კაცი, ორი მათგანი გადაეხვია დეიდა ვარას და მედეას, საერთო სალაში მისცეს დანარჩენებს და სამივენი სუფრის ბოლოს დასვა მეზობლიანთ ლევანამ.

სტუმრები ჭამითა და საუბრით გაერთვნენ, ხოლო ვახტანგმა ჩურჩულით ჰკითხა თამადას: ვინ არიანო ახლადმოსულნი.

ნიკომ მხარზე ხელი დაადო კორინთელს, თავისკენ მისწია იგი და ჩურჩულითვე მიუგო: ის გრძელკისერა — დანიანია, თავმსხვილა — ვაჩნაძე, ხოლო თავკოპალა, ქაჩალი, სწორედ ვითხრა, არც კი ვიცი, ვინ არის, მას მუდამ მთვრალს ვხვდები თელავის ქუჩებზე, თუ არა ვცდები, ეგ ერთი მათგანია, ვინც დოლამდის დაბადებულ ცხერის ბუშებს იპარავს, თუ აპარვინებს და ქალაქში ჰყიდის.

მოდი, ამ მესამეს უსახელო, ან უგვარო შეგარქვათ“.

რა საქმის კაცებიოო ის ორი? უნდოდა გაეგო კორინთელს.

„დადიანი ზოოტექნიკოსია, ვაჩნაძე — მეღვინიბეთაა თბილისის ჰიპოდრომზე, შენი ცოლის შორეული ნა-

თესაებია ორივენი, პატიოსანი მშრომელებია, ალბათ საბეითლო საქმეებზე მოსულან ჩემთან.“

თამადა გახარებული იყო, ღვინის სმამი მხარის დამკერნი რომ შემოემატა, თუმცა შორიდანაც კარგად ამჩნევდა: სამივეს ბლომად ჰქონდათ უკვე მირთმეული.

კორინთელმა იგრძნო, ხანგრძლივად ღვინის განრიდებულს, ჯერ კიდევ პირველმა ყანწმა უწია და აჩქარებულად უცემდა გული. ამიტომაც გადაწყვიტა მეტი აღარ დაეღია ღვინო, სთხოვა კიდევაც თამადას: გეთაყვა, მეტს ნულარ მასმევო.

ძია ნიკო ამჩნევდა, მხოლოდ თავაზიანობისათვის ზარკის გადასახდელად ილიმებოდა ზანდახან ვახტანგი, ნიკოსთვის გასაგები იყო ეს დაღვრემილობა, როგორი გუნება უნდა ჰქონოდა იმ ადამიანს, რომელიც მამისეულ სახლში მიბრუნდა და მიცვალებულთა გახუნებული სურათები-და დაუხვდა. მოხუცი მამიდა და ბებერი ძალი, რომელთაც ზეწამოდგომის ძალაც აღარ შეწევდათ უკვე.

ისიც გასაგები იყო ნიკოსთვის, თუ რად ითრევდა ფეხს ვახტანგი თელავში ჩამოსვლამდის, ამდენ მახლობელთა დაკარგვა ისეთი დიდი სიმძიმის შემცველი იყო. ცხადია, ამ ღრმა ჭრილობების მოშუშებას უცდიდა იგი.

ყოველივე ამის შემცნობი თამადა, საგანგებოდ მონდომებული იყო როგორმე ლაღობითა და ღვინით გაემხიარულებინა ვახტანგი. ამიტომ უთხრა მას:

„იცი, როგორი უბედურება შემემთხვა ამ გასულ შემოდგომაზე, ვახტანგ?“

„რაო?“ — იკითხა შეტბუნებულმა კორინთელმა.

„ბებერი არაფერი, ჩემო კარგო“, — თქვა ნიკომ და სიმინდის მარცვლივით ყვირთელი კბილები გამოაჩინა.

„თუ არა ვცდები, ოდესღაც შენგან მაქვს განაგონი, ვახტანგ, ემპედოკლეს ძლიერ აინტერესებდა თქვენი ნიჭი. რა ხდება მიწის წიაღში, ამიტომაც ანდგარა და ეტნაში გადამხტარა თურმე, მერმე, როგორც მოგეხსენება, გაუვლია რამდენიმე წელს, ცეცხლი ამოუფრქვევია ეტნას და ემპედოკლეს სანდალი კრატერიდან ამოუგდია თურმე.“

„ჰო, მახსოვს, ძია ნიკო, მე გიამბობდი ამას,“ — თქვა ღიმილით ვახტანგმა, რაკი დარწმუნდა, ახალი რამ უბედურება რომ არ მომხდარა.

„ეს არაფერი, ამაზე უფრო უცნაური ამბავი შემემთხვა, ვეყო. შენ კარგად იცი, ეს ჩვენი მეზობელი, ერეკლე მეფე, მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ებრძოდა თურქებს, სპარსებს, ლეკებს, მე კი, — საქონლის ჭირს, ბრუცელოზას, ციმბირულ წყლულს, ცხვრის პეპელას, მაგრამ ყველაზე მედგრად — ღვინოს. ზომ ვგაეარ ჩვენს მეზობელს, ერეკლე მეფეს... პა, პა, პა,?“

გადაიხარხარა ნიკომ ისეთი გულიანი სიცილით, რომელიც სჩვევიათ მხოლოდ კაიკაცებს, ვისაც მუდამ ყოფნის გამბედაობა საკუთარ თავს დასცინონ ხოლმე.

ვახტანგსაც გაეცინა, მაგრამ უგუნებობის გადაყრა ჯერ შორს იყო.

„ბოლომდის მისმინე, ვახტანგ, შენ გახსოვს ალბათ მამიშენისეული, უკეთ რომ ვთქვათ, პაპიშენისეული ქვევრი, თქვენს მარანში. მარცხნიდან პირველი, ეტნას კრატერივით რომ დაუჩენია ღახა. ასი კოკა ჩადის იმ ქვევრში, ისიც გეხსომება, მამაშენი კობით ჩაგზავნადა მის გამოსარეცხად ორ ბიქს. როგორც შენი წინაპრები, ისე მამაშენიც ყოველ წელს ავსებდნენ ღვინით ამ ქვევრს.“

„ჰოდა... შარშან ყურძენი ვიყიდე წინანდალში, თავათ დაწურე. კიბე ჩავდგი იმ ქვევრში მე და მეზობლიანთ

ლევანამ, გამოვრეცხეთ და მოგეცა ლხენა, ჩავასხით ღვინო და, იცი, რა მომივიდა?“

„რა მოვივიდა?“ შეეკითხა ვახტანგი.

„მოგეცა ლხენა, წინა დღის ნასმურევი ვიყავ, როგორც იტყვიან, მაგრად გამოყოლილი. ორივე ხელი დავაბჯინე ქვევრის თავზე, ყმაწვილო, ერთი ჩახედავ-მეთქი, რადგან მთლად საესე არ იყო ქვევრი და არ ვიცოდი კიდევ რამდენს ჩაიტევდა იგი თავის უძლომელ ხახაში.“

დაბე უბედობას, ხელი დამიკურდა და ჰოპ, ჰოპ, შიგ ჩავეარდი, მეზობლიანთ ლევანას რომ არ მოესწრო, მოგეცა ლხენა, ჩემს ძველ ჩექმას ისე ამოისროდა ამბოხებული მკპარი, როგორც ეტნა ემპედოკლეს სანდალს“. თქვა ნიკომ და ისევ მორთო კაიკაცური ხარხარი: ჰა, ჰა, ჰა.“

როცა მეორე ყანწი გამოსცალა მეზობლიანთ ლევანამ, იგი წამოდგა და მოკრძალებულად შეეკითხა თამადას—ვის გადავეცო ყანწი, რაკი სტუმართა შორის ფხიზელი მამაკაცი არავინ დარჩა, ანაზღად წამოიძახა ნიკომ:

ბიძია ვარას გადაეცითო ყანწი.

ვარას არ ეპრიანა სტუმრების თანადასწრებით ასეთი ვახუმრება, გამოსცალა სასმური, მერმე ასწია მარჯვენა ხელით და მიმართა კორინთელს:

თუ ვაყვაცი ხარ, შენც აგრე გამოსცალეო.

კორინთელს არ ეამა ამ წვეროსანი დიაციის ასეთი მოთამამება, მედეას პროტესტების მიუხედავად. ცისთვალას ხელიდან გამოართვა ყანწი და უკლებლად დასცალა.

ნიკომ კარგად იცოდა, სისხლის მაღალი წნევა რომ აწუხებდა ვახტანგს, მაგრამ, როგორც ყოველ მოყვარულს

ღვინისას მასაც ურყევოდ სჯეროდა, რომ ღვინო ყოველივე დარღისა და სენის წამალიაო, ამიტომაც ისარგებლა ბიძია ვარასა და პროფესორს შორის მომხდარ წაყენწლაევებით, ვანხტანგის მიცვალებული დედის შესანდობარს მამის მოსაგონარი ზედ მიაყოლა.

ოდნავ გასჭრა მედეას მუღარამ, თამადა მოეშვა ყანწს და ახლა ხელადებით სმაზე გადავიდა.

წვეროსან დიაცს წამოეძალა ღვინო, პაპიროსიც გააბოლა. მედეასთან ლაპარაკს უმატა, ოდნავ მოღუშული იჯდა ეს წელს ზემოთ გაშეშებული დიაცი და მისი გრძელი და გამხმარი ხელების ფიცხელი ექსტიკულაცია უკვე ამკლავნებდა მის შეზარხოშებას.

კორინთელი შორიახლოდანაც ამჩნევდა, რომ მას შებერტყილი ლოყები შეუწითლდა, ოდნავ გაუფართოვდა პრუტა თვალეში შეყუფული თვალის თეთრონები, მამაკაცურად აბოლებდა, თანაც ფრანგულად ესაუბრებოდა მის გვერდით მჯდარ მედეას, საესეებით დარწმუნებული: მის ნაუბარს საკმაოდ გრძელი სუფრის თავში მჯდარი კორინთელი ვერ გაიგონებდა.

ლაპარაკობდა იგი ისეთი ძველმოღუფრი ფრანგულით, როგორსაც ამ ნახევარი საუკუნის წინ ასწავლიდნენ ხოლმე „კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტებში“ პარიზიდან ჩამოხეტებული შინაბერა ფრანგის ქალები. ასო „რ“-ს ქართული „ლ“-ს დარად წარმოსთქვამდა, ისეთი თავმოთხე და ვაბღენძილი კილოთი, რომელიც დასჩემდებათ ხოლმე იმ ადამიანებს, რომელთაც ფრანგული ენა ღმერთების ენად მიაჩნიათ სერიოზულად.

სუფრაზე ატეხილი ყრიაპულის მიუხედავად, კორინთელის სმენას წვდებოდა ზოგი რამ „წენინა ვარას“ ნაუბარიდან, მაგრამ ისეთი გამომეტყვე-

ლებას ლებულობდა, თითქოს მას არ ესმოდა ეს ყოველივე.

სადლეგრძელოებს შორის გამომხდარ ხარვეზებში ვახტანგი პირს მიიბრუნებდა თამადის ყვრიმალისაკენ და ტკბილად ესაუბრებოდა მას, თანაც წამახულ სმენას აპყრობდა ყოველივე იმას, რასაც ეს შეზარხოშებული „ქნენა“ ეუბნებოდა თავის დისწულს.

„...მე ასე მგონია, ძვირფასო, შენ არც ისეთი სვებედნიერი მეუღლე ამოგირჩევია—ჩიჩინებდა დეიდა ვარა—, ერთი რომ შენი მეორე ქმარი უფრო ხნიერია, ვიდრე მუსიო შარკუტიე, მე მაქვს, შენ მიერ გამოგზავნილი მისი ფოტო, იგი საკმაოდ გალანტური ჯენტლმენი ჩანს, გულწრფელად გითხრა მე შენი პროფესორი არ მომეწონა, რაც უმთავრესია, მინი მანერები. ასეთ კაცს მაღალ საზოგადოებაში სუფრაზე არც დასვავენ პურის საქმელად. შენი ქმარი უნივერსალური მაღაზიის ნოქარს უფრო ჰგავს, ვიდრე მეცნიერს.“

ისიც შენიშნა კორინთელმა; მედეამ რაღაც უჩუჩჩულა თავის დეიდას, მაგრამ „ქნენამ“ ასანთი მოუკლდა შემდეგ პაპიროსს და განაგრძო:

„უნდა გამოგიტყდე, მე მაინცდამაინც არ მიყვარს, ძვირფასო, ეს აგრონომები და ზოოტექნიკოსები, რომელთაც მე ვირის ექიმებს ვეძახი ხოლმე. მუდამ კართოფილისა და ცხოველთა ექსკრემენტების სუნი უღით მათ.“

არც იმას დაგიმაღავ, ძვირფასო, მე მძაგს პლებებების ნაშიერები, რადგან მათ აკლიათ არა მარტო ფული და გალანტობა, ფანტაზიაც დაჩლუნგებული აქვთ მუდამ. და ეს თავისთავად გასაგებია, ძვირფასო, აღამიანებს, რომელთაც ცხოველებთან, მწერებთან და მცენარეებთან აქვთ დღე და ღამე საქმე, უთუოდ გადაედებათ ცხოველების ბესტიალობა და მცენარეთა სირეგვენე. (აქ „ქნენა“ ვარამ იხმარა ფრანგული სიტყვა „სტუპიდით“.)

გარდა ამისა, შენი ქმარი დიდაკენს შეილიშვილია, ცნობილია, მედავიტენი მუდამ გაკრეტინებული იყავნა ფსალმუნის ლექვისაგან“..

ამასობაში პურის მცხობელ დედაკაცს, ფეკილში ამოთხვილ მაკოს მოჰქონდა ცხელცხელი შოთი პურები, ხოლო ცისტვალას ნაირნაირი კერძები.

თბა ნიკო ჩვეულებისამებრ მკლავში უბიძგებდა კორინთელს, მადის მომგვრელ ქებას ასხამდა სუფრაზე მოტანილ კერძებს.

„აჰა, შენი საყვარელი დედას პურები, მთელი ქვეყანა მოგივლია, ყველაფერს გაფიცებ, აბა თუ ვინმე სკამს ასეთ შესანიშნავ პურს. ეგეც ჩაღაღაჯი, აგერ დედალი ნივრით, გინდ ბროწეულის წვნითა, გინდა უშობელის სუკი, იფ, იფ, ყველაფერი შენს გემოზე მაქვს შერჩეული ჩემმა შუემ.“

როგორც ხედავ, ერეკლე მეფეს ვერ გაეუტოლდი, მარამ მის ზაქიჰამია შეიღს, გიორგის, მაინც არ ჩამოუჩრები, რა თქმა უნდა, ჭამა-სმის საქმეში, მოგეცეს ლხენა, უელსის პრინცს მიუქარავს ჩემთან. ჰა, ჰა, ჰა, ...“

როცა მეზობლიანთ ლევანამ შამფურზე წამოგებული გოჭი შემოიტანა, გახარებული აზორხოცდა ნიკო:

„ნახე, ნახე, ვახტანგ, როგორაა შებრაწული, რა ხანია, მამაშენის თონეში არაეის შეუწყვავს გოჭი, მოგეცა ლხენა, ასეთი რამ აბესინიის იმპერატორს მოგვრიდა ნერწყვს.“

„რატომ ასე შორს მიდიხარ, თბა ნიკო, ბრიტანეთის იმპერატორი რად დაგაეიწყდა?“

„რას იზამ, ჩემო კარგო, რევოლუციამ ისე გააწყო იმპერატორების სინსილა, მათ საძებნად ან აფრიკას უნდა გადაიხვეწო, ან ინგლისს. ჰა, ჰა, ჰა.“

ვახტანგი უკვე გულიანად იციროდა, ხანდახან შუერას გააპარებდა ხოლმე და სუფრის ბოლოს მსხდარი ორი ქალის სერიოზოლ სახეებს შეხედავდა. მედეას მარჯვენა ხელში ჩაებლუჯა თა-

ვისი დედის მკლავი და მოწყენილი გამომეტყველებით ეჩურჩულებოდა რაღაცას.

ძია ნიკო ახლა ქინძით, ძმრითა და ბილბილით შეკაზმულ, ქათმის კუჭმაქს აქებდა, ხოლო ვახტანგის სმენას ეს სიტყვები მისწვდა:

...„ბერძენი უნდა იცხოვროთო? მონ დიო, მონ დიო<sup>1</sup>. ეგეც ახია შენზე, ძვირფასო, შამპანი მოგწყინდა. ფობურგ სენ ჟერმენი, მულენ რუჟი, კაფე ნაოლეონ, ტოკადერო, პლას დელა კონკორ, გრან ოპერა, ვიო კოლე-მბიე და ბერძენული გლეხების სანე-ხვეების სუნით უნდა დასტებე? აფსუსს მთელი ჩემი სიცოცხლე ვოცნებობდი ამ წმინდა ადგილების ნახვას, რამდენ ხანს ვუცადე ვიზას. ხომ მპირდებოდი ვიზას გამოგოგზავნიო. რა ვუთხრა მამი-დაშენს, ეფემიას, მე რომ იქ ვყოფილყავი, როგორ დაგანებებდი მუსიო შარკუტიესთან გაყრას. სე დომაჟ, სე დომაჟ.“<sup>2</sup>

თამადამ ასწია მის მიერ დაცლილი ხელადა და მოუწოდა მეინახეებს გადმოეყირავებინათ თავიანთი ხელადები.

ყველაზე ადრე, ბიძია ვარამ და იმ თავკობალა სტუმარმა, რომელსაც „უსახლო“ შეარქვა ნიკომ, აჩვენეს დაცლილი ხელადები ძია ნიკოს.

ისევე გაერთენენ მედეა და დეიდამისი საუბრით. საესებით უტიფრად აქარტალებდა ენას უკვე შემთვრალი წვეროსანი დიაცი:

„სამშობლო? სამშობლო მხოლოდ გონებაშეზღუდულ (აქ ხმარობდა იგი ფრანგულ სიტყვას „ბორნე“-ს) ადამიანებს უნდა უყვარდეთ, ძვირფასო, არისტოკრატისა და ბურჟუაზიის სამშობლო ისევე ესაჭიროება, როგორც მეხუთე ფეხი სახედარს. მუშებსა და გლეხებს თუ დასპირდებათ, ძვირფასო ის, რასაც შენი ქმარი სამშობლოს ეძა-

ხის. ჩვენ, დადიანები, გლუხს შეგვრელს ვუწოდებდით, აქ აღმოსავლეთშია, ქართველი და გლეხი კლასიკური მხედრენი.

იცი თუ არა, ძვირფასო, ჩვენს ოჯახებში „ცულ ტონად“ ითვლებოდა ქართულად ლაპარაკი?“

არც ძია ნიკოს ჰქონდა დაჩლუნგებული ჯერჯერობით სმენა, მაგრამ ფრანგულზე მწყრალად იყო, მიუხედავად ამისა, ინსტინქტიურად მიხვდა გულმეცნიერი ბერიკაცი, სასიკეთოს რომ არაფერს ეტყოდა თავის დისწულს „კენინა“ ვარა.

სწორედ ამიტომაც ძია ნიკომ შესწყვიტა საჭმელების ამოლოგია და ხმადაბლა უთხრა კორინთელს:

„შენ, როგორც აგრონომმა, ჩემზე უკეთ იცი, მსხალი თითქმის ყოველ ხილზე უფრო ხანგრძლივად შერჩება ხოლმე თავის ყუნწს, გვიან შემოდგომაზე ჩამოსცივივიან კაკალი, ნუში, წაბლი და უნაბი, ხოლო მსხალზე მუდამ შერჩება ხოლმე თითო-ოროლა ნაყოფი დეკემბრის ბოლოს, როცა კირხლი ედება ხეებს, გაიხედავ და სადღაც, მსხლის კენწეროში, ორიოდ ნაყოფი შერჩენია ყუნწს, ისეთი ჩაშაყებული და დაღმეკილი, ძირსაც რომ დაეარდეს, უწუწკესი ლორიც არ შესკამს მას.

ეს ნაყოფი ისე ზედ მიმკვდარია თავის ყუნწზე, უმძაფრესი გრიგალებიც ვერ ჩამოაგდებენ მას. ვინ დაიჯერებს, რომ დღეს ჩვენს სინამდვილეში კიდევ თუ დალოდავენ ისეთი კუხიანები, როგორიცაა შენი ცოლის დეიდა, ქეშმარიტად სამარე თუ გაასწორებს მათ.

ეს ყბადაღებული ბიძია ვარა სარზე ეგებოდა. რა გაიგო, მისი დისწული ცოლად მიწის მზომელის ვაჟს მიჰყვებო. მეც კი არ მერიდებოდა, წიწმობდა, ანჩნლობდა: მილიონები წყალს გაატანა და დიაკვნების ნაშიერს მიჰყვებო? მოგეცეს ლენა, არა ერთხელ შევჯორე მაგრად.“

<sup>1</sup> ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო.

<sup>2</sup> რა საწუხაროა, რა საწუხაროა

„ემ რას ვიზამთ, ძია ნიკო, ადამიანების ფსიქიკის გარდაქმნა არც ისე ადვილი ყოფილა. ალბათ გეხსოვებოდა, ბურბონების გამო ნათქვამი: მათ რევოლუციის შემდეგაც არც არაფერი უსწავლიათ და არცთუ დავიწყებითაა რაიმე.“

აქ ამბობდა დიდი ილია: თავადიშვილი კარგი რა არის, ავი რა იყოს.

სანამ კაპიტალისტური გარემოცვა იქნება, აქ-იქ კიდევ იბოვებენ ეს ბედისაგან განწირულები, მაგრამ ეგ არც ისე საშიშია, დამკვიდრები მსხლელები, საბოლოოდ ძირს დასცივიან. ძალი ყვეს და ქარავანი მიდის...“

ესა თქვა და კიბის თავთან მართლაც აყეფდა ძალი.

ცისტვალა შემოვიდა. ახალი სტუმრების მოსვლა აცნობა თამადას. სუფრას შემოემატნენ დოცენტი ზურაბ არადელი და მასწავლებელი ჩხეტიანი. არადელის დანახვისას დეიდა ვარაბ გადაუჩურჩულა მედეას:

„გეც წითელი პროფესორია“.

ნამდვილად კი ზურაბ არადელი სახელგანთქმული მეცნიერი იყო, ავტორი მრავალი საყურადღებო შრომისა, ესენი ეხებოდნენ ჩვენი ფლორის მკვნიებებს და მათ წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებებს.

კორინთელი გადაეხვია სტუდენტობის მეგობარს, რომელთანაც მთელი მსოფლიო შემოიარა ორიოდ წლის წინათ. გვერდით მოისვა ზურაბი, იგონებდნენ ერთად მგზავრობის ამბებს.

ნიკომ ჯარიმები დააღვივინა დაგვიანებულ სტუმრებს, მერმე მკლავში უბიძგა დოცენტ არადელს:

„მე ვიცი ახლა ზოგობებისა და კალიების ამბებს მოჰყვებით თქვენ, გოგობთ ეგ გვიამბოთ, გეთაყვა, სად რა დალიეთ, ლამაზი ქალები სად მეტი ნახეთ, ან რით თვრებიან იმ ქვეყნებში ჰა?“

„თვრებიან, ყველგან თვრებიან, მაგრამ ვაი ამ დათრობას, — თქვა არადე-

ლმა, — ყველაფერს რომ თავი დაეხებოთ, ნიკო ბატონო, ის ყველაფერმეცადე მზამზარეულს მიირთმევს, აღდეს მკურნაობის, ბერლინის, ლონდონისა და ვაშინგტონის ბურჟუები იციოთ. რა სისხლის ფასად უჯდება, მალაკასა და იავას მოსახლეობას. იქაურ გლეხებს არამცთუ გლეხებს, მათ ქალებსა და ბალებს კიბილები არ შერჩენიათ პირში. თუ რომელიმე ევროპელი, ან ამერიკელი მაძლარი სადილის შემდგომ მიირთმევს ამ პროდუქტს, ადგილობრივი ხალხი მშიერ კუჭზე სვამს ყავას და ამას მოჰყვება კიბილების ცვენა და კუჭის დასნეულება“.

„თამბაქოს თუ ბლომად წვევენ, ჰა? ჯერ ეს მითხარით, თამბაქოს საშობლო ინდოეთია ხომ?“

„არა ძია ნიკო, ტობაკო—ამერიკელი პროვინციაა ერთი, სადაც ეს მწარე მცენარე იზოვნეს თეთრებმა პირველად. სიტყვა ჩაურთო კორინთელმა — ჰაიტის კუნძულის მკვიდრთა ენაზე ტობაკო იმ კურკელს ერქვა, საიდანაც ფერადკანიანები თუთუნს წვედნენ. ინდოელებისა და იაველების ხელით მოწვეულ თუთუნს ინგლისელები და ამერიკელები ფერმენტაციას უკეთებენ და მამისისხლად მიჰყიდნიან ისევ მე უმედურებს.“

მე არასოდეს დამაეიწყებია იავას ქალების საწყალობლად ჩაფერფლილი თვალები, თამბაქოს უზმოზე წვეისაგან ქალებსა და ბალებსაც ცვივით კიბილები“

„შორს ჩვენგან უსიამოვნო ამბები, ცისტვალა, გაგვიყვებოდა ხელადები:“ — და იბუხუნა ძია ნიკომ.

ცისტვალამ ისევ მოართვა სველი ხელადები სტუმრებს.

კორინთელმა დასცალა ხელადა და არადელსაც მიძალა — მასაც გამოეცალა თავისი. ქალებს მოსწყინდათ, სათი-



თაოდ გაიკრიფნენ სასტუმრო ოთახიდან.

მათ შორის ერთადერთი „კნინა“ ვარა შემორჩა სუფრას, მან თავისი ადგილი დათმო და უსახელო თავკობა-ლას მიუჯდა.

„ლივერპულისა და ნიუ-იორკის ვირთხები ხომ გახსოვს, ზურაბ?“

„ოჰ, როგორ არა, ჩემს სიცოცხლეში ეგ არ დამავიწყდება.“

„რომელი ვირთხები, რას ამბობ ვე-ეო?“ — იკითხა ძია ნიკომ, სავსებით დარწმუნებულმა — ანგდოტს რასმეს მოჰყვებიანო.

ზურაბმა ჯერ იცინა და მერმე თქვა: „როცა ოკეანის გემი უახლოვდება ევროპის, ან ამერიკის რომელიმე საბორტო ქალაქს, მრავალი ათასი ვირთხა ცურვით გამოეშურება საბარგო სადგურებიდან...“

„ჰა, ჰა, ჰა, ცურვაც ცოდნით მაგ ღმერთმალღებს?“ იკითხა ძია ნიკომ.

„ცურვა და როგორი, ძია ნიკო, ჯამფაზიას ფოთოლივით წაწვეტებულ ყურებს ზეაქვეტავენ და, უნდა ნახოთ, რა გამალბულად მოარღვევენ ეს ვერანანი ოკეანის ტალღებს, ზედ რეიდზე დაუხვდებიან გემს, მოიერიშე ლაშქარივით გარს შემოეხვევიან, თუ სადმე ლუჯი ნახეს ღია, როგორც ღვართქაფი, შემოცვივიან გემში და არ არსებობს მათგან საქონლის დაცვის რაიმე საშუალება, თვალის დახამხამებაზე გაივსება ტრუმი.“

ზოგი გემიდან ჩამოშვებულ ბაგი-რებს აჰყვება.

სწორედ ამ დამშუელი ვირთხების ლაშქარსავით უცდიან თავიანთ ქალაქებში ამერიკისა და ევროპის ბურჟუები, ბანკირები, ფაბრიკანტები, კომისიონერები, ბირჟის კაცები იმ დოვლათს, რომელსაც სისხლნარევი ოფლით აგროვებენ და ქმნიან სამხრეთ ამერიკის, ინდოეთის გლეხები და უმეჭონონი.

თუ ევროპისა და ამერიკის ბურჟუაზიას ეს ნედლეულის ბაჭეტი გამოეცალა, მაშინ ენახათ, როგორ გაიხფეფებენ ღიპებს ინგლისელი ჯონბუქლი, ამერიკელი იანკი და გერმანელი მიხელი“<sup>1</sup>.

## ძალღების პირისუფალნი

ცისტვალა ისევ მიუახლოვდა თამადას, მოახსენა: სტუმრები გეახლნენო.

„კეთილი იყოს მათი მობრძანება,“ — დაიბუხუნა ძია ნიკომ.

ვიდრე მამაკაცები დაცლილ ხელაღებს აჩვენებდნენ თამადას, სასადილოში შემოვიდა სამი მანდილოსანი. — ერთი ქერა, ერთი კროლა და ერთიც წაბლისფერთმიანი, მკერდსავსე ქალი. რომელსაც თმა არსებითად წაბლისფერი კი არა ჰქონდა, არამედ ალაგალაგ აღისფერში გადაშავალი.

ოდნავ შესამჩნევი კორფლი აჩნდა განსაცვიფრებლად თეთრ სახეზე. დაკვირვებული თვალი უთუოდ შეამჩნევდა ამ ქალის თავზე სავსებით იშვიათად გარეულ ჰალარას.

მთელი მისი ანაგობა, მისი გულმკერდი და ვნებიანად ამობორცვილი ტუჩები, რომელნიც კიდევ აღუთქვამდნენ მამაკაცს ამბროზიასა და ნექტარს, მოაჯონებდნენ ამ ქალის მნახველს ნაყოფსავსე კახურ შემოდგომას, როცა ყურძენში იძალბებდნენ ქარვის ფერები, ხოლო ფოთლეში ის სიწითლე, რომელიც გახლენილ, მწიფე ატამში ცნაურდება ხოლმე.

ეს უკანასკნელი წვეროსანმა კნინამ მოისვა გვერდით. ვახტანგ კორინთელი ხმადაბლა ესაუბრებოდა ძია ნიკოს, ხანდახან მზერას შეავლებდა ხოლმე ამ ორს. ერთი მათგანი, სახელდობრ, სკე-

<sup>1</sup> ჯონბუქლი — ინგლისელისთვის შერქმეული სახელია. ე. ი. ხარი ჯონი. ასეთვე სახელით შერქმეული სახელია იანკა — ამერიკელებისა და მიხელ — გერმანელების მიმართ.

ლეტისებრ გაშეშებული, ხორცშემკენარი „კენინა“, უთუოდ გამოადგებოდა მოდელად რომელიმე მხატვარს, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ ჩვენს დროში ვინმეს დასჭირდება უსქესო, ქოსა სატანის გამოსახვა, ხოლო მეორე, მის გვერდით მგდარი, მაგნიტისებურის სიმძლავრით იტაცებდა ცნობისმოყვართა თვალს და მისი მნახველი გოცუებით იკითხავდა უთუოდ, ასეთი მშვენიერი ეგზემპლარი ადამიანისა როგორ გამოპარვიათ ფერწერის ოსტატებს.

ულაზათო, მწვანე ბერეტი ეხურა ამ ქალს თავზე და ეს თვალში მოხვდა კორინთელს. ინატრა კიდევაც: ნეტავ ბერეტს მოიხდიდესო. თვალისმოპყრელი თეთრი კისერი ჰქონდა შემართული ოდნავ ფაშფაშა სხეულზე და კორინთელს ასეთი შთაბეჭდილება ჰქონდა: ზამთარი და შემოდგომა ერთსა და იმავე სუფრას მოსხდომიანო. — სიკვდილის შემზარავი ჩვენება და სიყვარულის ხორცშესხმული გაცხადება.

დაეინებით ფიქრობდა კორინთელი: ოღესღაც მინახავსო ეს ქალი ფიქრობდა, მაგრამ ვერ მოეგონებინა, როდის და სად?

რაც უმთავრესია, კორინთელს ადევნებდა ისიც, რომ უცნობი საოცრად მიაგავდა ნუნუ უჯირაულს. მასაც, ნუნუსავით ოდნავ გაოცებული, მუქლურჯი თვალები ჰქონდა. ოღონდ იგი უფრო ძვალმსხვილა და გრძელკიდურებიანი იყო, უფრო ხორცმოჭარბებული, ვიდრე ნუნუ, ერთი სიტყვით, ორივენი ისე ჰგავდნენ ურთიერთს, როგორც შესაძლოა დას დაემსგავსოს დაი, ან დედას — შეილი.

მცირე ხანს სდუმდა და ფიქრობდა: „...როგორი შეწუხებული იქნება ის საცოდავი გოგონა იმ ველური შეურაცხყოფის გამო, რომელიც მას თავს დაატყდა ორიოდ დღის წინათ!“

მოაგონდა ის რამდენიმე ბედნიერი წუთი, რომელიც განიცადა მან ნიორთავას მკვარტლიან წისქვილში, თავმსხვი-

ლა და კისერწვრილა პატარა ძალხაზი და მისი ბლატუნი უპატრონო ქაღალბთან და კატებთან, წისქვილის მუხილი, გარეული ბატების ყიპყიპი, მთვარიანი ღამე და ვნებიანი ტუჩები, რომელთა ჩაკონა მან ვერ გაჰბედა როგორც ხანდაზმულმა კაცმა და პროფესორმა.

„უცნაურია, აუხდენელი ვნებები გაცილებით უფრო ღრმა ტეიფარს სტოვებენ ჩვენს ხსოვნაში, ვიდრე უკვე აღდენილი, მოხებულნი.“

ამას ფიქრობდა ვახტანგ კორინთელი. ამასობაში ფეხზე მდგარი თამადა ქალაგად დავარდნილივით წარმოთქვამდა ნიკო ვაჩნაძის შესანდობარს, არცთუ დიდი პათეტურობითა და დამაჯერებელი რიხით, როგორც მას ჩვევოდა სხვა შემთხვევებში, მაინც აქებდა მას, როგორც „შესანიშნავ მამას“ და ასეთსავე „ვაჟკაცს“ და სხვა.

ამ სადღეგრძელოს მოჰყვა მედვის მამიდის ეფემიას სადღეგრძელო, აქ კი სავსებით უღალატა სიმკვერემ თამადას, მსმენელები მუდამ ატყობენ, როცა ორატორი სტყულის, ამიტომაც სმენას არიდებენ ასეთ შემთხვევაში მას, მართლაც და შეინახებენ ჩურჩული შეჭქნეს, ზოგმაც ჰამას უმატა, ხოლო უსახელო თავკოპალამ ფლირტი გაუმართა ანლადმოსულ ლამაზმანს.

ვახტანგი ყურს არიდებდა თავის ცოლის მანლობლების აპოლოგიას. შიგადაშიგ უსმენდა უკვე შეზარხოშებულ ზურაბ არადელის საუბარს პარიზში გატარებული სტუდენტურა წლების შესახებ. ზურაბი იგონებდა „პიკანტურ ამბებს. ლათინური კვარტალის მიდინეტებს“.

როცა „კენინა ვარას“ სადღეგრძელო დაიწყო თამადამ, ისედაც დაძაბუნებული ელნათურები ჩაჰქრნენ. თანადამსწრენი აზუსტდნენ, ხოლო თამადა ვახტანგს უჩურჩულა:

„მადლი უფალს, რომ ღამემ გადამაფარა თავისი კალთა, თორემ მთლად

0337 8850



უსირცხვილო კებანი უნდა წარმომე-  
თქვა, ჰი, ჰი, ჰი.“

ლამპებიო! იყვირა ძია ნიკო. შემოი-  
ტანეს ძველმოდური ლამპები, ოჩოფე-  
ხებზე შემდგარი მახინები, რომელთაც  
ასეთი გროტესქული იერი მისცა ელე-  
ქტროფიკაციის ეპოქამ.

ამ ოჩოფეხებზე შემდგარი ლამპების  
მერთალ შეუხე ძლივს მოაცივდილა  
თამაღამ დეიდა ვარას სადღეგრძელო.  
აქა-იქ ჩაილულულდა მისი კებაც, მაგ-  
რამ თანადამსწრენი ისე ზუზუნებდნენ,  
თითქმის არავის გაუგონია ეს ლულუ-  
ლი.

ლევანა შემოვიდა და ელნათურე-  
ბიც განათდა, უფრო მომეტებული  
ბრწყინვალეობით მოსილნი. უცნობმა  
ქალმა თავისი უშნო ბერეტი მოიხადა.  
კორინთელმა შენაშნა, რომ ახლა პრო-  
პორციული მოსჩანდა მისი ჭკვიანი თა-  
ვი, ხოლო მის თმებს გადაჰკრავდა ელვა-  
რება ისეთი აღისა, როგორსაც ცეცხლ-  
შემოგზნებული ვაზის წალამი გამო-  
ცემს ხოლმე. მაღალ კისერზე დადგმუ-  
ლი თავი და მისი გარშემო შემოგრაგ-  
ნილი ნაწინავები საოცრად ვარვარებ-  
დნენ ელექტროს შუქზე.

ხომ არსებობს ხანდახან ერთგვარი,  
უფაქიზესი მიჯნა ცნობასა და ვერშე-  
ცნობასა, იპვსა და დაჯერებასა, მიხვე-  
დრასა და ვერმიხვედრას შორის, —  
სწორედ ასეთ მიჯნაზე ქანაობდა კორი-  
ნთელის ცნობიერება. ეგონა: სადაცაა  
მომავონდება, სად და როდის მინახე-  
სო ეს ქალი?

როცა თამადა დაჯდა, ტუჩპირი ზედ  
ყურის ბიბილომდის მიუტანა მას ვახტა-  
ნგმა.

„ერთი მიბრძანე, ძია ნიკო, ვინ არის  
ეს ქალი?“

„რას ამბობ, ვახტანგ, ნუთუ ვერ იცა-  
ნი სუსქია მინდელი, მე ასე მახსოვს,  
შენ უმიჯნურდებოდი კიდევაც სიპა-  
ბუქეში მას.“

„გინა? სუსქია მინდელი?“

„როგორც ჩანს, ჩემ მაგიერად შენ  
დამთვრალხარ, ვახტანგ.“

ვახტანგმა ფრთხილი მხერვა უხრულა  
ქალს და გაუღიმა შორიდახ, სამაგიეროდ  
ქალის ტუჩპირში გაიღვია ოდნავ, ოდნავ  
შესასჩნევმა ბაგეების შეტოკებამ, რო-  
მელიც თანა სდევს თავშეკავებული  
ქალების გაღიშებას, გაღიშებას კი არა,  
გაღიშების დაპირებას. აქ უნდა მივინი-  
შნოთ ის საგულისხმო დეტალი, რომე-  
ლიც უბადლოდ განსახიერებული აქვს  
ლეონარდო და-ვინჩის თავის მონა-  
ლიზაში.

ახლა ისიც მოაგონდა კორინთელს,  
რომ სუსქია მინდელი სწორედ იმ წელს  
გადმოვიდა წ. ნინოს სახელობის სასწა-  
ელუბელში, როცა მედეა და ვახტანგი  
თბილისს აპირებდნენ გადასვლას.

ისევე მიუბრუნდა კორინთელი თამა-  
დას:

„მე არც კი მახსოვს, ძია ნიკო, რად  
შეურქმევიათ ლუკა მეთონის ქალის-  
თვის ასეთი უცნაური სახელი.“

„დანამდვილებით არც მე ვიცი, მაგ-  
რამ ისე მაქვს განაგონი, ვიღაცა მხატ-  
ვარი ჩამოხეტებულა თელავში კახეთის  
კაეკასიონის დასახატავად, მას ქართუ-  
ლი თონის პური შეეყვარებია, ხშირად  
დადიოდა თურმე მეთონის სახლში, თე-  
შურქუდიანი ლუკა დაუხატავს და პა-  
ტარა გოგონაც მოუნათლავს კიდევაც  
და დაურქმევია რატომღაც რემბრანდის  
საყვარელის, სასქიას სახელი და მერმე  
სასქია სუსქიად გადაუქვითებია ქარ-  
თულ ენას. ლუკას ცოლი სუსქიას ამ  
ქვეყნად გაჩენას გადაჰყვია და მეთონე  
ლუკამ თავათ გაზარდა ეს მშვენიერი  
და დიდად წესიერი ქალი.“

კორინთელს ახლა ისიც მოაგონდა,  
რომ სუსქია მინდელი საყმაწვილეში  
ისევე გამზდარი იყო, როგორც ნუნუ  
უჯირაული ამჟამად. პორცელანივით  
რბეული სხეული ჰქონდა მას, არცთუ  
ასეთი მკერდსაგვც იყო და თეძოგანი-  
ერი, სრული განსახიერება იმ ზომიერ-  
ხორციანობისა, რომლის გამოხატვა ჩვე-

ოდით ხოლმე ძველებრძენ სკულპტორებს, შუახორცა სილამაზის გენერალური ტიპის დაჭერისას.

„აჰა, ახლა მაგონდება თელაველი მეთონის — ლუკა მანდელის ქალი.“

„დიახ, დიახ, ეს გოგო ჩვენც ისე მოგვწონდა, მე და მამიდაშენი თეკლე სარძლოს ვეძახდით, ვაწითლებდით მაგ საწყალს.“

კორინთელი სდუმდა და ფიქრობდა: ვინ იცის, ეგებ უფრო ბედნიერიც ვყოფილიყავ. მეთონის ქალი რომ შეძერთო. მე სიამოვნებით დაეუბარებდი ჩემს მომდევნო თაობებს: მხოლოდ მშრომელთა ოჯახებს დაუშოყვრდნენ. შრომაა საძირკველი ყოველივე წესიერებისა და მორალური სისპეტაკისა.

ჭეშმარიტად საქულველია არა მარტო იგი, ვისაც უშრომლად უცხოვრია, არამედ იგიცა, ვინც უმისოდ ცხოვრებას მიეღობის. ვგონებ, ერთადერთი სიხარული, რომელიც ჩვენთვის მოუცია გამჩენს თუ ბუნებას, ეს არის შრომა, იგი, ვისაც უშრომლად უცხოვრია, საქულველია უთუოდ“...

„ეგ მითხარი, ძია ნიკო, რას აცეთებს ამეამად სუსქია?“

„ეჭიშია. აქაური საავადმყოფოში მსახურობს. სწორედ იმ წელს გათხოვდა, როცა შენ მონაბელიეში სწავლა დაამთავრე“.

„ვის გაჰყვა?“

„ერთ შინსახკომელს, ვინმე ამაღლობელს, მაგრამ ქმარი მალე მოუქვდა.“

მას შემდეგ გათხოვება არ ისურვა სუსქიამ, აგერ ჩვენს ქვემოთ ცხოვრობს, პაწია ჭოხში, თავის მამასთან ერთად. ლუკა ისევ მეთონეა.“

„შენ მართალი ხარ, როგორც ჩანს, დაგიფერიეარ.“

„არა, მე არ მიყვირს, ვახტანგ, შენ რომ ვერ იცანი სუსქია, ამ ოდნავ მბეტუტავი ელნათურების შუქზე, თხუთმეტი წელი ისეთი დიდი პერიოდია ქალის ცხოვრებაში, ეგ არც ისე გასაკვირია.“

„ხომ არ ნანობ, ვახტანგ, სუსქია რომ არ შეირთე?“

„სიხახულის რა მოგახსენო, სიხახული უხასიათოთა სენია, მე არასოდეს ვნანობ იმას, რაც კი სრულცნობიერს ჩამიდენია, მაგრამ“...

„მაგრამ რაო?“

„მედეას მე დიდად პატივს ვცემ, მაგრამ მისი გარემოცვა არც უწინ მომწონდა და მით უმეტეს, არც ახლა. მისმა უზნეო დედ-მამამ, ასეთივე გათახსირებულმა მამიდამ ძალით წამიბილწეს ის ხელშეუვლები მშვენება, რომლისთვისაც ქართველი ვაჟაკი ეტრფის ხოლმე თავის საცოლეს.“

როგორც საკუთარ მამას, ისე გენდობი, ძია ნიკო, და ამიტომაც გიმხელ ყოველივეს ამას. მათ შეურაცხვეს ჩემი კაცობა, საწამლავე ჩამისხეს ნექტარით გავსილ სასმისში. ჯერ იყო და მთავარი სული ამომართვეს ჩემი განსვენებული მამის აუჯად ხსენებით; „ლატაკი მიწის მზომელის“ ვაჟს მეძახდნენ. და როცა მამიდა ეფემიას სატანური გეგმები განხორციელდა და ვილაც უწმინდურმა ძლოკვმა დაყნოსა იგი, იმავე მამიდა ეფემიამ იმ გარეწარისაგან წაბილწული სასმელი ისევე შემომიჩეჩა ხელში, როგორც „ლატაკი მიწისმზომელის ვაჟს.“

თამადა წამოდგა, ხელადა ხელში აიღო და ადღეგრძელა ახლადმოსული ქალარა ქალი, რომლის არც სახელი იცოდა კარგად, არც გვარი და თამაღური ამბიციების ზეგავლენით ისეთი ორჭოფული სიტყვა წარმოთქვა, როგორცა ამბობს ხოლმე ზოგიერთი კრიტიკოსი, როცა გულისგარეთ ვითომ აქებს აეტორს, რომლის ქებისათვის არც დიდი საბუთი აქვს და არც ძაგებისთვის საჭირო გამბედაობა მოსდგამს.

ძია ნიკომ ცალი მკლავი გადახვია ვახტანგს, თავისკენ მიიზიდა და უჩურჩულა:

„მედეას რად არ ჰყავს შვილი?“

„ეს ჩემი ბრაღია, ძია ნიკო, მე მას ვაძალუბდი, შვილი არ გასჩენოდა მაგ წაბილწულ შარკუტისაგან და ამ ამაზავეს გადააყოლა თავის ქალობა. მე საშინლად განვიცდი უშვილობას, როცა ქუჩაში, სადმე რომელიმე ბავშვი წაიქცევა, ვერაინ მომასწრებს მის აყვანას და მეკრძში ჩაკვრას. გულგრილად ვერ გამოვიღია საბავშვო ბავშვთან და ბაღებთან, როგორც ყვავილების მოყვარულთ ჩვევით ეს საყარდეების გვერდით ჩავლისას.“

მას შემდეგ, რაც სუსქია მინდელი შემოვიდა, მედემ უცნაურად მოიწყინა, ბოლოს იგი წამოდგა და ჩემად გაიპარა სასადილოდან. ნიკომ ჯერ თვალი გააყოლა მის ამაყად შემართულ სხეულს, შეუდარებელ ბეჭებსა და ასეთსავე პლასტიური პარმონით გამოკვეთილ მაღალ თეძოებს, მერმე სულ ახლოს მიუტანა ტუჩპირი ყვირმალთან ვახტანგს და უთხრა:

„მე გატყობ, ვახტანგ, მას შემდეგ, რაც ღვინო ოდნავ წამოგეძალა, სულ მაგ სუსქიას უჭერტ. ვგონებ ეს შენიშნა მედემ და მიტომაც დაგეტოვა.“

ჩვენ მამაკაცები ერთი და ბევრი რამ ისეთი გვაწუხებს, რასაც ცოლებთან ვერასოდეს გაამხელს კაცი.

მე ყოველდღე გულისწუხილთ შეყურებ თქვენს გრძელ აივანს, რომელზედაც შენ და განსვენებული ნანა ცხენჯოხებზე გადამჯდარი დაჯირითობდით.

მე და მამიდაშენიც ღმერთმა დაგვსაჯა და შვილი არ გაგვიჩნდა. და, როგორც ხედავ, დაცალიერებულია ეს მშვენიერი, რიკულებიანი ქართული აივანი, რომლის მაღალი არამცთუ თელავში, ვგონებ თბილისშიაც არ მოიპოვება.

ამას წინათ ერთი ხევსური მოვიდა ჩვენსას, ციმბარის წყლულის წამალი მთხოვა.

მამიდაშენი თელავ ავად იყო. მზაკერძი არა მქონდა, ხმელი ხილი და ღვინო

გამოვუტანე. ხევსურმა ყალი<sup>1</sup> ამოიღო. ჯიბიდან, თავის მგლური ქბილებით დეკავდა ყალს, ღვინოს სევად და დაქვლეტავდა. მერმე ერთბაშად თვალი მოავლო ჩვენს აივანს და მკითხა: „შენი შვილები სად არიან?“

„არა მყავს-მეთქი.“

„ცოლი ხომა გყავს?“

„მყავს-მეთქი.“

„ჩვენში თუ ცოლს შვილი არ ეყოლა, ან გააგდებენ, ან შეუთანხმდებიან მას და სხვა ცოლს მოიყვანენ.“ ჩვენში სამოცდაათი წლის კაცები ირთავენო ახალ ცოლს, თუ უშვილოდ დაბერდნენ, სიკვდილის მოახლოებას რა შეიცნობენ, თავტირილს გადაიხდიანო.

მე მაგ ხევსურის მოსვლამდისაც განვიცდიდი ამ ტრაგედიას. მე თქვენი ოჯახისადმი პატივისცემის გამო ვერ მოვიყვანე სხვა ცოლი.

მამაშვილობას, გირჩევ, დროზე იზრუნო და შვილი გაიჩინო როგორმე.

შვილი რაა? როცა შენ არ იქნები, ვილაც დარჩება იქ, სადაც შენ მუღმივად არ დაგტოვებს ბუნება. შენსავით ახალგაზრდა რომ ვიყვე, მოგეტყვებ „ლხენა...“

შვილია სიკვდილის დამთრგუნველი. შენ უკეთ იცი, ვახტანგ, ბუნების მშვენიება და ძალა მულტიპლიკაციაშია, გამრავლებაში და არა დაშრეტაში.

მამაჩემი არც ექიმი ყოფილა და არც აგრონომი, ერთი ბნელი, უსწავლელი კაცი იყო განსვენებული. დღედაღამ უჩიჩინებდა თავის ძმებს; მოსჭერით და ცეცხლში შეაგდეთ უნაყოფო ხეები, დაჰკალით ბერწი ძროხები და ბერწ დედაკაცებს გაეყარეთ, თუ მათ არ მოისურვეს ისეთი ქალების თავის გვერდით ყოფნა, რომელთაც ქოჩორა ბეჭებისა და ნაწნავიან გოგოების გაჩენა შეუძლიათ.

ვიმეორებ: რაც დღეს ჩვენს ქვის კიბეზე ამომავალი დაგინახე, გავიხარე.

<sup>1</sup> ყალი — ქერხოში გამზარი ხორცია, რომელსაც მგზავრობის დროსაც თან ატარებენ ხევსურები სახელდახელო საყვებად.

აგრე მეგონა, გაცოცხლებულა და შორეთს მოგზაურობიდან შინ მობრუნებულა-მეთქი საცოდავი მამაშენი, ალექსი.

ვაი ჩვენ, თუ მე და შენ ისე მოგვედებოთ, რომ ამ ქვის კიბეებზე არავინ ამოვა ისეთი, ვინც ჩვენი ჩამქრალი თვალუბის გაელეგებას, ჩვენი ჩაწყვეტილი ხმების დრვინვას უკან ვერ დაუბრუნებს ბუნებას და სიცოცხლით არ გააუცებს კვლავ ჩვენს დადუმებულ ბაღს, ჩვენს აივანს, ჩვენს მარანსა და ჩვენს ეზოს, სადაც ერეკლესკამინდელი ხეები დღესაც ცოცხლობენ“.

არადელმა რა შენიშნა, თანამოსაუბრე აღარ გააჩნდა, როგორც კი ღვინო მოეძალა, ახლადმოსულ სტუმრებისაკენ გადაუჯდა.

თამადა და ვახტანგი ამჩნევდნენ, კენინა ვარა დაუცნრომლად ეკამათებოდა საერთოდ ენამკვეერსა და საუბრის მოყვარულ არადელს.

„ხმამაღლა, ხმამაღლა, ჩვენც გაგვაგონეთ, თქვენი მგზავრობის ამბები“, გადასძახა ნიკომ.

„...როგორც ფეოდალიზმის ეპოქაში, ისე კაპიტალისტურ სამყაროშიაც მცენარეთა მოვლაშიც გამოიხატებოდა ადამიანების მიერ ადამიანთა ექსპლუატაცია,“ — განაგრძო არადელმა.

„თქვენ უნდა ნახოთ, რა საშინელი სატანჯველი ადგას მალაელ, ან მონღოლ გლეხს თუნდაც ბრინჯის მოყვანისას. ბრინჯის ჯეჯილები მუდამ ქობებშია კამეჩშებმული სახნისით ხნავს ნესტიან მიწას მალაელი გლეხი, წამოიზრდება ბრინჯი, ტლოკებდაშიშველებული ქალები და ბავშვები დაიწყებენ ამ ქობებში ტოპვას. მოაწვეს მოსავლის მოწვევა, დანით ჰრიან თავთავებს.“

აურაცხელი ფრინველი წამოესევა ყანებს, მთელი მოსახლეობა გამოვა, დატოპავენ ეს ნახევრად შიშველი ადამიანები გაუძლისი სიცხისაგან წამოდულებელ წყალში, ზოგს ჰინჰებწამოცმული, ბამბუკის ჯვარედინები უჭი-

რავს ხელში, ზოგს საყვირები, ზოგსაც ლითონის დაფდაფები, ისმის საშინელი სტვენა, ყვირილი და ღრუბნადღრუბნად გრძელდება მზის ამოსვლიდან, ვიდრე საღამომდის.

გველები და ჯოჯოებიც ნადირობენ ხშირად ქალებისა და ბავშვების შიშველ წვივებზე.

„ფუი, ფუი, წაგებილწა მაგ ოჯახქორმა ზურაბმა, ფანდური მოიტა, ცისთვალა. ცოტა შეეარბილოთ ეს შთაბეჭდილება“.

ცისთვალამ ფანდური მოიტანა და დაამერა.

„სინგაბურში, მალაელი „გიდი“ — მეგზური ავიყვანეთ მე და ვახტანგმა, — განაგრძო ზურაბ არადელმა, დაგვიბრდა: ნიანგებსა და თუთიყუშებს განევენებოთ, საღამომდის გვატარა ჯუნგლებში, ლამის იყო გველებმა არ დაგვემეს, საქმე არა გაქვს, არც ნიანგი გვიანახავს სადმე და არც თუთიყუში.“

მალაელი ძლივს ამტკრევდა ინგლისურს, იცინოდა, იცინოდა, თავის მშვენიერ ელვარე კბილებს აჩენდა, ზოგი თავისი ჩიქორთული ინგლისურით, ზოგიც ხელებით გვამცნო: ინგლისელებმა ნიანგებს ტყავი გააძვრეს, თუთიყუშებს ფრთები დააგლიჯეს, ესლა ყოველივე ამით ინგლისელი და ამერიკელი ქალები ეპრანჰებიანო თავიანთ კუროებს.

მე არასოდეს დამაეიწყებდა, ამ პირმშვენიერი მალაელის სიცილი, რომელშიაც მოშაინური სიხარული როდი გამოსჭვივოდა ჩვენი ხელისმოცარვის გამო, არამედ გაუმხელელი გულისწუხილი იმისთვის, რომ უცხოელები თვით მალაური ბუნების სილამაზის ამ უკანასკნელ ნამუსრევებსაც არ უტოვებდნენ მალაელებს თვით მიუვალ ჯუნგლებში“.

„ეს ყველაფერი კარგი, რაც აქ ბრძანეთ, მაგრამ თქვენ უმთავრესი მაინც გავიწყდებათ, ჩემო ბატონო, — შენიშ-

ნა გესლიანად კნინა ვარამ. — ამერიკელები, ინგლისელები და პოლანდელები რომ აზიასა და ამერიკას არ დაპატრონებოდნენ, განათლების შუქს ეერასოდეს იხილავდნენ ეს ყვითელი და რა ვიცი რა და რა ფერის ხალხები. — ეს მათ შეიტანეს ამ ბნელეთში ცივილიზაციის შუქი“.

„ჰერიპა, სიტყვა ჩაუტოო მასწავლებელმა ჩხეტინამა, რომელიც ოდნავ უკიდებდა ენას და ლაპარაკის დროს ნერვიულად აპარპალებდა თავის გრძელსა და მწითურ წამწამებს. შევარცხვინე მე ის ცივილიზაცია, რომელსაც მონობის უღელი უკან მოჰყვება“.

„რატომ გგონიათ, ქალბატონო, თითქოს ინდოეთსა და ჩინეთს ნაკლები კულტურა ჰქონდათ, ვიდრე თუნდაც ინგლისს, ამერიკას და გერმანიას, — მიუგო არადელმა, — ჩინეთს უხუცესი ისტორია აქვს, ასეთივე კულტურა, დამწერლობა, ხუროთმოძღვრება და მხატვრობა, რომელნიც ჯერაც შესწავლილი არა აქვს ევროპის როგორც ფაშისტ ისევე მოფაშისტო ისტორიკოსებსა და ენათმეცნიერებს, ეს ვაჭბატონები თვალეზზე საფარველ აფარებულ ეტლის ცხენებსავე მიიჩქჩაქებენ გატკეპნილ შაბლონების გზებზე და სერიოზულად ფიქრობენ, თითქოს კაცობრიული ცივილიზაციის ისტორია გერმანთა და ინგლის-საქსთა ისტორიიდან იწყებოდეს, ძველ ბერძნებს ასე თუ ისე წყალობენ ისინი და არც კი იციან, რომ ამ უკანასკნელებზე აღრე ჰქონდათ ჩინელებსა და ინდოელებს როგორც დამწერლობა, ისე ხუროთმოძღვრება“.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ. ჩინელებს ჯერ კიდევ მეთათე საუკუნეში ჰქონდათ სტერეოტიპული სტამბა, დენთიც მათ გააჩნდათ ევროპაზე აღრე. მოგვსენებათ, ამ ორმა ფაქტორმა როგორ შესძრა მსოფლიო ისტორია“.

არადელი გაჩუმდა და კორინთელმა თქვა:

„რაც შეეხება ამერიკას, მას არც ისე დიდი კულტურა აქვს, არც მხატვრობა გააჩნია, არც მუსიკა. თუ [ქვეყნის] დამწერლობით ორიოდ ამერიკელ დიდ მწერალს, ესენი ინგლისური ლიტერატურის ინერციის გამოძეგლანებაა და სხვა არაფერი. ჯერჯერობით ცნობილია „ემერიკენ ბარ“ — ამერიკული ლექსანი, „ემერიკენ დრინკს“ — ამერიკული სასმელები, „ემერიკენ ლენჩ რუემ“ — ამერიკული სასაუზმეები, „ემერიკენ სტიიმ ლანდრი“ — ამერიკული სამრეცხაოები, სადაც მრავალი ათასი ჩინელი რეცხავს ამერიკელი ბურჟუაზიის არც ისე სუფთა საცველებს. ჰო, რაც უმთავრესია, მე დამავიწყდა უმთავრესი, ამერიკული იმპერიალიზმი, რომელიც საფრთხეს უქადის არა მართო ევროპას, მთელი მსოფლიოს ხალხებს. ეს უსტილო, უწარსულო ქვეყანა, ენაღრეული ბაბილონი, რომელიც თავის მრავალსართულიან ქორედებზე წამოყუნცული ამაყად გადმოიქცერის ყველას, ვისაც ვოლ სტრიტი და ბრუკლინის ზიდი არ უნახავს“.

„თქვენ ეს მოთხარით, ოპიუმს თუ წვეთს იმ ქვეყნებში? — იკითხა თამადამ.“

„ჩინეთსა და ინდოეთში ბალდებიც ითრობიან ამ შხამით, — მიუგო კორინთელმა.“

„როგორი გემო აქვს მაგ ოხერს? ღვიწო ველარ მათრობს, ერთი ოპიუმიც უნდა ვცადო. ჰა, ჰა...“ — იხუმრა ძია ნიკომ.

„ოპიუმს დაძველებული თაფლის სუნი უდის, არა, ცეცხლმოდებული ქარვა რომ გამოსცემს, სწორედ ისეთი. როცა მე და ზურაბი სინგაპურიდან ბორნეოში მივდიოდით, ათასზე მეტი ჩინელი, მალაელი, ზოგი დაცუცქული, ზოგი წამოწოლილი წევდა გემბანზე ოპიუმს, ოპიუმის ლამპები ზრიოლავდა, ნირვანაში გადასულ თვალეებს საწყალობლად აფაულელებდნენ მივარალები.“

„ინდოეთისა და მექსიკის ხალხებზე“

ექსპლუატაცია ხდება რეზინის მოსაპო-  
ვებელ სამუშაოებზე, — დასძინა არადე-  
ლმა, — ეს „გუმის“, ან პარაგუმის მცე-  
ნარეები იზრდებიან ცვილონში, მალა-  
კასა და პოლანდიის ინდოეთში, თუმცა  
პარაგუმის სამშობლო სამხრეთ — ამე-  
რიკაა, ამაზონის ტყეები.

თვალწარმოცა და განცვიფრების  
მომგვრელი პარაგუმის ტყერები, თითო-  
ეული ხე ასობოცდაათი მეტრის სიმა-  
ღლეთ. თუ ვინმეს გინახავთ თბილისში,  
კათოლიკურ ეკლესიაში, ორგელი და  
მისი გრძელი სალამურები, ასეთი გიგან-  
ტური სალამურების დარად შებჯენიან  
პარაგუმის ხეები ცას.

ცნობილია, ევროპისა და ამერიკის  
მთელი საავტომობილო ინდუსტრია პა-  
რაგუმის წარმოებას ემყარება. მილიონი  
ადამიანი ოფლსა ღვრის პარაგუმის პმ  
გაუვალ ტყეებში, რათა ლონდონისტი,  
ბერლინისა და ვაშინგტონის ბურჟუებმა  
მანქანებით ისეირნონ ასფალტიან გზე-  
ბზე. ინგლისის ზეგაველენის სფეროში,  
მალაკის ნახევარკუნძულზე საგან-  
გებოდ შექმნილია „The Fedareted  
stats of Malay“ — ამ ფედერაციაში  
შემავალ ყოველ სასულტანოს თითო  
ინგლისელი „ედვინიზერ“ — მრჩეველი  
ჰყავს მიჩენილი, ხოლო სულტანებს  
მხოლოდ თავიანთი ცოლების ამბავი  
ეკითხებათ“.

„კათ რამეებს კი ურჩევენ, ალბათ,  
ინგლისელები მაგ გამოშტერებულებს,  
ჰა7“ — სიტყვა ჩაურთო მასწავლებელმა  
ჩხეტანმა.

„პარაგუმის ამ უზარმაზარ ხეებს და-  
სერავენ, მერმე მიაყენებენ ტანმორჩილი  
ჩინელებისა და მალაელების მთელ ლა-  
შქარს და ძროხებმსაგით წველიან მათ.  
ხელში პატარა კასრები აქეთ, გაავსებენ  
რძისებური თეთრი სითხით და ეზიდე-  
ბიან პრიმიტიულ ქარხნებში. აქ განსა-  
ზღვრული ტექნიკური პროცესების შემ-  
დეგ ეს რძე იქცევა ზეწრისებრ, პრტყელ  
პროდუქციად, და გემებზე გადაზიდა-  
ვენ მას.

ასეთივე მძიმე შრომით ვრეტენ მალა-  
ელები ორივე ხელით ჩაის, მუსკატსა  
და პილპილს, რათა ევროპისა და ამე-  
რიკის ფეშენებლური რესტორნები რი-  
გიანად მოამარაგონ“.

„მე ვხედავ, შენ და ვახტანგი გაუბო-  
ლშევიკებხართ ამ მოგზაურობას,“ —  
გესლიანად შენიშნა კნინა ვარამ.

„თქვენ ვერ გვამჩნევდით როგორც  
თქვენთვის უმნიშვნელო ადამიანებს,  
ალბათ, თორემ მე და ვახტანგი მანამ-  
დისაც ასეთნი ვიყავით, რადგან ორი-  
ვენი მშრომელი დედ-მამის ნაშიერები  
ვართ, თავათაც მშრომელნი. აბა რად  
უნდა ვიყვეთ ბურჟუებისა და კაპიტა-  
ლისტების ლაქიები, ჰა?“ — მიუგო არა-  
დელმა.

„ნუთუ ევროპისა და ამერიკაში სხვა  
ევრაფერი ისწავლეთ?“

„რაც გვჭიროდა ყველაფერი ვისწავ-  
ლეთ, და შევითვისეთ, რა თქმა უნდა,  
რაც კარგია მათ მეცნიერებაში, მაგრამ  
კაციჰამიობა და რასობრივი თეორია  
ჭკუაში არ დავვიჯდა აბა მოიგონე,  
ზურაბ, რა ენახეთ ჩვენ სტუდენტობის  
დროს პარიზში, ძალღების სასაფლაო-  
ზე, ჰა“ — თქვა კორინთელმა.

არადელი იცინოდა და სდუმდა.

„ეს რა მითხარი, ვეყო, ძალღების სასა-  
ფლაოც ჰქონიათ მაგ ოჯახქორებს? ბი-  
ჭო, ლევანა, ახალი ხელადები მომავლე-  
ლე, თორემ ლამისაა გადაზრიონ ამ ახა-  
ლმა ამბებმა,“ — ხორხოცობდა თამადა.

როცა სველი ხელადები შემოიტანა  
ლევანამ, თამადამ ზეასწია თასი.

„კიდევ ერთი დაეცალოთ და ორი გა-  
ხდება, ბიჭებო. ახლა მოვმარდით, ზუ-  
რაბ, თავი ნუ მოგიკვდება, ნუ დაიზარებ,  
ბარემ იმ ძალღების სასაფლაოს ამბავიც  
გვითხარი, მართალს ამბობთ, თუ ხუმ-  
რობთ, ყველაფერს გაფიცებთ.“?

ხან ზურაბს ეღრვიებოდა ძია ნიკო,  
ხან ვახტანგს.

ცისთვალა მიუახლოვდა და რაღაცა  
უჩურჩულა ძია ნიკოს.



ნიკო ზეწამოიქრა და აჩქარებული ნაბიჯით დერეფანში გავიდა. მცირე ხნის შემდეგ სუფრის გარშემო მსხდართ ასეთი დიალოგი მოესმა:

„შემობრძანდით ერთ წუთს, გემუღარებით“.

„არა მცალია, ჩემო ნიკო, ამკვირია ცხვარს ვაგზავნით ქაჩალგორაზე, ორი-ოღე თოხლი მოგვიყვდა, მეშინია, ციმბირის ჭირი არ იყოს, ჩვენი ზოტტენი-გოსი ავადაა, როგორმე ყვარელს ჩამო-დით ზეგ.“

„ბატონი ბრძანდებით, მაგრამ ასე ვერ გავიშვებთ.“

„სტუმრებთან გამოსაჩენად არა ვარ მორთული. მინდვრიდან მოვდივარ პირ-დაპირ, ასეთი ტალახიანი ჩექმებით რო-გორ შემოვიდე?“

„არავინაა, ვახტანგ კორინთელისა და ზურაბ არადელის გარდა.“

რაიკომის მდივნის, ცინისთავის შემო-სვლაზე ყველანი წამოდგნენ, მხოლოდ ერთადერთი დეიდა ვარა იჯდა გაკერ-ბებული, მან მხოლოდ წარბების ზე-წევით უბასუხა ახალმოსულის თავაზიან საერთო სალამს.

ცინისთავის ფრენი და შარვალი ბირ-კაში იყო ამოგანგლული, მოქანცულობა დასტყობოდა ჯერაც ახალგაზრდა სა-ხეზე.

როცა ეს ახალი სტუმარი სუფრას მიუჯდა, დეიდა ვარამ უჩურჩულა მის გვერდით მჯდარ უსახელო თავკოპალას:

„ამ გასაქრობმა ჩამოართვა ჩვენი დი-დი ზვარი ჩემს ქმარს. ნანე, ტყის კაცია ნამდვილი, ასეთი ტალახიანი ჩექმებით საზოგადოებაში გამოჩენა? აჰ, მონ დიოო, დიოო!“

უსახელო კარგად იცნობდა თავის აყვია მეზობელს, შეეშინდა კიდეც, სხვა რამე არ წამოროშოსო. ცოტა ხნის შემ-დეგ ადგა და მხარმარცხნიდან მოუჯდა სუსქია მინდელს.

თამადამ სუფრის გამზიარულება სცა-და, მაგრამ ეს უშედეგო დარჩა, ცი-ნისთავის მოსვლამ მორიდების ატმოს-

ფერო დაამყარა სუფრაზე. ეს თავითაც შენიშნა ახალმოსულმა და თანადამს-წრეთა გასაგონად ჩაილაპარაკებინა:

„როგორც ვატყობ, ჩემს შარვალს ბრ-ესიამოვნათ ამხანაგებს.“

„რასა ბრძანებთ, რასა ბრძანებთ,“ — მიამახეს მას ყოველი მხრიდან.

კორინთელი გვერდით მიუჯდა საპა-ტიო სტუმარს, თავათ თავაზობდა მას კერძებს, ემუღარებოდა, ზელადა გამოე-ცალა, თუ თეთრი არ მოგწონთ, წითელს მოგართმევენ, ახლავე. აღარ იცოდა, რი-თი გავრთო იგი. ბოლოს ემპედოკლეს კრატერში ჩახტომისა და ძია ნიკოს ქე-ვრში ჩავარდნის ამბავს წაატანა ტელი.

ისევე შეუძახა თავის მეინახეებს თამა-დამ, შემდგომ ამისა არადელს მიუბრუ-ნდა:

„არამც და არამც არ მოგეშვები, ზუ-რაბ, ჯერ შენი ზელადა დასცალე და მერმე ძაღლების სასაფლაოს ამბები უნდა გვიამბო.“

ცინისთავი გაოცებული ილიძებოდა, თავითაც დაინტერესდა, ვის გაუმარ-თავსო ძაღლების სასაფლაო?

არადელი ცოტა ხანს გაოჩნდა და ბო-ლოს ასე დაიწყო:

„ეს ამბავი პარიზში მოხდა, სწორედ ჩვენი სტუდენტობის ხანაში, როცა მე და ვახტანგი ხანგამოშვებით ვშიშმი-ლობდით ზოლმე. ერთხელ მთლად უნუგეშო მდგომარეობაში ჩავვარდით, ჩვენი პანსიონის დიასახლისს განუტყა-დეთ: ამკვირია სხვაგან ვისადილებთ, სადილებს ჩვენთვის ნუ შეუყვეთავთ-თქო.“

იმავე პანსიონში ერთი ახმახი ამერი-კელი სტუდენტი ცხოვრობდა, მას უკვე გამოეცვალა ბარე ცხრა უნივერსიტეტი და ბოლოს აქ ელოდა ჭკუის შემატებას.

ერთ დღეს გამეზუმრა ეს ამერიკელი, თქვენ და თქვენი მეგობარი ისე გამ-ხდარი მეჩვენებით, სპორტულ ინტერე-სით ზომ არ შიშობდით?

ჩვენ რიგიანად ჩაცმული ვიყავით და მას ვერც წარმოედგინა, რომ მართლაც

ვშიშვილობდით, მაგრამ ყოველივე სპორტული ინტერესის გარეშე.

მე ამ სპორტშიაც მისინჯავს ნებისყოფა, დაიქანდა ამერიკელმა. მე გავხედვ ამ მკერდგანიერ, ჩაკურატებულ მუხმუხელას და გავიფიქრე: ამ გაოხრებულს რა დაამშვეს-მეთქი. ასოც კილოს იწონიდა იგი. მაინც ომახიანად მიუგე:

„თუ გული გერჩის გავეჯიბროთ მეთქი.“

ათასი ჯურის ამერიკელი დაეხტება პარიზში, ისე როგორც სხვაგან, მთელს ევროპაში, ზოგი ხტომით ირთობს თავს, ზოგი ბოქსით, ზოგი შორს გადაფურთხებაში ვარჯიშობს, მოგებსენებათ, ამერიკელები კი ხანია ეშაღდებიან იმისათვის, რომ მთელს მსოფლიოს გადაფურთხონ თავზე, ზოგ უსაქმურსაც შიმშილობა სპორტად უქცევია.

ვახტანგი მაინცდამაინც არ მირჩევდა, მაგ ფურკამეჩივით გაზიზინებულ ამერიკელს, შენ რას გაუძლებო. ერთი დღეც საზრდო არ მოჰკლებიაო, მაგრამ სანაძლეოდ ასი ფრანკი იყო დათქმული და ამიტომაც გადავწყვიტე შევეჯიბროდი იმ ახმახ ამერიკელს.

თითქმის ორი კვირის მანძილზე ამერიკელი პირალმა გაშოთილი იწვა, პირობისამებრ ისევ როგორც მე პაპიროსისა და წყლის მეტს არაფერს იკარებდა. სისხლიანი ბიფშტეკსების შიშხინი ელანდებოდა, ნატრობდა იორკშირის ღორის შაშხს, როკოს ხორცს თეთრი სოუსით, ვენურ შნიცელს, ბერძნულ ლოკოკინებს, ბაყაყის უკანა ფეხებს კარაქში მოხრაკელს, სალატ ოლივიეს და არტიშოკს, ბურგუნდიის წითელ ღვინოს, და ამათ ჩამოთვლას მოჰყვებოდა ხოლმე მუშტის ბრაგუნით მკერდზე.

მესამე კვირა დაიწყო და ცუდად მოაქცია იგი შიმშილმა, მაღალი ტემპერატურა მისცა, თვალის უბებები ჩაუცვივდნენ, ლამაძობით წამოიწვევოდა ხოლმე საწოლიდან და მთვარეულივით ოთახიდან გაპარვას ლამობდა, მაგრამ

წელი ევლარ აეთრია, ბევრი იწვალა მაგ ბედდამწვარმა და ბოლოს გამოიგზავნა საერთო სეკუნდანტი-წიქნი სქელი დიასახლისი და მისი ფრანკი გამოატანა, დათქმული სანაძლეო. გაგიზარიათ, მე და ვახტანგმა გემო გაუსინჯეთ ამ ალაღბედზე მოგებულ ფულს. როცა ის ასი ფრანკიც გაგვითავდა, ისევე აიტუზა ჩვენს კარებთან შიმშილის ლანდი.

მოგებსენებათ, პარიზში დიდზე დიდი განსაცდელი უცდის ახალგაზრდა კაცს ყოველ გზაჯვარედინზე. ზოგს რომელიმე აფერისტი დედაკაცი გადაეკიდება და ძალათი შეართვევინებს თავს, ზოგს „უცხოელების ლეგიონის“ აგენტი აეკვიტება, აფრიკაში გაიტყუებს და იქ ან აჯანყებული რიფები მოკლავენ, ან მორიელები დაკბენენ, ზოგს „გესტაპოს“<sup>1</sup> რწმუნებული, ზოგსაც „ინტელიჯენს სერვისის“<sup>2</sup> აგენტი გადაეყრება სადმე.

ამ შპიონური ორგანიზაციების აგენტები სხვადასხვარიგად შენიღბულნი არიან, ზოგი ვითომდაც ოლივიანტია, ზოგიც „პროფესორი“, ხანაც ენების მასწავლებელი.

ზოგიც, ვითომდაც ხელოვნების მოყვარულია, ლუერში დადის, აშტერდება კლასიკოს მხატვრების სურათებს და გვერდით გავლილ უცხოელ ემწვალს ვითომდაც აზრის გასაზიარებლად გამოეცნაურება.

ამოდ გვდიეს ამ გარეწარებმა, ბოლოს შიმშილმა მიგვიყვანა სიტროენის საავტომობილო ქარხნის შავ კარებამდის, რომელსაც უთუოდ დაშვენდებოდა დანტეს ჯოჯოხეთის ბჭეებზე წარწერილი: „მუნ შემავალთა, გირჩევთ აქვე დასტოვოთ სასო“.

ერთ ამგვარ შპიონს თუ რა დღე ვაყარე ვაშინგტონში, ამას ოდესმე ჩემ

<sup>1</sup> გესტაპო — ფაშისტების ჯამუშური ორგანიზაცია.

<sup>2</sup> ინტელიჯენს სერვის — ასეთივე ორგანიზაცია დიდი ბრიტანეთისა.

მაგივრად ვახტანგი გიამბობთ, რა თქმა უნდა, თუ ძალიან შეეხვეწებით, რადგან ჩემთვის უხერხულია ამის თხრობა.

ერთი თვეც არ გასულა, მე და ვახტანგს ბოლშევიკური პროპაგანდა შეგვწამეს და გამოგვყარეს საავტომობილო ქარხნიდან.

დავყალიბებთ პარიზში, ხან ტირში ვცდიტ ბედს, ხან აფიშებს ვაერცელზეთ, მიცვალბულ ბურჟუეზების საიქიოს გადაბარგების მაუწყებელს, პანსიონიდან დაგვიტხოვეს, სადღაც მანსარდში კუთხე გვჭონდა ნაჭირავები, იქ შეგვეძლო მხოლოდ დაგვეძინა, დღისით ან ბიბლიოთეკებში ვმუშაობდით, ან პარკებში ვისვენებდით.

ბოლოს გადავწყვიტე, მომეძებნა ისევე ის მუშაუზელა ამერიკელი, ეგებ კიდევ შემეგვიბროს-მეთქი შიმშილში, ან გადასტომაში.

ის ოჯახდამწვარი შვეიცარიაში წასული აღმოჩნდა. „ნაციონალურ ბიბლიოთეკაში“ ვზივარ, წიგნის კითხვის თავი აღარა მაქვს. ვახტანგი გახარებულნი მოვარდა და მიხურჩულა, ადექ, წავიდეთ, ზურაბ, ბედი გვეწვიაო. ერთი კი გაიფიქრე: საუხუჯო რამ ზომ არ უპოვნია-მეთქი. ვეკითხები: რა ნახე, რა მოხდა?

წამოდი და ბედს გწევო. ტრამვაის ფული არც ერთს არ აღმოგვაჩნდა, რადგან ჩემი უკანასკნელი ოცი სანტიმი იმ წყველ ამერიკელის ძებნაში დამეხარჯა. დავადექით ბულვარ სენ მიშელს, მთელი ლათინური კვარტალი გავიარეთ. მივდივართ, მივდივართ, ღონე გველევა, მაგრამ სიარულმა გზა ვერ დალია.

ბოლოს მიმიყვანა ვახტანგმა ერთ-ერთ არისტოკრატიულ უბანში, ვიღებების რაიონში, იტალიური პინიებითა და ნაძვებით შემორაგვეულ ადგილას მივედით.

ირგვლივ საუცხოოდ შემკული სავარდები იყო. იგი ქრისტიანულ სასაფლაოს არა ჰგავდა, რადგან არც ეკლე-

სია იყო სადმე და არც გუვარი, არც მარმარილოს მავზოლეუმები.

საფლავები ბლომად. <sup>კეთილშენსული</sup> <sup>ქაზდფაშაშა</sup> რამ პატარ-პატარა, ბავშვის სამარხის ოდენა. სამარხები ბზითა და გაზონით იყო შემოვლებული. მარმარილოს პაწია დაფები შევნიშნე და, პოი სისულელე კაცთა მოდგომისა! ასეთ რამეებს ვკითხულობ: „დაფიწყარ ტობის“, დაბადებისა და სიკვდილის თარიღი იქვე, „ქანეტს“, „ჯეკს“, „სალამანდრას“.

ნუ იტყვიოთ, ანტიური სამყაროს უდიდეს გმირებთა ლანდებიც შეუწუხებიოთ. შემდეგსა და შემდეგ სამარხებზე ასეთი რამეები ეწერა: პექტორი, ოღისე, პრიაში, ახილი, ჰანიბალი, ცეზარი და სხვა.

მე ისტერიული სიცილი ამიტყდა, ვახტანგიც იგულებოდა, გამაფრთხილა. მასაც ასეთი ხარხარი აუტეხია პირველად აქ მოსულს, დაციწვისათვის გამოუპანდურებიათ, როგორც ჩანს, ამ „პატიეცემული“ ძაღლების სასაფლაოდან.

კორინთელი ყმაწვილივით გაწითლდა. ძია ნიკომ ხორხოცი მორთო, ციხისთავმაც ბევრი იცინა.

„შენ გაიხარე, ბიძია ზურაბ, განაგრძე, თუ გიყვარდე, ზურაბ,“ — შევედრა თამადა არადელს.

„ეგ კიდევ არაფერი. სამარხების თავით დადგმულ მწვანე სკამებზე წყვილ-წყვილად ისხდნენ შავფრაკიანი მოხუცები, ყორნისფერი ცილინდრებში ეხურათ თავზე, ზოლო მათ გვერდით შავადმოსილი დედაკაცები, ზოგი მათგანი ლაწვის თავებიდან იწმენდდა ცრემლებს.“

ეს ამბავი რომელიმე მწერლის გამოთვანილი არ გეგონოთ, ან საღაღობო ანგდოტი, ნამდვილს მოგახსენებთ, მართლაც მისტიროდნენ ისინი „ტრაგიკულად დაღუპულ“ საყვარელი ძაღლების ბედს.

„ეგ არ არის მინც უმთავრესი, მი-  
ჩურჩულა ვახტანგმა და იდაყვი მომი-  
ცაცუნა, შენ ის პატარ-პატარა ხელ-  
ჩემოდნები ნახე, ძაღლების ჭირისუფ-  
ლებს რომ უდგათ გვერდით, ოღონდ შე-  
ნებურად ხარხარი არ დაიწყო, იცოდე-  
ჩვენც ვითომდაც მოწყენილნი ჩამო-  
ვვექით ერთ მწვანე სკამზე, რათა ყვე-  
ლას აგრე ჰგონებოდა, რომ ჩვენც ძა-  
ღლების სატირალში ვიყავით მოსულნი.

როცა ძაღლების ჭირისუფლებმა ხელ-  
ჩემოდნები გახსნეს, ამოალაგეს საკუ-  
რთხი, რა გინდა სულს და გულს.

წითელი, ხასხასა — ნიდერლანდური  
შაშხი, ნაირნაირი ყველი შვეიცარული,  
პოლანდური, ლიმბურგული კარაქითა  
და ბატის ქონით, ზიზილალითა და თე-  
ვზულოთ შეზავებული, ბუტერბრო-  
ტები, ტორტები, ნამცხვარები, შოკო-  
ლადები და კამფეტები.

უნდა გამოგიტყდეთ, კბილები აგვი-  
კაწკაწდა ხანგრძლივად ნაშიმშილეუთ  
ამ ლუკულისებური საუზმების შორი-  
დან ჭერეტისაგან.“

ამ ამბის მოხრობელი ზურაბი დადუ-  
მდა.

„მერმე რა ჰქენით, ვეფო?“ — იყვირა  
ძია ნიკომ.

„ახლა ყველაფერი უნდა გეოქმე-  
ვინოთ, ძია ნიკო?“ — თქვა ვახტანგმა,  
თავათაც იცინა ჯერ და შემდეგ დასძინა.

„რა ვქენით და მოვუცადეთ ძაღლების  
ჭირისუფლების წასელას, ჯერ იქვე  
დავსხედით, იმავე მწვანე სკამზე და  
ვარხალალო ვიძახეთ, ბოლოს დავტყვიეთ  
ხელი დანარჩენ საკურთხს და ბარე სამ  
დღეს ვკამდით გამოზომილად.“

ზურაბ არადელმა მხოლოდ მზერა  
გაუსწორა კენინა ვარას და თქვა:

„აი ამიტომ შეგვძაგდა ბურჯუაზია,  
ამიტომაც გავხდით ბოლშევიკები. ვინ  
იცის, იმ საღამოს იმავე პარიზში რამ-  
დენი ათასი მოხუცი და ბავშვი შიმში-  
ლისაგან სულს დაფავდა აურაცხელ  
სამადლოებსა და ინვალიდების სახ-  
ლებში“.

დარბაზში ატყდა ჰომერისეული ხარ-  
ხარი, ესე იგი ისეთი, როგორც სჩვე-  
ოდა ხოლმე ოლიმპელებს. სიცილისა-  
გან მოგვრილ ცრემლებს იწმენდა ძია  
ნიკო, თანაც ლულულულებდა:

„თქვენ გაიხარეთ, ყმაწვილებო, ამ-  
დენი რომ მაცინეთ, გაიხარეთ გაიხა-  
რეთ,“ — შესძახა თავის მენახეებს  
თამადამ და დაცლილი ხელადა ზეასწია.

რა ბედი ეწვია იაკონელ ჯინტლმენს

„ჰა, ჰა, ჰა!“ — ხარხარებდა ნიკო  
მირიანაშვილი. მე არაფერი ისე არ მე-  
ნატრება ამქვეყნად, ჩემმა მზემ, ერთი  
იმ ამბავს მოვესწრებოდე: ბურჯუები  
თავიანთი ჩემოდნებიანად გარბოდნენ  
ბერლინიდან, რომიდან, ვაშინგტონიდან.

„ლონდონი და ნიუ-იორკი რად და-  
გავიწყდათ, ძია ნიკო?“ — სიტყვა ჩა-  
ურთო ციხისთავმა.

„შაქარი შენ პირს, დამავიწყდა მე  
საწყალობელს, ლონდონიდან და ნიუ-  
იორკიდანაც. ჰა, ჰა, ჰა.“

„მოხდება, მოხდება, ყმაწვილებო,

— დასძინა ძია ნიკომ.  
თამადამ ბრძანა და ცისტელამ თან-  
დურზე დაამღერა.

„ველარ გაუძლებს ქვეყანა ძველი  
განახლებისა გრიგალის ქროლვას“.

მღეროდა ცისტელა, აფახულებდა  
თავის მშვენიერ, ცისტეერ თვალებს,  
შაშვის ბარტყივით აღებდა თავის ჯე-  
რაც ბალღურ ტუჩპირს.

ახალგაზრდები გულით მღეროდნენ  
ამ ლექსს. კორინთელმა მზერა შეავლო  
ილია ჰავკავაძის ფოტოსურათს, რომე-  
ლიც ოციოდე წლის განმავლობაში თა-

ვის ადგილზე ეკიდა, ბუხრის მხარმარ-  
ცხნით, კედელზე.

ვახტანგმა კიდევ ერთხელ შეხედა  
ილიას ნათელ მუბლს. დიდრონი, კვი-  
ანი თვალები ისე მშვიდად ზედდას-  
ცქეროდნენ თავის მოლხენილ თანამე-  
მამულეებს, თითქოს იგი გულგანაწყენ  
არ გაგვშორებოდეს არასდროს.

„სხვათაშორის, თუ მეფერამეტე და  
მეცხრამეტე საუკუნის ფილოსოფოსე-  
ბი, მწერლები და მეცნიერები რევო-  
ლუციის მხარეზე იყვნენ მტრწილად,  
ჩვენს საუკუნეში ევროპისა და ამერი-  
კის ბურჟუაზიამ შესძლო ზოგი მათგა-  
ნის დაქრთამვა და გადაბირება“, — შე-  
ნიშნა მასწავლებელმა ჩხეტიანმა.

„ეგ არაფერია, სანამ ბურჟუაზიას  
პოლიტიკური ჰეგემონია ხელიდან არ  
გამოეცლება, იგი მუდამ გამოიყენებს  
მეცნიერების მიღწევებს. მთავარია,  
ბურჟუაზია დაეცეს, და ყველაფერი  
რიგზე იქნება, — თქვა ციხისთავმა.

არადელმა თქვა

\* „ტექნიკის უზომო განვითარებამ სიფ-  
რცეების გადალახვა გააიოლა, ხოლო  
ამ უკანასკნელმა — ხალხების“ ექსპ-  
ლუატაცია. ეს მეორე წელია, რაც ჩვენ  
შინ დაებრუნდით და ჩემი მეხსიერები-  
დან ჯერაც არ მომშლია ჩაის, ბრინჯის,  
თუთუნის, ყავისმკრეფელი მრავალი მი-  
ლიონი მალაელის, ჩინელის, მექსიკე-  
ლის მოღრეკილი ზურგები, იავას,  
მექსიკის, ჩინეთის ქალების დამშეული  
სახეები, თუთუნის წვევისაგან ჩაფერფ-  
ლილი თვალები...

რასიული თეორია სწორედ იმისა-  
თვის გამოიგონეს პიტლერმა და მუსო-  
ლინიმ, ამერიკულ მონროპეს დოქტრი-  
ნაც იმისათვისაა რელიგიად გამოცხა-  
დებული, რათა როგორმე დასაბუთონ  
გერმანელების, იტალიელების, ინგლი-  
სელებისა და ამერიკელების უპირატე-  
სობა დანარჩენი ხალხების წინაშე.

ტოკიოს ერთ-ერთ იაპონურ „ჩაის  
სახლში“ შემთხვევით გამოგველაპარაკა  
მე და ვახტანგს ერთი ინგლისელი მეც-

ნიერი, სპეციალობით ციტრუსოვანთა  
მკვლევარი, საუბარში მან კესეფი... რამ  
გვითხრა:

„თერთები, მათ შორის მაღალი რასის  
ნაშიერები, ვერასოდეს გულს ვერ დაუ-  
დებენ იმ პრიმიტულად მექანიკურ საქ-  
მიანობას, რომელიც ადამიანის მანქა-  
ნად ქცევას მოითხოვს. სამაგიეროდ,  
ჩვენი რთული მანქანების მომსახურე-  
ბას ვერასოდეს შესძლებენ მალაელები,  
მონგოლები და ჩინელები.

ჩინელი ყული, რომელიც ჩინეთის  
მოსახლეობის ოთხმოდეათ პროცენტს  
წარმოადგენს, ჩვენს მანქანებს თავს  
ვერ გაართმევს, აურაცხელი ჩინელი  
მუშაობს პარიზსა და ლონდონსა,  
ვაშინგტონსა და ნიუ-იორკში ევრეთ-  
წოდებული „სტოიმ ლანდრის“ მრეცხა-  
ვებად.

ჩინელი ყული აქლემივით ამტანია,  
მას ერთი მუჭა ბრინჯიც ეყოფა საკ-  
ვებად, იგი ქიანჭველასავით გამრჯელია,  
უდაბნოს მცენარე საქსაულივით ღრმად  
გაღმული აქვს თავის ნიადაგში ფეს-  
ვები.

ღმერთმა გვაშოროს, რომ ყულიმ  
ამერიკისა და ევროპის ქარხნებში ფეხი  
მოიდგას, მაშინ ბოლშევიკები მათაც  
გაუწევენ აგიტაციას და ოხრად  
დაგვრჩება ლონდონ-სიტი და კეირინა-  
ლი.<sup>1</sup> ვილჰელმშტრასე<sup>2</sup> და პენტა-  
გონი<sup>3</sup>. როცა ამ პროფესორმა ჩვენი  
ეროვნება გამოიკითხა, ხმადაბლა გვი-  
თხრა:

„იცით თუ არა, სერ, ამას წინათ მე  
ინგლისის პლანტაციებს ვათვალისწინებ-  
დი მაუნტ-აუსტენში, ეს პლანტაციები  
ეკუთვნის „აღმოსავლეთ-აზიის“ ინგ-  
ლისურ უდიდეს კომპანიას. იმ პლან-

<sup>1</sup> კეირინალი — იტალიის მეფის მთავრობის  
რეზიდენცია რომში.

<sup>2</sup> ვილჰელმშტრასე ერქვა იმ ქუჩას, სადაც  
გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო იყო-  
ფებოდა.

<sup>3</sup> პენტაგონი — ა. შ. შ. საგარ. საქმეთა სა-  
მინისტრო.

ტაციების მმართველმა მიიხრა, მა-  
ლაელ მუშებს სტალინის სურათები  
უკიდრათ თურმე თავიანთ ქობებში,  
სერ“.

„ჰა, ჰა, ჰა, ეს კარგია, შიში რომ ჰქო-  
ნიათ მაგ პირდაღლებს ნაჰამი,“ — როხ-  
როხობდა თამადა.

„კომუნისმის ლანდი ძლიერ რომ  
აწვალებს ევროპისა და ამერიკის კაპო-  
ტალისტებს, ამაში ჩვენ თვალნათლივ  
დავრწმუნდით ამ მოგზაურობის დროს,  
— თქვა კორინთელმა, — ვაშინგტონში  
ჩვენ ერთი კურიოზული შემთხვევის  
მოწმენი გავხდით.

უშუშვეართა დემონსტრაცია ერთ  
კათოლიკურ ეკლესიას მიადგა წირვის  
დროს. მუშები შიგ შევარდნენ და აურ-  
ხაური ასტეხეს. მღვდელმა წირვა მია-  
ტოვა, ჯერ იყო და მაგრად შეუტია  
დემონსტრაციის მეთაურებს, ხელში  
რაღაც ეპირა, ვგონებ კრუციფიქსი —  
ბოლოს, როცა დაუცაცხანეს, რო-  
გორც დედლების წინაშე თავმომწო-  
ნელ გაფხორილი მამალი ფრთებს ჩამო-  
ჰყრის და მოკურცხლავს, როცა მას  
ქორი ან ტურა გამოუდგება ხოლმე,  
ისე მოკოცხა ხუცესმა, ქარში მიფრია-  
ლებდნენ მისი მოსასხამის შავი კალ-  
თები. ბოლოს პოლიციას დაურეკა მღვ-  
დელმა: მაგრამ დემონსტრანტებისაგან  
დაშინებული მლოცველები გაიქცნენ  
და წირვა ჩაეფუშა ხუცესს.

მე და ზურაბი ვიდექით და მეფისტო-  
ფელივით ვხარხარებდით.

როგორც მონროჰეს დოქტრინა —  
ამერიკელებს, ისე რასიული თეორია —  
გადარეულ ჰიტლერსა და მის მაჩან-  
ჩალას მუსოლინის იმისთვის დასჭირდათ,  
რომ თავიანთი ხალხების უპირატესობა  
დაესაბუთებინათ, რათა ამ გზით ხელი-  
დან არ გასცლოდათ, აფრიკის და აზიის  
ხალხების წინაშე უპირატესობა, რო-

მელსაც მანქანის, ტექნიკის მეშვეობით  
მიადრეის მათ.

ევროპელ ბურჟუებს მსურდა მხარზე  
აყერიათ საფრთხე, რომელსაც ჩინეთი-  
დან მოვლიან ისინი. არსებითად, თუ  
საიდანმე მოსალოდნელია საფრთხე  
მთელი ცივილიზაციისათვის, ეს არის  
იაპონიის იმპერია, ყველაზე უფრო რე-  
აქციული სახელმწიფო მთელს მსოფ-  
ლიოში.

უძველეს დროში „ნიტონ“ ანუ „ნი-  
პონ“ ერქვა იაპონიას, ფრანგები „ეა-  
პონს“ ეტყვიან, ინგლისელები „ჯე-  
პონს“.

მე მგონია, ქართული „ჯაბანი“ აქე-  
დანაა წამოსული. შეუძლებელი არაა,  
თამარის შვილიშვილს ულუ-დავითის  
ყარაყორუმში ყოფნისას ქართველები  
ნახავდნენ იაპონელებს ალბათ და ბო-  
ლოს ეს „ჯაბანი“ ტანმორჩილ, ჩია  
კაცს შეერქვა.

იაპონიის სახელმწიფო, ისტორია, ენა  
და ხელოვნება ჩინურის ზეგავლენითაა  
წარმოშობილი.

იმევე მიზეზით, რის გამოც პლაგია-  
ტორს შესაძლებელია ხოლმე ის ავტორი,  
რომელსაც იგი წარამარა ჰპარავს, ან  
უხვირო და უმადურ მოწაფეს — თა-  
ვისი მასწავლებელი, იაპონელებს  
სძულთ ჩინელები.

იაპონიის არისტოკრატია — სამურა-  
ები ჩვენს დროშიაც გაცილებით უფ-  
რო რეაქციული ელემენტებისაგან შედ-  
გება, ვიდრე ჯგაროსნული დროის ევ-  
როპელი ბარონები.

იაპონური ცივილიზაცია სრული კონ-  
ტრასტია იმ დიდი ცივილიზაციისა, რო-  
მელსაც, პირობითად რომა ვთქვათ,  
ქრისტიანული ეწოდება, მას არც რამე  
აქვს ამ უკანასკნელთან საერთო.

მარტო ეს ფაქტი გასინჯეთ, იაპონე-  
ლი ცხენზე მარცხნიდან ჯდება, მისა-

ლმებისას ქუდის ნაცვლად ფეხსაცმელს იხდის, ან პირქვე დაემხოზა მიწაზე, ერთი ხმლის ნაცვლად ორს ატარებს.

ისევე როგორც ამერიკელი ცივილიზაცია მონური მიბაძევა ევროპულისა, იაპონიაც ხშირად აღმოჩნდება ხოლმე ევროპის მიმართ მაიმუნურ როლში.

პირდაპირ სასაცილოა იაპონელი სამურაი, როცა იგი ინგლისურ ყალიონს პირში გაიტკობს, ჯენტლმენურ კოსტუმს გადაიცვამს. მის შემეცნებაში ყოველივე დამხალივითაა არეული — ამერიკული სნობიზმი, ინდური ბუდდიზმი და ევროპული მაკიაველიზმი.

როცა იაპონიაში ინგლისელებმა პირველად ფოტოგრაფია შემოიღეს, ფოტოგრაფები, ლამის იყო, შიმშილით არ ამოწყდნენ, რადგან თვით „განათლებული“ სამურაებიც ვერ დაარწმუნეს, რომ ფოტოაპარატი არავითარ გრძნეულებას არ შეიცავს.

ზოგ იაპონელს დღესაც სჯერა, რომ ამა თუ იმ პიროვნების ფოტოსურათი ბოლოსდაბოლოს არყოფნაში გადაიტყუებს მის პატრონს, და მას ლანდად აქცევსო.

როგორც ყოველ ჩამორჩენილ ქვეყანაში, იაპონიაშიაც სრულიად უფლებააყრილია ქალი. როცა ქალი ეყოლება რომელიმე სამურაის, სამ დღესა და სამ ღამეს მიწაზე აწვენენ ახლადშობილს. ამას იმით ასაბუთებენ, უნდა დაამახსოვრდეს ქალს, რომ იგი მიწისაა, ხოლო მამაკაცი ცისაო.

იაპონურ ოჯახურ კოდექსში: „ღიადი წურთვნა დიაცისა“ ერთი მუხლია ამგვარი: ქალს აწვალბსო ხუთი სხვადასხვა გვარი სენი: უეციკობა, უკმაყოფილება, ცილისმწამებლობა, კორიკანობა და სისულელე“.

როცა ამას ამბობდა ვახტანგ კორინთელი, მამაკაცები იცინოდნენ, ეღიმიებოდნენ ქალებსაც, მხოლოდ დეიდა ვარა გაწიწმბატდა და აყვირდა:

„ძალიან მიუქარავეთ მაგ ყვითელ მაიმუნებს“.

თამადამ ხმადაბალი რემლიკა შეაწია ამ შეძახილს:

„ბიძია ვარა ისე გვეყვება, ვინაღმუნებ, ქურდს ქუდი ეწვის.“

ამ რემლიკამ მამაკაცების ხარხარი გამოიწვია, კენინამ ვერ გაიგონა ეს, მაგრამ მაინც გაწითლდა.

თამადამ მორიგი სადღეგრძელო შესვა და, როცა ესეც დაილია, ისევე დაეღრჩეჯა კორინთელს ასეთი პიკანტური ამბები მოეთხრო კიდევ.

„იაპონელი თავის ფრჩხილს არასოდეს შეაგდებს ცეცხლში, რადგან მას ჯერა, რომ შეურაცხყოფილი ცეცხლი ბოლოსდაბოლოს გაბრაზდება, ან ფრჩხილის პატრონს დასწვავს, ან მის სახლ-კარს, განაგრძო კორინთელმა.

ზოგიერთი იაპონელი მინისტრი დღესაც დარწმუნებულია, რომ ვინც მათ — იმპერატორს — მიკადოს მწერას გაუსწორებს, უეჭველად დაბრმავდება, ამიტომაც მიღების დროს ბამბუკის ქილობს აიფარებენ ხოლმე თვალებზე ნახევწარნი. რათა „ურჩხულის სახიან“ მიკადოს შემოხედვამ არ დააბრმავოს ისინი.

იაპონელებს დღესაც მინიშნებული აქვთ სიკეთისა და სიავის დრეები, ამ უკანასკნელს „ტომი ბიკის“ უწოდებენ. სიავის დრეებში შეცდომით თუ ვინმე დამარხეს, მიცვალებულის მახლობლები სულ მალე უკან გაჰყვებიან თავიანთ მკვდარს სულეთში“.

„კაი ივნება, ასეთი ტომიბიკია თუ რაღაც ეშმაკი მალე ჩამოუვლიდეს პიტლერსა და მუსოლინს, ჩერჩილსა და მიკადოს“, — გაიხუმრა ძია ნიკომ.

„მარტო ირიკშას“ — ცხენის მაგიერად ეტლში გაბმული ადამიანების არსებობა რადა ღირს, — თქვა არადელმა. — ეს ამოწმებს მათ გონებრივ სიბნელესა და ჩამორჩენილობას. ტოკიოში 50000 კაცია ამეამად ირიკშაში გაბმული.

იაპონური პოეზიაც უმთავრესად რეაქციულია და უღარესად პესიმის-

ტური. ერთი ლექსის შინაარსი ჩამრჩა ხსოვნაში:

„თუმცა ყვავილები შემოდგომის ფერებით მდიდრულად შემეკლნი კედლებიან, ვის შეუძლია სამუდამოდ დარჩეს ამ ქვეყნად?.

დღეს მე გადავლახე ხილული ქვეყნის სამანს და ვაი მე, აწ რომ ვეღარ ვნახე ტყბილ სიზმრებს და ვერც ოდესმე ველირსები ოპიუმით დათრობას“.

ევროპელებისათვის გაუგებარია იაპონური ჩაის ცერემონიები. იაპონელების აზრით, ჩაი „ეშმაკეულს მიერეკება კაცის სტომაქიდან და ხუთ ნაწლავს აწესრიგებს“. ძველად იაპონელი სამურაები ვეფხის ტყავეებს წამოისხამდნენ, წამოწებოდნენ და ისე სვამდნენ ჩაის. დარბაზის კედლებზე ოქროს ხმლებსა და მოოქროვილ ჯავშანს დაჰკიდებდნენ, ნელ სურნელებს დააფრქვევინებდნენ წინასწარ.

უცნაურია მათი ანდაზებიც. ერთ მათგანს გეტყვი: „ღიაცს არასოდეს მიენდო, თუნდაც შეიდი შეილიც ეყოლოს შენგან“.

ერთიც მივინიშნე, რადგან ოდნავ წააგავს რუსთაველის აფორიზმს: „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“. ეს იაპონური ანდაზა ასეთია: „რაიმეს დაკარგვა პოვნას სჯობია“.

„შორს ჩვენგან ჩაის ცერემონიები, ღვინის ცერემონიებს გაუმარჯოს, ხელადები მოგაშველე, ცისთვალა,“ — დაიძახა თამადაძე.

როცა ხელადები კვლავ დასცალეს, ისევ ძია ნიკომ იკითხა:

„მაინც რა ჯურის ხალხია ეს იაპონელები, შენ ეს მითხარი, ვახტანგ?“

„ევროპელმა რასოლოგებმა ბევრჯერ ამტკრიეს შუბები. მაგრამ ეს ამბავი ისევ გაურკვეველია, ისევე როგორც სხვა რასების რაობაც. ერთმა გერმანელმა მკვლევარმა ისრაელების რომელიღაც მუხლიდან გამოიყვანა ისინი. ინგლისელები მონღოლებად თვლიან მათ.“

იაპონიაში ორ გვარი ტიპია უმთავრესად: ერთი შედარებით უბრალოთაიანი და ბრტყელსახმანი. ჩინელებს „პულდინგ ფეისედს“ ეძახიან ინგლისელები, ხოლო მეორე სქელყბიანი, ძვალსხვილა, გრძელხელებიანი, — აქეთნი სამურაებს შორის მოიპოვება მრავლად, ისინი ძლიერ წააგავან საკმაოდ ტანაყრილსა და გრძელმკლავება გორილას“.

ვახტანგ კორინთელი დადუმდა, ციხისთავისკენ მოიდრიკა თავი. ორივენი ხმადაბლა საუბრობდნენ ბერძენის ამბების გარშემო. ციხისთავმა ახარა კორინთელს: თბილისიდან მაცნობეს ცეკაში მოსწონებიათ ჩვენი საერთო აზრი, და ფონდებს დაუშვებენ ბერძენაში პატარა პესის ასაგებად.

ვახტანგი ვახარებული იყო ამ ამბით, დაუყოვნებლივ შევეუდგეთ ამ საქმეს. თამადა ჩაერია მათ საუბარში:

„გეყოფათ სულ ბერძენაზე თათბირი, მოდი, ცოტა მოვილხინოთ, ვისიამოვნოთ, მამა ნუ წაგიწყდებათ“.

ციხისთავმა ღიმილითვე უპასუხა თამადას. ბოლოს ისევ ჩააცვიდა ძია ნიკო ვახტანგს. გინდა თუ არა, უნდა გვიამბო, რა დღე აყარათ იაპონელ შვიონს ზურაბ არადელმა.

კორინთელი ოდნავ შეყოყმანდა, მაგრამ მაინც განაგრძო:

„სწორედ ასეთი გორილასებრი იაპონელი აგვეკვიატა მე და ზურაბს ჯერ კიდევ იაპიაში. იგი პირველად გემის რესტორანში ვნახეთ ოფიციანტად. იმწამსვე ეპვი ავიღეთ, იაპონელი შვიონი უნდა ყოფილიყო.“

წესიერ იაპონელებსაც ჩვევიათ: უბოდიშოდ გამოეცნაურებიან უცნობს. სახელსა და გვარს გამოჰკითხავენ, რა გვარისა ხარო, ვისი შეილი, რამდენი წლისა, რა საქმეს ეწევი, სად მიდიხარ და მგზავრობის მიზნად რა გაქვსო, რამდენი შეილი გყავსო, რამდენი ცოლი და რამდენი გეიმა — მოცეკვავე დიაცი?



ამ იაპონელმაც იფარა ეს ჩვეულება, თავი მოგვაბეზრა გამოკითხვით, ბოლოს ისიც გვკითხვა: ბოლშევიკები ხომ არა ხართ?

ჩვენ ასე ვივარაუდეთ: რადგან ჩვენმა საელჩომ კალკუტაშივე ვიზა მოაცემინა იაპონიის კალკუტელ საელჩოს, რათა ჩვენთვის ტოკიოში ჩასვლის ნება მიეცათ, იაპონიის დაზვერვამ გეში აიღო და იაეაში მოგვქებნა მათმა მსტოვარმა.

სინგაპურში ერთ სასტუმროში ჩვენს გვერდით აიღო ამ იაპონელმა ნომერი, ინგლისელ დენდისებრ კოსტუმით შორთულმა.

მეორე დღეს ჩვენ ვიდექით ერთი ინგლისური ტაძრის ეზოში, ამ ტაძარმა იმიტომ მიიქცია ჩვენი ყურადღება, რომ იგი გოტური სტილითაა აგებული.

იაპონელი გამოგვეცნაურა და კათოლიკური რელიგიისა და ლოდიკის შესახებ გამოგველაპარაკა.

ზურაბმა მითხრა: ეს გორილა თუ არ მოგვეშვა, ერთი წამოვაქცევ ქართული სარმით მაგ ღორისშვილს და ისე გავჯეგავ, როგორც ჩვენებური დედაკაცი გასთელავს ხოლმე სანაალე მატყლს. ზურაბი ახალგაზრდაა და მით უმეტეს იმ წელს ჯერაც გამონელებული არა ჰქონდა სტუდენტური ანგლობა.

მე დავაშოშმინე ზურაბი, აწი არ იზამს-მეთქი:

მოვერიდე აურზაურსა და სკანდალს სხვის ქვეყანაში. მალაკაში მოგზაურობის დროს ჩინურ ჯონკაში ამოჰყო ჩვენთან ერთად თავი.

გამოხდა ხანი, ჩვენ პეკინში ვათვალიერებდით ჩინური კედლის ერთ-ერთ ბასტიონს, სწორედ აქ მოდიან ხოლმე ნტვერში ამოთხერილ აქლემებზე ამხედრებული მექარაენენი და მათი მგზავრები.

ორკუზიანი აქლემიდან ჩამოხტა. პლანტატორის ქუდი ეხურა. დიდის ამ-

ბით მოგვესალმა და მოგვითხრო ჩინური კედლის აგების მრავალსაუკუნოანი ისტორია.

ლაპარაკობდა იგი სახსებით დახვეწილი ინგლისურით, თუმცა ოდნავ უქცევდა ამერიკული აქცენტით, იაპონელები საერთოდ ძნელად ითვისებენ ევროპულ ენებს. მისგანვე გავიგეთ, პარეარდის უნივერსიტეტში დოქტორობა მიეღო, საერთოდ უნივერსალურად განსწავლული კაცი ჩანდა, რამდენიმე უცხო ენას დაუფლებოდა არც ისე ხნეირი კაცი.

მისი მონღოლური დაწვისთავეები და პრუტა თვალები ვერსად დამალა, თორემ იგი ისე სრულყოფილად ლაპარაკობდა ფრანგულადაც, ან ფრანგი გეგონებოდათ, ან ინგლისელი.

რატომღაც დაჟინებით გვეკითხებოდა — ვაშინგტონს ხომ არ აპირებთო წასვლას. ჩვენ უარი ვუთხარი, რადგან არც ის გვეჩვენა შეუძლებლად, როგორც ეს ამ პროფესიის ადამიანებს სჩვევიათ ხანდახან, ამერიკის დაზვერვის დავალებების შემსრულებელიც ყოფილიყო იგი. შევლასაც დაგვირდა, მე ახლა ამერიკელ ქალს ვირთავ ცოლად, იქაურ გავლენიან პირებთან ვარდაკაეშირებული და ყოველნაირად დავგებმარებითო.

როგორც ზღვის ღორი, რომელიც აცვივატება ხოლმე ოკეანის გემს, ჯერ კიდევ რეიდზე მდგარს გაეთამაშება კეკლუცად, მერმე თავს ჩარგავს ისევ უფსკრულში და უკან გაჰყვება გემს, ტალღებსა და შტორმებს ამოფარებული, გამოხდება ხანი, ასიოდე მილს გაივლის გემი და ისევ თავს ამოჰყოფს მოსარკელ წყლის თავზე ზღვის ღორი, ასე მოგვდედა ეს იაპონელი ჯენტლმენი იავიდან — სინგაპურამდის, სინგაპურიდან — ჰონკონგამდის, ჰონკონგიდან — პეკინამდის, პეკინიდან — ტოკიომდის.

ზურაბს ძლივს ვაყავებდი, კბილებს აკრიჭინებდა, ცემას უპირებდა ამ აბეზარს, მაგრამ იძულებული ვიყავით ეს ყოველივე მოგვეთმინა, რადგან კარგად ვიცოდით, ამ ჯენტლმენის ღორისებრ წვრილი თვალებიდან გვიჭვრეტდა და გვითვალთვალებდა იაპონიის მუხანათი დაზვერვა, რომელიც არა ერთი ათასი კილომეტრის მანძილზე გვისინჯავდა საბჭოთა კავშირიდან ჩამოსულ ორ მშვიდობიან აგრონომს.

ტოკიოში ხომ მთავარი სული ამოგართვა, არც ციტრუსოვანთა საცვლევინსტიტუტების შემოვლა გვაცალა, არც მუზეუმების დათვალიერება. ერთ რესტორანში პურისჭამის დროს ვნახეთ, ფოქსტროტს ცეკვავდა ვიღაც ამერიკელ ქალთან. შეგვეპატივა კიდევაც — ჩემს საცოლეს გაგაცნობთ, ღვინო ესყითო ერთად, მაგრამ ჩვენ თავაზიანი მადლობით ჩამოვიცილეთ.

ეს ამბავი ვინმემ რომ დასწეროს, ფანტაზია მოჭარბებული მწერლის გამონაგონი ეგონება უთუოდ.

ცხადია, ამ საქმეში ყველაფერი იაპონური დაზვერვის მიხედვრილობას როდი მიეწერება, არამედ ზრგი რამ ბრმა შემთხვევითობასაც, რომელსაც ხელმარჯვედ იყენებენ არა მარტო რომანისტები, არამედ კონტრდაზვერვის აგენტებიც, მაგრამ, უნდა გითხრათ, ზურაბმა ჩაუფარცხა თავისი ბნელი ზრახვები ამ ჯენტლმენს.

ჩვენ დავმშვიდდით, როცა ტოკიოდან ვაშინგტონს გავემგზავრეთ. ეს იყო მხოლოდ ზურაბი ძლიერ ნაღვლობდა: რად არ ვაზიარეო თბილისურად მაგ აბეზარი.

იმ ზაფხულს ძლიერ ცხელოდა ვაშინგტონში. ზურაბმა ნესვი იყიდა გასაგრილებლად, მაგრამ, როგორც გამოირკვა, მას კარგად არა სცოდნია ნესვის არჩევა. ისეთი გადამწიფებული და

(გაგრძელება იქნება)

დონდლო იყო ის ოხერი, კანდიან გამო-ნათონმა წვენმა კოსტუმი დაუსწარა. გზადაგზა ბუზღუნებდა, არცნადაც ნესვის გამყიდველს, გადგვევალს? დაგვაჯარიმებდნენ ამისათვის. ბოლოს იმით ინუგეშა თავი — სასტუმროს ოფიცინატს მოვიმადრიელებო.

ოთხმოც საათულიან ამერიკულ ქორედში იყო მოთავსებული ჩვენი სასტუმრო, რომელშიაც, როგორც გვიან გავიგეთ, სხვადასხვა ქვეყნის დიპლომატები და შპიონები ცხოვრობდნენ, რადგან იგი პენტაგონის მახლობლად მდებარეობდა.

ორადგილიან ლიფტში ჩავსხედით და მივდივართ აღმა. სწორედ მეოცე სართულს, რა გაუუსწორდით, თვალი მოეკარით იმ იაპონელ შპიონს აბრეშუმის ლამპასებიანი სმოკინგი ეცვა თავის ამერიკელ საცოლესთან ხელგაყრილი იდგა და ქუდ მოხდილი უცდიდა ლიფტს, ცალ ხელში ქალის მარათ ეჭირა და ოფლში გაღვარულ შებლს იგრილებდა.

ზურაბმა ლიფტის ფოლაქს ხელი დააჭირა გაგრილება მოუხდებოთ ამ საწყაღს — ჩაილაპარაკა და ღია კარიდან ზედ თავში უთაქა ამ ჯენტლმენს გადამწიფებული ნესვი.

უნდა მოგახსენოთ, ეს საქმე ისეთი ვირტუოზული სისწრაფით გააკეთა ზურაბმა, გონს მოსვლაც ვერ მოასწრო მაგ უბედურმა.

ამ წუთში იგი მართლაც ჰკავდა იმ გორილას, რომელსაც ასიოდე ლაყე კვერცხი თავზე დაახალეს.

„ხომ ვერ გიცნოთ?“ — წამოიყვირა გახარებულმა ძია ნიკომ.

„კიდევაც რომ ვეცნეთ, აბა ამ მრავალმილიონიან, ენაღვრეულ ბაბილონში სადლა გვიპოვნიდა, ასე რომ შემთხვევითობის ნემესილამ<sup>1</sup> მეტჯერ აღარ გაუღიმა იაპონელ გორილას.“

<sup>1</sup> ნემესის — ძველ ბერძნული მითოლოგიით შურისმაძიებელი ღმერთი.

## მას შემდეგ, რაც მე ტიხეში ვარ...



რაც აქ ვარ, რაც მე ტიხეში ლუკმაც არ მიკამია,  
 მზემ დედამიწას ირგვლივ ათჯერ შემოუარა.  
 იმას რომ ჰკითხო, მისთვის ეს დრო — ერთი წამია,  
 მიკროსკოპული უფრო მცირე ხანი თუ არა.  
 მე კი რომ მკითხო, — დრო წასულა ნელი ტაატით  
 და გამივლია ამ ცხოვრების დიდი მანძილი:  
 ეს ათი წელი — ჩემთვის მართლაც წელია ათი —  
 ჩემი ხანმოკლე არსებობის დიდი ნაწილი.  
 რომ დამიჭირეს, იმ წელს მქონდა ერთი ფანქარი  
 და ერთ კვირაში გაცედა, ლექსის წერას შევეწირე,  
 რომ ჰკითხო, კვირა — მისთვის მთელი სიცოცხლე არი,  
 ჩემთვის კი რაა — სასაცილო დრო არის მცირე.  
 ვინმე ოსმანი დაიჭირეს იმ წელს, ჩემს გარდა  
 და მკვლელობისთვის აქ, ციხეში სასჯელს იხდიდა.  
 რომ გაუთავდა შვიდი წელი — სასჯელის ვადა  
 გათავისუფლდა და გავიდა გარეთ ციხიდან;  
 კონტრაბანდისტის დაიჭირეს ხელახლა მერე,  
 ექვსი თვით ჩასვეს (სასამართლომ ასე იწინაა),  
 ისევ გაუშვეს... დაქორწინდა და, როგორც მწერენ,  
 ამ გაზაფხულზე, თურმე, შვილიც შეეძინება.  
 დედის საშოში ათი წლის წინ რომ ჩაისახენ,  
 დღეს ის ბავშვები ნაეარდობენ მინდვრებში ლალად;  
 მშიშარა კვიციც, გრძელფეხება და მოცახცახე,  
 კარგა ხანია გადაიქცა ძლიერ ულაყად.  
 ჩემს სახლის ნაცვლად, ალბათ, უკვე ნანგრევი არი,  
 მდიდრებს სახლები აუგიათ, ასე ამბობენ,  
 მუჩებს ელფერი შეუცვლიათ და, რომ ვიარო,  
 ვეღარც ვიპოვნი ჩემიანთა ადგილ-სამყოფელს.  
 გვიჭირდა, მაგრამ მაინც ვკამდით ზოგჯერ ცხელ სადილს,  
 და პურიც გვექონდა მე რომ ჩამსვეს ციხეში, იმ დროს.  
 ახლა — საშინელ შავი პურის ერთ ლუკმისათვის  
 ხალხი ერთმანეთს მოსაკლავად აღარც კი ინდობს.  
 აქ ვიყავ, როცა ატყდა ომი ჯერ უნახავი,  
 მთელი ის ხანა გულში დამრჩა გაწყვეტილ სიმაღ.  
 მაგრამ არ იყო გადამწვარი ცეცხლით დახაუ  
 და ატომურ ბომბს არც იცნობდა ჯერ ხიროსიმა.  
 დრო კი წავიდა ყელგამოჭრილ ბავშვის სისხლივით...



გათავდა ომი, გაიხარეს ქვეყნად ერებმა.  
 არ უნდა ჩაქრეს ბედნიერი მომავლის სხივი,  
 უნდა დამკვიდრდეს მშვიდობა და ბედნიერება!  
 არ შეშრობია დედამიწის მკერდს სისხლი ჯერაც  
 ეს ქვეყნები რომ ომის ცეცხლით დასწვეს, დადაგეს,  
 და ამერიკულ სისხლიანი დოლარის ქლერა  
 ახალ, მესამე ბილწ მსოფლიო ომზე ჭადაგებს.  
 მაგრამ ნათელი არ ჩაქრება, მზე მაინც ბრწყინავს,  
 მომავლის ზეცას ვერ დაჰფარავს ღრუბლების თალხი!  
 და ახლაც ვამბობ, როგორც მაშინ, ათი წლის წინათ:  
 «უძლეველია ეს უბრალო მშრომელი ხალხი;  
 ის მრავალია, როგორც თევზი, როგორც ფრინველი, —  
 უფროსილდეს მტერი ქედმოუხრელს, ძლიერს და გულადს.  
 იგი აშენებს, იგი ანგრევს უძლეველ ხელით  
 ამ ქვეყანაზე რაც აშენდა, და დანგრეულა“.  
 რა სათქმელია, ათი წელი თუ ვზივარ აქ მე! —  
 მწამს, საბოლოოდ გამარჯვება იქნება ჩვენი,  
 მწამს, მსოფლიოში გაიმარჯვებს მშვიდობის საქმე,  
 რადგან ეს საქმე ხალხს უჭირავს მტკიცე მარჯვენით!

1948 წ.

თარგმანი თურქულიდან მახბანგ კეკელიძისა

## მეგობრობა\*



ილიკოს თავმჯდომარე ამდგარი დაუხვდა. იგი სახლის აივანზე პირს იბანდა. ილიკომ ისე შეაღო ჭიშკარი, რომ მასპინძლისათვის არ დაუძახია, — სწრაფი ნაბიჯით გაემართა სახლისაკენ. სანდრომ შორიდანვე შეატყო, რომ ზედობანიძე რაღაცაზე გულმოსული იყო. როცა ილიკო რაიძეზე განაწყენდებოდა, მაშინ ყველაფერში ჩქარობდა: ლაპარაკში, მოძრაობაში, გადაწყვეტილების მიღებაში. მისი ეს თვისება კარგად იცოდა სანდრომ.

ილიკო აივნის წინ ეზოში შედგა, არ მისალმებია თავმჯდომარეს, — სანდრო თვითონ მიესალმა მას.

— გამარჯობა, ილიკო, — უთხრა და პირი შეიმშრალა, — ამოდი, ეზოში რას გაჩერდი.

ილიკომ არც სალამზე გასცა პასუხი და არც აივანზე ავიდა.

— რა ამბავია, ილიკო, რაღაც დაწყობილ ხასიათზე არ ჩანხარ, — უთხრა ილიკოს და პირსახოცი კედელზე ჩამოკიდა. ხალათის საყელოს ღილების შეკვრას შეუდგა. სახეზე ღიმილი მოერჩია. იგი მიხვდა ილიკოს მოსვლის მიზეზს.

— დაწყობილ ხასიათზე ისინი მოიკითხე, ამხანაგო სანდრო, ვინც ახალ თავადიშვილებად გიცნია.

— ვინ თავადიშვილები, რას ამბობ?

— ის ბატონები, ვისაც თქვენ მიაჩნებოდა თავადობა.

— არ მესმის შენი ენა, ჩემო ილიკო.

— არც მე მესმის თქვენი საქციელი

და მოქმედება, ამხანაგო სანდრო, და ამიტომ გეახელი ალიონზე. ამ საკითხს მე ასე არ დავტოვებ. სანამ გვიან არ არის და რაიონმა არ იცის, დახიეთ სია, თორემ, თუ საჭირო შეიქნა, რაიონში კი არა, ფეხით ჩავალ თბილისში.

სანდრო ეზოში ჩამოვიდა.

— რა სჭირს სიას დასახევი?

— ის, რომ ხაზი გამრუდებულია, გადახვევას აქვს ადგილი.

— როგორ, ცუდი ოჯახები შეეარჩიეთ სტუმრების მისაღებად?

— უკეთესი არ შეიძლება.

— აბა რაშია საქმე?

— საქმე იმაშია... საქმე იმაშია, ამხანაგო სანდრო, ამას მე... — ენა დაება, პირი გაუშრა. — საქმე იმაშია, რომ მე რას მერჩოდით, რა დავაშავე? სიღარიბეს მიწუნებთ? მე სიღარიბით ერთ დროს თავი მომქონდა. პირველ კაცად მიმანდა სოფელში თავი. სიღარიბის მოწმობა ყველაზე ადრე მე მივიღე. სიღარიბის გამო მე ყოველთვის პატივისცემაში ვიყავი და ახლა გერცხვინებათ ჩემი?

სანდრომ იცოდა, რომ ილიკო სახლში არ ავიდოდა და ცაცხვისკენ წაიყვანა. ძელსკამზე დასვა და თვითონაც გვერდით მიუჯდა. დედას სამზადში გასძახა საუზმე ცაცხვის ძირას გაეშალა ტაბაკზე.

— ჩემო ილიკო, — უთხრა ილიკოს, — სიღარიბით ახლა თავს ვერვის მოაწონებ. სიღარიბით კი არ იყავი შენ ერთ დროს პატივცემული. არა ილიკო, ღარიბებს ჭირისუფალი გამოგვიჩნდა. გვეხმარებოდნენ, ხელს გვიწყობდნენ,

\* გაგრძელება, იხ. „მნათობი“ № 4.

ყურადღებას გვაქცევდნენ. დღეს კი სი-  
ლარიბე სამარცხვინოა. კოლმეურნე, რო-  
მელსაც მუშაობა შეუძლია, ჯანმრთე-  
ლია, არ შეიძლება ღარიბი იყოს.  
მას არ შეუძლია ისეთი სახლი ჰქონდეს,  
რომ სტუმარი ვერ მიიღოს. ეს სირცხ-  
ვილია...

— სირცხვილია... — ლულულღით გა-  
იმეორა ილიკომ.

— აბა, მიიხედ-მოიხედე, რამდენი მე-  
ზობელი გყავს ისეთი, რომლებიც ერთ  
დროს ღარიბები იყვნენ. მარო ჩხაიძე,  
არჩილ სირაძე, ევტიხი, — რამდენი ჩა-  
მოვთვალო. დღეს ისინი შეძლებული  
კოლმეურნეები არიან. ავ თვალს არ შე-  
ხედება მათი სახლკარისათვის. მათ ღი-  
დი ხანია სიღარიბით თავი არ მოწონათ.

— სიღარიბით ახლა არც მე მომ-  
წონს თავი, მაგრამ...

— მაგრამ არც გრცხვენია.

— არ მრცხვენია იმიტომ, რომ არ  
ვთვლი ღარიბად ჩემს თავს. დღეს-ხვალ  
მეც შექნება ოდა-სახლი.

— შენ შეგეძლო აქამდეც გქონოდა  
იგი.

— შეგეძლო, — დაეთანხმა ილიკო, —  
მაგრამ სხვისმა ჭკვამ დამაქცია და ამი-  
ტომ მაჭერ ახლა ყელზე დანას?

— არა, ილიკო, დანას შენ ყელზე  
არაეინ გაჭერს. აბა, დაფიქრდი, ჩვენი  
უკრაინელი სტუმარი შენს ჯარგვალში  
რომ შემოვიდეს, მარტო შენ კი არ შე-  
რცხვები, მთელ კოლმეურნეობას მოეჭ-  
რება თავი.

ილიკომ კეფა მოიფხანა.

— მართალს არ გეუბნები, ფხანაგო  
ილიკო? — ჰკითხა სანდრომ ღიმილით.

— მართალი ხარ, მართალი, სანდ-  
რო, — თქვა დამნაშავე ადამიანის კი-  
ლოთი ილიკომ. წელან ჩახმაზივით შე-  
მართული, იგი ახლა საქციელ-წამხდა-  
რი იჯდა თავმჯდომარის წინ. — რაც  
მჭირს, ჩემი უჭკუო თავით მჭირს. ჩემ-  
სას სტუმარს კი არა, მეზობელს არ მო-  
ესვლება. უკან ვიღებ ჩემს სიტყვებს,  
სანდრო. მამატიე, გადარეულივით მო-

გივარდი ამ ალიონზე სახლში... მაგრამ  
ისე მოველოდი იმ დალუცვილ უკრაი-  
ნელების ჩამოსვლას, ახლა დაფიქრე  
ბულვარ, ჩემს ჭკვარტიან ბინაში რომ  
არ შემოესვლებოდათ.

სანდროს დედამ, ჩიბ ტანის მოხუცმა  
„ბიცოლა ქეთევანმა“, ასე ეძახდა მას  
მთელი მოცვნარი, ცაცხვის ქვეშ სტუმ-  
რისა და შვილის წინ დადგა ტაბაკი და  
სამზადში შებრუნდა.

— ვინ იტყვის ჩემი სახლკარის შემ-  
ხედვარი, რომ ეს კოლმეურნის ოჯა-  
ხია, — განაგრძო ილიკომ. იგი გამო-  
ცოცხლდა. ქეთევანის პურმარილის ამ-  
ბავი მან კარგად იცოდა. მისი დაყენე-  
ბული ცოლიკურის გემოც არ იყო მის-  
თვის უცნობი. „სანდრო ისე რავე გამი-  
შეგებს, ერთი ბოთლი მაინც რომ არ გა-  
დამახუხიოს“, გაიფიქრა და უნებლიეთ  
ენა გააწყლავდა. — მე, ჩემო სანდრო,  
ნამდვილი კოლმეურნე მას აქეთ ვავხ-  
დი, რაც შენ აგირჩიეთ თავმჯდომარედ.  
ამ წელიწადნახევრის განმავლობაში გუ-  
ლი და ჯანი რომ არ დამიკლია საქმი-  
სათვის, ამას შენც ხედავ და ქვეყანაც  
ხედავს, — უღვაშებზე გადაისვა ხელი.  
ამ დროს ბიცოლა ქეთევანმა მოხარულ-  
ლი ხორცი, კეცის ჭადი, სულგუნი,  
ტყემალი და ქონდრით და პიპილით  
შეკაზმული კუჭმაკი შემოიტანა. ილი-  
კოს თვალები გაუბრწყინდა. თავისდა-  
უნებურად დაიკაბიწა ხელები.

— რატომ წუხდებით, ბიცოლა ქეთე-  
ვან, ღმერთო მომკალი, რავე დაუპატი-  
ეებლად შემოგეჭვრით სახლში, — ეუბ-  
ნებოდა ილიკო ქეთევანს და თან სუფ-  
რის გაშლაში შეელოდა. ქეთევანი ღვი-  
ნის მოსატანად რომ ვაბრუნდა ილიკო  
მთლად ენად იქცა. — სანდრო, არ  
ვყოფილვარ მე ილიკო ზედობანიძე და  
ქუდიც არ მხურებია ამ ქვეყანაზე, თუ  
უკრაინელების მეორედ სტუმრობის  
დროსათვის ოთხთვალისანი ოდა არ წა-  
მოვჭიმე ჩემს ეზოში. ეს უღვაშები  
მომჭერი, თუ ჩემს ცუტას როიალი არ  
უყუილო და მის ტრალალიაზე უკრაი-

ნელგბთან დიდ ზალაში ბუქნა არ დავუარო.

— ხომ, ილიკო? — უთხრა ღიმილით სანდრომ და დედას ღვინით საცხე დოქო ჩამოართვა. ქიჭა გაავსო და ილიკოს გადასცა.

— უღვაშები მომჭერი-მეთქი, სანდრო, — უთხრა თვალგაბრწყინებულმა ილიკომ და გრძელი უღვაშები შარცხენა ცერით ზევით აიწია; ღვინის შესასმელად მოეშადა. ერთი სული ჰქონდა, სანამ გადაჰკრაედა. შეატყო ეს სანდრომ და თვითონაც სასწრაფოდ დასხა ღვინო.

## 15

კოლმეურნეობის გამგეობის ახალი კანტორის შენობაში დღეს პირველად უნდა დაეწყოს მუშაობა სანდროს. ვრცელი, მაღალჭერიანი და განიერფანჯრებიანი ოთახი პირველ სართულში იყო მოთავსებული. ამ სართულში იყო მოთავსებული კოლმეურნეობის ბუღალტერია, პარტორგანიზაციის მდივნის ოთახი, მოლარის ოთახი, აგრონომის ოთახი და კიდევ მრავალი სხვა ოთახი. მეორე სართული კლუბს და სასტუმროს ეკავა. მათ ცალკე შესასვლელი ჰქონდათ შენობის აღმოსავლეთ მხრიდან.

ჯერ კიდევ გუშინ მორთეს თავმჯდომარის ოთახი სხვა ოთახებთან ერთად ახალი ავეჯით. მოდიოდა სანდრო კანტორისაკენ და თვალწინ ედგა ყველა ოთახი, ყოველი ავეჯი, ყოველი ნივთი. „არც ერთი ქვეყნის სტუმრის არ შეგვრცხვება აწი, — ფიქრობდა იგი, — ძველ დროს გუბერნატორსაც კი შეეზარებოდა ასეთი „კანცელარია“.“ ახლა ეს ჩვენია, იმ გლეხებისა, რომელთაც წინათ არც შეუშვებდნენ ასეთ სახლში... აღარ დაგვირდება დღეიდან კრებების სკოლასა და მინდორში გამართვა. ჩვენი კლუბი ზუთას კაცს დაიტევს. რამდენი ოთახი გვაქვს თავისუფალი. ხვალ-ზვგ ისე გავიზრდებით, რომ აღ-

ბათ ეკონომისტი დაგვიკირდება, ინჟინერი გვეყოლება საკუთარი, კიდევ ვინ მოსთელის, რა განყოფილებებში არ გვექნება. კარგად შევადგინეთ პროექტი. ახლა მთელი რაიონის კოლმეურნეობები მოგვბამავს ჩვენ. ყველას მოუნდება ასეთი კანტორის აშენება“.

ისე გაერთო ფიქრებში, არ გაუგია, როგორ ავიდა კანტორის კიბეზე და კაბინეტში შევიდა. მისი შესვლა და კედლის საათის დარეკვა ერთი იყო. საათმა შეიღგერ დაიზუზუნა. სანდრომ თავი ასწია. მის ოთახში ათამდე კაცსა და ჭალს მოეყარა თავი. აქ იყვნენ კირილე, არჩილი, ევტიხი, ნესტორი, ბუღალტერი აბესალომ გოგოშიძე, პარტორგანიზაციის მდივანი შალვა ჩაჩავა, ბრიგადირები: ივანე ჩხარტიშვილი, მარო ჩხაიძე და ექიმი თენგიზ ორბელიანი. ყველას სახეზე სიხარულის ღიმილი ეფინა.

— რა ამბავია, რას შეუკრებიხართ ყველა ერთად? დამასწარით ახალ ბინაში მოსვლა, — მიმართა ოთახში შეყრილებს თავმჯდომარემ.

— კიდევ სხვა რაღაც დაგასწარით, ნენა, — უთხრა სანდროს კირილემ.

— რა ამბავია, კირილე?

— ჩვენი სტუმრების დეპეშა გზიდან, — კირილემ მაგიდიდან დეპეშა აიღო, სანდროს გაუწოდა.

დეპეშაში ეწერა, რომ გენიჩესკელთა დელეგაცია პირველ ნოემბერს ჩავიდა კიევში და კიევიდან საქართველოში ორ ნოემბერს გამოემგზავრებო.

სანდრომ სწრაფად ჩაიკითხა დეპეშა. მისკენ მოპყრობილ სახეებს შეხედა.

— ჩამოსულან და ეგ არის. ექვსში ისინი თბილისში იქნებიან. შვიდში — ჩვენთან. რა კარგ დღეს გვესტუმრებიან, — კარგად უანგარიშაათ.

— იმათ კი იანგარიშეს კარგად, სანდრო, ჰა? მაგრამ, ჩვენ რომ არ გამოგვივიდეს კარგად ნანანგარიშევი? — დაიწყო ევტიხიმ და უტრზე ხელი მიიღარა. — დღეს სამია, ჰა? დაგვრჩა სამი დღე. მოვეშხადებით ამ სამ დღეში ჩვე-

ნი ძვირფასი სტუმრებისათვის საკადრი-სად დასახვედრად, ჰა? — ევტიხიძე ოთახში შეყრილებს გადახედა.

— რა გვაქვს ევტიხი, ნენა, მოსამზადებელი. მზად არა ვართ? — უთხრა კირილემ ევტიხის. — ერთი მითხარი, რაში არ ვართ მომზადებული, რაში ვართ სუსტი? ცუდად ვიმუშავეთ? ჩვენს მიერ აღებული ვალდებულება არ შევასრულეთ? სახლი არ გვივარგა თუ კარი? ამ შენობას რომ უყურებ, რაიონში ვერ ნახვ მავისთანას მეორეს. უკრაინელები რომ არ გვწვეოდნენ, ბარე სამოთხ წელიწადს კიდევ არ ვიფიქრებდით მის აშენებაზე. ხომ უკრაინელებმა გვაფიქრებინეს, ნენა, მისი აშენება? — მიუბრუნდა კირილე თავმჯდომარეს.

— უკრაინელებმა, კირილე.

— ააშენა ღმერთმა მათი ოჯახი ისინი რომ არა, სხვა ბევრ რამეზედაც არ დაფიქრდებოდით, ნენა. გვექნებოდა სანერგე? გვექნებოდა სააგურე და საკირე? რამდენი რამ ჩამოეთვალა. ვისაც სახლი არ უვარგოდა, ახალი აიშენა. ამ სახლში რაფერ დაეხვედო ასეთ პატივსაცემ სტუმრებს. შუკები გასწმინდეს, ბოგირები შეაკეთეს. შეხედეთ, რას დაემსგავსა, ნენა, სოფელი. ჩვენი სოფლის მოღისტეებს — ელპიტეს და მინადორას მოსვენება არა აქვთ, დღე და ღამე ახალ კაბებს და შარვალ-ხალათებს კერავენ. ყველაფრით მზადა ვართ, ნენა. სტუმრების ჩამოსვლის მეტი არაფერი გვაკლია.

## თავი მესამე

მშვენიერი დილა გათენდა შვიდ ნოემბერს. თითქოს სტუმრების მოლოდინში ბუნებაც საზეიმოდ იყო განწყობილი. ცაზე ღრუბლების ნაფლეთიც არ ჩანდა. ზღვიდან წელი ნიავეი ჰქროდა და მძიმედ არხედა ნაყოფით დახუნძლულ მანდარინის, ლიმონის, ფორთოხლისა და ხურმის ტოტებს. მზე, თითქოს ეჩქარებო, ერთბაშად გადმოდგა ბახმაროს მთაზე და ოქროს სხივები უხვად მოაფრქვია მოცენარს. მაგრამ დააკვირდა მზეს, ხალხმა დაასწრო მას: დიდი და პატარა ალიონზე წამოდგა დღეს. ხელბირი დაიბანეს, სახელდახელოდ ისაუზმეს, ახალ ტანსაცმელში გამოეყვანენ და გამგობის კანტორისაკენ გასწიეს.

მოდიოდნენ პიონერები. თითქმის ყველას ახლადშეკერილი ფორმა ეცვა. წითელი ყელსახვევებიც კი ახალი ეკეთათ. უმრავლესობას აბრეშუმის ყელსახვევი ეშოვა. ყველას რაღაც მოჰქონ-

და: ზოგს ყურძნის აკიდოები, ზოგს — ლიმონი, მანდარინი, ფორთოხლები, ყვავილები, თვითმფრინავის მოდელები, სტალინის, მოლოტოვის, ბერიას, ხრუშჩოვის სურათები.

კოლმეურნეებით და მასწავლებლებით სავსე ორი საბარგო მანქანა, სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის ექვთიმე გოგოლაძის მეთაურობით, რკინიგზის სადგურზე გაეშურა სტუმრების შესახვედრად. მანქანები დროშებით, ყვავილებით და ლოზუნგებით იყო მორთული.

ფინიჯერის გორა მოცენარის საზღვარზე ლამაზადაა აზიდული და იგი ერთმხრივ შავ ზღვას დასცქერის, ხოლო სხვა მხრიდან სოფელს, პლანტაციებს და ყანებს. ფინიჯერის გორა ულამაზესი ადგილია მთელს ამ მხარეში. გორის კალთები პლანტაციებითაა შეფენილი.



რკინიგზის სადგურიდან მიმავალი გზა სამჯერ შემოუვლის ამ გორაკს, ბოლოს თავზე ექცევა და შემდეგ ერთბაშად თავქვე ეშვება მოცენარისაკენ. გორიდან კოლმეურნეობის კანტორამდე სამი კილომეტრია. ამ დილით მთელი ამ სამი კილომეტრი გზის ორივე მხარეზე ადამიანთა ცოცხალი კედელი აღიმართა. აქ იყვნენ ქალები, კაცები, ბავშვები მოცენარის კოლმეურნეობიდან და მეზობელ კოლმეურნეობებიდან. ყველას ხელში რაღაც ეჭირა: ზოგს თაიგული, ზოგს ზილი, ციტრუსი.

კოლმეურნეობის გამგეობის ახალი შენობის წინ რაიონიდან ჩამოსული ამხანაგები იდგნენ. აქ იყვნენ ახლო-მახლო სოფლების სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეები, აქ იყვნენ სილოვან ქანთარია და ესტატე ჭანუყვაძე, არასოდეს არ ენახა მოცენარს ამდენი სოფლის ინტელიგენცია და ასე საზეიმოდ გამოწყობილი, როგორც აქ დღეს იყო.

კოლმეურნეობის გამგეობის შენობა ყვავილებით, დროშებით და ლოზუნგებით იყო მორთული. ლოზუნგები დაწერილი იყო ქართულ, უკრაინულ და რუსულ ენებზე. რუსული ტექსტის ავტორი მოანგარიშე აბესალომ გოგოშიძე გახლდათ, უკრაინულისა—ქესხია ნიკოლაევნა, ქართულის კი არჩილ სირაძე.

სოფელი მზად იყო სტუმრების შესახვედრად. ყველას ფიჩხიჯერის გორაკისაკენ ეჭირა თვალი. გორაკის თავი კირილე აფეანდაძეს ეკავა. მას ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი ათი მოხუცი კოლმეურნე ახლდა თან. ზოგს პურმარილით საცხე სინი ეჭირა, ზოგს დოქით ღვინო და ჯიხვის რქის ყანწები. ჭადრის ძირას რაიონული ცენტრიდან მოყვანილი სასულე ორკესტრი იყო განლაგებული. აქ, სოფლის საზღაურზე, ბური-თა და ღვინით უნდა შეხვედროდა კირილე სტუმრებს. ოცი წლით გაახალგაზრდავებულს გავდა მოხუცი, შინდისფერი ჩოხა ეცვა და მხარზე თეთრი ჩაბალახი ჰქონდა გადაგდებული. ხმელ-

ხმელი, მხრებგანიერი იყო, ყველა თავის ტოლ მოხუცში გამოირჩეოდა სიკოხტავით და სილამაზით. გიგანური ესტატე თვალმოუშორებლად გასცქეროდა სადგურ ნატანების მხარეს. საცაა უნდა გამოჩენილიყვნენ მანქანები. ორი თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის ყმაწვილი ჭადრის კენწეროზე მოქცეულიყო და იქიდან უთვალთვალებდა გზას. მოთმინებადაკარგული კირილე წარამარა ასძახებდა ყმაწვილებს.

— როგორაა საქმე, ნენა, არ ჩანან სტუმრები?

— არ ჩანან, კირილე ბიძია!

— აქედან ხელისგულოვით ეხედავთ ყველაფერს, მაგრამ ჯერ არ გამოჩენილან სტუმრები.

გავიდა კიდევ ცოტა ხანი და უცებ ერთ-ერთი ყმაწვილის შეძახილი გაისმა.

— აუ, აუ, ეს რა ამბავია... ამას რას ვხედავ?

— რა იყო, ნენა, რა ამბავია? — ახედა ყმაწვილს კირილემ.

— მოდიან, კირილე ბიძია, მოდიან. მოდიან, მაგრამ რა მოდის: რაც მთელ ქვეყანაზე მანქანებია, ყველა ჩვენთან მოდის.

— მოდიან! — დაიძახა იმავე წუთში გზაზე ჩამწყვილებულმა ხალხმა—კაცმა და ქალმა.

— მოდიან! — გადაეცა ხმა შემდეგს.

— მოდიან! — გამოეხმაურა ყველა ერთმანეთს.

— მოდიან! მოდიან! — მიიჭრა ალტაცებული შეძახილები კოლმეურნეობის გამგეობის შენობამდე და ახმაურდა მთელი ხალხი.

— ედუტ! — იყვირა აბესალომ გოგოშიძემ. ამ დროს ფიჩხიჯერის გორიდან ორკესტრის გრიალიც მოისმა.

მანქანები გორის თავს უახლოვდებოდნენ. მოემზადა კირილე, აქეთ-იქიდან ორი უხუცესი კოლმეურნე ამოიყენა. მათ სინით პურმარილი ეჭირათ ხელში. ამოიჭრა პირველი მსუბუქი მანქანა გორაზე, წინ გადაუდგა კირილე

მანქანას. შეჩერდა მანქანა, გაიღო მისი ორივე კარი და ერთი მხრიდან სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ილენკო გადმოვიდა და მეორე მხრიდან რაიკომის მდივანი დავითი. გადმოვიდნენ ნასტია შემოიღო და ვალოდია ლიაშენკო.

კირილე სტუმრებს ხელის ჩამორთმევით მიესალმა, გააცნო მათ თავისი თავი და აცნობა, რომ ისინი მოცუნარის მიწა-წყალზე არიან და სთხოვა—პური გაეტეხათ. ყანწი ღვინით გაუვსო და ილენკოს მიაწოდა. ასეთივე ყანწი მიაწოდეს ვალოდია ლიაშენკოსაც. მათ არ იცოდნენ, როგორ დაეჭირათ ყანწი ხელში, ეშინოდათ ღვინო არ დაექციათ. შეატყო ეს მოხუცმა მკვდელმა ალექსანდრე თავაძემ და თვალის ერთ დახამხამებაში უჩვენა სტუმრებს, თუ როგორ უნდა დაეჭირათ ყანწი.

კირილემ ხალხთა მეგობრობის ფუძემდებლის დიდი სტალინის სადღეგრძელო წამოსთქვა მოკლედ ქართულად. რაიკომის მდივანმა დააპირა ეთარგმნა მისი სიტყვა, მაგრამ ილენკომ უთხრა, რომ ყველაფერს მიეხვედითო და, როცა კირილემ ყანწი დასცალა, თავმჯდომარემ ვერ მოითმინა, სანამ თვითონ დასცლიდა ყანწს, გულზე მიიკრა კირილე და აკოცა. შერე უკრაინულ ენაზე წარმოსთქვა სტალინის სადღეგრძელო და ყანწი ისე კოხტად მოიყუდა და დასცალა, რომ ყველა განცვიფრებაში მოიყვანა.

სანამ კირილე და ილენკო სადღეგრძელოებს ამბობდნენ, მანქანა-მანქანაზე მოდიოდა და ჩერდებოდა, გადმოდიოდნენ სტუმრები, მათ უმაღლვე ეგებებოდნენ სინით და დოქით ხელში მოხუცები. როცა ყველამ შესვა სტალინის სადღეგრძელო და დასცალა ყანწი, კირილემ სტუმრებს ახლა რუსულად მიმართა.

— ძვირფასო მეგობრებო, გათხოვთ დაბრძანდეთ მანქანებში, აქედან შორს

არ არის ჩვენი კოლმეურნეობა, იქ უტომენლად გელიან ჩვენები.

ყველამ თავისი ადგილი დაიკავა მანქანებში. კირილე ილენკომ მისი მანქანა გაემართა რდით და კვლავ მისი მანქანა გაემართა წინ პირველი. მას სხვა მანქანები მიყვნენ.

როგორც კი პირველი მანქანა მოსახვევს გასცდა, თითქოს დაიგრგვინაო, ისეთი ძლიერი შეძახილები გაისმა გზაზე: „ვაშა!“ „ურა!“ ყვიროდა დიდი და პატარა. მთელი სამი კილომეტრის მანძილზე ჩამწყრივებული კოლმეურნეები, მამაკაცები, ქალები და ბავშვები გზას უჭრიდნენ მანქანებს, აჩერებდნენ, თვითონ აღებდნენ მანქანის კარებს, ეხვეოდნენ, კოცნიდნენ სტუმრებს. გაივსო მანქანები საჩუქრებით. სტუმრები იძულებული გახდნენ მანქანებიდან გადმოსულიყვნენ და კოლმეურნეობის გამგეობის კანტორამდე დარჩენილი გზა ფეხით გაევლოთ. ისინი მიდიოდნენ კოლმეურნეთაგან ალყაშემორტყმულნი.

არ წყდებოდა ვაშასა და „ურას“ შეძახილები, წამოიწყეს სიმღერები. მღეროდნენ უკრაინულად, ქართულად, გზა ყვავილებით მოიფინა.

როგორც იქნა, სტუმრები კოლმეურნეობის კანტორას მიუახლოვდნენ. შემოეგებნენ მათ მასპინძლები. შორიდანვე იცნეს ერთმანეთი სანდრომ და ილენკომ, დაწინაურდა ორი სახელოვანი კოლმეურნეობის თავმჯდომარე, შედგნენ ერთმანეთის წინ, წუთით თვალით გაზომეს ერთი-მეორე, გაუღიმეს, მოეწონათ ერთმანეთი, მიეხვეივნენ ერთმანეთს.

აქ უფრო მეტი სიძლიერით დაიგუგუნა სასულე ორკესტრმა. მთელმა ხალხმა შესძახა ერთდროულად „ვაშა“ და „ურა“.

სანდროს შემდეგ სილოვან ქანთარია და ესტატე ქანუყვაძე მიესალმნენ ილენკოს. ელენეს და არჩილს მოესწროთ ნასტია შემოიღოს და ვალოდია ლიაშენკოს გააცნობა. ისინი განზე გამ-

დგარიყვენ და მხიარულად საუბრობდნენ.

სტუმრები ტრიბუნაზე აიყვანეს. აქედან ყველას შეეძლო მათი დანახვა. ივრიალა ტაშმა, ახმაურდა ხალხი. „გაუმარჯოს ხალხთა სტალინურ მეგობრობას!“ „სიცოცხლე და გამარჯვება დიდ სტალინს!“ „გაუმარჯოს უკრაინელ ხალხს!“ „გაუმარჯოს ქართველ ხალხს!“ „გაუმარჯოს ქართველი ხალხის საამაყო შვილს ლავრენტი ბერას!“ „გაუმარჯოს უკრაინელი ხალხის საყვარელ ხელმძღვანელს ნიკიტა ხრუშჩოვს!“

რაიამასკომის თავმჯდომარემ იროდიონ ჭელიძემ ძლივს მოახერხა ხალხის დაწყნარება, მოკლე შესავალი სიტყვის წარმოთქმის შემდეგ მიტინგი გახსნილად გამოაცხადა და სიტყვა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს — სანდრო მეგრელიძეს მისცა.

სანდრო ტრიბუნის მოაჯირთან მივიდა, ქუდი მოიხადა და ილღიაში ამოიღო, გაშალა ქალაღი, რომელზედაც რუსულად ჰქონდა დაწერილი სიტყვა. მას პირველად უხდებოდა ასეთ ზღვა ხალხში რუსულ ენაზე სიტყვის თქმა და ღელავდა. მაგრამ კითხვის დროს თანდათან მოემატა გამბედაობა, გაუქრა სახეზე სიფითრე.

სანდროს სიტყვის ტექსტი გასწორებული იყო აბესალომ გოგოშიძის მიერ. მას თითქმის ამ სიტყვის ავტორად მიიჩნდა თავი და პირველ ხანებში სანდროსთან ერთად ისიც ღელავდა, მაგრამ მალე დამშვიდდა, საამაყის იერიც კი დაედო. სანდრო სუფთად და უშეცდომოდ კითხულობდა.

სიტყვის დასაწყისში სანდრო სტუმრებს მიესალმა, შემდეგ მისი სიტყვა ეხებოდა იმას, რომ გენიჩესკელებთან სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმამ წინ წასწია არა მარტო ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის საქმე, არამედ მთელი რაიონის საქმეც. მან ოლაპარაკა კოლმეურნეობის საწარმოო მიღწევებზე და მასობრივ-თავდაცვიოს მუშაობაზე.

„ჩვენ შევისწავლეთ შაშხანა, გავხდით სნაიპერები, რომ გულში ვესროლოთ იმათ, ვინც შეეცდნენ წაგუროთ ვას უფლება თავისუფალ, შემოქმედებით შრომაზე, ბედნიერ და საამურ ცხოვრებაზე.“

თქვენი ჩამოსვლით, ძვირფასო მეგობრებო, ჩვენ მეტ გამოცდილებას შევიძინეთ, რომ კიდევ უფრო უკეთესად მოვაწყოთ შრომის წარმოება კოლმეურნეობაში, მივიღოთ კიდევ უფრო მეტი და მეტი მოსავალი ჩვენდა და თქვენდა საკეთილდღეოდ...“

სანდროს სიტყვები ტაშის ხმამ დაფარა.

როგორც კი სანდრომ სიტყვა დაამთავრა, ვასილ ილენკომ არ დაუცადა, სანამ მას სიტყვას მისცემდნენ, თავისი მძიმე ტანის მკვირცხლი მოძრაობით ტრიბუნაზე შეყრილები მისწი-მოსწია და მოაჯირთან მივიდა, სანდროს ამოუდგა გვერდში. ტაში და შეძახილები არ ცხრებოდა, იგი უფრო გაძლიერდა, ილენკო რომ მოაჯირთან მივიდა, ყველა მიხვდა, რომ სიტყვის თქმას აპირებდა.

ილენკომ მარჯვენა ხელი ზევით ასწია, სახე აღელვებით უცინოდა, გრუზთა თმები შუბლზე გადმოჰყროდა.

— ძვირფასო მოცენარელებო, — დაიწყო მან თავისი ძლიერი ხმით, ხალხის გაჩუმებას არ დაუცადა, მაგრამ როგორც კი სტუმარმა პირველი ორი სიტყვა წარმოსთქვა, ხალხი უმაღლეს გაჩუმდა და მთელ ეზოს ისეთი სიწყინარე მოეფინა, ბუხის გაფრენას გაიგონებდით. — მზიური საქართველოს საყვარელო ძმებო და დებო, — განაგრძობდა ილენკო. — ჩვენ თქვენთან ჩამოვედით თქვენი მოპატივებით. ჩვენ ბევრი რამ გქმონდა გაგონილი საქართველოზე, კერძოდ თქვენზე, მაგრამ იმან, რაც ჩვენ თბილისში ვნახეთ, გზაზე ვნახეთ, აქ ვნახეთ, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. აქ მზიურია არა მარტო მან და ცა, მზიურია ადამიანის გული,

ადამიანის თვალეები. აი, ვუყურებ მე ახლა მრავალ ასეულ თვალებს და ასე მგონია ჩვენ დიდი, დიდი ხნის მეგობრები ვართ. ისე როგორც ჩვენ შეგვხვდით ახლა თქვენ, ასე ხედებიან ძმებს, შვილებს, უახლოეს ნათესაებს. მე დღეს კიდევ ერთხელ დაერწმუნდი, რომ საბჭოთა ხალხი უძლეველია, დიან უძლეველია ის ქვეყანა, სადაც აი, ასეთი მეგობრობა და სიყვარულია ხალხთა შორის.

კვლავ იგრიალა ტაშმა, კვლავ გაისმა შეძახილები. ილენკო არ შეჩერებულა:

— აქ თქვენმა თავმჯდომარემ, სანდრო ალექსევიჩმა, ილაპარაკა იმის შესახებ, თუ რა წარმატებას მიიღწია თქვენმა კოლმეურნეობამ ჩვენს შორის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შემდეგ. ამ შეჯიბრებამ ჩვენი საქმეც წასწია წინ ამხანაგებო, წელს ჩვენ მთელს დნებროპეტროვსკის ოლქში პირველმა ჩავაბარეთ პური სახელმწიფოს. ჩვენი კოლმეურნეობიდან 150 ვაგონი პური მიიღო ჩვენმა სამშობლომ. დიდ წარმატებას მივაღწიეთ მესაქონლეობაშიაც. 550 ტონა რძე, 656 ცენტნერი ხორცი და 23 ათასი კილოგრამი მერინოსის მატყლი ჩავაბარეთ სახელმწიფოს. ჩვენ ვზრდით საუკეთესო ჯიშის ცხენებს. ჩვენ შეგვიძლია პირველ დასახეობისთანავე ჩავაბაროთ ჩვენს მშობლიურ წითელ არმიას ასობით საუკეთესოდ მოვლილი და ჩვენს იზოდრომზე გამოწვრთნილი ჯიშისანი ცხენები...

მზე გადახრილი იყო, მიტინგი რომ დამთავრდა. სტუმრები კლუბის დიდ დარბაზში გაშლილ სუფრაზე მიიწვიეს. დარბაზში ოთხივე კედლის გასწვრივ იდგა ერთმანეთზე მიდგმული გრძელი სასადილო მაგიდები. მაგიდები იდგა ლიმონის, მანდარინის და ფორთოხლის ხეივანში. კასრებში ჩადგმულ ამ მსხმოიარე ხეებს ისე ჭარბად ესხა ნაყოფი, რომ ტოტები ძლივს იკავებდა. ადამიანს

თვალს სჭრიდა სუფრა თავისი სიყვარული და მრავალფეროვანებით.

დარბაზში შესულ სტუმრებს დარბაზის პინძლებს თეთრ ხალათში გამოწყობილი ქალიშვილები ეგებებოდნენ და მაგიდისაკენ მიჰყავდათ. მათ წინასწარ იცოდნენ ვინ სად უნდა დაესვათ. მალე სუფრას ორასი კაცი და ქალი მოუჯდა.

ერთად ისხდნენ ნასტია და ელენე, არჩილი და ვალოდია ლიაშენკო. ნასტიას და ვალოდიას სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ისინი გაკვირებული შესცქეროდნენ მათ თავზე გადმოხრილ ლიმონსა და ფორთოხლის შეხუნძლულ ტოტებს.

— ნუთუ ოთახშიაც ცხოვრობენ ციტრუსები? — ეკითხებოდა ნასტია ელენეს.

— მათ შეუძლიათ თქვენს ოთახშიც იცხოვრონ.

— რას ამბობ, ელენე?! — გაოცდა ნასტია. — იქ, ჩვენს სახლში, ლიმონი და ფორთოხალი?!. ოი, რა კარგი ხარ შენ, ელენე. იცი, მე სწორედ ასეთი მყავდი წარმოდგენილი...

წამოდგა სანდრო, სასმისი აიღო:

— ძვირფასო სტუმრებო და დღეიდან ჩვენი ოჯახის წევრებო, თქვენ ნამგზავრები ხართ. დიდ ღროს არ წავართმევთ ჩვენ. ეს პირველი სუფრაა, რომელსაც ჩვენ ერთად ვუსხედვართ. ეს სუფრა ისე უნდა ჩავატაროთ, რომ დიდხანს არ დაგვაინწყდეს. ჩვენ, როგორც წესია, გაგიმასპინძლებით ჩვენებურად, ჭართულად, მთელი სულითა და გულით. ნება მიბოძეთ, დავასახელო თამაღები, რომლებიც მომსახურებას გაუწევენ სუფრას.

სანდრომ რაიკომის მდივანს შეხედა, მაგრამ მან ანიშნა, მე არაო, და ესტატე ჭანუყვამეზე მიუთითა.

— ამხანაგებო, თამაღებად ვასახელებ ჩვენი მეზობელი სახელოვანი კოლმეურნეობის თავმჯდომარეებს ესტატე ჭანუყვამეს, სილოვან ქანთარიას,

თქვენთვის ცნობილ ელენე ავეანდაძის მამას კირილე ავეანდაძეს, აბესალომ გოგოშიძეს, ქსენია ნიკოლაევას და ნესტორ კვრესელიძეს, სულ ექვს თამადას.

რაიკომის მდივანი ილენკოს და სხვა სტუმრებს ხმადაბლა უხსნიდა, თუ რა მოვალეობას ასრულებს თამადა სუფრაზე და რატომ იყო საჭირო ახლა აქ ექვსი თამადა.

როგორც კი თამადები არჩეული იქნენ, ისინი სუფრის სხვადასხვა ადგილებიდან ერთდროულად წამოდგნენ. ხელში ვერცხლის ჯაჭვით დამშვენებული ყანწები ეჭირათ.

სიწყნარე ჩამოვარდა.

თამადებმა ღვინით გაავსეს ყანწები და სუფრის თავში მდგომ ესტატესაკენ მიბრუნდნენ.

ესტატეს მარჯვენა ხელში ყანწი ეჭირა, მარცხენა ხელი ღინჯად გადაისვა უღვაშებზე.

— მე მინდა, — დაიწყო ესტატემ ამ სასმისით, — შევსვა კოლმეურნე გლეხობის ყველაზე დიდი მოამაგის, ყველაზე დიდი მეგობრის, საყვარელი ბელადის, დიდი სტალინის სადღეგრძელო...

ყველანი ფეხზე წამოდგნენ.

— ვუსურვოთ მას დიდი ხნის სიცოცხლე ყველა მშრომელ და პატიოსან ხალხთა საკეთილდღეოდ.

ექვსმა თამადამ ერთდროულად დასცალა ყანწი და სტუმრებს გადააწოდა. სტუმრები განცვიფრებით შეკეპურებდნენ ქსენია ნიკოლაევას. თვალს არ უჯერებდნენ, რომ მანაც დასცალა სასმისი და ილენკოს გადააწოდა. ფეხზე წამოდგა სტუმრებიდან ექვსი მამაკაცი. ისინი მიხვდნენ, რომ ექვსივეს ერთად უნდა დაეცალათ სასმისი.

ყანწებმა სწრაფად ჩამოიარეს სუფრა და როგორც კი ისინი კვლავ თამადებს დაუბრუნეს, აბესალომ გოგოშიძემ მრავალგამიერი წამოიწყო. სუფრის ყო-

ველი მხრიდან აყენენ მას, გაჩაღდა ქეიფი. თამადაბა სტუმრებმა ცემლიწოდომეს. ესტატე წამოდგა მშველელად და თქვა, რომ იგი სტუმრების სურვილის წინააღმდეგ აპირებდა წასვლას. „მათი წესით, სუფრის ყოველ წევრს შეუძლია თქვას თავისუფალი სადღეგრძელო“, უჩურჩულა ესტატეს. ესტატე უმაღლესე დაჯდა და ყანწი ილენკოს მიაწოდა, მაგრამ ილენკომ ყანწზე უარი თქვა და კიქა აიღო.

სუფრა ქართული და უკრაინული წესით წარიმართა, — როგორც სტუმრები, ისე მასპინძლებიც აღტაცებულნი იყვნენ. სტუმრებს მოსწონდათ ყველაფერი ქართული, მასპინძლებს კი უკრაინული.

შუა ქეიფში კირილე წამოდგა.

— აბა, ერთი ცეკვა, ნენა! — შესძახა სუფრას.

გაისმა საცეკვაო სიმღერა, აგრიალა და დოლი, აყვავა ტაში. გაშალა ხელი კირილემ და ქორივით გაიჭრა ვრცელ დარბაზში. იგი მიცურავდა მხრებგანიერი, გამართული, თავაწეული, თეთრი ჩაბალახის ტრეტების ფრიალით. არა მარტო სტუმრები, მასპინძლებიც გააოცა ამ სამოცდაათ წელს მიღწეული მოხუცის ჭაბუკურმა სისწრაფემ და მოხდენილობამ. კირილემ რამდენიმე წრე შემოუარა და ქსენია ნიკოლაევას მიეჭრა.

იმატა ტაშმა, აჩქარდა, დოლი მთლად გადაირია. არ დააყოვნა ქსენია ნიკოლაევანამ. არ მოტყუვდა კირილე, რომ ეს მანდილოსანი გაიწვია საცეკვაოდ. მთელი სუფრა წამოშალა ქსენია ნიკოლაევას ცეკვამ. უნებლიეთ ჩაებნენ ქელი და კაცი ცეკვაში. ცეკვავდნენ ქართულად, უკრაინულად. მოცნარელები ცდილობდნენ უკრაინულად ეცეკვათ, სტუმრები კი ქართულს უვლიდნენ.

ერთად ცეკვავდნენ ვალოდია ლიაშენკო და ელენე, არჩილი და ნასტია.

დავითმა თვალი უყო ესტატეს და ილენკოზე და სანდროზე ანიშნა. მიხედა

ესტატე, რა უნდოდა რაიკომის მდივანს.

— თავმჯდომარეები, თავმჯდომარეები! — დაიძახა ესტატემ.

შეწყდა ცეკვა და ყველა სანდროსა და ილენკოსაკენ მიბრუნდა. ილენკო ვერ მიხვდა, რაში იყო საქმე, მაგრამ როცა სანდრომ მკლავები გაშალა და ცეკვით გამოფრინდა მისკენ, ილენკო უმალ წამოიჭრა, შეეგება თავმჯდომარეს.

ისე უკრავდნენ დოლსა და ტაშს, ისე მღეროდნენ, რომ ილენკოს შეეძლო უკრაინულად ეცეკვა, სანდროს კი ქართულად. თავდავიწყებით ცეკვავდა ორი თავმჯდომარე, თითქოს აქაც, ცეკვა-შოაც ეჯობებოდათ ისინი ერთმანეთს...

გვიან აიშალა სუფრა. ეს არ იყო ჩვეულებრივი ღვინო. ეს იყო საბჭოთა ხალხებს შორის მეგობრობისა და სიყვარულის დემონსტრაცია, რომელიც შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, საბჭოთა ხალხთა შორის არსებობდეს.

უბოში გამოსულ სტუმრებს ერთ რიგად ჩამწკრივებულ მანქანებისაკენ ეპატივებოდნენ ის ოჯახები, რომლებთანაც მათ ღამე უნდა გაეთათ. ელენემ და კირილემ ნასტია შუმილო ჩაისვეს მანქანაში, სანდრომ — ილენკო, არჩილმა — ვალოდია ლიაშენკო. ნესტორ კრესელიძე თავის სტუმარს, მეცხენეობის ფერმის გამგეს — ივანე სტრუკს დაეტბდა. „რა მექნა სტუმარი, ვინმემ ხომ არ წამართვა?“ ფიქრობდა ის და გამალებული დარბოდა ხალხში, — ამდროს თვალი მოჰკრა ილიკო ზედობანძეს.

ღვინით შექანჯალეზულ ილიკოს მკლავი გაეყარა სტრუკისათვის — მაღალ, გრძელუღვაშებიან მღვკაცისათვის, აქეთ-იქით იხედებოდა ქურდულად, არავინ შემამჩნიოსო და სტრუკი გზისაკენ მიყავდა, თან რალაცას ელაპარაკებოდა.

— შეხედე მაგ წუწკს, რავა საქვეყნოდ მპარავს სტუმარს? — შესძახა მუ-

დამ აუჩქარებელმა და დინჯმა ნესტორმა გააცხარებით და გზა გადაუჭრა ილიკოს.

— სად მიგყავს, ილიკო, ჩემი სტუმარი? — უთხრა თავშეკავებული მუქართით. — მართმე?

— ღმერთო კი მომკალი, ეს რა გიფიქრია, ჩემო ნესტორ, სტუმარს რავა წაგართმევ. რავა დამესხმება ასე თავს-ლაფი ამ ხნის კაცს.

— აბა, სად მიპარებ აქით?

ილიკო არ დაიბნა:

— შე კაცო, სუფრიდან წამომდგარ კაცს რაცხა რომ მოუნდება, ხომ არ იყვირებს, იქ მივდივარ, შემომხედეთო.

— მერე შენ ვინ გკითხავს, ჩემს სტუმარს რა მოუნდება, შენ ვინ მოგანდო ჩემი სტუმრის პატრონობა. გაუშვი ხელი, — შეუტია ილიკოს.

ილიკო მაშინვე განზე გადგა.

ნესტორმა თვითონ გაუყარა მკლავი სტუმარს და მოფარებული ადგილისაკენ წაიყვანა.

— სად მივდივართ, ნესტორ... ნესტორ... — სტრუკმა ნესტორის მამის სახელი არ იცოდა.

— მამის სახელს გეკითხება, ვერ მხვდის, მასპინძელი, — დაცინვით უთხრა ილიკომ ნესტორს.

— ილარიონოვიჩი გახლავარ, პატივცემული სტრუკ, — უთხრა ნესტორმა სტრუკს.

— სად მივდივართ ამ სიბნელეში, ნესტორ ილარიონოვიჩ, — უთხრა გაკვირვებით სტრუკმა ნესტორს და შედგა. — სად არის ილარიონ ფილიპოვიჩი, რა იქნა?

— აქა ვარ, ივანე ნიკიტინ, — დაიძახა ხის ჩრდილში მდგარმა ილიკომ და თვალისდახამხამებაში მეორე მხრიდან გვერდში ამოუდგა სტრუკს.

— ჰო, იმას ვამბობდი, ილარიონ ფილიპოვიჩი, — განაგრძო დაწყებული ლაპარაკი სტრუკმა და ნესტორისაკენ მიბრუნდა, — ნესტორ ილარიონოვიჩ, მე ერთხელ კიდევ ვარ საქართველოში

ნამყოფი. რიონამდე მოვედი. მაშინ წითელ ჯარში ვმსახურობდი. მოგეცეთ ლხენა, მაშინ ჩვენ მენშევიკებს მოვცხეთ. ჩვენს ნაწილებს სერგო ორჯონიკიძე და ნიკიტა ხრუშჩოვი ხელმძღვანელობდნენ, — სტრუკს ღვინო ერთბაშად მოეკიდა. — ილარიონ ფილიპოვიჩ, მე ახლა მგონი მთვრალი ვარ. სადმე თუ დამაწვენთ...

— სადმე კი არა, ისეთ ლოგინში ჩაგაწვენ და ისეთ საბანს დაგახურავ, ივან ნიკიტჩი, რომ დედოფალს შეეხარბოს, — უთხრა ილიკომ სტრუკს და ნესტორს მიუბრუნდა: — რას უყურებ, სადაა მანქანა.

ნესტორი კლუბის კიბისაკენ გაიქცა. ყველა სტუმარი წაეყვანათ, ერთი მანქანა-ლა იდგა კიბის წინ და ნესტორს ელოდა.

## 2.

მეორე დღეს სტუმრები დილიდანვე შეუდგნენ ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეთა მიერ სოციალისტურ შეჯიბრებით აღებულ ვალდებულებათა შესრულების შემოწმებას.

უკრაინელები რამდენიმე ჯგუფად დაიყვნენ. პირველ ჯგუფში ილენკო, ვალოდია ლიაშენკო და ნასტია შუმილო შევიდა. მათ სანდრო, ელენე და არჩილი ახლდათ. ისინი ციტრუსებში და ჩაის პლანტაციებში წავიდნენ.

მეორე ჯგუფი სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბუღალტერქ ვასილი პროიდესვიტის და ორი კოლმეურნის შემადგენლობით აბესალომ გოგოშიძეს ესტუმრა. აბესალომის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. სამ კაცთან უნდა ელაპარაკა რუსულად. მთლად ენად იქცა იმ დღეს აბესალომი. სტუმრებმა გულდასმით შეამოწმეს აღრიცხვისა და კოლმეურნეებთან ანგარიშსწორების საქმე. გამოარკვიეს, თუ როგორ იყო შესრულებული ორჯონიკიძელთა მიერ აღებული ვალდებულებების შესრულე-

ბა საბუღალტრო ჩანაწერების მიხედვით.

ივანე სტრუკი ცხენს <sup>გარეკნულში</sup> მოგზავნიდა და ნესტორთან ერთად მესაქონლეობის ფერმაში გაჰქუსლა.

პარტიული კომიტეტის მდივანი მიხაილ ზლობა პარტიული კომიტეტის მუშაობასა და სამხედრო-თავდაცვითი მუშაობის შემოწმებას შეუდგა შალვა ჩაჩავასთან და ისილო კვაჭაძესთან ერთად.

სტალინის სახელობის საშუალო სკოლის დირექტორი ანისიმ ბურიაკოვი თავის საეკიმო პუნქტისკენ გაუძღვა ექიმ კონსტანტინ გაცენკოს.

ელენეს რგოლიქ ნაკვეთმა დიდი შთაბეჭდილება დატოვა სტუმრებზე. ტატიანა, ნინო, მამო და აგრაფინა გახურებულ კრეფაში იყვნენ, სტუმრები რომ მოვიდნენ რგოლში. ნასტია თვალს არ აშორებდა ქალიშვილების ხელების თავბრუდამხვევი სისწრაფით მოძრაობას ჩაის ბუჩქებზე.

— არა, არა, ეს რაღაც ჯადოქრობაა, — ამბობდა იგი აღტაცებით.

— მე კი ჯადოქრობას სხვაში ვხედავ. ნასტია, — უთხრა ვალოდიამ ნასტიას, — თურმე აქ წინათ ერთ ჰექტარზე ხუთასი კილოგრამი ფოთოლი ძლივს მოჰყავდათ, ახლა კი, როგორც ელენემ თქვა, ოთხათას კილოგრამამდე იწვევენ. ეგ იგივეა, რომ ოცდახუთი ცენტნერის მაგივრად ჰექტარზე ორასი ცენტნერი ხორბალი მოიწიო.

— ჰო, ეს სასწაულია, ელენე, — უთხრა ნასტიამ ელენეს.

ელენემ თავისი კალათები დაჰკიდა წელზე ნასტიას და უჩვენა, თუ როგორ უნდა ორი ხელით კრეფა.

— არა, არა, — იცინოდა ნასტია თავისი მაღალი და წკრიალა ხმით, — მე ვერასოდეს ვერ გავაკეთებ ამას. ეს ისეთი რთულია...

— ისწავლე, ისწავლე, ნასტია. ვინ მოკრეფს აბა, ხვალ რომ ჩვენს მიწაზე

გააშენონ ჩაი? — უთხრა ილენკოპ ნასტიას.

— ოი, რას ამბობთ, ვლადიმერ პეტროვიჩ, ჩვენს მიწაზე რა გავახარებს ჩაის?!

— ჩვენ გავახარებთ, დაგვეხმარებიან მეცნიერები, ელენე, არჩილი, მთელი მოცენარი. ხომ ასეა, სანდრო ალექსეევიჩ? — მიუბრუნდა ილენკო სანდროს.

— ასეთი ლარპარაკი თქვენ ჩამოსვლამდე ჰქონდათ ჩვენს კოლმეურნეებს, — უთხრა სანდრომ ილენკოს. — მარტო ჩაი, კი არა ლიმონი, ფორთოხალი, მანდარინი და ხურმაც უნდა გავახაროთ თქვენს მიწაზე.

— ფორთოხალი და ლიმონი?! ლიმონი ჩვენთან?! — შესძახა ალტაცებით ნასტიამ. — ლიმონისა და ფორთოხლის ხეები ჩვენს მიწაზე. გახედავ ჩვენს თვალუწვდენელ ველს და ლიმონისა და ფორთოხლის ტყეები... აი, მათ მოკრეფას კი შევძლებ.

— აბა ენახოთ როგორი მკრეფავი ხართ, ნასტია, — უთხრა სანდრომ ნასტიას და ფორთოხლის პლანტაციისაკენ გაუძღვა სტუმრებს.

ფორთოხლის პლანტაცია ნაოდვარის გორაკზე იყო გაშლილი.

— ამ ადგილს ნაოდვარს ვეძახით, — უთხრა თავმჯდომარემ სტუმრებს, ნაოდვარზე რომ ავიდნენ. — ოღა ჩვენებურად სახლს ჰქვია, ისეთს, როგორშიაც ჩვენ ვცხოვრობთ. ამ გორაკზე წინათ თავადი ნაკაშიძე სახლობდა. მისი იყო მოცენარის მთელი მიწა-წყალი. თავადი გულქვა და ბოროტი იყო. მას გლეხი პირუტყვად მიაჩნდა, სულს ხდიდა კაცსა და ქალს. ხალხმა მისი ოღა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაშალა. ქვევით ჩაიტანა და სკოლა ააგო. ამ ადგილს სახელად ნაოდვარი დარჩა. აქ ფორთოხლის პლანტაცია გავაშენეთ. თუ წინათ ეს ადგილი შიშის ზარს სცემდა გლეხობას, ახლა იგი ჩვენი სიამაყეა. აი აქ იდგა ოღა, — უჩვენა სანდრომ სტუმრებს ნაოდვარზე და

ფორთოხლის ერთერთ ხესთან შეჩერდა. — ამაზე დიდი ხე შეგულს ვერაფერუნებოდაში მეორე არ არის. მასს შეგულ ფორთოხალი“ შევარქვით. იგი ხუთიათას ცალ ფორთოხალს იძლევა ყოველ წელიწადს.

— ხუთიათასს?! — წამოიძახა ილენკომ და მკლავები გაშალა გაოცებისაგან. — ნაყოფს შეხედეთ. რამოდენაა, — მოწყვიტა ერთი ფორთოხალი და ხელში შეათამაშა, მერე დაყნოსა. „მეფე ფორთოხალი!“ არა, ეს სახელი არ უხდება, რალაც უკეთესი უნდა მოიგონოთ.

— მოდით, ერთად მოვიგონოთ, — მობრუნდა ელენე სანდროსა და ილენკოსაკენ.

— ერთად? ძალიან კარგი, მაგრამ... ეს რომ ხორბალი, ან კარტოფილი იყოს, მე მაშინ არ გამიჭირდება, ეს კი ციტრუსია და ჩვენ გამოცდილება არა გვაქვს, — თქვა სიცილით ილენკომ.

— სანდრო ალექსეევიჩ, მოდით, „გამარჯვება“ დავარქვათ, — შემოიტანა წინადადება ნასტიამ.

— რატომ „გამარჯვება?“ — ჰკითხა მას ელოდიამ.

— განა „გამარჯვება“ არ არის, ელოდიამ, მოაშენო ასეთი ხე, — მიუგო ნასტიამ ელოდიას. — რომელიც ხუთიათას ცალ ნაყოფს იძლევა.

ნასტიას ერთხმად დაუპირეს მხარი.

— ჩვენ ამ ხეზე ჩამოკვიდებთ პატარა დაფას და დავაწერთ, რომ მას ეს სახელი უკრაინელებმა დაარქვეს, — უთხრა ლიმილით სანდრომ ნასტიას. — „გამარჯვება!“ დიდებულაა. აბა, მოკრიფეთ, ნასტია.

ნასტიამ ერთი ხელი ნაყოფის სიმძიმით მიწამდე დაზნევილ ტოტს მოჰკიდა და მეორით ძლივს მოწყვიტა ფორთოხალი. იგი იმდენად მსხვილი იყო, რომ არ ეტეოდა მის ხელში.

— უჰ, რა ძნელი ყოფილა თურმე. — ჩვენ მას ხელით არ ვკრეფთ, ნასტია, — უთხრა ელენემ ნასტიას, —



სპეციალური მაკრატლებით და დანით ვჭრით.

ქვევით, სერზე, ლიმონის პლანტაციას მოჰკრა თვალი ვალოდიამ.

— ლიმონი, აი ლიმონის ტყე, ნასტია, — უთხრა ნასტიას.

— არა, ოქროს ტყე, ვალოდია, შეხედეთ, როგორ ოქროსფრად ბზინავს, — შესძახა ნასტიამ და დაეშვა ქვევით, ვერ მოითმინა და გაიქცა, — ოქროს ტყე! — იძახოდა იგი და გარბოდა თემბის ფრიადობით.

გამოუდგა ელენე. მაშინ დაეწია, როცა ნასტიამ ლიმონის ხეთა მწკრივში ჩაირბინა.

— ელენე, თითქოს ზღაპარში ვარ, — ჰოხვია ხელები ნასტიამ და გულში ჩაიკრა მეგობარი. იგი ერთხანს ასე იყო განაბული და თვალეზღაბული. მერე დაილაპარაკა ჩუმად, ოცნებით: — იცი, ელენე, მე მათ უკვე ჩვენს ველებზე უბედავ. მიდიხარ, მიდიხარ და არ თავდება ოქროს ტყე, მიწა მოფენილია ლიმონით და გეშინია ფეხი არ დაადგა. შეხუნილული ტოტები ერთმანეთში ჩახლართულან და გეშინია არ შეეხო მხრებით, არ ჩამოცვივდეს ნაყოფი...

— ისინი არ ცვივიან, ნასტია. რამდენიც არ უნდა არხიო ტოტი, ერთი ნაყოფი არ ჩამოვარდება, — უთხრა ლიმონით ელენემ ნასტიას და ტოტს მისწვდა, მთელი ძაღლით შეარბია — ხედავ?

ამ დროს მოვიდნენ ილენკო, სანდრო, არჩილი და ვალოდია.

— თითო ხეს ათას ცალამდე ასხია, — ეუბნებოდა სანდრო ილენკოს და ვალოდიას. — აქ ყველა ხე ახალი ქართული ჯიშისაა.

სანდრომ შენიშნა, რომ ილენკო ყურს არ უგდებდა. იგი გარინდული იდგა და ერთ მხარეს გასცქეროდა მოჯადოებულებით. ყველანი იქით მიბრუნდნენ.

— ზღვა! — დაიძახა ნასტიამ და თითის წვერებზე აიწია, რომ უკეთ დაენახა იგი.

მწვანე ჩარჩოში ჩასმულ უზარმაზარ სარკეს ჰგავდა მზით დავერცხლილი ზღვა.

— აი, მარცხნივ რომ მოჩანს, ბათუშია, იქ კი — მარცხნივ, შორს — ფოთია, — უჩვენა სტუმრებს სანდრომ. — აქედან მთელი მოცენარი ჩანს. აქ, ამ ჰადრის ძირას, — უჩვენა სანდრომ ასწლოვან ჰადარზე, — ქვევრები ემარხა ნაკაშიძეს, ერთ მათგანში სამასი ჩაფი ღიწრო ჩადიოდა თურმე. ქვევრების გარშემო საქეიფო მინდორი იყო გაშლილი. ჰადრის ქვეშ იშლებოდა სუფრა. აქ მუდამ საამური სიო ჰქრის ზღვიდან. ნაკაშიძე აქ უმასპინძლდებოდა ზაფხულობით და შემოდგომაზე სტუმრებს. მთელ სოფელში ისმოდა ნაკაშიძისა და მისი სტუმრების სიმღერა. თურმე უფრო ხშირად „ალავერდს“ მღეროდა ნაკაშიძე, ეს მისი საყვარელი სიმღერა ყოფილა. გლეხი რომ მთელი დღე პანაქებაში თოხს ურტყამდა მიწას, ნაკაშიძე მისი ნაშრომით სხვას უმასპინძლდებოდა. ატირებული ბავშვი დედას რომ ჰადს სთხოვდა, აქედან „ალავერდის“ ლილინი ისმოდა. ხალხმა ამ ადგილს ალავერდი შეარქვა.

ისინი კვლავ ზღვისაკენ პირშექცევით იდგნენ და თვალს არ აშორებდნენ წარმტაც სურათს. ბათუმის და ფოთის ნავსადგურში რამდენიმე გემი იდგა რეიდზე. მათი პირფართო მილებიდან ნელა აღიოდა ცისკენ მჭრქალი კვამლი.

— რა წმინდაა, რა გამკვირვალეა სივრცე, ნუთუ მართლა გემებს ვხედავთ ამ სიშორეზე? — ვერ მოითმინა ბუნების სილამაზით აღტაცებულმა ნასტიამ და სანდროს თხრობა შეაწყვეტინა.

— ნამდვილად ხედავ, შვილო, — მოესმათ ჰადრის ძირას მდგარით კირილეს ხმა.

ყველანი მობრუნდნენ. კირილე მიუახლოვდათ მათ.

— ხანდახან, შვილო, ისეთი დღეც გამოერევა, რომ აქედან აღამიანსაც კი გაარჩევ ფოთის ნავსადგურზე, — უთხრა კირილემ სტუმრებს. რამდენი გეძებთ. გვიან გავივებ თქვენი აქეთ წამოსვლა, მოკლე გზით წამოვედი, მაგრამ მაინც გამასწარი. დაებერდი, მუსლები მალატობს.

— რამდენი წლის იქნებით, კირილე ბიძია? — ჰკითხა კირილეს ნასტიამ და მკლავი მოხვია მხარზე. ისე შეჰყურებდა, როგორც შვილი მამას.

— დიდი ხნისა ვარ, შვილო, მე და აი ეს ჰადარი ტოლები ვიქნებით. მე რომ ოცი წლისა ვიყავი, აქ დაბურული ტყე იყო, კარგად მახსოვს ეს ხე.

— თოფით ხელში ბევრი დამე გაუთენებია ფირალად გავარდნილ კირილეს ამ ჰადრის ძირში, — უთხრა სტუმრებს სანდრომ.

— როგორ თუ გავარდნილს? — ჰკითხა სანდროს ილენკომ. მან ვერ გაიგო რას ნიშნავდა ფირალი.

— გურულები ფირალს ხელისუფლებისაგან დევნილებს ეძახდნენ. ისინი ტყეს აფარებდნენ თავს.

— რატომ გდევნიდნენ თქვენ, ბიძია კირილე? — თავისაკენ მოაბრუნა კირილე ნასტიამ. — გვიამბე, კირილე ბიძია.

— ეჰ, გრძელი ამბავია ეს, ჩემო შვილო. სხვა დროს გვიამბობთ.

— არა, არა, ახლა, ახლა უნდა გვიამბოთ, სთხოვეთ ვლადიმერ პეტროვიჩი. — მოუბრუნდა ნასტია ილენკოს.

— გვიამბეთ, კირილე ივანოვიჩი.

ჰადრის ძირში მდგომარე წამოსხდნენ. კირილე შუაში ჩაისვენს.

— დღეს მოცნარში ექვსასი კომლი ცხოვრობს, შვილებო, — დაიწყო კირილემ, — ორასამდე ორასართულიანი ოდა დგას. მეფის დროს გლეხები ფაცხებსა და ჯარგვალეებში ეცხოვრობდით. ჩვენი მხარე მდიდარი იყო ტყით, მაგრამ ტყე შემამულეებისა იყო — ნაკაშიძეების, გურიელების, ქარცივაძეებისა და ჯაყელების. ჩვენ ერთი ტრეტის გამოტანა არ შეგვეძლო ტყიდან. მამისისხლად ყიდდნენ ხე-ტყეს თურქთა მოცნათ, დამუშავება არ შეგვეძლო. მთელ ჩვენს სასოფლო-სამეურნეო იარაღს თოხი და ცული შეადგენდა. ახლა ორი სახერხი ქარხანა მუშაობს მოცნარში. მიწაც შემამულეებს ეკუთვნოდათ. ჩვენ ვმუშაობდით, ჩვენი ნამუშევრის ნახევარი მიწის პატრონს მიჰქონდა. ჩვენი წილი სიმინდი და ლობიო ორ-სამ თვეს ძლივს გვეყოფინდა, ამიტომ იძულებული ვიყავით სამუშაოს საძებნელად ფოთში, ან ბათუმში წავსულიყავით მთელი ზამთრით.

— როგორ ჰგვანებია თქვენი გლეხის ცხოვრება ჩვენისას, — თქვა ილენკომ.

— ერთ წელიწადს ათი თვე მტვირთავად ვმუშაობდი ფოთის ნავსადგურში. სახლში ოცდაათი მანეთი მოვიტანე. ოცი მანეთი საწყალმა მამაჩემმა მკვალეებსა და გადასახადებში მისცა. იმ წელიწადს ჩვენზე ბედნიერი თუ იყო ქვეყანაზე სხვა, არ გვეგონა. არაფერი არაფერი გვემართა. სახლში კი ათი მანეთი გექონდა. ეს მთელი სიმდიდრე იყო მაშინ ჩვენთვის.

— ათი მანეთი? — ჩაეკითხა ნასტია.

— რომ შევადარებ ახლა დღევანდელი კოლმეურნის ცხოვრებას მაშინდელი გლეხის ცხოვრებას, თავი სიზნარში მგონია. წელს მე და ელენემ პირველ ნოემბრამდე რეაასი შრომადღე გამოვიმუშავეთ. შრომადღეზე ოცი მანეთი მივიღეთ ავანსად. თექვსმეტი ათასი მანეთი შემოვიტანეთ, შვილო, ოჯახში. წლის ბოლომდე კიდევ გამოვიმუშავეთ ასამდე შრომადღეს. სანდრო გვეუბნება, საბოლოოდ შრომადღეზე ოცდაათ მანეთს დავარიგებთო.

— ასე რომ, ოცდასამათას მანეთამდე მიიღებთ მამა-შვილი, — უთხრა ილენკომ კირილეს.

— ზოგი ისეთი ოჯახი გვეყავს, შვილო, რომ მეტსაც მიიღებს. ახლა მარც-

ელეული ვთქვათ. თითო ოჯახი ორ-სამ ტონა მარცვლელს მიიღებს, — გაჩუმდა წამით და შემდეგ მოგონებაში წასულმა ღიმილით დაილაპარაკა: — როცა ძველ დროზე ვლაპარაკობ, არ შემიძლია დღევანდელ დღეს არ შევადარო. არ იქნა, ვერ მოვიშალე. მართო მე არ ვაკეთებ ალბათ ამას. ყველა ასე იქცევა, ვისაც ის დუხჭირი ცხოვრება უნახავს. ჰო, რაზე მოვეყვები ეს ამბავი?

— რატომ გდევნიდნენ, ფირალად რად გაიჭერთ, — უთხრა კირილეს ელენემ.

კირილემ ყალიონი გააწყო, მოუკიდა.

— აი, იმ ბორცვს გადაღმა სოფელს რომ ხედავთ, — უჩვენა კირილემ ფერდობებზე შეფენილ სოფელზე, — ხრიალეთი ჰქვია მას. ჩვენ და ხრიალეთელებს საზიარო ეკლესია გქონდა. ეკლესიაში მღვდელი ბერიძე წირავდა. ეკლესიის შენობა ძველი იყო. სალოცავად კი არა, საქონლის სადგომად არ ვარგოდა. ბევრჯერ დაისვა თემში ახალი ეკლესიის აგების საკითხი, მაგრამ სად გქონდა ფული. ჩვენდა საუბედუროდ, ნაკაშიძემ ბერიძის და შეერთო. როგორ ეკადრებოდა თავადს ისეთი ცოლიძმა, რომელსაც წირვის დროს თავზე აწვიმდა. ერთ დღეს ნაკაშიძემ ერთად შეყარა ხრიალეთისა და ჩვენი სოფლის გლეხობა; თითო თუმანი მოგეთხოვა კომლზე ეკლესიის ასაგებად. რას ვიზამდით, მოგესხენებათ, ძალა აღმართსა ხნავსო. დიდი ვაი-ვაგლახით გადავიხადეთ ეკლესიის ასაგები ფული. ფული იმ პირობით ჩავაბარეთ მღვდელს, რომ ეკლესია ორი სოფლის საზღვარზე აეშენებინა. მღვდელიც და ნაკაშიძეც დაგვთანხმდნენ, მაგრამ მალე თავადმაც და მღვდელმაც სიტყვა გატეხეს. ეკლესიის აშენება ნაკაშიძის ეზოს მახლობლად, აი იქ, — უჩვენა კირილემ ნაოღვარის მარცხნივ სტუმრებს, — გადაწყვიტეს. დიდი ხანი დაობდა სოფელი და ნაკაშიძე. ბოლოს საწყ-

ყალმა მამაჩემმა ასე უთხრა მღვდელს: მოდი, ეფისკოპოსის მოვიწყობოთ და ჩვენ გადაწყვიტოს, თუ სად უნდა აშენდეს ეკლესიაო. სოფელიც და ნაკაშიძეც დათანხმდა ამაზე. თითო მანეთი კიდევ გადაგვადგვიანეს ეფისკოპოსის მოყვანის ხარჯისათვის. მესამე დღეს ფოთიდან ვილაც გარდაფხამე ამოიყვანა მღვდელმა. იმ დამეს ნაკაშიძესთან გაათია ღამე. ისმოდა თავადის განახჩახებულო დარბაზიდან „ალავერდი“. ეფისკოპოსი ისეთი მსმელი ყოფილა, რომ ნაკაშიძისთვისაც კი მოუტეხია კისერი. იმ წყევულმა მეორე დღეს აიღო თავისი სელჯოხი და ნაკაშიძის მიერ ამორჩეულ ადგილზე დაჰკრა — ღვთის ნებით ეკლესია აქ უნდა აშენდესო. ვისი ნებით იყო ეს გადაწყვეტილი, კი ვიცოდით, მაგრამ რა გვეთქმოდა. იმ დროს ხალხის მეტი წილი მორწმუნე იყო და დაუჯერეს ეფისკოპოსს.

ნაკაშიძემ და მღვდელმა იმ დღესვე დაიბარეს მთელს მაზრაში განთქმული ხურო — მელენტიკო ბარამიძე და იმას დაავალეს ეკლესიის აგება. გავიდა ხანი, აშენდა ეკლესია, მაგრამ უმრავლესობამ გადაწყვიტეთ, არ დავსწრებოდით ეკლესიის კურთხევას, ეკლესიაში არ გვევლო. ეკლესიის კურთხევაზე რომ არავინ მივიდა, ქალაქიდან მოსული ბლალოჩინი, რომელსაც ეკლესია უნდა ეკურთხებია და მღვდლისათვის უნდა ჩაებარებინა, გაბრაზდა და იმავე დღეს გაბრუნდა უკან.

— ყოჩაღ, ბლალოჩინო, — წამოიძახა ეალოდიამ.

— ის კი ყოჩაღად მოიქცა, მაგრამ ჩვენ ისეთი დღე დაგვადგა, მტერს არ უსურვებს კაცი. იმ დამეს ნაკაშიძეს მღვდელი, მამასახლისი დოლიძე და მოურავი მევარაკაცა შეუტრებია სათათბიროდ. ამ საქმის მოთავეები ჩხაბძეები, ავჯანდაძეები და გაბეჩავეები არიანო, უთქვამს თავადს მამასახლისისათვის. ისინი ამღერევენ წყალს, მათ ბათუმის და ფოთის რევოლუციონერებ-

თან აქვთ საქმე, ღვთისა და მეფის მო-  
ღალატეები არიანო. დღეს ეკლესია მი-  
გვიკეტეს, ხვალ სახლს ამოგვიწვავენ,  
უნდა მოვიშოროთ ისინი თავიდანო.

მამასახლისს ფერი წასვლია, ნაკა-  
შიძის გადაკიდებით თავს საფრთხეში  
ჩაიგდებდა. საქმარისი იყო თავადის  
ერთი სიტყვა მაზრის უფროსთან, რომ  
მამასახლისი გაეციმბირებინათ. ამიტომ  
დოლიძე მზად იყო ყველაფერი გაეკე-  
თებია, რასაც ნაკაშიძე ეტყოდა. — ეკ-  
ლესია უნდა დაწვეათ ამელამ, — უბრძა-  
ნებია ბოლოს მამასახლისისათვის თა-  
ვადს. — რას ამბობთ, თავადო?! — გა-  
ოცებულა მამასახლისი და შიშისაგან  
გაფითრებულა. — ეს ხომ სულის წაწ-  
ყმედა იქნება. „შენი სული დიდი ხა-  
ნია წაწყმენდილიაო“. უპასუხია თა-  
ვადს. იმავე ღამეს დაუბარებიათ მე-  
ლენტიკო ბარამიძე. ეკლესიის დაწვა  
მისთვის დაუვალეზიათ და ჯილდოდ  
ოცი მანეთი მიუციათ. თან დაპირები-  
ან, ახალ ეკლესიას ავაშენებებთ სო-  
ფელს და იმასაც შენ ავაგებინებთო.  
შუალამეზე ავარდა ცეცხლი ეკლესია-  
ზე. ფეხზე დადგა მთელი სოფელი.  
შეიქნა ქალების წვილ-კვილი, ძალ-  
ღების ყეფა. კინალამ ჩაიწივით ცეც-  
ხლში, მაგრამ ერთი ფიცარიც ვერ გა-  
დავარჩინეთ. დაიწვა საწყალი ხალხის  
ხოფლარი. ის ოხრები — ნაკაშიძე, მამა-  
სახლისი, მღვდელი და მევარკაცაც  
იქ ტრიალებდნენ, თავში ხელებს იშენ-  
დნენ. მეორე დღეს მაზრის უფროსი  
დაიბარა თავადმა. მთელი თემი შეჰყა-  
რეს. ნაკაშიძემ საჯაროდ განუცხადა  
მაზრის უფროსს: ეკლესია იმან დაწვა,  
ვისაც მისი აშენება არ უნდოდა, ვინც  
ხალხს აქეზებდა, ეკლესიის კურთხევა-  
ზე არ მიხვიდეთო. თურმე იმ გველს  
წინასწარ გადაეცა მაზრის უფროსისა-  
თვის დასაპატიმრებელთა სია. მოწმე-  
ბიც ეშოვნა. ისინი მე და ერთ ჩემს მე-  
ზობელს — კოწია ჩხაიძეს ვეადებდნენ  
ხელს. ეს ორი კაცი ჩემი თვალთ და-  
ვინახე, როგორ უყიდებდნენ ცეცხლს

ეკლესიასო, განაცხადეს მათ. გავგიკ-  
რეს ხელები ექვს კაცს და მამასახლის-  
ხეში ამოგვაცოფინეს თავი. — გავგვარ-  
ულე. შეილებო, სიტყვა, — თქვა კირი-  
ლემ და შეჩერდა.

ყველა სულგანბული უსმენდა, —  
სანდრო, ელენე და არჩილიც, თუმცა  
მათ ეს ამბავი არა ერთხელ ჰქონდათ  
გაგონილი სხვებისაგან, მაგრამ ყოველ-  
თვის დიდი ინტერესით ისმენდნენ მას.

— არა, რას ამბობთ, ბიძია კირი-  
ლე?! — შესძახა ნასტიამ, — განაგრ-  
ძეთ, ბიძია კირილე, — უთხრა თხოვ-  
ნით და უფრო ახლო მიიწია კირილე-  
საკენ.

კირილემ ჩამქრალი ყალიონი დაფე-  
რთხა, თუთუნით გატენა, მოუკიდა და  
განაგრძო: — ექვსივეს სამუდამო კა-  
ტორღა მიგვისაჯეს. ჩხაიძე და გაბეჩა-  
ვა გზაში დაიღუპნენ. ოთხმა ჩავალ-  
წიეთ ციმბირში. სამა წელიწადი ვმუ-  
შაობდით ლენის ნაპირებზე. ოქროს  
ვეებდით. მეოთხე წელიწადს მე რუს  
კატორღელებთან ერთად გამოვიქცეი.  
ისინი მუშა-რევოლუციონერები იყე-  
ნენ. ხარკოვში დაეცილდი იმ ოჯახ-  
აშენებულებს. დიდი ვაი-ვაგლახით მი-  
ვალწიე სახლამდე. ზო, მართლა, ახლა-  
და მომაგონდა მე გამოსტერებულს,  
ნასტია, ნენა, შენი გვარი რომ მითხ-  
რეს, სულ იმაზე ვფიქრობდი, რომ მე-  
თქვა შენთვის, ერთი მათგანი შენი მო-  
გვარე იყო — შუმილო, იმან გადამარ-  
ჩინა სიკვდილს, თორემ ახლა ჩემი  
ძელები ლენის ნაპირებზე ემარხებოდა.

ნასტიას წამით სუნთქვა შეეკრა. კი-  
რილეს მუხლებზე მოხვია ხელები.

— რა ერქვა, ბიძია კირილე, იმ შუ-  
მილოს?

— ნიკიტა ერქვა, ნენა, ნიკიტა შუ-  
მილო.

— მამა! — წამოიძახა ნასტიამ და  
მოეხვია კირილეს. — ჩემი მამაა ნიკი-  
ტა, კირილე ბიძია.

— რას ამბობ, ნენა! — შესძახა კი-  
რილემ და გულში ჩაიკრა თავისი მე-  
გობრის და გადამრჩენის ქალიშვი-

ლი. — ნიკიტას ქალიშვილი ხარ, ნენა, ჩემი ნიკიტას გოგო ხარ, შვილო?

ყველა გაკვირებული შეჰყურებდა კირილეს და ნასტიას.

— ცოცხალი თუა, შვილო, ნიკიტა, მითხარი ჩქარა, ნენა.

— ცოცხალია, ბიძია კირილე, ფერმის გამგედ მუშაობს მამა. წამოსვლისას კი მითხრა, საქართველოში ბევრი მეგობარი მყავსო, მაგრამ რას ვიფიქრებდი, რომ თქვენ...

— ჰო, ნენა, ციმბირში ბევრნი ვიყავით ქართველები. ნიკიტა ქართველს და უკრაინელს ერთმანეთისაგან არ არჩევდა. ძმასავით უყვარდა ქართველები... მამ ცოცხალია ნიკიტა? ისეთი ბრგე და ჯანმრთელი ვაეკაცი იყო, თავისი სიკვდილით ის არ მოკვდებოდა.

— როგორ გაეხარდება, თქვენს ამბავს რომ ვეტყვი, კირილე ბიძია.

— გაეხარდება, ნენა, გაეხარდება ნიკიტას ჩემი ამბავი. სანდრო, ნენა, აწი ისე არ მინდა მოკვდე, რომ ნიკიტა არ ვნახო, — უთხრა კირილემ სანდროს.

— ნახეთ, კირილე ივანოვიჩ, — მამართა კირილეს ილენკომ, — გვესტუმრებით ჩვენ და თქვენი მასპინძელი ნიკიტა შემილო იქნება. აი, შეხვედრა ეს იქნება...

— ორმოცი წლის შემდეგ, ნენა, ორმოცი წლის წინათ დავშორდი ერთმანეთს ხარკოვის სადგურზე. რადღე დაგვიდგა მამინ, ნენა. ასე გვეგონა, ყველა ჩვენ გვიყურებდა, იცოდნენ, კატორღიდან გამოქცეულები რომ ვიყავით... ჩამოვედი სოფელში, მაგრამ ნახევარი სოფელი არ დამხვდა. ვისაც შეეძლო მუშაობა, ქალაქში წასულიყვნენ ლუკმა-პურის საქმზნელად. ერთ ნაწილს კარგა ხანი ემუშავა როტმილდისა და მანთაშევის ქარხანაში, მაგრამ გაფიცებში მონაწილეობის მიღებისათვის სამუშაოდან დაუთხოვიათ. მათ ახალთაობის ცეცხლი ჩამოეტანათ სოფელში. ნაკაშიძე ღამე გარეთ ვერ გა-

მოდინდა თურმე მათი შიშით: ყოველ ნახიჯზე ახალთაობის ხალხი ედგებოდა. ეკლესია მეორეჯერ დაშენდა თურმე ნაკაშიძემ ხალხს. გაზაფხული იყო, სოფელში რომ დაებრუნდი. ჰყვარდა მთა და ბარი, გზიდან ფეხს თუ გადადგამდი, მერე არაფრის შიში არ უნდა ჰქონოდა ადამიანს. რაც არ უნდა დაგეშილი მდევარი გამოგდგომოდა, შენს ასავალ-დასავალს ვერ მიაგნებდა. იმავე ღამესვე მივეცი ტყეს თავი. ხუთი წელიწადი ვაფარებდი მას თავს, — კირილე შეჩერდა, ამოიხზრა.

— ის თქვი, კირილე, როგორ გამოირკვა, თუ ვინ დაწვა ეკლესია, — უთხრა სანდრომ.

— ტყეში მე სხვა ფირალებს შევეერთდი. მეგრელიძე იყო ჩვენი ხელმძღვანელი. ნასწავლი კაცი იყო, ბათუმის ორგანიზაციასთან ჰქონდა კავშირი. მისი ოჯახი ნაკაშიძეს დაესმინა და ყველაფერი გადაუწვეს. წარბი არ შეუხზრია ამ უბედურებას მისთვის. ჩვენ რამდენჯერმე გადავწყვიტეთ ნაკაშიძის მოკვლა, მაგრამ მეგრელიძე ყოველთვის წინააღმდეგი წავიდა: ისედაც გამბორტებული რეაქცია ნაკაშიძის მკვლელობას ხალხის აწიოკებით უბასუხებსო. გავიდა ხანი და ერთ მშვენიერ დღეს ასეთი ამბავი გვიამბო მეგრელიძემ: გუმინწინ მელენტიკო ბარამიძის წერილი მივიღე. თურმე მელენტიკო სამტრედიის გზაზე ფოსტას დაეცემა. ნაკაშიძეს უთქვამს, დიდძალი ფული მიაქვსო ფოსტას. ვერ დახვედრია მარჯვედ. თურმე ნაკაშიძეს მისი თავიდან მოშორება ნდომებია და გაუცია. ჩაფრები მომზადებული დახვედრიან და გაუკოჭავთ. ციხიდან მწერს წერილს: შენ ამ წერილს რომ მიიღებ, მე ალბათ ჩამოხრჩობილი ვიქნებიო. აღსარებას გწერს ის უბედური. ეკლესია მას დაუწვევს ნაკაშიძის დავალებით. შენდობას გვთხოვს. მე ცრემლი მომადგა თვალებზე ამის გაგონებაზე. მე-თაურმა შემნიშნა და გაკვირვებით

მკითხა, რა დაგეპართა, კირილეო. ჩემს უდანაშაულოდ დაღუპულ ამხანაგების ერთი-მეთქი. მეგრელიძეს თვალები რისხვით აეცსო. კირილე, შენ უნდა აილო მათი სისხლიო, მითხრა მოულოდნელად. ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. იმავე საღამოს მე და ერთი ჩემი ამხანაგი, გვარად ქადეიშვილი სოფელში შევიპარეთ, არჩილის მამა გოგია ვიხმეთ, იგი ნაკაშიძეს მოჯამაგირედ უდგა მაშინ, ჩვენი ორგანიზაციის წევრი იყო. ის გვაწვდიდა ცნობებს ნაკაშიძეზე. გოგიასგან გავიგეთ, რომ ხვალ ადრე დილით ნაკაშიძე ღორებზე სანადიროდ მიდიოდა „საკალანდო“ ტყეში. შავი ზღვის პირამდე ჩადიოდა ცაცხვის, კოპიტის, წაბლისა და მუხის უღრანი „საკალანდო“ ტყე. ცადაზიდულ ეკალ-ბარდით შემოსილ ხეებში ბზე თითქმის არ ატანდა. ტყე ნადიროთ იყო სავსე, მაგრამ „საკალანდო“ ყველაზე მეტად ღორებით იყო ცნობილი. ტყე ნაკაშიძის იყო. იგი არავის აძლევდა ტყეში ნადირობის უფლებას. მაგრამ თავზეხელაღებული ღარბი გლეხი ცხემლისჭრა დღეს აქ მოდიოდა ღორებზე სანადიროდ. არ ყოფილა, რომ ამ ტყიდან ხელცარიელი დაბრუნებულიყოს ვინმე. ნანადირევით დაბრუნებული გლეხი კალანდა ახალწელს რკოთი და წაბლით გასუქებული ღორით გამოაძღებდა თავის ცოლ-შვილს. ამიტომ შეარქვა ამ ტყეს ხალხმა „საკალანდო“.

„საკალანდოს“ ყოველი მტკაველი ჩემი ხელისგულივით ვიცოდი. იქ ერთი ვაკე ადგილი იყო, ის ჰქონდა ნაკაშიძეს სანადიროდ ამოჩემებული. ამ ვაკეზე მუხის მეტს სხვა ხეს ვერ ნახავდი. ისეთი ხეები იყო, ოცი ფუთი რკო ჩამოდიოდა თითო ტოტზე. ყველაზე მეტად ღორები აქ ბუდობდნენ. ამ მუხნარში ჩაეუსაფრდით მე და ქადეიშვილი ნაკაშიძეს.

ახალი გათენებული იყო, ხმელი ტოტების მტვრევის ხმა რომ შეგვესმა.

მოვეფარეთ ხეს. ტყის ბინდ-ბუნდში გამოჩნდა ნაკაშიძე. თოფმომარჯებულ კატასავით მოადგამრე მუხს. აქან თავისი მოურავი მევარკაცა მოუყებოდა. ქადეიშვილმა თოფი გადმოიღო და ის იყო უნდა ესროლა ნაკაშიძისათვის, რომ წამსვე ჩემსკენ მოიხედა, ძირს დაუშვა თოფი, მიხვდა, რომ დიდი ცოდვა იქნებოდა წაერთმია ჩემთვის სისხლის აღების საშუალება. არც მე დავაყოვნე. ვიშიშველ სატევარი და ის იყო უნდა გადაეხტომოდი ნაკაშიძეს, რომ ის უცებ მუხის ძირას ჩაწვა და სული განაბა. მევარკაცა კი სხვა ხეს მოეთარა. როგორც ჩანდა, მათ ღორი დაინახეს. მალე ტახის ქმენაც მოგვესმა, ვეებერთელა ღორი პირდაპირ ნაკაშიძისაკენ მიდიოდა, იმოდენა იყო ის ოხერი, კამეჩი გეგონებოდა სიბნელეში. როცა ტახი ოც ნაბიჯზე მოახლოვდა, ნაკაშიძემ თავისი ბერდენა პირდაპირ შუბლში ესროლა. ტახმა ერთბაშად უკან დაიხია, მერე ბზრიალასავით დატრიალდა. არიქა, ესროლე მევარკაცა! შესძახა თავადმა მოურავს. გავარდა მევარკაცას თოფი და ტახი მიწაზე დაცა უსულოდ. გაბარებული ნაკაშიძე წამოიჭრა და ტახისაკენ გაიქცა, მაგრამ მე წინ გადავუდექი. დამხედი გველო მეთქი, შევეუტიე. არ დაიბნა ის სულძალი, იმავე წამს იშიშველა სატევარი. რაღა ბევრი გავაგრძელო, ზედ დავაკალი ღორს. როცა ქადეიშვილისაკენ მოებრუნდი, დავინახე, რომ მას მევარკაცასათვის იარაღი აერთმია, წაექცია მიწაზე და მარჯვენა ფეხი მის ბუკებზე ედგა. ამ დროს რამდენიმე მხრიდან თოფის სროლის ხმა შემოგვესმა. ეტყობოდა, ნაკაშიძეს ბევრი მხლებელი წამოეყვანა ამ დილით. ისინი თავის გარშემო გაეფანტა და თვითონ თავის ამ საყვარელი ადგილისაკენ წამოსულიყო. ჩვენი დაყოვნება არ შეიძლებოდა. ქადეიშვილმა მევარკაცას უბრძანა—ერთი საათის განმავლობაში თავი არ აეწია. აქ ვართ ჩასაფრებული, თუ

დმერთი გაგიწყრა და გატეხე ჩემი ბრძანება, შიგ შუბლში გესვრი ტყვიასო. როგორც შემდეგ გავიგეთ, ის უბედური გულწასული გდებულა მიწაზე, ქადეიშვილი რომ ელაპარაკებოდა. არ მიყვარს ამ ამბის მოგონება. ძალიან წვრილად მოგიყვებით, შვილებო, — მოათავა თხრობა კირილემ და სტუმრებისკენ მობრუნდა. — ახლა ეს მითხარით, როგორ მოგეწონათ ჩვენი პლანტაციები?

ნასტიამ ანთებული თვალებით მიმოიხედა ირგვლივ. ოქროსფრად ბრწყინავდა ნარინჯით დახუნძლული ლიმონის ტოტები გარშემო.

— ამაზე უკეთესს რას მოიწონებს ადამიანი, ბიძია კირილე, — უთხრა კირილეს. — სანდრო ალექსეევიჩი ამბობს, თქვენს მიწაზედაც უნდა გავახაროთ ლიმონით.

— რატომ არა, შვილო. ადამიანის ხელი რას არ გააკეთებს. ჩემი გამოყვანილი ნერგები უნდა ჩაუტანო ნიკიტას. ჩვენ ხომ ერთ დროს ოქროს ვეძებდით ერთად. აი, ოქრო, შვილო.

— მართლაც ოქროა, ბიძია კირილე, ოქრო.

### 3.

სტუმრებმა ჩამოსვლის მეხუთე დღეს პარტორგანიზაციის მდივანს სთხოვეს, ცალკე ოთახი მიეცათ მათთვის სათათბიროდ. შალვა თავმჯდომარის ოთახში შეუძღვა მათ. სოციალისტური შეჯიბრებით აღებულ ვალდებულებათა შემოწმების შედეგების შეჯამება გინდაო, განუმარტა ილენკომ შალვას.

როცა გენიჩესკელები თავმჯდომარის ოთახში შემოწმების შედეგებს აჯამებდნენ და ახალი სოციალისტური შეჯიბრებისათვის მუხლებს ადგენდნენ, მეზობლად, პარტორგანიზაციის მდივანის ოთახში, მოცინარელებს ცხარე კამათი ჰქონდათ იმაზე, თუ თავის მხრივ რა ვალდებულებები აეღოთ მათ.

ერთი საათის შემდეგ ორივე თათბირი გაერთიანდა და კოლმეურნეობის საერთო კრების წინ წარდგინდა კლუბის დარბაზში.

უკრაინელები სათითაოდ გამოდიოდნენ და ერთნაირი გულწრფელობით და პირდაპირობით ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, რაც მოეწონათ და რაც არ მოეწონათ.

— თქვენ ძალიან ჩამორჩებით, ამხანაგებო, მეცხოველეობაში, — ლაპარაკობდა სტრუკი, იგი დინჯად დააბიჯებდა კრების წინ და ისეთი დამშვიდებით, ისე უბრალოდ ლაპარაკობდა. როგორც ალბათ თავის კოლმეურნეობაში სჩვევია. — მე პირდაპირ გამოთქვს თქვენმა ძროხებმა. პატარები, გამხდრები, თითქოს თხები არიანო. მე ერთ დღეს არ გავაჩერებდი ჩემს ფერმაში ასეთ სულდგმულებს. მათ ზარალის მეტი სარგებლობის მოტანა არ შეუძლიათ. ჩვენებს რომ ვუამბოთ, თქვენი ძროხა წელიწადში სამას ლიტრ რძეს იძლევა-მეთქი, სიცილით მოკვდებოდნენ. არა, არ დაიჯერებენ. ან როგორ შეიძლება დაიჯერონ, როცა ჩვენი ძროხები ხუთი ათას ოთხას ლიტრს გეძლევენ.

— რამდენით, პიატ ტისიაჩა ჩეტირესტა? — ჩაეეთხა არჩილს მის გვერდით მჯდარი აბესალომი.

— ხომ არ გვეტრებახება მაგ სტრუკი? — წასჩურჩულა მეორე მხრიდან არჩილს ილიკომ.

სტრუკი კი განაგრძობდა:

— ისეთი ძროხაც გვეყავს, რომელიც წლიურად რვა ათას ხუთას ლიტრს იწველის...

— დიდუ, ჯიქანი კი არა, ტიკი ჰქონია იმ დალოცვილს! — წამოიძახა გაოცებულმა ილიკომ.

— ძროხის სახელსაც მოგახსენებთ, ილარიონ ფილიპოვიჩ, — მოპრუნდა ილიკოს წამოძახილზე სტრუკი. — „მარია“ ჰქვია. როცა ახალგაზრდა იყო

ჩვენი „მარია“, თორმეტ ათას ლიტრს იწველიდა.

— რასაც ჩვენი ოცდაათობმეტი ძროხა ერთად, — დაიძახა ხალხიდან ფერმის გამგემ ქაიხოსრო ღლონტმა.

— აკი მოგახსენეთ, თქვენს ძროხებს, ქაიხოსრო სტეპანიჩ, მხოლოდ ზარალი მოაქვს თქვენთვის. ახლა ცოტა მოგვიხუცდა ჩვენი „მარია“, კბილები ჩამოცვივდა, მაგრამ ამით არ დაღონებულა, ლითონის კბილები ჩაუხსვივით.

— კბილები ჩაუხსევამთ ძროხისათვის?!

— აი, კია საკვირველი!

— ილიკოს ბარე თორმეტი კბილი აკლია და დღემდე ვერ ჩაისვა. — აჩურჩულდა ხალხი. გაისმა ხმადაბალი სიცილი.

სტრუქმა დაინახა, როგორ გაოცდნენ კოლმეურნეები „მარიას“ ლითონის კბილების ამბით, და თავმოწმონდ ჩაიღიმა.

— ჩვენ ერთი ისეთი ძროხაც გვყავს, ამხანაგებო, რომელსაც ორი ჩამტვრეული ნეკნის ნაცვლად ახალი ნეკნი ჩავედგით.

— არჩილ, — ვერ მოითმინა ილიკომ და თავისაკენ მიაბრუნა არჩილი, — აი სტრუქი ნამდვილად გვაბრძოლებს ამდენ ხალხს.

— ჩუმად, ილიკო, არაფერი წამოგცდეს, — ტუჩზე ხელი მიაფარა არჩილმა ილიკოს.

— აბა, რაფერ ბიძია, ნეკნების გამოცვლა რაფერ შეიძლება. მესერი ხომ არ არის, გატეხილი მესერის ადგილას ახალი ჩაასო.

— მე და თქვენმა მოანგარიშემ, ამხანაგმა გოგოშიძემ, — განაგრძობდა სტრუქი, — გუშინ გადავსინჯეთ საბუღალტერო ჩანაწერები, პირდაპირ სამარცხენო მდგომარეობა გაქვთ პროდუქტულობის საქმეში. ახლა თქვენი გადაუღებელი ამოცანაა ჯიშიანი ძრო-

ხები შეიძინოთ. ჩემი აზრით, თქვენს, პავას კარგად შეეგუება ჭვიცის მცრისები. ააშენეთ თბილად მზისქვეშა მათუნდა ჰქონდეთ განიერი ფანჯრები, მაღალი ჰერი. უნდა იზრუნოთ, როგორც უხეში, ისე კონცენტრული საკვების ბაზის შესაქმნელად. ჩვენ ამ საქმეში თქვენზე მეტი გამოცდილება გვაქვს და ამიტომ გელაპარაკებით ასე თამამად. როგორც ძმა — ძმას. ჩვენ ვნახეთ თუ არა თქვენი ფერმა, იმავე დღესვე გადავწყვიტეთ, დაგხმარებოდით ფურების ჯიშის გაუმჯობესების საქმეში. ეს ამბავი ჩვენს გამგეობას ვაცნობეთ დეპეშით და დღეს მივიღეთ პასუხი. ნასტია, — მიმართა სტრუქმა ნასტიას, — წაუკითხე ამხანაგებს დეპეშა, — სტრუქმა ფიზიდან ამოიღო დეპეშა, გულდასმით გაშალა და ისე გადასცა ნასტიას.

ნასტია წამოდგა, თმები გაისწორა, ჩაახველა და დაიწყო დეპეშის კითხვა: „საქართველო, მახარაძის რაიონი! მოცენარი, ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა. ილენკოს.

სტალინის სახელობის კოლმეურნეობის საერთო კრებამ ერთსულოვნად დაადგინა, ორჯონიკიძის კოლმეურნეობაში შვიცის ჯიშის მეტისების გასამრავლებლად საჩუქრად გავგზავნოთ ხუთი სული ბულა მწარმოებელი. ბულები ჩაიტვირთა ვაგონში და თორმეტ ნოემბერს სადგურ პარტიზანიდან გამოიგზავნა. საჩუქრების გადაცემა დაეცალეული აქვს პეტრე ნაჩალანს. გადაეცით ორჯონიკიძეებს ჩვენი გულითადი საღამო!

მუდამ ცოცხლობდეს სტალინური მეგობრობა ჩვენს ქვეყანაში“.

ნასტიას შემდეგი სიტყვები ტაშის გრიალმა დაფარა. მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა. გაისმა ვაშას შეძახილები. მოცენარელები მიდიოდნენ სტუმრებთან, ზოგი ხელს აბრძოლებდა მათ მადლობის ნიშნად. ზოგიც კოცნიდა. კრების თავმჯდომარემ ძლივს დაამშვიდა ხალხი. შემდეგ სტუმრებმა



ილაპარაკეს მოცენარის გზების მოუწყობლობაზე, მექანიზაციის სისუსტეზე.

სანდრომ მადლობა გადაუხადა სტუმრებს მათი შენიშვნებისა, წინადადებებისა და დახმარებისათვის. გააცნო მათ, თუ რა მდგომარეობაში იყო კოლმეურნეობა ამ წელიწადნახევრის წინათ.

— ჩვენ სწრაფად ვასწორებთ ჩვენს შეცდომებს მუშაობაში. ჩვენ დღემდე არა გვაქვს აბანო. — განაცხადა მან, — არა გვაქვს ისეთი კეთილმოწყობილი სამკითხველო, როგორც ჩვენს კოლმეურნეობას შეეფერება. წიგნებზე მოთხოვნილება დიდია, ჩვენი სამკითხველო კი ვერ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებას. ჩვენ თქვენი მითითებების და შენიშვნების შემდეგ კიდევ უფრო მეტი ენერჯიით მოვიკიდებთ ხელს საქმეს. — სანდრო სტუმრებისაკენ მობრუნდა. — თქვენზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა ჩვენმა პლანტაციებმა. ჩვენთან ციტრუსი და ჩაია მთავარი მეურნეობა. ამ დარგში ჩვენ კარგად გვაქვს საქმე... ამხანაგებო, თქვენ აქ ჩამოვსვლამდე ჩვენ გვქონდა ლაპარაკი იმის შესახებ, შეუძლია თუ არა ციტრუსმა იცხოვროს თქვენთან. ჩვენ ვიცით, რომ თქვენი ჰავა მკაცრია. ჩვენთანაც გამოერევა მკაცრი წელიწადი. ამიტომ დიდი ხანია ჩვენმა მიჩურჩინელმა ნესტორ კერესელიძემ დაიწყო ყინვის გამძლე ფორთოხლის, ლიმონისა და მანდარინის გამოყვანა. ის დღემდე ამას აკეთებდა კუსტარულად, თავის ეზოში. დღეს ჩვენ გვაქვს კეთილმოწყობილი სანერგე და სათბური. სანამ ჩვენ გამოვიყვანდეთ ისეთ ყინვისგამძლე ციტრუსებს, რომ მან კარგად იგრძნოს თავი თქვენს მიწაზე, ჩვენ გადავწყვიტეთ, გადავკეთოთ თქვენს კოლმეურნეობას ალავერდის სერის ხუთი ჰექტარი ლიმონის, მანდარინის და ფორთოხლის პლანტაცია.

— მე არაფერი მესმის, — გაცოცდა სტრუკი, — როგორ გადმოგვეცეთ? ეს ხომ ტექნიკურად შეუძლებელია.

— რატომ? — გაიღიმა სანდრომ, — თქვენ გექნებათ აქ პლანტაცია. მას მოეწევით ჩვენ. მოსავალს მოკვლევით. რად უკლებლივ გამოგიგზავნით თქვენ, გენიჩესკელ მეგობრებს.

სანდროს სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული და სტუმრები გონზე არ იყვნენ მოსული ასეთი საოცარი საჩუქრით, რომ არჩილმა და ისილო კვაკაძემ სცენის კულისებიდან გამოიტანეს ვეებერთელა აბრა. აბრაზე დახატული იყო ალავერდის სერის პლანტაცია. ზევით მარცხნივ და მარჯვნივ კუთხეში უკრაინულად და ქართულად ლამაზი ასოებით ასე ეწერა: „უკრაინის სსრ დნეპროპეტროვსკის ოლქის, ზინჩისკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ციტრუსების პლანტაცია. ლიმონი 1000 ძირი, მანდარინი 15000 ძირი, ფორთოხალი 1000 ძირი“.

ხალხი კვლავ წამოიშალა ფეხზე, კვლავ გაისმა მოწონების შეძახილები. ნასტია წამოიჭრა, გვერდში ამოუდგა ისილოს, ხელი მოხვია, ასევე მოიქცა ვალოდია შემილო, ის არჩილის გვერდით დადგა.

კრებამ გადაწყვიტა, ახლავე წაეღიოთ ნასტია შემილოს, ელენე ავეანდაძეს, ვალოდია ლიამენკოს და არჩილ სირაძეს აბრა და იგი ალავერდის პლანტაციის ჰექტრის თავზე აღემართათ.

ხალხმა გზა უტია. ხუთმა ახალგაზრდამ გაიტანა დარბაზიდან აბრა და ალავერდის პლანტაციისაკენ გაემართა. ხალხი დაწყნარდა და კრება განაგრძეს. შალვა ჩაჩავამ სტუმრებს წარუდგინა ვალდებულებები, რომელთა განხორციელებას კისრულობდა კოლმეურნეობა მომავალი წლისათვის. გაფორმებული იქნა მთელი კრების თანდასწრებით სოციალისტური შეჯიბრების ახალი ხელშეკრულება. ხელშეკრულებები უკრაინულ და ქართულ ენაზე იყო გაფორმებული. ხელის მოწერის შემდეგ ერთი წამით სიწყნარე ჩამოვარდა. თავმჯდომე-

მარეები ერთმანეთს პირისპირ იდგნენ მაგიდასთან, ხელში ხელშეკრულებები ეჭირათ და ერთმანეთს უღიმოდნენ, მერე ხელი მაგრად ჩამოართვეს ერთმანეთს.

არაეის დაუნახავს, ილიკო როდის გავიდა დარბაზიდან. ის იყო სანდრომ და ილენკომ ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს, რომ დარბაზში მძიმე ნაბიჯების ხმა გაისმა. ყველა კარისაკენ მობრუნდა. ილიკოს უშველებელ კასრში ჩარგული ლიმონის ხე მოჰქონდა. კასრი მკერდზე მიკრული ეჭირა და ორივე ხელი ჰქონდა შემოვლებული. ეტყობოდა, კასრი ძალიან მძიმე იყო, ხენეშით, სიმძიმისაგან სახედარანჭული, არეული ნაბიჯით მოდიოდა ილიკო სცენისაკენ. ასეთივე კასრი ეჭირა ნესტორ კერესელიძეს და უკან მიჰყვებოდა ილიკოს.

ხმა არაეის ამოუღია. ყველა ჩუმად აღევნებდა თვალს ნესტორსა და ილიკოს. როცა ისინი სცენაზე მივიდნენ, წამოეშველენ მათ და კასრები სცენაზე დაადგმევინეს.

ოფლი მოიწმინდა ილიკომ. შეხედა ნესტორს თხოვნით საცხე თვალებით, სიტყვა მე მათქმევიწყო, მაგრამ ნესტორმა პირველ რიგში მკადარ აბესალომ გოგოშიძეს შეხედა და ანიშნა, აბა დაიწყეო. აბესალომი უმაღვე წამოდგა. მას წინასწარ მზად ჰქონდა სიტყვა.

— ძვირფასო სტუმრებო, — დაიწყო მან რუსულად, — ორჯონიკიძის კოლმეურნეობის სანერგის კოლექტივმა მოგართვათ ეს მცირეოდენი საჩუქარი. მათ თითოეული თქვენთაგანისთვის გაშვადებული აქვთ ორი ასეთი ძირი ლიმონის ხე, — აბესალომი წამით გაჩუმდა, ლიმილით შეხედა სტუმრებს. — მე კხედავ თქვენს სახეზე გაკვირვებას, თქვენ ალბათ ფიქრობთ, ესენი ხომ ჩვენს ყინვას ვერ გაუძლებენო. რასაკვირველია, ვერ გაუძლებენ. ძვირფასო მეგობრებო, მაგრამ ისინი კასრებში იმიტომ ჩავსვით, რომ მათი ბინა იქნება არა ცისქვეშ, არამედ თქვენს თბილ

ხატაში. ყოველ ოჯახს შეუძლია ორი კასრი ლიმონი იქონიოს, რას მოგცემთ ეს თქვენ? ჯერ ერთი, ეფრემოვიძის რაციული მცენარეა, ზმტყმარებებს თქვენს ბინებს. მეორეც, მას თუ კარგად მოუვლით, ორას ცალამდე ლიმონი შეუძლია მოგცეთ თითოეულმა ხემ. თუ ოჯახს ორი ძირი ლიმონის ხე ექნა, ლიმონი თავზე საყრელად ექნება. ოთხასი ცალი ლიმონი, რაც გინდ დიდი ოჯახი იყოს, მაინც ეყოფა, — აბესალომი ისე გაიტაცა თავისმა სიტყვამ, რომ იგი მისდაშეუმჩნეველად სცენაზე ავიდა. — ისე უნდა მოგახსენოთ, ძვირფასო მეგობრებო, რომ ეს ნერგები ამხანაგ ნესტორს ყინვაგამძლე ჯიშებიდან აქვს შერჩეული. ნესტორი დიდი ხანია ყინვისგამძლე ციტრუსების გამოყვანაზე ზეშაობს. ეს ნერგები სამ-ოთხ გრადუსი ყინვის გამძლენი არიან.

— როგორ გამოიყვანათ ეს ყინვისგამძლე ლიმონი, ნესტორ ილარიონოვიჩი? — ჰკითხა ილენკომ ნესტორს.

— ახლავე მოგახსენებთ, — შესძახა აბესალომმა, შეეშინდა არ შემაწყვეტიხონო სიტყვა. იგი ისეთი კმაყოფილებით ლაპარაკობდა, ისეთ სიამოვნებას განიცდიდა, რომ მართლაც ცოდეა იყო შეეწყვეტინებინათ მისთვის ლაპარაკი. — ამ რამდენიმე წლის წინათ ჩვენთან მკაცრი ზამთარი იყო, — განაგრძო აბესალომმა. — ბევრი ციტრუსის ხე დაგვიზიანა ყინვამ. აღრე გაზაფხულზე ნესტორ ილარიონოვიჩმა ლიმონის ყველა პლანტაცია შემოიარა. განსაკუთრებით იმ ნაკვეთებს აკვირდებოდა, რომლებიც უფრო ცივი მიკრორაიონები იყო: რუსის პირები და ქარსაფარი ზოლებისაგან დაუცველი პლანტაციები. ასეთ ნაკვეთებში პლანტაცია შედარებით უფრო ძლიერ იყო შელახული. ამ ნაკვეთებში თითო-ოროლა ხისათვის ყინვას ვერაფერი ევნო. ნესტორ ილარიონოვიჩი ასეთ ხეებს ნიშანს ადებდა და აღრიცხვაზე აჰყავდა. მან ამ ცივი მიკრორაიონებში ორმოცდათი ძირი ლიმონის ხე

შეარჩია. ოთხმოცდაათ ათას ლიმონის ხეებში ეს ორმოცდაათი ხე სრულიად დაუზიანებელი იყო ყინვისაგან. რასაკვირველია, ეს ხეები შედარებით უფრო ყინვაგამძლენი იყვნენ. ნესტორ ილარიონოვიჩმა აიღო ამ ხეებისაგან კვირტები, დაამყნო და გამოიყვანა ნერგები. ეს ნერგები მან ყველაზე უფრო ცივ მიკრორაიონში დარგო. შემდეგი ზამთარი ამ ნერგებიდან რამდენიმემ გადაიტანა უცნებლად. ახლა ამათგან აიღო ნესტორ ილარიონოვიჩმა კვირტება და ისევ დაამყნო. ასე გაიმეორა მან ხუთჯერ. ძვირფასო სტუმრებო, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ნესტორ ილარიონოვიჩი სულ რამდენიმე წელიწადში ლიმონის ისეთ ნერგებს გამოიყვანს, რომლებიც გაიზარებენ არა მარტო თქვენს ბინებში, არამედ თქვენს თვალწინდელ ველებზე.

ილენკო დიდი ინტერესით უსმენდა ამესალომს, იგი თვალს არ აშორებდა ლიმონის ნერგებს.

„ჩემს კოლმეურნეობაში, — ფიქრობდა ილენკო, — ათასი კომლია, თუ თითოეული კომლი სახლში ორ ძირ ლიმონს იჭონიებს, სოფელს ორი ათასი ძირი ლიმონის ხე ექნება. და მართლაც, თუ თითოეული ძირი ორას ცალს მოიხსამს, სოფელი ყოველწლიურად ოთ-

ხასიათას ცალ ლიმონს მოკრავს. ეს პირდაპირ სასწაული იქნება უკრაინული სოფლისათვის“. ილენკის ეს სიტყვა მიაჩნდა შესაძლებლად. <sup>1930 წლის</sup> მომავალში ისეთი ჯიშის ლიმონის ნერგებს გამოიყვანდნენ, რომლებიც უკრაინის ჰავას შეეგუებოდა. „თუ უკვე მიაღწიეს იმას, რომ ლიმონი ადგილად იტანს სამ-ოთხ გრადუს ყინვას, რატომ არ შეიძლება მივალწით და გამოვიყვანოთ ისეთი ნერგები, რომლებიც კიდევ აიტანენ ოთხ-ხუთ გრადუსს. ჩვენ ასეთ ნერგებს ჯერ ტრანშეებში ჩავრგავთ, ხუთ-ექვს მუკრავად ქარსაცავ ზოლებს შემოვავლებთ, ასეთ პირობებში მათ გაუადვილებათ ჩვენთან ცხოვრება და ჩვენი ქვეყნის მკვიდრნი შეიქნებიან. ეს კი, როგორც ნასტია ამბობდა, მართლაც სასწაული იქნება. არა, სასწაული კი არა, ბუნების დამორჩილებაა ადამიანის მიერ, საბჭოთა ადამიანის მიერ... ხალხიდან ბევრი მარგალიტი წარმოიშობა. ეს რა უფიქრია ნესტორ ილარიონოვიჩის? რა უბრალო ხერხით ცდილობს იგი გამოიყვანოს ყინვაგამძლე ჯიში. აქ არა მარტო თავის მეურნეობაზე ფიქრობენ, ისინი ოცნებობენ, რომ ჩვენს ველებსაც მოედოს ციტრუსი. და ეს იქნება...“

(გაგრძელება იქნება)

## ბულაჩაურის წყალი

ბორცვილდება მშრომელთა ძალით  
საშვილიშვილო დიადი საქმე.  
ბულაჩაურის ანკარა წყალი  
მალე წამოვა თბილისისაკენ.

წამოვა, დენას არ შეაჩერებს,  
ვერადროს მოღლის მანძილი გრძელი,  
მალე ჩვენს თვალწინ ააჩანჩქერებს  
ზვირთებს მთის წყარო მაცოცხლებელი!

ეიშ, სიხარულმა გული გამსჭვალა,  
დიდება ხალხის დაუშრეტ ძალას!  
რომ გაგვაოცეს გმირობით კვალად,  
გზა გაუკაფეს ანკარა წყაროს.  
ჯერ ის ეწვევა რუსთავეის ქალაქს,  
იქ მშრომელები რომ გაახაროს.

სიამეს მოჰყენს ფოლადის კერას,  
ბალებს მოჰქარგავს ვარდყვავილებით.  
სადაც გაისმის ლითონის ელერა,  
მშვიდობას სკედენ შრომის შეილები.

შემდეგ წამოვა ჩხრიალით, თქეშით,  
დედაქალაქის კარს შემოაღებს,  
მოგვესალმება ხალისით, ეშხით  
და ზვირთთა ფერხულს აქ გააჩაღებს.

გულმკერდს სილაღით აუვისებს ბალებს,  
თვალებს ხიბლავდეს ხე გაფოთილი.  
ყელმოღერებულ მაღალ ზამბახებს  
აშრიალებდეს ნიავე გრილი.

ლაქვარდი ზეცის ტატნობი ვრცელი  
შუქს ჰყენდეს ახალ დღეთა დინებას,  
რომ შეჰხაროდეს ლალი ფრინველიც  
ჩვენი თბილისის ალორძინებას.

რომ შადრევნებმა გაიჩხრიალონ,  
 ააწკრიალონ ჰველი ლაქვარდი.  
 აპყვენენ ზვირთები კლდეებს ფრიალოს  
 და მთაწმინდაზე ახარონ ვარდი.



შორს გაიფანტოს დამწველი ბინდი.  
 მზეს ეამბოროს შხეფები ბროლის,  
 ბალნარად იქცეს მიწა მთაწმინდის,  
 ყვაეილთა სუნთქვით თრთოდეს ფოთოლი.

რომ მიწას მეტი მაღლი ეღირსოს  
 და ეზიაროს სილაღეს ახალს,  
 გული სიამით გაგვიხალისოს  
 საღამოობით მთაწმინდის ნახვამ.

გრილი ზეფირი დაუდგრომელი  
 ჰქროდეს სამგორის მწვეანე მთებიდან  
 და ჩვენი ქვეყნის ხალხი მშრომელი,  
 ზარობდეს ახალ გამარჯვებითა!

## ბელნიარი სამჯელრო

პიესა 4 მოქმედებად



მოქმედი პირნი:

- გოდერძი — კოლმეურნეობის თაყვადმარე სოფ. ტაბაკარში.
- რუსუდანი — ინჟინერი, გოდერძის მეუღლე.
- ჯუმბერი — ქარხნის დირექტორი.
- ივლითი — კოლმეურნეობის გამგეობის წევრი.
- გაიანე — კოლმეურნეობის ბრიგადირი, ივლითის ქალიშვილი.
- მურმანი — კოლმეურნე, შემდეგ ქარხნის მუშა-ოსტატი.
- ბათუ — მოხუცი, კოლმეურნე.
- ჯიბილო — სოფლის ახალგაზრდა, შემდეგ ქარხნის მუშა.
- გოგოთა — სოფლის ახალგაზრდა, შემდეგ ქარხნის მუშა.
- გიგი — კოლმეურნე, მქანიატორი.
- მაგული — გიგის მეუღლე, ქარხანაში მომუშავე.
- ელიზბარი — ქარხნის პარტორგანიზაციის მდივანი.
- ირაკლი — კოლმეურნეობის პირველადი პარტორგანიზაციის მდივანი.
- გოჩა — ინჟინერი, ოსტატი.
- პეროცევა — კოლმეურნე.

### მოქმედება პირველი

(კოლმეურნეობა „განთიადის“ გამგეობის ეზო სოფელ ტაბაკარში. გვერდით მაღალი მუხა. მოშორებით მოჩანს გამგეობის სახლი, ხილის საშრობი და საწყობები. სცენაზე ივლითი და გაიანე).

- ივლით — ერთხანს ეჭვით ეუყურებდი კოლმეურნეობაში შესს მუშაობას, ახლა კი ვატყობ, არ შემარცხვენ.
- გაიანე — გამარჯეება მარტო ის კი არაა, რამდენს ვიმუშაეებ, — რას ვაკეთებ.
- ივლით — ნაკვეთი კარგად გაქვს მოვლილი.
- გაიანე — მაინც დიდი საფიქრალი მაქვს, დედაჩემო.
- ივლით — საქმე რიგიანად გაქვს და ასე უმიზეზოდ რისთვის ოხრავ ნიადგ, გაიანე, ხომ არ მიძალავ რამეს. ახლა მოვდივარ აზრზე, ის ეშმაკი ხომ არ შემოგინდა!
- გაიანე — რომელი?
- ივლით — აი, ის ბიჭი.
- გაიანე — ეინ?
- ივლით — ხელ-ფეხი რომ ნათხოვარივით გამოაქვს ყანაში, სამაკვიტო კი ეხერხება.



- გ ა ი ა ნ ე — არა, რას მეუბნები, დედა? ბოლოს რომ ახალი დავალება მომცეს, ეს შემძიმება.
- ი ვ დ ი თ — რომელი?
- გ ა ი ა ნ ე — გეგმაში, რომ ახალი კულტურა შემომიმატეს.
- ი ვ დ ი თ — ჰო, იყო შენზე მსჯელობა პარტორგანიზაციაში და, როგორც მახსოვს, ურიგო საქმე არ მოგანდეს.
- გ ა ი ა ნ ე — ასეა, რადგან მოწინავე ქალი ხარ, გერიდება, რომ შეილზე მიკერძოება არ დაგწამონ და ჩემს საქმეში არ ერევი, მე კი გვარიან ტვირთს ვიტან. აი, შემოდი კანტორაში და ნახე — რა დამაკისრეს.
- ი ვ დ ი თ — რამ დავაფეთა, გოგო, მე რომ ხელი გამოვიღე, იმ დროს ყანაში ქალის ნახახიც არ იყო, მაგრამ ისეთი ზეავი დავაყენე, რომ მოსკოვში გამგზავნეს სტახანოველების შეკრებაზე.
- გ ა ი ა ნ ე — ეს ბევრჯერ გამიგონია. მაშინ თურმე ფაჩუნები ჩამომიტანე იქედან.
- ი ვ დ ი თ — ჰო, შენ მაშინ ამოიღვი ენა, მე კრებაზე გამოვედი პირველად სიტყვით და ძალიან გამიჭირდა ხმის ამოღება, მაგრამ, როგორც შენს ელტურტულს ზედებოდა ოჯახი სიხარულით, ისე მხიარულად შეხვდა ჩემს სიტყვას ხალხი და მაშინდელი ვაჟა ახლაც ქუხს ყურში.
- გ ა ი ა ნ ე — რა ბედი გწვევია, დედაჩემო.
- ი ვ დ ი თ — უწრომლად არაფერი არ მიმიღია.
- გ ა ი ა ნ ე — მაშინ, დედა, მუშაობის მეტს არაფერს არ ვთხოვდნენ.
- ი ვ დ ი თ — აბა ახლა სხვას რას ვთხოვთ.
- გ ა ი ა ნ ე — მე რომ დღეს გერანისა და ზორბლის კულტურა შემომიმატეს, მის მოსაველეად მარტო ოფლის ღერა არ მიშველის.
- ი ვ დ ი თ — კი, ჭკუაც უნდა.
- გ ა ი ა ნ ე — ჭკუასთან ცოდნაც.
- ი ვ დ ი თ — ჰოდა, სწავლობთ. ახლა სუყველა სწავლობთ.
- გ ა ი ა ნ ე — მეტი მჭირდება.
- ი ვ დ ი თ — მერე, მერე წელიწადია, რაც საშუალო დაამთავრე და უმაღლესში რად არ შეხვედი?
- გ ა ი ა ნ ე — შენც ხომ მირჩიე კოლექტივში მუშაობა.
- ი ვ დ ი თ — მე მინდა აქ დაწინაურდე და მერე შენმა საქმემ გაგაგზავნოს, სადაც გჭირდება.
- გ ა ი ა ნ ე — ჰოდა, ამას ეასრულებ.
- ი ვ დ ი თ — კარგია, თუ ასეა, მაგრამ ვაი თუ აქ სხვა რამისთვის ჩამორჩი, და თვალები მიბრმავდება.
- გ ა ი ა ნ ე — რაზე ამბობ?
- (შემოდიან ბათუ და რუსუდანი).
- ბ ა თ უ — აქაც არაა გოდერძი.
- ი ვ დ ი თ — რუსუდან, ბათუ, საიდან სად შეყრილხარო?
- რ უ ს უ დ ა ნ — აგერ ერთად ვეძებთ გოდერძის. დილას დალაპარაკება ვერ მოვასწარი, ისე წამოვიდა. ჩემი საქმის გაგება მეჩქარება.
- ი ვ დ ი თ — შენი საქმის?
- რ უ ს უ დ ა ნ — დიან, ახალი შენობის შესახებ, ფეხი ოჯახშიაც შედგება და მშენებლობაზედაც ვიმუშაებ.



- ივლით — კომისიამ არ გვირჩია, რუსუდან, იმ შენობის აგება.  
 რუსუდან — რატომ?
- ივლით — ნადრევათ მიაჩნიათ. ჩვენსავით არ ეჩქარებათ.  
 რუსუდან — გული დაიღია ამდენი მოლოდინით.
- ივლით — რას იზამ, თავი გაიმხნევე, გულს იმედი ინახავს.  
 ბათუ — მე დღეს ალბათ გოდერძის ნახვა არ მიწერია.
- ივლით — ძალიან გჭირდება?  
 ბათუ — დილას აქეთ დავეძებ, ერთხელ კიდევ ვნახე, შენი ქალიშვილის ნაკვეთში ჰყავდა კომისია.
- გაიანე — ჩემს ნაკვეთში?  
 ბათუ — ჰო, ნამუშევარს ამოწმებდნენ და იქედან სად დამეკარგა, ვერ გავიგე. ერთად კი მინდოდა თქვენი შეყრა, ივლით.
- ივლით — ალბათ შეიღების საკითხის გამო.  
 ბათუ — დიახ, ის ჩემი მეორე ბიჭიც აქვე მინდა ჩავაბა საქმეში, მასაც აგრონომიული განათლება აქვს.
- ივლით — რაიკომში გვექონდა წუხელის შენს ეაეებზე ლაპარაკი.  
 ბათუ — მერე?
- ივლით — ამ საღამოს გოდერძისთან მოვიყაროთ თავი და იქ ყველაფერს გეტყვით.  
 ბათუ — მაშ, რუსუდან, შენც შეახსენე გოდერძის, თუ ქალი ხარ.
- რუსუდან — ჰო...  
 ბათუ — ასე.  
 რუსუდან — ეჰ, რა იმედი გამიხუნდა!
- გაიანე — რა ექნა, ახლა უჩემოდ ვინ იცის, იმ ნაკვეთში რა მოეჩვენათ.  
 ივლით — აგერ მაგულიც...  
 გაიანე — ალბათ ჩვენი ნაკვეთიდან მოდის. შევეგებოთ, დედიკო, შევეგებოთ...
- მაგული — მაშ აღარ შელოდი, რუსუდან, ამ სოფელში?  
 რუსუდან — ჰო, ძალიან გამეხარდა, რომ ჩამოსულხარ, ალბათ გინდა ქმარს შეურიგდე. გაათავეთ ბუტიაობა?
- მაგული — ეს რთული საქმეა. შენც იცი როგორ გამამწარა.  
 რუსუდან — წინათ ვიციოდი, ბოლოს კი შენგან არაფერი მსმენია, ისე გაქრი. ეს კი ვაგიგე, რომ მთლად გაყრილი არა ხარ ქმართან და დროებით ქარხანაში შესულხარ.
- მაგული — დიახ, იქა ვარ და ბოლოს დირექტორისაგან შევიტყვე, რომ შენც გინდა ჩვენს ქარხანაში მუშაობა.
- რუსუდან — მართალია, მიეწერე ჯუშბერს, მაგრამ მერე გადავიფიქრე.  
 მაგული — რატომ, ნეტავ განახა, რა დიდი საქმეა. ნუ ყოყმანობ, რუსუდან, წამოდი, დროს ნუ კარგავ.
- რუსუდან — მე კი გირჩევე, ჩემო მაგული, თვითონ მობრუნდი აქეთ... აგერ ოჯახთან აღადგინე კავშირი და გარე საქმეებს მერე მოეკიდე.
- მაგული — არა, ამაზე სხვა დროს ვილაპარაკოთ, ახლა კი წამოდი. იქ შენი ინსტიტუტის ამხანაგებია. მათ მიამბეს, რა უნარი გაქვს და როგორ მარხავ.
- რუსუდან — არა, აგერ აქვე მინდა მოვეწყო კოლმეურნეობაში..  
 მაგული — ბოლოს არ ინანო.





რ უ ს უ დ ა ნ — დაიცა, სად აპირებ?

მ ა გ უ ლ ი — დეიდას მოვინახულებ და სახლში გამოვივლი.

ეროვნული  
გამყარების

(რ უ ს უ დ ა ნ ი და მ ა გ უ ლ ი მიღიან. შემოღიან გიგი და პეროქაევრა.)

გ ი გ ი — პეროქაევრა, ზომ დაინახე, მაგულიმ როგორ გამიმეტა.

პ ე რ ო ქ ა ე ვ რ ა — აბა, ყველას გვეგონა შესარიგებლად ჩამოვიდა. ის კი ხმალივითაა შენზე აღესილი.

გ ი გ ი — მერე რას მაბრალებს?

პ ე რ ო ქ ა ე ვ რ ა — უყურადღებობას, სიზარმაცეს, სიმჩატეს და რა ვიცი...

გ ი გ ი — ერთი სიტყვით, სწუნობს ჩემს ვაჟაკობას?

პ ე რ ო ქ ა ე ვ რ ა — ჩემი ქმარი პირველებში უნდა იყოს, ის კი მეველე გამხდარაო... და ნიჩაბზე გდებენ.

გ ი გ ი — მერე, სჯერა ვისმეს მისი ბუზღენი?

პ ე რ ო ქ ა ე ვ რ ა — ხალხი მას ამართლებს. მისთვის ჩამოგიარა ისე, არაფრად არ ჩაგაგდო.

გ ი გ ი — არა, მან შენთან რომ დამინახა, იმიტომ ასწია ცხვირი ვითომ, შანი მომიგო, ბედდაკარგულ ქალთან იქერ საქმესაო.

პ ე რ ო ქ ა ე ვ რ ა — ეს რა სიტყვაა, მე რა თქვენი ასაგდები ვარ.

გ ი გ ი — აბა, შენ რად ჩამოკაყუნე, ხალხი მაგულის ამართლებსო!

პ ე რ ო ქ ა ე ვ რ ა — რაც გავიგონე, ის ვთქვი.

გ ი გ ი — არა უშავს, დამაცადოს, ივდითის ქალიშვილს რომ ამოვიკრავ გვერდით, მაშინ დაკაკლავს თვალებს.

პ ე რ ო ქ ა ე ვ რ ა — ვის, გაიანეს? მეტი არ გითხრა!

გ ი გ ი — რა გიკვირს? გაიანეზე უკეთესსაც ვიშოვი, მთლად მზეთუნახავს ავიკიდებ მაგულის ჯინაზე. შენ ჩემი ამბავი არ გცოდნია.

პ ე რ ო ქ ა ე ვ რ ა — აბა, თუ რაშე შეგიძლია, სხვას ნუ ეძებ, გაიანეს ჩაველე ხელი და ისეთ ჭურებს მოგიხდი, ღვინის უნახავი იქვე.

გ ი გ ი — რატომ?

პ ე რ ო ქ ა ე ვ რ ა — ის გომბიო რომ არ შეჩხირებოდეს, მურმანს ჩემზე ამოსდის მზე და მთვარე.

გ ი გ ი — ჰო, მართლა, დაკარგული ქმრისაგან წერილი არ მიგიღია?

პ ე რ ო ქ ა ე ვ რ ა — საიქიოდან წერილი ვის მოსვლია?

გ ი გ ი — აკი გითქვამს გამოჩნდაო?

პ ე რ ო ქ ა ე ვ რ ა — ისე ვთქვი, ქვრივი რომ ვარ, ზოგიერთებს ჰგონიათ, რომ მათ საქმროს ვართმევ, და ეს ამბავი ორ-სამ ქალს დავაფარე ჩემად შხამიან კბილზე.

გ ი გ ი — ოო, მაშ, მურმანზე თუ გწყდება გული, ხელს შეგიწყობ. მაგრამ ღვინო სადა გაქვს, მამის გასვენებაზე არ ამოაშრე ჭურები?

პ ე რ ო ქ ა ე ვ რ ა — ნიგვზის ძირში ისეთი გულწიფელა მაქვს, მე რომ შენი ამბავი ვიცი, შიგ ბზიკივით ჩაიხრჩვები.

გ ი გ ი — ზომ იცი, მე ღვინოს ისე ვერ დავლევ, თუ ორი სამი ამხანავი არა მყავს.

პ ე რ ო ქ ა ე ვ რ ა — ყველას გეყოფათ.

გ ი გ ი — აბა, თუ ასეა, მურმანს ღვლეკით მოვიყვან ნიგვზის ძირში.

პ ე რ ო ქ ა ე ვ რ ა — შენ იცი... ერთი ქალი ვარ და შინ ვეწიო, თუ გარეთ. ვამჯობინე კოლექტივში არ ჩამოვრჩე და კარმიდამოს ხელს ვაკლებ.

- გ ი გ ი — კი, კარგი მოვლილი კარ-მიდამო დაგრჩა ცოდვას მისი წახდენა.
- პ ე რ ო ჟ ა ვ რ ა — ჰოდა, მურმანს ჩემსავეთ ვინ შეჰყვარის, რაღაცეებზედ რომ იტყუებს თავს, მეცოდება. ის რომ გვერდში ამომიდგეს, ჩემს უკმარისებას მოს ყურადღებას არ მივაკლებდი და მასაც მთელს კოლექტივში, მტრის ჯინაზე, სასახლო მეურნედ გავხდიდი, — მაგრამ რა ექნა, ჩვენ შორის ორმოს თხრიან... ვითომ მოაწყობ რამეს?
- გ ი გ ი — მოაწყობა რა ჩემი საქმეა. მე ავამღვრე და მერე ამღვრეულში შენი ბადე გაშალე.
- პ ე რ ო ჟ ა ვ რ ა — გოდერძი მჭირდება და ჩემი ცოდვით საცეს, არ ჩაუგდია ხელში. იქით დაეუცდი.
- პ ე რ ო ჟ ა ვ რ ა და გ ი გ ი მიდიან. შემოდინ გ ო დ ე რ ძ ი, გ ა ი ა ნ ე და ი ვ დ ი თ ი.
- გ ო დ ე რ ძ ი — ყურადღებით დაეათვალიერე შენი ნაკვეთი, გაიანე.
- გ ა ი ა ნ ე — მერე?
- გ ო დ ე რ ძ ი — კარგია, ყველას მოგვეწონა.
- ი ვ დ ი თ — ეს კი ლელავდა.
- გ ო დ ე რ ძ ი — მართლაც უმუშავია შენს ქალიშვილს, გარდა სათბურისა, პურის ჯიშებზეც ნაყოფიერი ცდა აქვს, მხოლოდ მურმანმა ვერ გაამართლა ჩემი მოლოდინი, უნარი მაინც არ ჰქონდეს, თავის ნორმის შესრულებით ემყოფილდება. მე კი მეგონა, გეგმების გადამეტებით შესრულებაში მაგალითის მიმცემი იქნებოდა.
- გ ა ი ა ნ ე — რა ვიცი, ყოველგვარ დავალებას იღებს... ზოგს საკეტებს უკეთებს, ზოგს სხვა რამეს...
- გ ო დ ე რ ძ ი — ისეთივე გულმოდგინებით რომ მუშაობდეს თავის ნაკვეთში, პირველი სტახანოველი იქნებოდა.
- გ ა ი ა ნ ე — კლუბშიც ბევრს მუშაობს...
- გ ო დ ე რ ძ ი — მერე რა გამოვიდა. ტყუილად ყრია იქ მისი ნახელავი თოჯინები. თავშესაქცევში ჰკარგავს უნარს.
- ი ვ დ ი თ — დიახ, ყველგან უნაყოფოდ ჩალიჩობს.
- გ ა ი ა ნ ე — შენ, დედა, მე რომ თანავეუგრძობ, ესეც გაბრაზებს.
- ი ვ დ ი თ — მართალია, არ მსიამოვნებს რომ ამნაირად იცავ. ის რომ — სახე-ირო ყოფილიყო, სახელოსნო სასწავლებლის დასრულების შემდეგ სოფელში არ მოირთხავდა ფეხს.
- გ ო დ ე რ ძ ი — გამგეობაშიც ყველა იმ აზრისაა, აქ ნუ ებორკავთ, და გავუშვათ ქარხანაში.
- ი ვ დ ი თ — კომკავშირის კომიტეტმაც ისე დაადგინა, მაგრამ, მე მგონია ვერც იქ გახდება რამეს.
- გ ო დ ე რ ძ ი — აგერ თვითონაც მობრძანდება.
- ი ვ დ ი თ — ვნახოთ რა აქვს სათქმელი.
- გ ა ი ა ნ ე — რა კარგ გუნებაზე ხარ, მურმან.
- მ უ რ მ ა ნ — დაღონება რას შევლის.
- გ ო დ ე რ ძ ი — ეს რა გამოგითლია, ემაწვილო.
- მ უ რ მ ა ნ — ჩონგური.
- გ ო დ ე რ ძ ი — ჩონგური?
- მ უ რ მ ა ნ — დიახ.
- გ ა ი ა ნ ე — მართლა რა მშვენიერია...

- გოდერძი — არა, ჩვენ, რასაკვირველია, არაფერს არ გიშლით, როგორც გინდათ! თუ გინდა, ეშმაკი გამოთალე.
- გაიანე — კი, მაგრამ ამის დრო გქონდა, მურმან?
- მურმან — დრო? ზოგი დრო ძილს წაეპარათ.
- გოდერძი — ჩვენ გეაოცებს, ამით როგორ ერთობი, როცა მოხუცებმა გაგასწრეს თავის ნაკვეთის მოვლაში. არა, მე პირდაპირ გეტყვი, მურმან, ცუდ მთავართან აძლევ ახალგაზრდობას.
- მურმან — ცუდ მთავართან? ეს რა სიტყვაა. არ ვიცი, რას დავაკელი ხელი?
- გოდერძი — რას დავაკელი ხელი და, ასე თუ იმუშავე, ჩემო ძმავ, და ჩვენმა ახალგაზრდებმა შენ მოგბაძეს, აუთვისებელი ნაკვეთები კი არა, ათვისებულად წაგვიხდება. ჩემი რჩევაა, იქ წახვიდე, საითყნაც გული მიგიწევს.
- ერმილე — ამხანაგო გოდერძი, ქარხნის დირექტორი ჩამოვიდა და ჩვენი პარტორგანიზაციის მდივანი, ამხანაგი ირაკლი, გთხოვთ ამობრძანდეთ.
- გოდერძი — ვინ ჩამოვიდა, ჯუმბერი?
- ერმილე — დიახ, მას ქარხნიდან მოჰყვა ელიზბარცი.
- ივლით — ჯუმბერს მეც ვინახულვებ.
- მურმან — ამხანაგო გოდერძი...
- გოდერძი — მამ წავიდეთ! (ივლითი და გოდერძი. მიდიან).
- გაიანე — აი, ხომ ხედავ. გეგმის გადაჭარბებას გთხოვენ, შენ კი ნორმით ემყოფილდები.
- მურმან — მერე?
- გაიანე — ის ომის გმირია, სახელს უფროთხილდება და შეეცდება კოლექტივიდან მოგიშოროს.
- მურმან — ეჰ, სხვა რამესაც მაწვეთებენ. ისინიც კი არ მზოგავენ, ვისაც უფასოდ ვუკეთებ ზრდაცეხს. ამ სოფელში აღარ დამედგომება... მაგრამ, როცა ჩემი ხათრით შენ აქ დარჩი, მე სად გაგეტყე.
- გაიანე — მე ხომ აქ საქმეში ჩავები, შენ კი, მურმან, უფესეო ხესავით თუ ამომიდექი გვერდით, ქარი წაგიღებს.
- მურმან — სადმე მოვერგები, ნუ გეშინიან.
- გაიანე — სად?
- მურმან — ენახოთ. შენი გულისთვის მე ბევრნაირ კალაპოტში გავიმართები.
- გაიანე — რა ვიცი, მე ისე მინდა შენი წარმატება, ჩემი საქმით დაღლილს რომ დამეძინება, სულ შენი მუშაობა მესიზმრება.
- მურმან — ეჰ, ქალები ხომ ასეთები ხართ! კაცზე მეტად თუ გაისარჯეთ, სიზმარშიც გელანდებათ.
- გაიანე — რას ამბობ, რამე სენმა თუ დაგჩაგრა, ხელზე გატარებ, მაგრამ შოლტივით ბიჭი რომ სასაცილო გახდეს, ასეთი — უბედურება სიზმარში კი, არა მგონია, საფლავშიც ჩამყვებოდა.
- მურმან — ეჰ, მე სხვა არაფერი უბედურება არა მჭირს, რასაც შენგან არ ვიტან.
- გაიანე — მე ბრალს რაში მდებ?
- მურმან — ასე კარგი რომ ხარ.
- გაიანე — კარგი ვარ?
- მურმან — საკვირველი ხარ, გაიანე.
- გაიანე — ვითომ ჩემზე კარგი არაეინაა!
- მურმან — არა, გეფიცები.



- გაიანე — შენ გძინავს და გაიღვიძე. ჩემს მეტმა არავინ იცის, რა კარგი იქნები, როდესაც გაიღვიძებ, მურმან.
- მურმან — მე ცხადზე უფრო გაბედულად, სიზმარში გეაღვლებოდა, რომ ტომ მიყვარს ძილი.
- გაიანე — შენ ხუმრობ. მე კი სულ სიღინჯეს ვთხოვ.
- მურმან — ის დღე როდის დადგება, რომ შენთან ივდიოთ ახლო ვიყო.
- გაიანე — მაგას ხომ მეც ვკითხულობ, როდის, როდის იქნება!
- მურმან — მომეცი ხელი, გაიანე. ახლა კაპეტში წავიდეთ, იქ ჩვენი საყვარელი ყვავილები ამოსულა, მე ლამაზ თაიგულს შევეკრავ და ამ ჩონგურსაც ავაწყობ.
- გაიანე — ის თაიგული დილაძე დაჰყვება, მე კი შენგან ასე ხანმოკლე სიზმარულს არ ველოდი. მომავლისაკენ უნდა გავიხედოთ, თუ არა.
- მურმან — შენ იცი, გაიანე, რომ მე სახელოსნო სკოლაში კარგად ვსწავლობდი და, რაც იქ შემეყვარდა, ის საქმე შორსაა, ქარხნებშია.
- გაიანე — რომ მოგენდომებინა, ეს არაფერს გიშლიდა — იქიდან მობრუნებული ამხანაგები სოფლად მოწინავეები.
- მურმან — დაწყნარდი გაიანე... აი, შენ პატივსაცემად ჩონგური გამოვთალე, წინდა, ეს შენ ააქლერო და ის ხმები გამაგონო, რომელთაც ჩემს გულში ბადებ.
- გაიანე — რაც უნდა ტყბილად მთხოვო, მურმან, კაპეტში ვერ წაგყვები, საქმეები მაქვს. ისე, აქ წალკოტშიც კარგი ყვავილებია. ეს ჩემი სათბურიდანაა, დაგვებო, როგორ გაიხარეს.
- გაიანე და მურმანი ზიანს. შემოდან ჯიბილო და გოგიტა.
- ჯიბილო — რამოდენა გზა მოვიარეთ, გოგიტა, ამ დილაზე. ე, მურმანიც აქ ყოფილა.
- გოგიტა — აბა, ჩემო ჯიბილო, ეს რკინა რომ ვნახეთ, მურმანს ვაჩვენოთ. იქნება აქედან რამე გაგაქეთებინოს.
- ჯიბილო — ჯერ დაიცა, საცოლესთანაა.
- გოგიტა — მერე, რა უშავს!
- ჯიბილო — შე შტერო, მზესავით ქალს კაცი უყურებს და ესია მოვნება ახლა, შუაში რომ ჩავეჩხიროთ?
- გოგიტა — აბა, რა ექნათ?
- ჯიბილო — თვითონ დაგვიძახებს!
- გოგიტა — მაინც რა ბედნიერია მურმანი: ხელი ოქროსი აქვს, თავი ჭკვიანზე ჭკვიანი, და მარგალიტით საცოლეს გაიჩინა.
- ჯიბილო — მაგან კი გაიჩინა, დედამ თუ შეარჩინა.
- გოგიტა — დედა ვითომ რას უზამს.
- ჯიბილო — ვერაფერს, თუ გაიანესაც უყვარს.
- გოგიტა — მაგას ვინ არ შეიყვარებს.
- ჯიბილო — ეჰ, ქალების ამბავი შენ არ იცი.
- გოგიტა — შენ კი, მამა გიცხონდა, პეპლებით გეხვევიან და დიდი გამოცდილი ხარ.
- ჯიბილო — ვიცნობ ქალებს. მე არ მიყურებენ, თორემ მე მაგათ, აგერ, ორი წელიწადია, სულში და გულში ვუჭვრეტ.
- გოგიტა — მერე?
- ჯიბილო — ეშმაკებია.



გოგიტა — მაშ გაიანე მურმანს მოატყუებს?

ჯიბილო — თუ არ შემოუარა...

გოგიტა — შემოუვლის მურმანს რა ხელი აქვს, ჯირკს სათამაშო და ქალს ვერ გამოიყვანს ჯაყვაში?

ჯიბილო — ვინ იცის!

გოგიტა — რატომ?

ჯიბილო — შენ ხომ გაიგონე, გაიანე ბათუს უნდა რძალდი! მის შვილებს ახლა კოსტუმები აქვთ, მურმანს კი ჭკუით სავსე თავზე ქუდის დახურვა უჭირს.

გოგიტა — მაგის ნუ გეშინია. თავს ქუდზე უფრო მაინც ჭკუა ამშვენებს.

ჯიბილო — ერთი, გოგიტა, ამ ხეზე შევეცოდეთ.

გოგიტა — რისთვის?

ჯიბილო — ბებია რომ ფითრი დამაბარა, იქაა, ხომ ხედავ, ვასიამოვნებ ბებერს.

გოგიტა — კი, წვერზე მოვექცეთ, იქიდან კარგი გადასახეღია!

(ჯიბილო და გოგიტა მუხაზე ადიან).

გაიანე — (უცბად) ჰო, მართლა, მურმან, მალე აქ კომისია შეიყრება და ამ ჩონგურით მაინც ნუ შეხვდები.

მურმან — მაშ, რა ვუყოთ? (ხიდან ჩამოვარდება ფითრი). ოო, აგერ ბიჭებიცა და გავატან.

გაიანე — ამით აქ რა უნდათ! წელან მანქანიდან სამუხიაში დავინახე. იქიდან რას ამოუყვებით, თქვე ცეტებო...

გოგიტა — საკუთარ ფეხებს.

გაიანე — ყოჩაღ!

(ბიჭები მარად იწევენ ჩამოცეხას).

მურმან — სამუხიაში რა უნდოდათ?

გაიანე — რა ვიცი. ან ამ ხეზე რა ეშმაკს აყენენ.

(გოგიტა და ჯიბილო ჩამოვიდნენ მუხიანი).

ჯიბილო — გამარჯობათ!

მურმან — თქვენ აწი კაცები ხართ, შვიდწლელი დაგიმთავრებიათ, ხელობას ეწაფებით, და მუხის წვერზე რამ დავსხათ ყვავებივით.

გოგიტა — ფითრი მოვქერით.

მურმან — რისთვის?

ჯიბილო — ბებიას სჭირდება წამლისთვის და წაუღებთ.

მურმან — ოო!... ბებიაშენის წამალი ვის არგებს, მაგრამ მუხას კი მოუხდება ფითრის მოშორება.

გოგიტა — ახლა ერთ რამეს გაჩვენებთ, მურმან, ეს რკინა ებოვეთ თავისი ხრახნილით, რაღაც მანქანისაა, და არ გამოგადგება?

მურმან — არა უშავს... კარგია, მერე გეტყვით, რაზე შეგიძლიათ გამოიყენოთ. ეგ სახლში წაიღეთ და ჩონგური კი ჩემსას მიიტანეთ.

ჯიბილო — ეს ძვირფასი რამეა.

გოგიტა — ვიცი, ეს მასალა პეროვავრას მამას, იმ ბებერ ოსტატს, ორმოცი წლის წინათ გაუმზადებია საჩონგუროდ.

მურმან — ჰო, ასეა, საიდან იცით? მიწაში რაა, ის არ გამოეპარებათ.

ჯიბილო — მის გასვენებაზე თქვენს.

გოგოტა — ასე ამბობდნენ, კარგი მოხელე იყო, მაგრამ ქალიშვილი ვერ გამოუვიდა ნახელავით.

მურმან — ეს რა თქვენი სალაპარაკოა. ჩონგური გამომართვეთ და მოხელე ნუ დადიხართ ამ სოფელში მიწის მზომელებივით. (ჯიბილო და გოგოტა აპირებენ წასვლას. ისევ მიბრუნდებიან).

ჯიბილო — შეთან კიდევ ერთი სათხოვარი გვაქვს, მურმან.

გაიანე — (მურმანს) კიდევ არ გეშვებიათ? რა თავის ტოლი გნახეს, ერთხელ იქნებ, უნდა მოაჩვენო თავი.

მურმან — დაანებე თავი, ცოდვას! რა გინდათ, ბიჭებო, მითხარით.

გოგოტა — დღეს სამუხიაში რომ ვიყავით, ნადირის ნაკვალევი დაგვანახეს და იქ ჩვენი ხაფანგი გვინდა დავაგოთ.

მურმან — ჰო, ის ძველი დამტვრეული ხაფანგი?

ჯიბილო — შენ უნდა შეამოწმო.

გოგოტა — იქ რალაც აკლია და შენი ხელი მონათლავს.

გაიანე — არა, მურმან, ესენი იმ ხაფანგით ან საქონელს მოსტევენ ფეხს, ან კაცს.

ჯიბილო — ეს რა კაკალი დაგვატეხა თავზე.

გოგოტა — ჩვენს ბრიგადირს გადავცემთ, ის მონადირეა.

მურმან — კარგი, სახლში მომიტანეთ საღამოს, გაგიკეთებთ. ამისაგან კი ნურაფერი გეწყინებათ, გულში უყვარხართ და ისე გიბწყინათ.

ჯიბილო — ასეთი ბწყენა თუ იცის სიყვარულით, შენ მალე მოგინელეს.

გაიანე — უყურე, ეს რა ჩამინისკარტეს ამ გასაციებლებმა!

გოგოტა — აბა, ახლა გავფრინდეთ.

(ჯიბილო და გოგოტა მიდის).

გაიანე — მეტისმეტია ეს ბიჭები. მთელს ტაბაკვარს აქოთებენ. ჯართის მოგროვებით შეაწუხეს მთელი სოფელი, არსად არ დატოვეს რკინა, თუ სადმე ნახეს.

მურმან — სასარგებლო საქმეს აკეთებენ. მაგათი მამები სამამულო ომში დაიღუბნენ და ყველამ უნდა მივხედოთ. ისე უტყუოები არ არიან!

გაიანე — კი, ბოლოს კოლმეურნეობაშიც იყენებენ სამუშაოზე, თორემ აქამდე ცას და მიწას ეცხებოდნენ.

მურმან — ახლა ოსტატობაზე აქვთ თვალი.

გაიანე — მაგათ ხანში შენ უკეთ ოსტატობდი. ზოგჯერ წავიჩხუბებოდით და შესარიგებლად გამომითლიდი რამეს, გახსოვს?

(შემოდის ვიგო).

მურმან — როგორა ხარ, ვიგო, დღეს შენი მეუღლე დავინახე.

ვიგო — მეუღლე რომ მყავდეს, სახლში მომაკითხავდა.

გაიანე — ჰო, ერთი სიტყვით, ორივეს კარგად გაქვთ საქმე.

მურმან — მართალია. ისე ამიხიარდა გოდერძი, კოლექტივიც არ გამეძლება.

ვიგო — გოდერძი აგიხიარდა?

(შემოდის რუსუდანი).

გაიანე — ოო, რუსუდანი, საით მიეჩქარები?

რუსუდანი — ქარხნის დირექტორი ჩამოსულა.

მურმან — ვინ, ჯუმბერი?

რ უ ს უ დ ა ნ — ჰო, ეს ჯუმბერი, იცით, გოდერძიმ იხსნა ფრონტზე.

გ ი გ ი — ახლა სწორედ თქვენ განატრობდით, რუსუდან.

რ უ ს უ დ ა ნ — რისთვის?

გ ი გ ი — აგერ ერთი უმწეო ობოლო გვყავს და თქვენი ქმარი აუხირდა, ამას კიდევ რა დანაგვრა სჭირდება, ისედაც დაგლაზებულია.

რ უ ს უ დ ა ნ — ვისზე ამბობ, მურმანზე?

მ უ რ მ ა ნ — არა, ჩემო გიგი, ასეთი შუაკაცობა შენთვის არ მოთხოვია. როდის გითხარი, რომ უმწეო და საპყარი ვარ.

გ ი გ ი — აბა, თუ კმაყოფილი ხარ შენი ბედით, იყავი, მე კი მართლა მაქვს სათხოვარი რუსუდანთან.

გ ა ი ა ნ ე — მაშ, სთხოვე, ჩვენ ხელს არ შეგიშლით.

(გაიხე და მურმანი მიღამ).

გ ი გ ი — როგორ იუკადრისეს ჩემი სიტყვა; მგონია, ესენი არც ხუმრობენ. ხომ არ უყვარს იმ შეჩვენებულს?

რ უ ს უ დ ა ნ — რად გიკვირს, რომ ქალიშვილს ვაყი უყვარდეს.

გ ი გ ი — რა ვიცი... ისე გამოიტყდა ქალებზე გული, გაჭირვებულს თუ გაიკარებენ, არ მგონია.

რ უ ს უ დ ა ნ — პირიქით, ვინც ნამდვილი ქალია, ქირში უფრო თანაუგრძნობს კაცს.

გ ი გ ი — მაშ, მაგული ჩემს ხსენებაზე დორბლებს რად ყრის!

რ უ ს უ დ ა ნ — არა, მაგულის ვერ გაკიცხავ.

გ ი გ ი — აბა, ჩემი გაჭირვება რისთვის არ ესმის?

რ უ ს უ დ ა ნ — სიმართლე ეთქვა?

გ ი გ ი — დიახ, თუ შეგიძლიათ, ამიხსენით.

რ უ ს უ დ ა ნ — ბევრი სიმწარე ახსოვს შენგან. ჩვენს დროში შენისთანა კაცი აუტანელია, ის კი ღირსეული ქალია.

გ ი გ ი — რითაა ღირსეული?

რ უ ს უ დ ა ნ — შრომა უყვარს, სამშობლოს ერთგულია.

გ ი გ ი — რა სიტყვა დაახარჯე, სად დამტკიცა ეს სიკეთე.

რ უ ს უ დ ა ნ — ის ახლა ქარხანაში მუშაობს. ჯუმბერი ძალიან აფასებს და ამბობს, კარგი მომავალი აქვსო.

გ ი გ ი — საიდან? როგორ?

რ უ ს უ დ ა ნ — მოწინავე მუშა ქალად ითვლება და საზოგადოებრივ საქმიანობაში სამაგალითოა. ამავე დროს, ყველასთან მოკრძალებულია და გულგულივით წყნარი.

გ ი გ ი — მაგული გახდა ასეთი?

რ უ ს უ დ ა ნ — დიახ, სწორედ მაგული.

გ ი გ ი — მეორედ ხომ არ დაბადებულა.

რ უ ს უ დ ა ნ — ამასაც კი ამბობს: გიგის რომ მოეშორდი, მერე დავიბადეო.

გ ი გ ი — აბა, ჯერ დაბადებულყო და მერე გამომყოლოდა, მამაცხონებული.

რ უ ს უ დ ა ნ — ჯერ ის შეგერგოს, რაც შეგწირა.

გ ი გ ი — მაშ, ახლა მე რა გამოვდივარ?

რ უ ს უ დ ა ნ — შენ ის აღარა ხარ, რაც იყავი, მან ფრთები გაშალა.

გ ი გ ი — კარგი, ეთქვათ. მას გაუმართლა, მე კი ხელი შემეშალა, ამისათვის უნდა მიმატოვოს!

- რუსუდან — არა, შენზე ბევრი იზრუნა, გიგი, მაგრამ, როცა დინნახა, მანაც უფსკრულში ითრევედი, სხვა გზას დაადგა.
- გიგი — მერე, ესაა სიყვარული?
- რუსუდან — როდის აქეთ დაიწყე სიყვარულზე ლაპარაკი.
- გიგი — ეს რა საკადრისია!
- რუსუდან — გეწყინა? კარგია, თუ იგრძენი. მშვიდობით.
- გიგი — მოითმინეთ, რუსუდან, ახლა ისე მწარედ დამწვით, თქვენვე უნდა გთხოვოთ მალაშო.
- რუსუდან — არა, შენ ისეთი შუბლის კანი არა გაქვს, რომ სიტყვამ დაგწვას.
- გიგი — გაჩნდა სიტყვას. თქვენი ნათქვამიდან გამოდის, რომ მაგულიმ ცას ხელი მიუწია.
- რუსუდან — მერე რა გნებავს!
- გიგი — შემახვედრე იმ ქალს...
- რუსუდან — რისთვის?
- გიგი — ერთი დამალაპარაკე.
- რუსუდან — ცოტა გილაპარაკიათ! თქვენი ქაქანი მთელს სოფელს ესმოდა, მაგრამ რა გამოვიდა!
- გიგი — რა ვუყოთ, ახლა ორმოშა ვარ, მაშინ კი ქარში ვიდექი და სიტყვებიც ქარს მიჰქონდა.
- რუსუდან — მეეჭვება, რომ ასე უცბად გამოსწორდე.
- გიგი — თუ ქალი ხარ, ნუ გამაწბილებ.
- რუსუდან — ვნახოთ, თუ დავიყოლიე, შეგახვედრებ.
- გიგი — ძალიან გთხოვ რუსუდან.
- რუსუდან — რა ვიცი, ისეთი რამეები ჩამაწვეთა შენზე.
- გიგი — რა გითხრა?
- რუსუდან — ბევრი სიმწარე ახსოვს, რამდენჯერ უნდა გითხრა.
- გიგი — რა ვუყოთ, მარტო შაქარზე ადამიანი ხომ ვერ გასძლებს ოჯახში სხვა სართავთან პილპილიც ინაყება და ბოლოს გემრიელი კერძი გამოდის.
- რუსუდან — ეს სიბრძნე სუფრის მეგობრებმა გასწავლეს?
- გიგი — თქვენ, მაგალითად, მარტო სიამე გახსოვთ ქმრისაგან.
- რუსუდან — ვის ედრები. გოდერძი დღე და ღამე ისე ტრიალებს, რომ გული არ მიდგება და მეც ვეხმარები. შენ კი მხოლოდ საკუთარ სიამოვნებაზე ფიქრობ, და ისიც სხვისი ხელით გინდა მოიპოვო.
- გიგი — თქვენ სულ გადარევეთ მაგულის, თუ ასე დამხატეთ?
- რუსუდან — არა, მე ისიც მახსოვს, გიგი, რომ ერთ დროს მოწინავე ახალგაზრდა იყავი და ჩვენი მექანიზატორის თანაშემწედ მუშაობდი.
- გიგი — იმ მექანიზატორს, თავისი მანქანებით გაცვეთილს, დღე და ღამე ვეხმარებოდი, მაგრამ ვის ახსოვს.
- რუსუდან — ახლა შეგიძლია ოჯახს გული დაუდო?
- გიგი — აბა რისთვის გეხვეწები.
- რუსუდან — კარგი. ვეცდები დაგეხმარო. თუ გინდა, ამ საღამოს შემოიარე ჩვენსას.
- გიგი — გამადლობთ, ჩემო რუსუდან.

(გიგი მიდის, შემოდიან ჯემბეგრი, ირაკლი, ელიზბარი, გოდერძი, ივლითი).



- რუსუდან — ჩვენ აქამდეც მოგელოდით, ამხანაგო ჯუმბერ.
- ჯუმბერ — გოდერძი რომ საქმეში არ დამივიწყებს, გამოცდილებით ვიცი.
- ირაკლი — ჩვენ ახლა პარტორგანიზაციის კრებაზე მდივანმსახურებას დაუყოვნებლივ შევკრიბოთ თქვენთვის მუშახელი.
- ელიზბარ — მითითება ცენტრალური კომიტეტიდან მოდის და თქვენ, რასაკვირველია, შეასრულებთ. მხოლოდ მომზადებული ხართ? შეგიძლიათ ბიჭები დღესვე გაგვატანოთ?
- ირაკლი — შე მგონია, შეეძლებთ. რას იტყვი, ამხანაგო გოდერძი? ბევრჯერ გვექონდა მსჯელობა და სიები უკვე შევადგინეთ.
- გოდერძი — სია კიდევ შესამოწმებელია.
- ელიზბარ — ხომ არ გეეჭვებათ, რომ მუშახელი შემოგაკლდებათ?
- გოდერძი — არა, მუშები ქარბათაც მყავს, საქმეს დღითიღვე ვაფართოვებთ, მაგრამ ისე ვაწყობ მუშაობას, რომ ნაკლები ხალხი დაეაბანდო და ნაყოფი კი მეტი მივიღო.
- ჯუმბერ — კიდევ ერთი საკითხია. ზოგიერთებმა კოლმეურნეობიდან ზარმაცები და უნარმოკლებულნი გამოგვიგზავნეს და ისინი ქარხანაში არ გამოდგნენ, ანდა იქ არ გაჩერდნენ. ამიტომ ფრთხილად უნდა შეარჩიოთ ისინი.
- ივლით — რასაკვირველია, ყველა არ გამოგადგებათ, ამ სოფლიდან ბევრს უნდა ქარხანაში ჩამოსვლა, მაგრამ ზოგი მათგანი ფეხის ხმას არის აყოლილი.
- გოდერძი — ზოგიერთის მშობლებიც ყოყმანობენ.
- ირაკლი — აი, აქ შენი დახმარება მჭირდება, ივლითი, შენ, როგორც ვავლენიანმა ქალმა, მერყევი მშობლები უნდა დაარწმუნო. ამას გარდა, შენი სახელოვანი ბრიგადიდანაც უნდა დათმო რამდენიმე კაცი...
- ივლით — მოვახერხებ როგორმე.
- ელიზბარ — აქ კიდევ ერთი ინკინერი აღმოჩნდა, ჯუმბერ, რომელიც გორკის ქარხანაში მუშაობდა მოტორებზე.
- ჯუმბერ — რომელია? ის ჩვენგან იქნება გორკში გაგზავნილი, ჩვენ ხომ მთელი ჯგუფები მივავლინეთ რუსეთის სხვადასხვა ქარხანაში გამოცდილების მისაღებად.
- ელიზბარ — არა, ის უფრო ადრე წასულა.
- ჯუმბერ — აქ საიდან მოხდა?
- ელიზბარ — ომში დაპრილია და მერე, თურმე, ერთხანს ავადმყოფობდა და აქ ჩამორჩენილა.
- გოდერძი — შენ იცნობ, ჯუმბერ, ის გოჩაა.
- ჯუმბერ — გოჩა? ო, ის კი მართლა გვეჭირდება.
- ელიზბარ — პირველ რიგში ის კაცი შემახვედრე, ამხანაგო ირაკლი.
- ირაკლი — კი, ყველაფერს მოვასწრებთ.
- გოდერძი — კომკავშირი დაიხმარეთ და ბიჭები სწრაფად შეკრიბეთ.
- ჯუმბერ — მაშ თქვენ იცით, როგორ დაეხმარებით ირაკლის ამ საქმეში.
- ივლით — წავიდეთ.
- (ივლითი, ირაკლი და ელიზბარი მიდიან.)
- რუსუდან — მაშ მოტორებს ასე მალე გაამზადებთ? რამოდენა საქმეა.
- ჯუმბერ — ასეთია დავალება, ეს უნდა შევესრულოთ. მხოლოდ თქვენ, ამხანაგო რუსუდან, გადაიფიქრეთ ჩვენთან მუშაობა?

რუსუდან — არა, მაგრამ კოლმეურნეობას ახალი შენობის აგება უკონდა განზრახული და ამან შემაჩერა.

ჯუმბერ — ახლა?

რუსუდან — ახლა მოვითათბირებთ მე და გოდერძი და...

გოდერძი — მე და ივლითი უკვე მოველაპარაკეთ ჯუმბერს.

რუსუდან — რად აჩქარდი?

გოდერძი — კარგ შემთხვევას დაკარგავდი.

ჯუმბერ — რასაკვირველია, ახალი კორპუსის მშენებლობაზე ჩვენს მთავარ ინჟინერს დიდ დახმარებას გაუწევდით.

გოდერძი — აბა, შენებურად, დატრიალდი ახლა რუსუდან.

რუსუდან — ენახოთ, ვეცდები.

(რუსუდანი მიდის).

გოდერძი — კარგ მუშებს შეგიჩვევთ, მხოლოდ, სამაგიეროდ, ჩემო ჯუმბერ, აქ შენი მეგობრობა უნდა გამოვიყენო.

ჯუმბერ — მანქანების შემკეთებელ ბრიგადაზე მე შენთვის უარი არასოდეს არ მითქვამს და ახლაც ჩამოგიყვანე.

გოდერძი — ამისათვის მადლობელი ვარ, მაგრამ უფრო მეტი დახმარება მჭირდება შენგან.

ჯუმბერ — განა ასეთი რთული სამუშაო გაქვთ?

გოდერძი — ასეა, ძველებურად არ მოდის წარმატება, დღეს ჩვენ უფრო რთულ ბრძოლაში ვართ ბუნებასთან. ამას გარდა, მე კიდევ გთხოვ გოჩას შესახებ. ის ჩემი მეგობარია, აქ ავადმყოფობის გამო ჩამორჩა, თავის სამუშაოს მოწყდა და საშინლად განიცდის. გთხოვ, რამდენად შეიძლება, ხელი შეუწყო.

გოდერძი — ეს რა სათხოვარია, რამდენად გამოდგება, ხელს შევეწყობთ.

ჯუმბერ — მოხნად აქვს გადატყეული, რომ თავის საქმეში გმირი გახდეს.

გოდერძი — ძალიან სასიხარულოა, მეც, გითხრა სიმართლე, გოჩა მუდამ მიმაჩნდა და წელანაც გულთბილად მივესალმე.

(შემოდის გოჩა და ელიზბარო).

ელიზბარ — აი, მოველაპარაკე ამხანაგ გოჩას.

ჯუმბერ — მერე როგორაა საქმე?

ელიზბარ — საიმედოდ მიმაჩნია.

ჯუმბერ — როგორ ფიქრობთ, გოჩა, დაძლეეთ ამ საქმეს?

გოჩა — მე თავის იმედი მაქვს.

ჯუმბერ — ხელფასი იკითხე?

გოჩა — არა, მე ხელფასზე უფრო სახელს ვეძებ.

ჯუმბერ — თქვენი დარგის საამქროში ახლა ისე გვიკირს, ისეთი დამაბულობა გვაქვს, რომ იქ წარმატება დიდ სახელს მოგანიჭებს.

გოჩა — მაშ, მე მხურვალედ მოვეყიდები.

ჯუმბერ — მარტო მხურვალეობა საკითხს ვერ გადაწყვეტდა, მაგრამ თქვენ ძრავებზე გიმუშავიათ, და ეს მაიმედებს.

გოჩა — დიახ, გვარიან ოსტატად ვითვლებოდით.

ჯუმბერ — იქ კარგადაც ითვლებოდით, ამხანაგო გოჩა, მაგრამ აქ ძალიან რთული ამოცანაა.

გოჩა — ვიცი, ჩვენში ეს ახალი საქმეა, ძრავი კი ვადაზე აღრე უნდა გაფიქვითოთ.

ჯუშბერ — ეს ცოტაა. ამას გარდა, გვინდა, რომ ჩვენი პირველი ძრავი ხარისხითაც საუკეთესო იყოს. ის უნდა იქცეს მაგალითად ქარხნებისათვის. ამით დაემატიცებთ, რომ ჩვენს ხალხს ამ დარგში უნარი აქვს და პარტიის და ხელისუფლების დახმარებასაც გავამართლებთ.

გოჩა — მაშ, ან მოვეცდები, ან დავალუბას შევასრულებ, ოღონდ იქ ფეხი მოვიკიდო.

ჯუშბერ — კარგი, მე ახლა მთავარ ყურადღებას მაგ საამქროს ვაქცევ, ყოველ მუშას პირადად ვიცნობ, შენც თანდათან დაგაკვირდები და, თუ უნარს გამოიჩენ, საამქროს ჩაგაბარებ.

გოდერძი — მე ვატყობ, ორივე სანატრელი ხართ ერთმანეთისათვის.

ელიზბარ — კი, გვარიანი ნაყოფი მიგვაქვს ამ სოფლიდან!

ჯუშბერ — მაშ ახლა გავიგოთ, ივლითიმ როგორ მოაგვარა მთავარი საქმე.

ელიზბარ — მის შეკრებილ ბიჭებს გადავხედავთ.

(გოჩა და გოდერძი მილიან შემოდის მურმანი, შემდეგ გიგო).

გიგო — მურმან, საით მიხვალ!

მურმან — საითაც პირი მაქვს.

გიგო — ჩემგან წელან გეწყინა რამე?

მურმან — დიახ, მე ჩემი მყოფნის და შენ კიდევ ხალხში ყბას მიქცევ.

გიგო — ამაზე მათრთხილებ? როდის აქეთ დაიწყე უბრალოზე ბუტიაობა?

მურმან — შენ ყველაფერს უბრალოდ უყურებ, ჩემო ძმაო, საკუთარი ოჯახის აფორიაქებასაც არაფრად აგდებ.

გიგო — ეს რა შოლტი გადმომაკარი, ბიჭო, შეიძლება კაცს ოჯახური სიმწარე წამოაქადო? ეჰ, ამას ვერ მკადრებდი, მაგრამ მაგულომ გამიტეხა სახელი, მის მხარეზე ხარ, არა!

მურმან — აშკარაა, მას შენგან ტლინკები არ ეკუთვნის.

გიგო — ეს მოაცებს, წინათ არაფრად აგდებდით მაგულის, ახლა კი ისე როგორ მოუხდა, ჩემი ხტუნვა ყველას მშვენიერებად გეჩვენებათ.

მურმან — შენთან ლაპარაკი გიგო, წყალის ნაყვია.

(აპირებს წახლას).

გიგო — დაიცადე.

მურმან — რა გინდა?

გიგო — პეროქავრა გკითხულობდა.

მურმან — რისთვის, რა საქმე აქვს?

გიგო — რა ვიცი, გულის ფანჯალით გეძებს.

მურმან — ეს ქერივი კიდევ ისე მიტრიალებს, რალაც შარს ამიტებს.

გიგო — ასეა, ქირი ქირიანს ეძებს, აბა რა უნდა შენგან.

მურმან — რა ვიცი. სანამ მამა ჰყავდა, ენაზე მეგობრობა ეკერა, ახლა კი სხვას მაწვეთებს.

გიგო — ნუ გეშინია, შენ ისეთი ხატი გყოლია, ყველა ეშმაკებს მოგიგერიებს. გაიანეს ხომ ჰყვარებიხარ, როგორც რუსუდანმა თქვა. უბედურება ესაა, ჩემი ცოლი რომ ზევით აწეულა, სიყვარული კი წყვარამში ჩაუგდია.

მურმან — ერთ ჰქუას დაადექი, ამინდივით ნუ გეცვლება გუნება, და მასაც გული გაუთელდება.

გიგი — არა, ახლა ყველა გზა მისკენ მიდის. რას ამბობ, როცა მისი შეწყვე-  
ნით სუფრას ვშლიდი, ყველა ჩემს სადღეგრძელოს სვამდა, ეხლეჩე დე  
ისე ჩამოიარა ვინმემ, კინწი არ მომყოლა, მადლობა უნდა გადავუთქვამ  
ოღონდ ეს მაშინებს, მურმან, ზოგჯერ ახლის გაკეთება უფრო ადვილია,  
ვიღრე გატეხილის გამოთელება.

(შემოდის პეტოქავრა.)

პეტოქავრა — შენ რად ჩამოგიშვია ცხვირი, მურმან? რა მოგივიდა? მამა  
რომ დაეკარგე, მერე ჩვენსას ფეხი არ დაგიდგამს.

მურმან — არ შეცალა.

პეტოქავრა — რას აკეთებდი? როგორც მესმის, შენი მუშაობით მაინცდა-  
მაინც ჩვენი თავმჯდომარე კმაყოფილი არაა და...

მურმან — არაა და, რა ვუყო, მე ჩემს საქმეს სხვაგან ვეწევი.

პეტოქავრა — ეკ, ყველაზე ძნელად მე მაქვს საქმე.

მურმან — რატომ?

პეტოქავრა — ერთი ქალი ვარ და, შინ ვეწიო თუ გარეთ, ვამჯობინე, კო-  
ლექტივში არ ჩამოვრჩე და კარ-მიდამოს ხელს ვაკლებ.

მურმან — კარგად მოვლილი კარ-მიდამო დაგრჩა მამისაგან.

პეტოქავრა — მართალია, მაგრამ ხელი ჭირდება. ხშირად უნდა შემოგვე-  
ვლო ჩემთან, მურმან და რჩევა მოგვცა. არ ვიცი, რა გიშლიდა ხელს,  
ალბათ ჩონგურზე მუშაობდი, წელან ჯიბილოს და გოგიტას დიდი ამბით  
მიჰქონდა, იმ შეჩვენებულებმა ხელი არ მომაკიდინეს, მაგრამ დამანახვეს  
და თვალი მომჭრა.

მურმან — არა უშავს, გაკეთდა.

პეტოქავრა — ახლა მიხვდები, მურმან, ალბათ ხელცარიელს მოსვლა გი-  
ძნელდებოდა. ის ჩონგური უნდა მომიტანო, არა, როდის დაგელოდო?

მურმან — გამოვივლი, მხოლოდ ჩონგურს ვერ მოგიტან.

პეტოქავრა — რატომ?

მურმან — გაიანეს შევპირდი.

პეტოქავრა — რაო, იმ ჩონგურს მას აძლევ? ამსაც მიპირებ?

მურმან — რას?

პეტოქავრა — მიწადაყრილზედაც დაენანებათ ამოდენა ლოდის დადება,  
არათუ ცოცხალ გულზე.

მურმან — რატომ გეწყინა ასე!

პეტოქავრა — კიდევ მკითხავს, ასე იყოს. ალალია ჩემზე, ალალი, ყვე-  
ლამ შანი მომიგოს... მხოლოდ ჩემსას სუყველაფერს მოვთხოვთ, იცოდე.

მურმან — რას ითხოვ, რაზე ამბობ?

პეტოქავრა — არაფერი არ გახსოვს ჩემგან? მაშ რისთვის ესჯიდი მოხუც  
მამას შენთვის, რამე ესწავლებინა და საიჭიოს არ წაელო? რისთვის გი-  
შლიდი სუფრას, როცა კლუბისთვის რალაკეებს აკეთებდი. რისთვის  
შემოგხაროდი?

მურმან — არ ვიცი, რას მირეკავ.

პეტოქავრა — რამდენი შრომადღე გაეაცდინე შენს ცქერაში. დღეს გო-  
დერძიმ გამოიანგარიშა და გამომიცხადა, რომ კოლექტივიდან გამომაგ-  
დებს.

გიგი — რას ამბობ. აბა, გოდერძის გაუმწარებია, შე ქალო, და ამას რას  
ერჩი. ცხენს ვერ მოერიე და უნაგირს ამტვრევ?

- პეოქავრა — შენ ბანზე ნუ აგდებ ჩემს სიტყვას, წელან სხვათერ შირ-  
დებოდი, აქ კი კეთილად ვერ გცნობილობ. ვინ რა იცის, რა ამბავი მაქვს..  
ჯერ კიდევ ენა მებოჩკება და რომ გაემწარდები, მაშინვე მოუხვედრება  
მურმან — დამშვიდდი, პეოქავრა, და, თუ რამე შევალბა, ზედმეტად  
ვადაგიხდი, მხოლოდ დინჯად ვილაპარაკოთ.
- პეოქავრა — ნამდვილად ამბობ?
- მურმან — მე ტყუილი არ ვიცი.
- პეოქავრა — მაშ ხვალ მოხვალ და ჩონგურსაც მომიტან.
- მურმან — არა, ის გაიანესია და პირს ვერ გავუტებს.
- პეოქავრა — როგორ აგრევეია გზა, შე საწყალო? ბათუს ვაჟისთვის გა-  
მოუთაღე ის ჩონგური?
- მურმან — რაო, ბათუს ვაჟისთვისო, რას მირეკავ, რას, არ ვიცი?
- პეოქავრა — ვის ქონებას აძლევ?
- მურმან — მამაშენისაგან მასალა ხომ ვიყიდე!
- პეოქავრა — მამაჩემის ხსენებისაც რომ არ გრცხვენია.
- მურმან — რატომ, მის ხსოვნას მე პატივს ვცემ.
- პეოქავრა — რით?
- მურმან — სულით და გულით.
- პეოქავრა — ვაი შე საწყალო, მეც ასე ვფიქრობდი, სულის და გულის  
გარდა მურმანს ერთი შარვლის მეტი არაფერი არ გააჩნია მეტი, მეცო-  
დებოდი, ყველა რომ უბედურ ახალგაზრდად გთელის ამ სოფელში, მა-  
გრამ ახლა ვხედავ, სულიც და გულიც არ გქონია. შარვალი ხარ, შე გლა-  
ხა, მეტი არაფერი.
- მურმან — რამ გაგამწარა ასე.
- პეოქავრა — კარგად აგამღერებთ ჩემს ნაამაგარზე. ახლავე წავალ დე-  
დამისთან. დღიკადე, ივლითის აქ მოვიყუან და შენ ხომ მურს წავისობ,  
გაიანესაც ისე შეველაშაზებ, ცხრა ჩონგურმა ვერ დააყენოს გუნებაზე.  
(პეოქავრა მიდის).
- მურმან — გაიგე, რას მირეკავს.
- გიგი — რა უოფილა, გაჩუმდი, კიდევ არ მობრუნდეს.
- მურმან — აბა, ახლა ივლითის თუ მიუვარდა!
- გიგი — დაუთმე ის ჩონგური, თორემ მაგის ენას ძვალი არა აქვს.
- მურმან — არ ვიცი, რას არ დაუთმობდი, რომ ჩემს სახელს არ ახსენებ-  
დეს. გიგი, ბათუს ვაჟი რატომ ახსენა? შენ ამის შესახებ იცი რამე?
- გიგი — არაფერი, ძმობას გეფიცებ. მხოლოდ... ეს კი გავიგონე, რომ ბათუმ  
ამ საქმეზე ვილაცა მოუგზავნა ივლითის.
- (შემოდის გაიანე).
- გაიანე — მურმან, ამ სოფელში ირაკლისთვის და დედაჩემისთვის მიუნ-  
დვიათ, ქარხნის მუშები შერაჩიონ.
- მურმან მერე, როგორაა საქმე?
- გაიანე — ამბობენ, კარგი ჯგუფი დგებაო.
- მურმან — რას მირჩევ, მეც წავიდე?
- გაიანე — რა ვიცი. შენ აქ ისეთ საქმეზე ხარ, რაზედაც გული არ გიძევს.
- მურმან — ასე გამოდი.
- გაიანე — მაგრამ ესეც გავიგე, ქარხანაში დიდი სამუშაო იქნებაო.



მ უ რ მ ა ნ — ეს კარგია.

გ ა ი ა ნ ე — მე კი ძალიან მეშინია, იქაც რომ არ გაგიმართლოს, <sup>რეკრუტებში</sup>  
სულ უნდა დავიკარგოთ.

მ უ რ მ ა ნ — სადაც უნ თვალს მომატან, დაკარგული არ მქვია.

გ ა ი ა ნ ე — მე ხომ იქ ვერ მოგაკითხავ.

მ უ რ მ ა ნ — აბა მე გინახულო აქეთ ხშირად?

გ ა ი ა ნ ე — ეჰ, არა, აქამდე რომ ერთმანეთისათვის ამოვნათლებოდით მო-  
სახვევებში, ეს გათავდა.

მ უ რ მ ა ნ — გათავდა? ო, აბა, მე იქ წამსვლელი არა ვარ .

გ ა ი ა ნ ე — ეს რა ახალი ამბავია?

მ უ რ მ ა ნ — რა არის და ბათუს ვაჟები ჩამოსულან, კარგად გამოწყობილნი.

გ ა ი ა ნ ე — მერე?

მ უ რ მ ა ნ — რა ვიცი, აქ რა მახეს დააგებენ.

გ ა ი ა ნ ე — ეს სახუმაროდ არ მიჩხვლიტე.

მ უ რ მ ა ნ — ასე რად ჩქარობ ჩემს მოშორებას.

გ ა ი ა ნ ე — მერე, ეს გაეჭვება?

მ უ რ მ ა ნ — ჩემი სიყვარული რომ გქონდეს, აქ დარჩენას მთხოვდი.

გ ა ი ა ნ ე — ასეა? აბა კარგი... (აპირებს წასვლას).

მ უ რ მ ა ნ — გაინე... (გაიანე გადის).

ფ ა რ დ ა

### მორამ მოქმედება

გოდერძის ეზო

გ ო დ ე რ ძ ი — მაშ, შვილები ჩამოგსვლია, ბათუ?...ა?...

ბ ა თ უ — კი, სუყველამ დაამთავრა სწავლა.

გ ო დ ე რ ძ ი — ბედნიერი კაცი ხარ.

ბ ა თ უ — სწორია, გვიან დავცოლშვილდი, მაგრამ მაინც მომესწრენ.

გ ო დ ე რ ძ ი — აღრე რისთვის არ მოეციდე ოჯახს?

ბ ა თ უ — გაჭირვების ბრალია. თორემ ახლა რომ კუტი ცოლი მყავს, ის პი-  
რველ ნახვისთანავე ისე მომეწონა, გულიდან ვერ ამოვიქევე.

გ ო დ ე რ ძ ი — თავის დროზე ის ქალი იქნებოდა.

ბ ა თ უ — საქალეთის თვალი იყო ის უგამჩნეო. მაშინ თხუთმეტი წლის რომ  
შეიქნა, შევუჩნდი მის პატრონს, დავითანხმე და ოქროგადაკრულ ბეჭდით  
დავნიშნე, მაგრამ მერე თექვსმეტ წელიწადს ვალოდინე, — სიღარიბით  
ვერ ვბედავდი შერთვას.

გ ო დ ე რ ძ ი — რა გადაგხდებოდა!

ბ ა თ უ — გადამხვდა ჰქვია! დრო და ჟამში ჯერ იმ ბეჭედს გადაცვდა ოქრო  
და გამოთეთრდა, მერე ქალსაც თმაში თეთრი გამოერია, ბოლოს დაეჭედა  
დედაკაცი, ტყუილებით შემიქცია, უქმროდ დამაბერაო და ისე გადაი-  
რია — ორჯერ-სამჯერ მუგუშალიც მომყოლა კისერში. მე ვიფიქრე:  
რალა ამას მოუწყლავარ და რალა სიღარიბეს-მეთქი, მოვირეცხე შუბლი  
და შიშვლად შევები უღელში.

გ ო დ ე რ ძ ი — ბოლოს ხომ კმაყოფილი დარჩი?



- ბ ა თ უ — კი, ახლა ჩვენს ნაშეიერს რომ უყურებთ!..
- გ ო დ ე რ ძ ი — ალბათ ნანობთ, რომ დროზე ვერ გაბედე? ეროვნული  
ბიბლიოთეკა
- ბ ა თ უ — არა, ამაზე აღრე არ ივარგებდა.
- გ ო დ ე რ ძ ი — რატომ?
- ბ ა თ უ — ისეთ დროს გამიჩნდა შვილები, როცა სწავლა გაიოლდა, და დღეს სამი უმაღლესიანი ქალ-ვაიი მყავს და, მართალია, შენ მათ არაფრად აგდებ, მაგრამ მე მაინც კი ვახარებ.
- გ ო დ ე რ ძ ი — რატომ არა, თუ დარჩებიან ამ სოფელში, მე სამივე მპირდება.
- ბ ა თ უ — იმ უმცროსზე რაღაცას ყოყმანობდი და სხვა რაიონში გაგზავნეს.
- გ ო დ ე რ ძ ი — მომავალ წელს, გეგმით, მაგ დარგში ჩვენც უნდა გავაფართოვოთ მუშაობა და აქეთ დაგვეკირდება.
- ბ ა თ უ — გეგმები მე წამოვიწყე ამ სოფელში.
- გ ო დ ე რ ძ ი — მართლა, ერთ დროს შენც იყავი, არა, ამ კოლექტივის თავმჯდომარე?
- ბ ა თ უ — ერთ დროს კი არა, პირველად როცა დაარსდა.
- გ ო დ ე რ ძ ი — მაშინ სხვა დრო იყო ბათუ, დღეს კი მტკიცე გეგმებია.
- ბ ა თ უ — მაშინ არც გამოცდილება გეჭონდა. გვიტხრეს, ვის გინდათ, გავერთიანდეთო... და ღარიბებმა ვცქვიტეთ ყური! გავაერთიანოთ ქონება — თქო, რავეამღერეთ და მე მოწინავედ მიმიღეს.  
(შემოდიან რუსუდანი და ივდიოთ).
- გ ო დ ე რ ძ ი — მაშინ, მგონი, ივდიოთმაც გასახელათ.
- ბ ა თ უ — არა, ივდიოთი მერე გამოიჩინა სტახანოველების დროს, მაშინ სხვა დამკვრელები მყავდა.
- ი ვ დ ი თ — ჩვენ დაგჩაგრეთ, ბიძია ბათუ, სახელი ჩამოგართვით.
- ბ ა თ უ — ეჰ, ცხოვრება ბევრს გვასწავლის, მაგრამ ჩვენს გაქირვებას მაინც ვერ შევლის.
- ი ვ დ ი თ — რატომ, ბიძია, შენ ჰკვიან კაცად ითვლები.
- ბ ა თ უ — ვინც კოლექტივის შეკვრის დროს ყვირილით მეხმარებოდა, მერე მუშაობაში ისე არ გამომადგა, როგორც სხვები, და ბუზღუნს ვერ გავუძელი...
- ი ვ დ ი თ — მახსოვს, ბათუმ ერთი წელიწადი ძლივს მოათავა კოლექტივში.
- ბ ა თ უ — მართლმე ხომ არ გამპირებია. ჩემს შემდეგ, შენს დაწინაურებამდე, ჩემო ივდიოთი, ბარე ხუთი თავმჯდომარე გამოიცვალა კოლექტივში. რამდენიმე წყება ხალხი კიდევ აყვავდა და კიდევ გახუნდა.
- ი ვ დ ი თ — ეგ ვის უკვირს. ჩემს თვალწინაც რამდენმა წყალმა ჩაიარა. ჩქარ-ჩქარა იცვლება სოფლის სახე. და, ბოლოს, ამ დიდი ქარხნის მშენებლობამ ხომ სხვა ფერი მისცა ყველაფერს.
- ბ ა თ უ — ესეცაა, დღეს ოჯახებიდან ზოგი ქარხნისაკენ იწევეს, ზოგი რჩება, და ამან ცოტა კი არ ააქვარქვალა ალაგალაგ.
- რ უ ს უ დ ა ნ — კი, სწორია, იმედები დაგვიმატა ქარხანამ და ამით შეგვარჩხია.
- ბ ა თ უ — ქვეყნის რა ვთქვა, საკუთარ ოჯახსაც რომ ვუყურებ, თვალს არ ვუჯერებ.
- გ ო დ ე რ ძ ი — ომში წასვლამდე თქვენს ეზოში რომ გადმოვიხედავდი, ბიძია ბათუ, შენი შვილები ბატარები და ნახევრად ტიტულები ჩანდნენ, წიგნები კი ხშირად ეკირათ ხელში.

ბ ა თ უ — ჰო, ზოგჯერ მკადი აკლდთ, მაგრამ წიგნს მაინც ჩაპყურებდნენ.

გო დ ე რ ძ ი — ახლა როგორ დავაგვაცებულან!

რ უ ს უ დ ა ნ — ქალიშვილზე, არ იტყვი, რა მოსაწონი ექიმიან ეროვნული  
ინტელიტის

ბ ა თ უ — მაგაზე შენი მადლიერი ვართ, ივლითი, ჩვენს საავადმყოფოში მოწყობაზე რომ დაგვეხმარე.

ი ვ დ ი თ — შე კი არა, მისმა ჰკუამ უშველა.

ბ ა თ უ — ეჰ, ჰკუის რა მოგახსენოთ, ახალგაზრდებს ახალგაზრდური ჰკუა აქვთ. სამსახურიდან რომ მოვა, რადიოს მიუჯდება თავის ძმებით და, ასე ჰგონიათ, დედაქალაქში არიან. ოჯახს კი ხელი უნდა, ჩემი კუტი დედაბერი რას შესძლებს.

გო დ ე რ ძ ი — თქვენს ოჯახს ახლა რძალი აკლია, მეტი არაფერი.

ბ ა თ უ — მაგაზე სწორედ დანატრებული ვართ და არჩეულიც გყავს სარძლო.

რ უ ს უ დ ა ნ — მართლა?...

ბ ა თ უ — უფროსისათვის ძალიან გვინდა ერთი ქალიშვილი და ჩემი ვაჟიც მოწყურებულია.

რ უ ს უ დ ა ნ — მერე, როგორაა საქმე?

ბ ა თ უ — ჯერ მარტო ნერწყვით ვიკლავთ წყურვილს.

რ უ ს უ დ ა ნ — რატომ, ვინაა?

ბ ა თ უ — პატივცემული ივლითი თუ გაამხელს...

რ უ ს უ დ ა ნ — ივლითმაც იცის?

ბ ა თ უ — დიახ, ჩამოუტრეკეთ.

გო დ ე რ ძ ი — როგორ, მაგის ქალიშვილზე ხომ არ გიჭირავთ თვალი?

ბ ა თ უ — დიახ... ასეა და ჯერ ვერც უარი მივიღეთ, ვერც პირობა.

გო დ ე რ ძ ი — შე მგონია, ერთმანეთს შეეფერებია.

ი ვ დ ი თ — რაც კარგია, კარგია, ჩემო ბათუ, მაგრამ ამ საქმეში სიტყვა თვითონ მათზეა.

ბ ა თ უ — ისინი ერთმანეთს კარგად შეხედნენ და ხმაც შეაწყვეს.

ი ვ დ ი თ — ეს არ ვიცოდი.

ბ ა თ უ — კი, ახლა შენზეა, ივლითი.

ი ვ დ ი თ — ჰოდა, მე, სიმართლე გითხრა, მეშინოდა, არ დამეფრთხო, თორემ აქამდეც ვურჩევდი ჩემს ქალიშვილს, შენს ვაჟს გაპყლოდა.

ბ ა თ უ — არა, შენისთანა დედას ის უარს როგორ შეჰკადრებს.

რ უ ს უ დ ა ნ — ვისზე ლაპარაკობთ, გაიანზე?

ი ვ დ ი თ — რაზე გაოცდი, რუსუდან?

რ უ ს უ დ ა ნ — მურმანი რომ შეფოფინებს შენს ქალიშვილს, არ იცი!

ბ ა თ უ — როგორ გეკადრებათ, ეს ჰორია და ჩვენც ყურიდან ყურში ვუშვებთ.

ი ვ დ ი თ — ეს სხვამ რომ თქვას, არაფერია, შენგან კი მიკვირს, რუსუდან!

გო დ ე რ ძ ი — არა, გაიანე ჰკვიანია და მურმანს არ წაყვება.

ბ ა თ უ — აი, თვითონაც გამოჩნდა, თორემ კიდევ გეტყოდით ჩემსას.

(მემოდის გაიანე).

ი ვ დ ი თ — იგრძენი, რომ შენზე ვლაპარაკობდით და იმიტომ მოხვედი, არა!

რ უ ს უ დ ა ნ — რად დაღუნე თავი, ნუ გეშინია, ცუდად ვერავინ ვერ გახსენებს.

გ ა ი ა ნ ე — ამ ბოლოს დედა ისეთ ხანიათზეა, ზურგს უკან რომ მაქოს, პირში მაინც დამტუქსავს.



გოდერძი — თუ შენს ნაკვეთს ასე კარგად მოუვლი, გაიანე, ვერაფერს და-  
ჩაგრავს. ახლა ქალის შრომის შემფასებელი მთელი კოლექტივი უნდა  
ივლით — გადამეტებული ქება წყენს ახალგაზრდას.

გოდერძი — არა, გაიანე სხვა ქალია. აქამდე ყვეაილებს ისე უვლიდა,  
სათბურა შეარქვეს, ახლა კი ნაკვეთზე ისეთი ზევიანი პურის ჯიშები  
გაახარა, რომ ზორბალას ეძახიან.

რუსულდანი — ვინ იცის, რამდენი ქალი ოჯახში ამოდ ხარჯავს უნარს,  
გარეთ კი რამეს გააკეთებდა.

ივლით — მაგრამ, ესეც გვახსოვდეს, რუსულდანი, რომ ქალი თავის ოჯახში  
სამშობლოს წარმომადგენელია.

გოდერძი — მესმის შენი ქართული, რუსულდანი, ინჟინერი ქალი ხარ და  
ოჯახი გბორკავს, მაგრამ ახლა ფრთებს გააშლევინებთ. წავიდეთ, მოე-  
მზადე.

რუსულდანი — ჰე, ასე, სულმოუთქმელად ავარდნა საბუღარიდან არ მინ-  
დოდა.

(რუსულდანი და გოდერძი მიდიან).

ივლით — მე ასე ვატყობ, ქმარი ცდილობს — ცოლი არ შებორკოს და  
ცოლი ქმარს ებოდიშება.

ბათუ — სწორია, მაგრამ მეტისმეტი ბოდიში ჩხუბის მეზობელია. ასეა, არა,  
გაიანე!

გაიანე — არ ვიცი... კაცის ცნობა ძნელია.

ივლით — ეს მართალია, კაცის ცნობა ძნელია და შენს ტოლ-ამხანაგებსაც  
ფხიზლად გადახედე, ჩემო კეთის კოლოფო.

გაიანე — სადაც თვალი მიმიწედება, ვაკვირდები.

ივლით — აი, მაგალითად, ბათუს ვაყებმა რომ სწავლა დაამთავრეს და  
ჩამოვიდნენ, ეს იცი?

გაიანე — მაშ, თუ ეს არ ვიცი, ბრმა ვყოფილვარ.

ივლით — მერე, როგორებია?

გაიანე — რად უნდათ, დედა, ჩემი ქება.

ივლით — არ შეჭხარი მათს წარმატებას?

გაიანე — ის კი არა, ხანდახან გზაც რომ მიბრუნდებოდეს, მათ ეზოს ჩამო-  
ვუვლი, ისე მიხარია მათი დანახვა.

ივლით — რა ქვეშევვეშა ყოფილა ეს ჩემი გოგო, ხედავ!

ბათუ — ხომ გითხარი, ივლით!

ივლით — ამის უფროს ვაქვს არ დალაპარაკებისხარ?

გაიანე — როგორ არა.

ივლით — მერე, როგორ ჩაგანდა გულში!

ბათუ — რას ბრძანებ. მათ გაბაასებას რომ დავეუგდე ყური ამას წინათ,  
მეგონა, შაშვი და კაკაბი შეხედნენ ერთმანეთს და გალობდნენ.

ივლით — ჰოდა, ჩემთვის რომ არ გაგიმხელია, რა მოგივიდა, გოგო, ეკალს  
მხრი და ვარდს მიმაღე მორცხვობით!

გაიანე — თუ ასე გეამებოდა, არ ვიცოდი.

ბათუ — ჩვენ კი, გაიანე, სწორედ გითხრა, ნათელივით გიყურებთ.

გაიანე — დიდი სიხარულია ჩემთვის, თუ მართლა ასე მოწონებულნი ვარ  
თქვენგან, ძია ბათუ.



- ო ვ დ ი თ — ის კი არა, ჩემო გოგონა, რძალადაც ენატრება ბათუს ოჯახს.  
 გ ა ი ა ნ ე — ოჯახს?
- ო ვ დ ი თ — თვითონ ის უფროსი ვაჟი ითხოვს შენს ხელს. ეროვნული  
გინგლინიძე
- გ ა ი ა ნ ე — ეს რა თქვი, დედაჩემო!
- ო ვ დ ი თ — რაზე?
- გ ა ი ა ნ ე — ეს როგორ ეკადრება ისეთ წესიერ ვაჟს, მთლად სწავლულს ჰგავს.
- ბ ა თ უ — ახლა ნუკი გააწითლებთ ქალიშვილს. მართალია, შვილო, შენ მას-  
 ვით უმადლესს არ გაჰყოლიხარ, მაგრამ კარგი დედისშვილობით და  
 ქალობით ჩვენთვის წონა მადლი ხარ.
- ო ვ დ ი თ — არც სწავლითაა გაიანე ჩამორჩენილი, ჩემო ბათუ, თავის ნაკვე-  
 თზე ისეთი საქმეები გააკეთა, რომ სწავლულებმა ზედ თითო ტყინი  
 აამუშავეს.
- ბ ა თ უ — ხო, როგორ არა, ჩემმა ვაჟმაც ნახა ამის ნამუშევარი, და ფრინავდა.  
 ის კი არა, სახლში ესეც თქვა: გაიანე ჩემი ხელმძღვანელობით იმუშა-  
 ვებსო.
- გ ა ი ა ნ ე — მართალია, ამაზე კი გვექონდა ლაპარაკი.
- ო ვ დ ი თ — კარგი ტურა ყოფილხარ.
- ბ ა თ უ — ჰო, ჰო, ჰო, რა იქნება, ეს ჩემს ოჯახში თუ გვიკადრებს.
- ო ვ დ ი თ — როგორ არა, ბათუ, ჩემი შეტყობით, ეს საქმე გაჩარხულია.
- გ ა ი ა ნ ე — ეს რა მესმის, რას მიპირებენ.
- ბ ა თ უ — რატომ გასწიე იქით თავი. ამ საქმეზე კიდევ გვექნება ლაპარაკი  
 ხან ახალგაზრდებს, ხან უფროსებს და კეთილად გადაწყდება.
- გ ა ი ა ნ ე — ბედი რომ საძებარი მქონდეს, ეგებ ჩემთვისაც სანატრელი  
 ყოფილიყო თქვენი ოჯახი.
- ბ ა თ უ — რატომ, აწი ღროა, შვილო. რაც ადრე ეწვევა ქალი ბედს, სჯობს.
- გ ა ი ა ნ ე — მე მგონია, ქალი არ უნდა აჩქარდეს. მაგრამ მე ისე წამივიდა  
 საქმე... მე თვითონ ადრე გავიჩინე საქმრო.
- ბ ა თ უ — რაო, რა თქვა?
- ო ვ დ ი თ — რომელი საქმრო გაიჩინე?
- გ ა ი ა ნ ე — ერთია, სხვა არ მყოლია.
- ო ვ დ ი თ — ვინ?
- გ ა ი ა ნ ე — მურმანი.
- ო ვ დ ი თ — პირველად მესმის შენგან.
- გ ა ი ა ნ ე — მე მგონია, უთქმელადაც იცოდი.
- ო ვ დ ი თ — საიდან!
- გ ა ი ა ნ ე — ასეა. ეს არ შეიცვლება, დედაჩემო.
- ბ ა თ უ — არ ჩაგვიგდო კოვში ნაცარში!...
- ო ვ დ ი თ — როგორც გინდა... ამ მოფერებაში კი მოულოდნელად დამარტყი  
 თავში კეტი.
- გ ა ი ა ნ ე — შენგანაც რა იყო ასეთი მოფერება, ამ ალერსში ეს რა შემობა-  
 პარე.
- ო ვ დ ი თ — ამას მაინც გეტყვი, ის სხვაგან ეწიოს თავს, სადმე წავიდეს,  
 თორემ აქ ნღობას ვერ ამართლებს. თქვენც დაიჩაგრებით და ვერც შე-  
 ვუყურებ თქვენს წახდენას. მეტი რა გითხრა, პირი წყლითა მაქვს საესე.



გ ა ი ა ნ ე — ის აქაც იმუშავებდა, დედაჩემო, რომ არ აგეგდოთ.

ი ვ დ ი თ — რადგან მე არ მკითხე, თქვენი ხელით გამოიშვედეთ თქვენი ბედი.

(ივდიოთი მიღის).

ბ ა თ უ — აწი, შევილო, ჩემგან ჯვარი გწერია, მაგრამ, რაც ჩვენ ახლა პანდურ-რი მოგვარტყი, მომავალში შენ დაგაჩნდება თავის ალაგას.

გ ა ი ა ნ ე — რაზე ამბობთ, ბათუ?

ბ ა თ უ — აბა, ჩემს ნასწავლ შეილს ვინ ამჯობინე, ის ბოგანო?

გ ა ი ა ნ ე — ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს.

ბ ა თ უ — დამცირებაში სიყვარულიც ჩაქრება. თორემ გაიგებ.

გ ა ი ა ნ ე — ჩვენ, ძია ბათუ, სხვების წინ წასვლა არ გვამცირებს. თუ ვინმე დაწინაურდება სწავლით, ან შრომით, ჩვენც გავყვებით. კაცი კაცის ხილია ჩვენში.

ბ ა თ უ — როგორ, ის შენი არჩეული ვითომ რამეს გახდება?

გ ა ი ა ნ ე — ვნახოთ. არა უშავს, ვინც დღეს ჩვენზე წინაა, ხვალ შეიძლება ჩვენ მივცეთ მაგალითი.

ბ ა თ უ — ისეთი დრო მოვიდა, ყველა გაათანასწორა... ასეა... ჩემი ოჯახი დაწინაურდა, მაგრამ სულ უკანასკნელიც ახერხებს შემომიაროს.. კი ბიძია, კი, იარე შენს გზაზე და შენს ეკალზე ვარდი ამოსულიყოს ჩვენს გასახარად.

(შემოდის პეროქავრა).

პ ე რ ო ქ ა ვ რ ა — ოჰ, ეს კარგი ნიშანია, რომ თქვენ შეყრილხართ.

გ ა ი ა ნ ე — მადლობელი ვარ დალოცვისათვის, ბიძია ბათუ.

პ ე რ ო ქ ა ვ რ ა — არა, ილაპარაკეთ, არ შეგიშლით.

გ ა ი ა ნ ე — მშვიდობით. (მიღის).

პ ე რ ო ქ ა ვ რ ა — ჩემი შერცხვა? სწორედ მარგალიტია ქალად და, მგონია, სარძლოდ აგირჩევიათ, ბიძია ბათუ?

ბ ა თ უ — არა, მაგას საქმრო ჰყოლია.

პ ე რ ო ქ ა ვ რ ა — ვინ ჰყავს?

ბ ა თ უ — მურმანი.

პ ე რ ო ქ ა ვ რ ა — მურმანი? ეს ჰორია.

ბ ა თ უ — ის კი არა, აგერ, ახლა გამოუტყდა დედამისს.

პ ე რ ო ქ ა ვ რ ა — ნამდვილად?

ბ ა თ უ — კი, გაშრა საწყალი დედაკაცი.

პ ე რ ო ქ ა ვ რ ა — უყურე ამ საძაგელს. ჩემი ბრალია, მურმანს, იმ მუდოს, ისე კარგად რომ გამოვეუკობიტე საქმე, ამიტომ მოიცალა გაიანესთვის, მაგრამ ისეთი რამეს ვუზამ...

ბ ა თ უ — შენ რა გული გეწვის?

პ ე რ ო ქ ა ვ რ ა — მართლა კი არ გაჰყვება, ალაზღანდარებს და ლუპავს რბოლ ბიქს.

ბ ა თ უ — ჩვენს მახეში თუ არ გაებმება ჩიტი, მერე გინდა გასუქდეს და გინდა გახდეს, რა გვენადვლება.

პ ე რ ო ქ ა ვ რ ა — ეს რაზე თქვი?

ბ ა თ უ — ისე... მშვიდობით გნახე. (ბათუ მიღის).

პ ე რ ო ქ ა ვ რ ა — (მარტო) უყურე, ამ ბებერმაც რა გადმომკრა! საკვირველია, არასოდეს ჩემს თავზე სიმართლეს არ ვლაპარაკობ და საიდან მიჭერტს

ყველა გულში მგონია, ისევ გულახდილობა სჯობს, რადგან დაფარულს ქექავენ და უფრო ბერავენ... მაგრამ როცა სიმართლეს ელაპარაკებ: მგონია, მე საწყალს, ეკალში ტანს ვიშიშვლებ, ენაც მებორკებ... მტყუნილი კი პირიდან კოხტა რააკრავით მოდის და ცხოვრების ფარად მეჩვენება.

(შემოდიან მურმანი და გიგი.)

მურმანი — გაიანე აქაა და ვნახოთ, რა ამბავს გამოიტანს.

პეროქავრა — საღამო მშვიდობისა, სოფლის დამშვენებელი ახალგაზრდებო!

გიგი — გაუმარჯოს ქვრიუს, რომელმაც ერთი მოინელა და ათასს ემუქრება.

პეროქავრა — რით ვემუქრები?

გიგი — ანდამატური სილამაზით. (მურმანს). მოვეფეროთ ეგება, მშვიდობით გადაეურჩეთ.

პეროქავრა — მაგ საკენკის გუნებაზე არა ვარ, გიგი.

გიგი — რაზე მოგიწყენია, პეროქავრა?

პეროქავრა — სოფელში ხმა გავარდა, მურმანი ქარხანაში მიდისო, მართალია? თვითონ გაგცეცს პასუხი.

მურმანი — მერე, რა მოხდა?

პეროქავრა — ასე რამ გაგიტეხა გული შენს სოფელზე, მურმან. მართალია, აქ ობოლ ბიჭს ხეირიანი ბინაც არ გაქვს, მაგრამ კარგი გულით ყველაფერი მოხერხდებოდა. მეგობრობა გვაეალებს, ერთმანეთის ჭირი გავიყოთ.

მურმანი — მე მეგობარს არ შეეაწუხებ.

პეროქავრა — რა რბილი ეკალი ხარ!

მურმანი — დიახ, ეკალდაც არ ვარგივარ, პეროქავრა, და ჩემი გზა-კვალი რა საძებარია. (მიდის).

პეროქავრა — ეს რა მწარე გამილესა, მთლად არ გამაპიპინა ამოდენა ქალი?

გიგი — არა უშავს, პეროქავრა, რაც არ უნდა გაპიპინდე, ქვრივი ხარ და გატეხილი ქოთანივით შეიშრობ.

პეროქავრა — უყურე! შენგან დამარხულს ეს დაცინვა მაკლდა!

გიგი — მე რით დავმარხე?

პეროქავრა — ძალიან კარგად ვხედავ.

გიგი — შენ გგონია, მურმანი მე დაგაშორე?

პეროქავრა — დამაშორე, თორემ დიდი ხვითოა. სიმართლე თუ გინდა, მისი ამ სოფლიდან წასვლა ისე მალონებს, როგორც ყვავის ბუდიდან ბაზალას გადაფრენა.

გიგი — აბა, ჩემგან რა გწყინს, არ ვიცი.

პეროქავრა — ყველა მეხვეწებოდა, მაგ ბიჭისთვის მომეველო, მაგრამ როგორც შენგან მაგულიმ იხეირა, ისეთ ჯილას მოველოდი მისგან.

გიგი — ასეთ ვალანძლეს სწორედ ვერ მოვითმენთ.

პეროქავრა — არა უშავს, არა უშავს, მალე ვნახავ, ჩემს ლაფარეში აეტუზოს მკადისათვის.

გიგი — კი გინდა ასე გააბა, მაგრამ მას სხვა დაეპატრონა, ჩემო პეროქავრა.

პეროქავრა — რაო? რად მინდა ის კაცის ჭირი, როცა ქალმა აღმასივით ქმარი დავკარგე, მერე რა ქმარი, მაგის ფასი ჯოხი ეკირა ხელში.

(მეროქავრა მიდის. შემოდის მურმანი.)



მ უ რ მ ა ნ — წავიდა ის შირიანი?

გ ი გ ი — ოო, ისე გამწარებულია, აწი შენსკენ ვერ მოიხედავს.

მ უ რ მ ა ნ — მადლობა ღმერთს.

გ ი გ ი — ისე, აქ როგორ ეწყობა შენი საქმე.

მ უ რ მ ა ნ — რა ვიცი, ფეხი უკან მრჩება.

გ ი გ ი — რატომ?

მ უ რ მ ა ნ — გაიანეს ხათრით.

გ ი გ ი — მაშ არ წახვალ ქარხანაში?

მ უ რ მ ა ნ — არა, როგორ არ წავალ, მხოლოდ ჩემს ნაღველს ვლაპარაკობ.

(შემოდის გაიანე).

მ უ რ მ ა ნ — გაიანე, ხან ერთ შუკაში გიციდი და ხან მეორეში, როგორაა საქმე?

გ ა ი ა ნ ე — ეჰ, აწი ამ შუკებში არ გვედგომება.

მ უ რ მ ა ნ — რატომ?

გ ა ი ა ნ ე — გატეხილად მითხარი, მურმან, გულგრილად ხომ არ უყურებ ჩვენს მომავალს?

მ უ რ მ ა ნ — რას ამბობ, ისეთი ცეცხლი მიტრიალებს შიგნით, ქვას დაადნობს და მივივრის, გული როგორ უძლებს?

გ ა ი ა ნ ე — მაშ, როგორც მე მეფიცები, ასე მტკიცედ ჩაჰკიდებ ხელი შენს საყვარელ საქმესაც, ახლავე წადი ქარხანაში, საწინაო გზა სხვა არ არის.

გ ი გ ი — მაგული მანდ არის?

გ ა ი ა ნ ე — კი, ბალში იყო. ახლა დაუძახა რუსულდანმა შენზე დაუწყო ლაპარაკი და ისეთი ღმობიერი სიტყვები უთხრა, მეც ამიჩუყდა გული.

გ ი გ ი — ჩემმა დედაკაცმა რა თქვა?

გ ა ი ა ნ ე — რა მოგახსენო. თავი ჩაღუნა და პასუხისათვის დაფიქრა. ამ დროს რუსულდანმა მითხრა: ახლავე მომიწახე მურმანო, და ამისათვის გამოვედი.

მ უ რ მ ა ნ — მაგრამ, ასე უცბად გავემგზავრები?

გ ა ი ა ნ ე — რა ბარგი გაგაჩნია.

გ ი გ ი — ჰო, რა გაქვს, შე საწყალო!

მ უ რ მ ა ნ — საცხა ხელსაწყობები კი მომეტებნება და ორ სამ ბიჭს ჩემგან სამუშაო იარაღებიც აქვთ წაღებული.

გ ა ი ა ნ ე — ჯიბილოს და გოგიტას ხომ არა?

მ უ რ მ ა ნ — კიდეც დალაქიშვილსაც.

გ ა ი ა ნ ე — კეთილი, მე მათ ახლავე ჩამოვეული და გამოვართმევ.

მ უ რ მ ა ნ — ის ჩონგური კი მოთავეებულია და შენ წაიღებ. იმით მომივინებ.

გ ა ი ა ნ ე — კარგი. რაც მოხერხდება, ამოგიტან, რაც არა და მერე მოგაწოდებ. (გაიანე მიდის, მურმანი მიდის სახლში).

გ ი გ ი — თქვენ გზას კარგად იკვალავთ, მე კი სადა ვარ, არ ვიცი. (შემოდის რუსულდანი და მოჰყვება მურმანი ბარგით). რუსულდანი, ასე უცბად მიდხართ ქარხანაში?

რ უ ს უ დ ა ნ — როგორც ხედავ.

გ ი გ ი — მაგული რას აპირებს?

რ უ ს უ დ ა ნ — აი, სადაცაა გამოვა სახლიდან, ერთად მივალთ.

გ ი გ ი — რა გუნებაზეა?



რუსუდან — გულს იწყვეტს, რომ ვერაფერი გააწყო შენთან.

გიგი — ჯერ რა იცის, ხომ უნდა მოვილაპარაკოთ.

რუსუდან — მოლაპარაკებაზე უარი თქვა.

მურმან — კი, მეც ვთხოვე და ასე ამბობს: მეხს უფრო ადვილად შევეუ-  
შვერ თავს, ვიდრე მის ლაპარაკს მოვისმენო.

გიგი — რატომ?

რუსუდან — საქმე დამანახოსო. ერთი სიტყვით, ხელი უნდა გამოიღო, ჩემო გიგი, სიტყვები რომ გამოიცვალო, ეს არ გიშველის, ცხოვრება უნდა გამოიცვალო.

გიგი — სწორედ ამაზე მინდოდა მოლაპარაკება.

რუსუდან — არა, საქმემ ილაპარაკოს.

(შემოდის გოდერძი).

გოდერძი — რუსუდან, მე მაგულის ვთხოვე, ეგებ ყოჩალი მექანიზატორი მიშოვოს ქარხანაში, ხომ იცი, როგორ მჭირდება, შენც დაეხმარე.

რუსუდან — ენახოთ.

(შემოდის მაგული).

მურმან — უთხარი, ბიჭო, გამარჯობა.

გიგი — რომ არ მიპასუხოს, ხომ შემარცხვინა კაცი.

მაგული — გამარჯობა, გიგი. ხომ მშვიდობით!

გიგი — გმადლობთ, კარგად, ხან ავად... მხოლოდ, უფრო დაწერილებით თუ მიკითხავ...

მაგული — არა, გრძელი საუბრით არ გავაცდენ, ჩემო ბატონო.

(ზურგს შეაქცევს).

გოდერძი — მაშ კარგ მექანიზატორს მიპოვი, მაგული, არა? რუსუდანიც დაგეხმარება.

მაგული — აი, მაგაზე ვფიქრობდი ახლა, გოდერძი. ჩვენს საამქროში ისეთი არავინაა, რომ შენც გამოგადგეს და ჩვენთვისაც ზედმეტი იყოს.

გოდერძი — აბა, როგორ იქნება?

მაგული — მართო ჩემი იმედით ნუ დადგები.

გოდერძი — ბოლოს გამომიგზავნიან, მაგრამ ბევრი საქმეა თავმოყრილი და ძალიან მეჩქარება. სულ არავინ არა მყავს.

გიგი — რადგან ასეა, მე ვიკისრებ მექანიზატორობას.

გოდერძი — მართლა, ეს კარგი მომავონე, შენ ერთ ღროს მუშაობდი.

გიგი — მხოლოდ უბედურება ისაა, გაცვეთილი მანქანები გაქვთ.

გოდერძი — ჰე, როგორ ოჩანი ხარივით დაიხეე უკან. არა არა, შენ ამის გამკეთებელი არა ხარ.

გიგი — მერწმუნე, გულით მოვეკიდები მაგ საქმეს, მაგრამ უმეტეს სამუშაო ღროს მანქანების შეკეთება წაიღებს.

მაგული — თუ მანქანების რემონტზეა დაბრკოლება, ამას მე მოგიწყობთ, ჩვენმა ქარხანამ ხომ იყისრა თქვენზე შეფობა.

გოდერძი — კი, ჯუმბერი შემპირდა.

მაგული — მაშ შენ მექანიზატორი იშოვნე და მანქანებს ჩვენ შეგიკეთებთ.

გიგი — თუ მანქანებზე ხელს შემიწყობთ, მე ვიმუშავებ, სხვა რად გინდათ.

მაგული — ეს გოდერძის ჰკითხე.

გოდერძი — გულს დაუღებ ამ საქმეს?



გ ი გ ი — გამომცადე.

გ ო დ ე რ ძ ი — რა ვიცი...

გ ი გ ი — შენ ხომ შემოიწვობ ხელს, მაგული?

მ ა გ უ ლ ი — რატომ!

გ ი გ ი — აბა, შე სიტყვას გაძლევთ, სასახელოდ დაეტრიალდები.

გ ო დ ე რ ძ ი — კარგი, დაიწყე მუშაობა, გამოგციდით.

(შემოდის გაიანე ჩონგურით, ჯიბილო და გოგოტა ბარჯით).

გ ა ი ა ნ ე — ესენი, ვატყობ, კარგს არ ფიქრობენ, ისე ამედევნენ.

მ უ რ მ ა ნ — როგორ, რა უნდათ?

გ ა ი ა ნ ე — ჩვენც გავყვებითო, ლულულულებენ.

მ უ რ მ ა ნ — ამით უყურე. ის ჩემი იარაღი რა უყავით?

ჯ ი ბ ი ლ ო — ყველაფერი აქაა.

მ უ რ მ ა ნ — რა ჭკუაში მოგივიდათ, რომ ქარხანაში გამყვეთ, ჩემი კული ხართ?

გ ო გ ი ტ ა — ახლა ამ ბარგს წაგაღებინებთ და მერე, ასე ვიფიქრეთ, ეგებ შევეყთ თავი იქა-თქო.

მ უ რ მ ა ნ — იქ პატარა საქმე გგონიათ?

ჯ ი ბ ი ლ ო — ჩვენც ამიტომ გვენატრება, აქედანვე ჩაევბათ.

მ უ რ მ ა ნ — უყურე ამ ლიფსიტებს, რამოდენა მდინარეზე აქეთ თვალი!

გ ო გ ი ტ ა — რატომ არა, დიდი მდინარის ნაპირში არ შეგვიძლია პატარა ანკესი ჩვენც გადავაგდოთ?

(შემოდის ირაკლი ახალგაზრდებით).

1 ვ ა ქ ი — იქ ქარხანაში მიმავალნი გროვდებიან, რუსულან, და თქვენც ხომ მზადა ხართ?

2 ვ ა ქ ი — ჩვენც მეგობრულად გაგაცილებთ.

გ ა ი ა ნ ე — ამხანაგებო, ეს ჩონგური თქვენს კლუბს გადაეცით მურმანი-საგან.

2 ვ ა ქ ი — უყურე ამას, რა ლამაზი გაუყვებთბია!

1 ვ ა ქ ი — ჰოდა, რას ვერჩით, რალაცა ამასაც გამოუღდის ხელიდან.

(გადასცემს ახალგაზრდა ხლიან ქალს).

შენ ხარ ამის დამკვრელი.

ხ ა ლ ი ა ნ ი ქ ა ლ ი — რამდენი უწვალაია, შეხედეთ, როგორ კობტად მოუ-  
კიკიკიებთბია.

2 ქ ა ლ ი — ხედავთ, ნამდვილი ჩონგურია.

3 ქ ა ლ ი — თქვენ ეხუმრებით მურმანს, ქალიშვილებო, მაგრამ თვითონ არ ხუმრობს.

1 ვ ა ქ ი — რატომ, ჩვენს კლუბს სხვა რალაცეებიც გადასცა მურმანმა.

მ უ რ მ ა ნ — კი, ისინი იქ დაგიტოვეთ.

გ ო დ ე რ ძ ი — ჩონგურზე ქვრივი ჩივის, ერთ ამბავშია და ბოლოს ასე მოვარიგეთ, რომ კლუბს დარჩეს.

მ უ რ მ ა ნ — მაგრამ ეს ჩონგური შენ არ გინდოდა, გაიანე?

გ ა ი ა ნ ე — დედამაც მიჩნია და მას ხომ ვერაფერს გაუუბედავ.

მ უ რ მ ა ნ — ვერაფერს გაუბედავ?

ი რ ა კ ლ ი — რად ჩამოუშვი ცხვირი, ბიჭო? გამაგრდი, საწინაო საქმეზე გაგზავ-  
ნით.



- მაგული — ახლა ყველა საქმე საწინაოა, რასაც გულს დაუღებ.
- გიგი — ესეცაა, თუ თქვენ იარაღი არ მომართოდეთ, რას გავხდებით?
- მაგული — თანაგრძობას დამსახურება იწვევს.
- მურმან — უღელი გასწიე, გიგი, და მარტო არ დატოვებენ.
- გიგი — შენ რა გიჭირს, ძმაო, ხელიდან ქარხნის ურიცხვ მუშებში ჩადგება.
- გოდერძი — გაიანეს კიდევ მოემატა საქმე. ახალი საცდელი ნაკვეთი მიიღო დასამუშავებლად ბათუს ვაეთან.
- მურმან — ბათუს ვაეთან?
- გაიანე — კი, საცდელი ნაკვეთი მისი ხელმძღვანელობით უნდა დაეამუშავოთ.
- ჯიბილო — (გოგიტას) უყურე, რა მოგვერდს უკეთებს თანდათან ეს წელკაცი!
- გოგიტა — (ჯიბილოს) ჩვენ მაგას თვალი ვადევნოთ და ბათუს შუკაში თუ ხშირად მოუხვია, ხაფანგით კოჭები მივატეხოთ.
- (მემოდის გოჩა).
- გოჩა — გელოდებით!
- მურმან — წავიდეთ.
- რუსუდან — ჩვენს გზას გავუღვეთ.
- ახალ. ქალი — ამ ლამაზი ჩონგურით გავაცილოთ, ახალგაზრდებო.

ფარდა

**მოქმედება მესამე**

**სურათი პირველი**

ქარხნის საერთო საცხოვრებელი. შვიდასთან მუშა-ოსტატები და მურმანი.

- 1 მუშა — რა ნახებთ, მაინც რამდენი გიმუშავია და ვიფიქრია, მურმან. როგორც კი დროს ვიშოვნო, შენთან ერთად ჩავეუჯდები ამ ფურცლებს.
- 2 მუშა — კარგადაა მოფიქრებული, აუცილებლად შევისწავლით.
- 1 მუშა — მე თვითონ ხომ მაგ საქმეზე მიმავლინებს რუსეთში გამოცდილების მისაღებად. დროს არ დავზოგავ, თუ მაგ საქმეში გამოგადგებით.
- მურმან — აქ კიდევ მაქვს სამუშაო, ძალიან დამაყალბო.
- 1 მუშა — აბა ახლა, ვინ საით ამხანაგებო.
- ახალ. მუშა — მე ქალაქში მივდივარ.
- 2 მუშა — აკი არხის გახსნაზე უნდა წამოსულიყავი.
- 1 მუშა — თავი დაანებე, ალბათ საცოლესთან მიდის.
- ახ. მუშა — საცოლესთანაც, და მერე ცეკვით გულს მოვიჯერებ.
- 2 მუშა — ჰო, მართლა, შენ ხომ ცეკვის წრეს ხელმძღვანელობ ჩვენს კლუბში.
- ახ. მუშა — ცუდად ვხელმძღვანელობ თუ?
- 1 მუშა — რატომ, შენ მფლად მაგ საქმეზე უნდა გადახვიდე.
- ახ. მუშა — ვინც არ უნდა დამცინოს, მე ასეთი ქეუსია ვარ, დასვენების დღეს უნდა დავისვენო. დღეს ქალაქში შეგობრებთან ვიცეკვებ და გულიდან ჯავრს ამოვიღებ.
- მურმან — სამაცადინო მაქვს, მაგრამ არხის გახსნაზე მაინც წამოვალ.





1 მუშა — მას გამოეწყვე.

2 მუშა — ოღონდ, დროზე.

(მუშა მანი გამოიღებს კარადიდან ტანსაცმის, შემოდინა ჯუშბერი და ელიზბარი).

ჯუშბერი — სალაში ახალგაზრდებს, საით გამგზავრებულხართ?

1 მუშა — არხის გახსნაზე მივალთ.

ელიზბარი — ისე, სახლი კარგადა აქვთ მოვლილი.

ჯუშბერი — უკეთესი საღებავი უნდა წაესვათ... ფანჯრის ჩარჩოებს კი არა უშავს.. შენობის ჩქარა აგება კარგია, მაგრამ ნაჩქარების შთაბეჭდილებას წერილმანებშიაც არ უნდა სტოვებდეს.

ელიზბარი — საკლებო დარბაზი უფრო გულმოდგინედ გაუკეთებიათ.

ჯუშბერი — ვნახოთ, მთლად მოათავებს?

ელიზბარი — კლები უკვე ამუშავდა. (შემოდინა გოჩა და სკოლის გამგე).

ჯუშბერი — (მურმანს) ეს რა წიგნებია? ჰოო... თეორიას ეცნობი? აქ რა ნახაზებია?

(აკვირდებიან ნახაზებს).

მურმანი — დაზგებს ესწავლობ. ნახაშიც ამაზე მაქვს.

ჯუშბერი — უყურე, საკუთარი თავით ფიქრობს.

გოჩა — (ნახაზებზე) ისე, საინტერესო ნახაზია.

ჯუშბერი — აგერ, მეორე წიგნიც. გიყვარს კითხვა და სწავლა?

მურმანი — დიახ, ინსტიტუტის დაუსწრებელზე მინდა დავიწყო, პატივცემულო ჯუშბერი, თუ შეიძლება.

ჯუშბერი — კარგი, დაგეხმარები. საერთოდ ამ ახალგაზრდას ხელი შეუწყეთ. ისე ზომ კარგად გაეცანი, გოჩა, უკანასკნელ დავალებებს?

გოჩა — როგორ არა, გუშინ მთელი დღე ვამოწმებდით საამქროს, ამხანაგი ელიზბარიც ესწრებოდა.

ჯუშბერი — გახსოვდეს, დრო როგორ ჩქარა მიდის. მალე უნდა შეეკმნათ მოტორი.

ელიზბარი — მხოლოდ უკანასკნელ კვირაში ამათ ჩვენი სამკედლო ხარისხიდან ლითონის კვერბებს ვერ აწვდის.

ჯუშბერი — ეს იმიტომ, რომ ჩვენ თვითონ ვერ ვაძლევთ სამკედლოს კარგ მასალას.

ელიზბარი — ესეც სწორია.

ჯუშბერი — მე დღეს მივემგზავრები ამ საქმეზე თბილისში, ხვალ დილაზე ხელმძღვანელებს ვნახავ და, თუ დაგვეკირდება, ხვალვე გადავფრინდები მოსკოვში და ქარხანას უზრუნველყოფ, მასალით.

ახ. მუშა — ამხანაგო ჯუშბერი, ტაბაკარიდან გოდერძი ამოსულა და გიხმობთ.

ჯუშბერი — გოდერძი? ალბათ რუსუდანის ამბავი აინტერესებს.

(შემოდინა გოგიტა და გიბილო).

ელიზბარი — ეს შენი მეზობლებია?

ჯუშბერი — შემოდით, რის გრცხენიათ? ამ ბიჭებმა ორი დღის წინათ მომმართეს თხოვნით, მგონი, აქ მიწის სამუშაოებზე მოგიწყვიათ, არა?

გოჩა — დიახ, როგორა ხართ, ბიჭებო?

ჯიბილო — ეჰ, ასეთ სამუშაოს ჩვენს სოფელშიც არ გვამადლიდნენ.  
 გოგოტა — კი, ნიჩაბი და ბარი იქაც არ გვექონდა საძებარი. *ეროვნულში*  
 გოჩა — სწორია. ამათ მშენებლობაზე კი არა, ქარხანაში უნდა მუშაობდნენ.  
 მურმან — მე აქი გითხარით, ჯერ სოფელში დაეტიეთ-მეთქი. ახლა რას  
 ფიქრობთ, ასე მალე აიცრუეთ გული?

გოგოტა — რატომ, ჯერ თვალი გადავავლეთ აქაურობას.  
 ჯიბილო — ერთი სულის ჩათქმით სტვირის გუდაც არ იბერება.  
 ჯუმბერ — ამხანაგო ნიკილიჩ, ეს ყმაწვილი თქვენთან ჩაიბარეთ სახელოსნო  
 სასწავლებელში. ეგ კი გოჩამ კვერების დაზგაზე მოაწყოს თანაშემწედ.  
 სკოლის გამგე — მესმის, ამხანაგო ჯუმბერ.  
 ჯუმბერ — მაშ დავლა ჩავიღებთ გოდერძისთან და კლუბიც ვნახოთ.  
 მურმან — აბა, ჩქარა გამოეწყვე მურმან, ქვევით დაგიცდით.

(ცველანი მიდიან. რჩებიან მურმანი, ჯიბილო და გოგოტა.)

ჯიბილო — რა ნატერა აგვიხდა, ბიჭო?  
 გოგოტა — რა ბედზე გაიღვიძეთ ამ დილას.  
 ჯიბილო — ჰო, მართლა, მურმან, ამისთვის შემოვცვარდით, შენტვის ამბავი  
 უნდა გვეთქვა, და ეს დანიშვნა მივიღეთ.  
 გოგოტა — ობლის კვერი გვიან ცნებდაო და ახლა უცბად არ გვერგო?  
 მურმან — ჰო, რა ამბავი უნდა გეთქვათ?

ჯიბილო — ეზოში ჩავედით და დავინახეთ, ტაბაკარიდან სარემონტო  
 მანქანები შემოუტორებიათ და მაგულიმ ჩაიბარა. მერე ეზოდან წაცნობი  
 ხმა მოგვესმა. გავექეციით და ვნახეთ, მარტო გოდერძი კი არაა თავის  
 მანქანით, მთელი ტაბაკარის მოწინავენიც სხედან საბარგოში. არხის  
 გახსნაზე მიდიან.

მურმან — ჰო, კარგია, კარგი, იქ შევხვდებით, ბიჭებო.

ჯიბილო — მხოლოდ... გაიანე არაა.

მურმან — მარტო გაიანე აკლიათ?

გოგოტა — ბათუს ვაჟიც არაა.

მურმან — წერილიც არავისთვის გამოუტანებია?

ჯიბილო — მარტო მე მომივიდა წერილი ბებიასაგან.

გოგოტა — მე კიდევ ერთი რამე მითხრა დალაქის შვილმა.

ჯიბილო — ჰო დალაქის შვილს მერე ეს გამოელაპარაკა.

მურმან — რა გითხრა?

გოგოტა — გაიანე საბარგოზე შემოდიოდა, მაგრამ ისე შეამცივნა, სულ  
 ააკანკალა და ვერ შესძლოო.

მურმან — ავად გახდა, ავად?

გოგოტა — ჰოდა, გაიანე ასე რომ შეიქნა, ბათუს ვაჟიც მოდიოდა და ისიც  
 დარჩაო.

მურმან — ის რად დარჩა?

გოგოტა — არ ვიცი.

მურმან — ასეთი ამბავია?

(შემოდინ მუშები.)

1 მურმან — რას უყურებ, მურმან, კიდევ ვერ გამოეწყვე?

მურმან — არა, მე არ მოვდივარ, თქვენ წადით.

1 მურმან — რატომ?

მ უ რ მ ა ნ — უნდა ვიმეცადინო.

### მეორე სურათი



ქარხნის წინ მცირე სკვერი. სცენაზე არიან გოჩა, ელიზბარი, გოდერძი.

ელიზბარ — თქვენთან როგორაა საქმე, გოდერძი?

გოდერძი — არა უშავს, სული მოვითქვი.

ელიზბარ — მეც გავიგე, დაწინაურებულა შენი კოლექტივი, მაგრამ ჩვენს შეფობაც გამოგიყენებია.

გოდერძი — თქვენი მადლიერი კი ვარ. თუმცა შენი ძმაც ძალიან გამომაღდა, გოჩა.

გოჩა — მართლა, ასე გამოკეთდა გიგი?

გოდერძი — რაიონში უკეთესი მექანიზატორი არაა. ჩემ გარდა ორ კოლექტივს ემსახურება. (შემოდის მაგული).

მაგული — სალამი, გოდერძი, ამ ბოლოს ხშირად აკითხავთ აქ რუსუდანს.

გოდერძი — ხომ არ მეძრახება!

მაგული — რატომ, ორივეს კარგად გავით საქმე. შენ გეგმები გადაგიკარბებია და მან ვადაზე ადრე ჩაგვაბარა შენობა.

გოდერძი — საქმე ხომ ამით არ თავდება? მექანიზატორი წელს ჩემი მარჯვენა ხელი იყო გეგმების შესრულებაში. და დღეს აქ გიგი ამოვიყვანე, რომ ჯუმბერს მადლობა მოახსენოს.

ელიზბარ — ამ საქმეში ყველაზე მეტად მაგული ტრიალებდა.

მაგული — რასაკვირველია, სწორია, მადლობა ქარხნის უფროსს უნდა გადაუხადოს.

გოდერძი — მურმანიც ხომ არ გეხმარებოდით?

მაგული — ისიც ხელს მიწყობდა თავის ტაბაკვარელი ბიჭებით, როცა თავისუფალი დრო ჰქონდა.

(ელიზბარი და მაგული მიდის).

გოდერძი — მურმანს ვახლავარ! აქ შენი ქება დამხვდა, მურმან. თურმე რუსეთის ქარხნებში მივიღინებიდან ჩამოსულ მუშა-ისტატებსაც არ ჩამორჩება ტაბაკვარელი ბიჭი.

მურმან — ალბათ კარგი მომვლელი ცუდსაც გამოასწორებს.

გოდერძი — ეს თუ შე გადმომკარი, ტყუილია, იქ შენ ვერავინ გამოგიყვანს ასეთ კაცად.

მურმან — ასე ფიქრობენ ჩემზე?

გოდერძი — ზოგიერთი, ჩემო მურმან, თუ წახდა კაცი, მის ძველ სიკეთეს იფიწყებს და, თუ გამოკეთდა, წარსულშიც ამართლებს.

გოჩა — ასე ხშირად ხდება.

გოდერძი — აქ შენ ვისი მადლიერი ხარ, გოჩასი, არა?

მურმან — მთელი საამქრონი.

გოდერძი — როგორ?

მურმან — აქ პირველად რომ მოყვევი გოჩას, მას აქეთ ის საამქრო გამოიცვალა. გოჩამ თავის ცეცხლი გადასდო ყველას და მეც ამ მდინარეზე გავეყვი.

გოჩა — ეს ძალიან მოკრძალებით ლაპარაკობს. შენ არათუ სხვებს აწყვევი, მურმან, აქ ყველასათვის მაგალითი ხარ თავიდანვე.

გოდერძი — ჩვენთანაც კარგად აქვს საქმე, მურმან, შენს მოწონებულ გაიანეს. მეორედ წარვადგინეთ ჯილდოზე. პირველად თუ გეკვიდება ჩრის მოვლისათვის, ახლა პურის უხვად მოყვანისათვის თავის საცდელ ნაკვეთზე.

მურმან — ისე როგორაა?

გოდერძი — რა უშავს.

(მურმანი ქალაღს ათვალიერებს. შემოდის გიგი.)

გოდერძი — შენც მომისწარი აქ, გიგი?!

გიგი — დიახ, როგორც დავთქვით.

გოდერძი — აქ სხვა ამბები დამხვდა.

გიგი — ცუდი ხომ არაფერია?

გონა — არა, ყოჩაღად იყავ, გიგი.

გიგი — ამით მაინც კმაყოფილი ვარ, რომ კოლექტივმა უკვე მიიღო ჩემი შრომის ნაყოფი.

გონა — ახლა ჯუმბერი მელოდება, შემოხვალ მასთან?

გოდერძი — კი, როგორ არა.

გიგი — (თვალს მოკრავს მურმანს) აა, ჩემო ოსტატო!..

(გონა და გოდერძი მიდის.)

მურმან — გვიან მიხსენებთ, გიგი.

გიგი — ქარხნებში წამოსულები უფრო გულმავიწყი ხართ.

მურმან — რა თქვა გოდერძიმ, ჯიბილო და გოგიტა რომ ყანიდან ქარხანაში გამოიქცნენ?

გიგი — ძალიან გაუხარდა, კიდევ უნდა რამდენიმე ტაბაკარელი ვაეი მოაწყოს აქ ქარხნის სკოლაში. ეს ბიჭები კი იმ კვირას ისეთ თავმომწონედ გამოჩენილან სოფელში, რომ მათმა პატრონებმა შენთან მოკითხვა დამაბარეს.

მურმან — უყურე?

გიგი — მაგრამ მარტო დედაბრების მოკითხვით შენთან პირს ვერ დავიმშვენებდით და გაიანე ამოგიყვანე.

მურმან — გაიანე? სადაა?

გიგი — ძალიან კი ყოყმანობდა, ძლივს გაბედა წამოსვლა.

მურმან — რატომ?

გიგი — ივდითს ერიდებოდა. ეტყობა, დედამისს ჯერ კიდევ არ უყვარხარ.

მურმან — ისევ ბათუს ვაყთან მუშაობს გაიანე?

გიგი — არა, დიდი ეშმაკია. დაექვდა, სხვას არ მიაწერონ მისი ნამოქმედარი, გამოეყო და საკუთრად მოიპოვა სახელი.

მურმან — აქეთ რა გულით წამოგყვა, როგორ ფიქრობ?

გიგი — გულში რა აქვს ქალს, მე კი არა, ბრძენი ვერ ამოკითხავს.

მურმან — ახლა სადაა?

გიგი — აგერ, რუსულდანმა შეაჩერა. შენ აქ რას აკეთებ?

მურმან — მე რას ვაკეთებ!

გიგი — ჰო.

მურმან — ამ შესვენების დროს ახალი მანქანის პასპორტს ვათვალიერებ.

გიგი — ჰოდა, მე კი ჯუმბერთან შესვლა მეჩქარება.

მურმან — რატომ?

გ ი გ ი — მადლობა უნდა გადავუხადო.

მ უ რ მ ა ნ — რისთვის?

გ ი გ ი — არ გახსოვს, როგორ დამტოვე ტაბაკეარში? ცოლმა დალაპარაკება არ ისურვა, ყველა ჩამომშორდა, სუფრის მეგობრებიც გაქრნენ. ამით, შეიძლება, გული წამხდენოდა, მაგრამ ქარხნის დახმარებამ ისე გამაინხნევა, რომ წელზე ფეხი დავიდგე და დღეს გიგის თავისი ღირსების შეგნება აქვს.

მ უ რ მ ა ნ — თქვენი მანქანების ასე შეკეთება და გულითადი დახმარება უმთავრესად მაგულისაგან მოდის.

გ ი გ ი — როგორ? აკი ქარხანამ აიღო შეფთობა?

მ უ რ მ ა ნ — აიღო, მაგრამ ეს შეფთობა თავიდან ბოლომდე მაგულის მაცადინობითაა ასე უხვად შესრულებული.

გ ი გ ი — ეს რა შესმის. სად არის მაგული? ახლო მანახვე, ან შორიდან.

მ უ რ მ ა ნ — ჰო, გაიანე სად იქნება!

გ ი გ ი — კაცო, გაიანეს რა უპირს, სად დაგეკარგება.

მ უ რ მ ა ნ — მაშ მაგულის ნუ გეფიქრება, შენზე გული კი მოიბრუნა.

გ ი გ ი — რა ვიცი, აქ ქალები ისე დაწინაურებულან!

მ უ რ მ ა ნ — გიკვირს?

გ ი გ ი — თუ ასე იარეს წინ, მგონი, კაცებმა ვითხოვოთ ქალებთან გათანასწორება.

### შესამე სურათი

ქარხნის სადგურლო საამქრო. სიღრმეზე დაზგების მწკრივებია. გოგოტა და ჯიბილო დაზგას წმენდენ.

გოგოტა — ხედავ, ბიჭო, ჯიბილო! ჩვენ რომ სოფელში ჩავედით, გაიანე არც დაგვენახა. ახლა კი თვითონ ამოსულა.

ჯიბილო — სიყვარული თავმდაბალია.

გოგოტა — არა, ბიჭო, ავ ქალს სიყვარულიც ავად შეეყრება, მე მგონია, ტყუილად გავკიცხეთ მურმანთან.

ჯიბილო — რა ვიცი.

გოგოტა — ტყუილად დავაბრალებთ, ვითომ ქვეყნის ქებამ გააყოფოჩა, ნანატრი გოგოა.

ჯიბილო — მართლა კარგია, მაგ უგამჩნენო!

(გოგოტა და ჯიბილო იწყებენ დაზგაზე მუშაობას. ვტყობა, რაღაცა არ გამოუდით. შემოდის მ უ რ მ ა ნ ი).

გოგოტა — მურმანი!

მ უ რ მ ა ნ — რა გინდათ?

გოგოტა — ამ დაზგას ერთი რამ ვერ გავუგეთ. წელან ქოსა ოსტატი დაგვეხმარა... თვითონ კი გააკეთა... მაგრამ ჩვენ ვერ გავგავებინა, თან გავფურთხილა, დაზგას თავივით მოუარეთო.

მ უ რ მ ა ნ — უყურე ამ დოზოკონებს, ხელშეკრულება ხომ არ დაგიდევიათ, სულ ჩემი შეგირდები იყოთ.

გოგოტა — თავიდან შენ გავგაცანი ხელოსნობის გემო და ამ მადლზე მარილიც უნდა მოაყარო.

ჯიბილო — მერე, თუ არ გამოვდგებით, კუდიც შენ უნდა გამოგვიფსკვნა.



- მ უ რ მ ა ნ — ეპ, ნეტავ ენა რომ გეზრდებათ, ისე თვითონ იზრდებოდეთ.
- ჯ ი ბ ი ლ ო — გაჭირვება ხან მუცელში ჩაგაგდებინებს ენას, ჭანუდავეჭრი ძელებს.
- მ უ რ მ ა ნ — რა გაგიჭირდათ?
- გ ო გ ი ტ ა — ამაზე მწარე რა იქნება, როცა დაზგაზე საქმე არ მოგყვება.
- მ უ რ მ ა ნ — რა ვერ გაუგეთ? რას აკათებთ, აა, ესაა?
- გ ო გ ი ტ ა — ღიახ.
- მ უ რ მ ა ნ — ო, როგორ უკუღმართად აკათებთ. აჰ, ასე უნდა, ხედავთ!
- გ ო გ ი ტ ა — უყურე, როგორ იწყებს.
- მ უ რ მ ა ნ — აი, აი, ახლა, ახლა ასე.
- ჯ ი ბ ი ლ ო — ეს არ გისწავლებია.
- მ უ რ მ ა ნ — ზოგი თვითონაც უნდა მიხვდეთ. მაშ, თავი რისთვის გაქეთ, სკის ბუჯად ხომ არ გინდათ.
- ჯ ი ბ ი ლ ო — ცხედავთ.
- მ უ რ მ ა ნ — რომ ხედავთ, ეს არ კმარა. კარგად უნდა შეისწავლოთ დაზგა. მარტო წმენდა არ ყოფნის. მისი პასპორტი ხომ გაქეთ, იქ ყველა თვისებები წერია და ზეპირად უნდა იცოდეთ, ისე როგორც თქვენი სახელი და გვარი. აბა, პასპორტი რკინას რად უნდა, ის თქვენი საქმის პასპორტია. ამას გარდა, მანქანის სული და გული უნდა გაიგოთ. აი, მე ჩემს დაზგას ხუთი თითივით ვიცნობ, კიდევ ვაკვირდები, მთელ უნარს ვატან და, რაც პასპორტში უწერია, მასზე უკეთეს კაცად გამოიყავს.
- ჯ ი ბ ი ლ ო — ეს, დარიგება ჩვენ, გოგიტა, დედის რძესავით უნდა შევირგოთ, ხომ იცი.
- გ ო გ ი ტ ა — ეპ, ნეტავ, ყოველდღე შენი ჰკუა მომცა, მურმან.
- მ უ რ მ ა ნ — ლამეც არ გაწყენს.
- გ ო გ ი ტ ა — არა, ლამე ძილში ჩემი ჰკუაც მეყოფა.
- მ უ რ მ ა ნ — ო, ახლა უკვე ბამბის ძაფით მიხვევთ თავს, გუშინ კი მაწყენინეთ.
- გ ო გ ი ტ ა — რატომ?
- ჯ ი ბ ი ლ ო — რას ჰკითხავ, საცოლე რომ გაუეციხეთ, ეს ჩააჩნდა, ვერ ატყობ!
- გ ო გ ი ტ ა — ოო!
- ჯ ი ბ ი ლ ო — არა. ის რომ კოლმეურნეობაში სახელოვანია, კი გითხარით... მაგრამ შენი ღირსი არაა — მეთქი, რატომ ვთქვით, ამას გოგიტა — აგისხნის, თორემ მე მარტო ეგებ არ დამიჯერო. უთხარი, ბიჭო, რაზე გვეტყინა გული.
- გ ო გ ი ტ ა — იქ რომ ჩავედით და შევეუთვალეთ, მურმანის ამბავს გეტყვით-თქო და თვალი არ მოგვატანებია, ისე გაიქცა სამუშაოზე, ეს გვეწყინა.
- ჯ ი ბ ი ლ ო — მაგრამ დღეს აქ დავინახეთ და გვესიამოვნა, რომ მოგაკითხა.
- მ უ რ მ ა ნ — სად დაინახეთ?
- გ ო გ ი ტ ა — აჰ, ამ შენობაშია ახლა.
- მ უ რ მ ა ნ — მეც გავიგე მისი ჩამოსვლა.
- ჯ ი ბ ი ლ ო — გაგვეხარდა, სინდისს გეფიცებით.
- გ ო გ ი ტ ა — კი, სინდისს გეფიცებით.
- მ უ რ მ ა ნ — ახლა მითხარით, დღეს რა გააკეთეთ?
- ჯ ი ბ ი ლ ო — ეს მე გამოვჭერი, ეს კი გოგიტას უსწავლია სკოლაში.

მურმან — კარგია, ორივე კარგია, მაგრამ ერთი თვის მერე უკეთესი უნდა გააკეთოთ. სულ წინ უნდა იაროთ, გესმით!

გოგოტა — ეს სიტყვა რამედ გვიღირს.

(მურმანი თავის დაზავებულ იყვებს მუშაობას, ჯიბილო და გოგოტა თავისთვის მუშაობენ. შემოდინ რუსულდანი, გაიანე და მაგულე).

გაიანე — ოო, რა შენობაა? ამოდენა საქმეს როგორ მოერიე, რუსულდანი.

რუსულდანი — ჩვენი ქვეყანა რას არ შეგაძლებინებს.

გაიანე — მაინც, როგორ...

რუსულდანი — ჩვენ სამშობლო გვიძლევდა ასეთ საქმეებზე. თვითონ უბრალო ადამიანები ვართ. მაგრამ დიდი საქმე გვზრდის ერთმანეთის თვალში.

მაგულე — ასეა.

რუსულდანი — ეს რაა, ჩემო გაიანე, აი, წელანი, ჩვენი ქარხნის მიერ შექმნილი მოტორი რომ ნახე, შენ ჯერ არ იცი, ის რა დიდი საქმეა, მაგრამ მალე, როდესაც ჩვენს გზებზე მანქანები — აფუგუნდება, მთელი ერი გაიგებს, რა რკინის გული შეიძინა.

გაიანე — როგორ არ ვიცი. ვგრძნობ, რა საუნჯეა და ამაზეც კმაყოფილი ვიქნებოდი თუ მაგ საქმეში მურმანის წილი იმოდენაა, როგორც წვეთი ზღვაში.

რუსულდანი — არა, მურმანს არც პატარა წილი აქვს.

გაიანე — რას ამბობ, სადაა მურმანი, რაცხა მეჩოთირება ამოდენა მანქანებში რომ ვეძებ.

(მურმანი გამოჩნდება უახლოვდება გაიანეს).

მურმანი — გაიანე, ვერ მამჩნევ საამქროში?

გაიანე — უი, საიდან გაჩნდი!

რუსულდანი — ჩვენ კი გარეთ ვეძებდით.

მურმანი — გიგი არ გინახავთ? გამწარებული გეძებთ.

გაიანე — ჰო, მაგული, დაიმსახურა, რომ კარგად შეეყარო.

მაგულე — სად არის?

მურმანი — ახლა აქაც შემოვივლის.

მაგულე — მე არ დავემალეები.

(ჯიბილო და გოგოტა დაზვების იქნე გამოჩნდნენ).

ჯიბილო — (გოგოტას) მივესალმოთ გაიანეს.

გოგოტა — რამ გაგაოცა, გაიანე!

ჯიბილო — ხომ მშვიდობით!

გაიანე — უი, ჯიბილო და გოგოტა!.. უყურე ამ ეშმაკის ფეხებს, სად ამოყვეს თავი!..

გოგოტა — რამ გაგაოცა გაიანე!

გაიანე — ხმაე რომ დასხვილებიათ! თქვენც კაცობაში დგამთ ფეხს?

ჯიბილო — (გოგოტას) მოწიწებით ვუპასუხოთ, თორემ მურმანს კიდევ ეწყინება! (გაიანეს). დიახ, პატივცემულო გაიანე.

გაიანე — აქ რა გინდათ, თქვე კინკებო?

ჯიბილო — ვმუშაობთ!

გოგოტა — ჯიბილოს დაზვა ჩააბარეს, მე სკოლაში ვსწავლობ.

გაიანე — მაშ, თქვენთვის აუგიათ, არა, ამოდენა რამეები!



- გოგითა — ჩვენც უნდა გავიზარდოთ ამ საქმისათვის.  
 გაიანე — თქვენი ჭირიშე?!  
 გოგითა — შენ ხომ სოფელში შრომით სახელოვანი გახდი. **გინჯლირთქვა**  
 ჯიბილო — ეს ჩვენ გვიხარია.  
 გოგითა — შენ მშვენიერი ხარ, მარტო სახით კი არა, შენი მარჯვენიოაც  
 ჯიბილო — და გზას გვიკაფავ.  
 (ჯიბილო და გოგითა იწყებენ მუშაობას).  
 გაიანე — გამაქვევს ქალი, შენი ჭირიშე, ბრძენთა ბრძენებით არ  
 ლაპარაკობენი..  
 რუსუდან — ესენი საიმედო ბიჭებია.  
 გაიანე — ესენი?..  
 რუსუდან — ჰო, აი, დააკვირდი. არ ეტყობათ სიმარჯვე?  
 გაიანე — ნეტავ, თუ იცი, რუსუდან, მართალს რომ ამბობ?  
 მურმან — ასეა.  
 გაიანე — როგორ არ გამოიკვირდეს. სოფელში თუ სადმე წყლის გუბე  
 იდგა, შიგ ესენი ეყარნენ პატარაობიდან.  
 გოგითა — ჩვენ მურმანის მადლიერი ვართ.  
 ჯიბილო — მართალია, მურმანმა გვიწინამძღვრა. თორემ დაზგას კი არა,  
 ბებიას ჯარას არ მანდობდნენ.  
 გაიანე — რკინას რას უშვრებთან, ხედავ! აგურების მსგავსად გამოყავთ.  
 რუსუდან — სულ ერთ ზომაზე აწყობენ.  
 მაგული — მოითმინეთ, ყმაწვილებო, ესაა თქვენი ნამუშევარი?  
 ჯიბილო — რატომ, რითაა ცუდი?  
 მაგული — მეტი უნდა გაგეკეთებინათ.  
 გოგითა — ეჰე, ამან სხვა მეხი მოიტანა.  
 ჯიბილო — კაცო, მაგის გულს რა გააძღბს. როცა გიგი ისე დატრიალდა,  
 ჩვენ ფრენასაც მოგვთხოვს.  
 მაგული — ჰაი, მურმანსაც ვკითხოთ ესენი ამ მიღწევაზე უნდა შეჩერდნენ!  
 მურმან — სწორედ ახლა მომცენ სიტყვა, რომ წინ ივლიან.  
 (მუშოდის ინჟინერი).  
 ინჟინერი — მაგული, კადრების განყოფილებაში გვეძახიან, იქაა სლავაც,  
 მოსკოვიდან მოვლინებული, ძრავების უდიდესი მცოდნე, გოჩაც იქაა,  
 მგონი, მურმანზე აქეთ მსჯელობა.  
 მურმან — ჩემზე? რა მსჯელობაა.  
 მაგული — ო, მართალია. მეც მთხოვეს, მურმან, შენი დავალების უკანას-  
 კნელი ნიმუშები გადაეცე.  
 მურმან — კარგი. შემიძლია ახლავე გაგიკეთო.  
 ინჟინერი — მაშ, მაგულის გამოატანე ნიმუშები.  
 (ინჟინერი მიდის).  
 მაგული — აბა, დაიწყე, მურმან.  
 (მურმანი იწყებს მუშაობას თავის დაზგაზე).  
 გაიანე — აა, ესაა შენი დაზგა? არა, რა უცნაურია!  
 მაგული — ეს აქ ყველაზე რთულ დაზგად ითვლება.



- გ ა ი ა ნ ე — შესახედავდაც საკვირველია. დიდ საფრთხობელას ჰგავს. ახლა ამის მუშაობა ვნახოთ... ჰო... მერე... უყურე. როგორ ატრიალდა! ხედავ, რუსუდან, რა გამოყავს?
- რ უ ს უ დ ა ნ — ვიცი!
- გ ო გ ი ტ ა — ოსტატი ამას ჰქვია, თორემ მე და ჯიბილო არც უნდა ვაცხადებდეთ, რომ ხელები გვაბია.
- გ ა ი ა ნ ე — ოჰ, როგორ ჩარხავს.
- გ ო გ ი ტ ა — უცნაური რამე გამოყავს.
- გ ა ი ა ნ ე — რა ჩამოქნა! ერთნაირ დიდ ყვავილს დაამსგავსა.
- გ ო გ ი ტ ა — ყვავილს კი არა, ისეთ პეპელას გააკეთებს, სიზმარში ჩაგყვება.
- მ უ რ მ ა ნ — აი, ეს ნახე.
- გ ა ი ა ნ ე — ეს რა გააკეთა... ა...
- რ უ ს უ დ ა ნ — შენ რომ მოტორი ნახე, მისი ერთი კუნთია.
- გ ა ი ა ნ ე — თითონ იმ ძრავის?
- მ ა გ უ ლ ი — კი. აქ მურმანი მართლაც პირველია.
- გ ა ი ა ნ ე — (გამოართმევს) ა... არ გრცხვენია, ბიჭო!
- რ უ ს უ დ ა ნ — რისი?
- გ ა ი ა ნ ე — თუ ამდენი შეგეძლო, დროზე ყერ გამომასხი ფრთები, რას მაწითლებდი იმ სოფელში?
- მ ა გ უ ლ ი — ჰო, მართლა, მურმან ამ ბოლო დღეებში რამდენი დეტალი გამოგყავს?
- მ უ რ მ ა ნ — დღეში ორასი.
- რ უ ს უ დ ა ნ — ოჰო, ორასზე აიყვანე, ყოჩაღ.
- მ უ რ მ ა ნ — რა მანქანაა, რომ იცოდე, ხანდახან, მგონია, სული უდგას და ბიძიას ევძახი.
- გ ა ი ა ნ ე — ო, როგორ ყველივით სჭრის რკინას და... ამ ლითონს რა თვალის მომპრელად აქიკვიკებს, ეს კიდევ სხვაა... ახლა რა გამოგყავს?
- მ უ რ მ ა ნ — თუ დამპირდა, რკინისაგან ამირანის გულს გავაკეთებ, გაიანე!
- გ ა ი ა ნ ე — აბა!
- გ ო გ ი ტ ა — კი, ისეთ გულს ააძგერებს, დევ-გმირსაც არ ჰქონია.
- გ ა ი ა ნ ე — ზღაპარშია: ძველი, ბნელი დროის მკედლები ამირანის ბორკილს სჭედავდნო, შენ კი მის გულს შექმნი?
- მ უ რ მ ა ნ — მაშ, ყველა ოსტატები გავაკეთებთ ერთობით.
- გ ა ი ა ნ ე — მხოლოდ წყურვილი არ იქნება, არა!
- ჯ ი ბ ი ლ ო — როგორ არა.
- გ ა ი ა ნ ე — საიდან!
- მ უ რ მ ა ნ — წყალს დაღევს, მხოლოდ სიცოცხლე არ ექნება, შენი ყვავილებივით.
- რ უ ს უ დ ა ნ — მაგრამ მოამზადებს მიწას წალკოტების ასაყვავებლად.
- გ ა ი ა ნ ე — ოჰ, ეს რაღაა, მართლა ყველაფერზე საკვირველი გამოიყვანე.
- მ ა გ უ ლ ი — მართალია. ეს მანქანის ყველაზე ძნელი დეტალია.
- გ ა ი ა ნ ე — ძალიან საკვირო ნაწილია?
- რ უ ს უ დ ა ნ — მოძრაობის გულია.
- (დაღაცემენ გაიანეს).
- გ ა ი ა ნ ე — ყოფილა.



მ უ რ მ ა ნ — ხომ მიხვდი!

მაგული გამოართმევს დეტალებს და ცალკე გოგონასთან თან ერთად ათვლიერებენ.

გ ა ი ა ნ ე — ჰოდა, როგორ უნდა გენდო შენ ამის შემდეგ.

რ უ ს უ დ ა ნ — რატომ?

გ ა ი ა ნ ე — მართლა ვამბობ.

რ უ ს უ დ ა ნ — რას ერჩი?

გ ა ი ა ნ ე — როცა კაცს თავში ამდენი საფიქრალი აქვს და ხელში ამდენი საქმე, გაიანე ემახსოვრება?

მ უ რ მ ა ნ — რას ლაპარაკობ, გაიანე მე შენი სიყვარული მაძლევს დენს. აქ ის მატრიალებს და საყვედურს მეუბნები?

გ ა ი ა ნ ე — სულ ჰკუთნად რომ წასულხარ, გული სად გექნება!

მ უ რ მ ა ნ — არა, ქალო, პირველად ვატან აზრს ამ ნიმუშებს, თორემ მერე სულ ერთსა და იმავეს ვაკეთებ და თავიც და გულიც ერთ კალაპოტში მექნებოდა ჩარკინული, შენზე ფიქრები რომ არ მეძალეზოდეს.

გ ა ი ა ნ ე — რა ვიცი. შენი წყალობით რა ჰქირი არ გამომივილია.

მ უ რ მ ა ნ — ეს არ ვიცი. ჩემგან კი, თუ ანეა, მართლა გეკადრებოდა საყვედური.

გ ა ი ა ნ ე — როგორ!

მ უ რ მ ა ნ — მაშ, ეს ბიჭები რომ სოფელში იყვნენ, რატომ არ ნახე და არაფერი შემომითვალე.

გ ა ი ა ნ ე — იმ დღეს მეცალა? ჩემი გეგმის საკითხი იყო და გაგანია მენთო. თან შემეშინდა, ცუდი ამბავი არ ეთქვათ შენზე და ასეთ დროს კიდევ გული მთლად არ გაეხეთქათ.

მ უ რ მ ა ნ — აბა, ესეც მიკვირს, ჩემი სიყვარული თუ გენთო გულში, რაც გახეთვებში ეწერა, იმდენი საქმე როგორ გააკეთე კოლმეურნეობაში?

გ ა ი ა ნ ე — როგორ, შენი სიყვარული მე გოდორში კი არ მედო, რომ მხარზე დამწოლოდა.

მ უ რ მ ა ნ — თუ სიყვარულა გქონდა, ის სადმე გაგებორკებოდა.

გ ა ი ა ნ ე — როგორ, თუ ქალმა ნერგი კარგად ჩარგო, სიყვარული არ შეუძლია!..

მ უ რ მ ა ნ — მე სიმართლეს ვამბობ, შენ კი სიტყვაში მსდევ!..

გ ა ი ა ნ ე — უყურე ამას!.. ეს მეკადრება, როცა შენმა სისაწყლემ ისეთ დღეში ჩამაგდო — ორივეს მაგიერ მე ერთმა გამოვიღე ხელი. გესმის, რუსუდან რას მითვლის უგულობად?

რ უ ს უ დ ა ნ — რაზე კამათობთ, ერთი დაფიქრდით?

მაგული — (მობრუნდება მათკენ) რაო, კამათობენ?

მ უ რ მ ა ნ — ეს მეკამათება.

გ ა ი ა ნ ე — შენ არ წამოიწყე?

მ უ რ მ ა ნ — არა, გაიანე, მე სხვა რამე მინდა. მე, რომ შემეძლოს, მინდა შენთან ერთად ავმღერდე, ერთი, ისე მინდა ავმღერდე, რომ ყველაზე გაუხარდეს.

რ უ ს უ დ ა ნ — მე მესმის თქვენი ამბავი. ბედნიერება თქვენს გულში არ ეტევა და ეს გაჩუხჩუხებით.

მ უ რ მ ა ნ — მე ყველაფერი მიყვარს, მე ჩემი საქმეც მიყვარს.

მაგული — მაშ! არ გიხარია, გაიანე, ამის მუშაობას რომ უყურობ?

(მურმანი სხვა ტემპით ამუშავეს დაზგას).

აი, ხედავ!

გაიანე — ეს ახლა რა იყო!

მაგული — აქ თავი მოიწონა!

რუსუდან — ამით შეაესე, ეს უკანასკნელი ნიმუშია!

გაიანე — (ნიმუშებზე) რა კარგი და ლამაზია!

რუსუდან — ერთი წუთის წინ კი უბრალო ლითონის საკვეთი იყო.

გაიანე — თქვენ ვერ ხედავთ, ბიჭებო?

ჯიბილო — როგორ არა.

გოგიტა — სულ მაგის ნახელავს არ ვუყურობთ?!

გაიანე — მერე, მერე, ჩემო უსაყვარლესო ძმებო!

ჯიბილო — ესწავლონთ, აბა, ვინა გეყავს მაგალითად.

გოგიტა — ჰო, ვისწავლით და ჩვენც ავამღერებთ ჩვენს ჩიტს.

გაიანე — აი, ახლა ჩვენმა გოდერძიმ ნახოს, რამოდენა ეშმაკს თურგნის მურმანი და რა გამოყავს ლითონისაგან. ფართოდ გაალოს თვალი და კარგად გაიხსენოს...

ჯიბილო — ის კი არა, მთელმა ახალგაზრდობამ, ჩემმა ტოლებმა და მომყოლებმაც უნდა ნახონ.

გოგიტა — ო, გაიგონ რა შეუძლია კაცის ხელს.

ჯიბილო — ნახონ, როგორ აკეთებენ ჩვენში რკინის გულს, რომელიც კაცის ტვირთს იღებს და შრომას სასიამოდ აქცევს.

გოგიტა — გაიგონ და გზასაც დაადგენ.

(მოისმის ტაში და ვაშის ძახილი. შემოდის მუშა).

მუშა — გაიგეთ? ჩვენს ქარხანას მალაზხარისხოვანი მოტორის შექმნისათვის სამინისტროსაგან მადლობა მიუღია.

(მიდის).

მაგული — მაშ, ამ ნიმუშებს წავიღებ, არ დამაგვიანდეს.

მურმანი — შენ იცი. (მაგული მიდის. ხმებია და ტაში).

რუსუდან — გესმით. მზა მანქანების გამოსაშვებად დღეს ნიშნავენ.

ჯიბილო — და ზეიმიც იქნება.

(რუსუდანი, ჯიბილო და გოგიტა აჭარბით მიდიან).

გაიანე — რა ხელი გქონია, მურმანი, მაგრამ ცოდნა გეყოფა, გაუძღვები?

მურმანი — ენახოთ, მე დაუსწრებელზე ვემეცადინობ.

გაიანე — დაუსწრებელზე?

(უფებურად აკოცებს მურმანს. ამ დროს გაისმის საყვირის ხმა. გაიანე დაიხვეს. მურმანი სახტად რჩება).

ფარდა

### მოქმედება მეოთხე

(ქარხნის ეზო დეკორაციული ხეებით და წალკოტებით. სცენაზე ქარხნის მუშა-მოამსახურებელი ჩანან, ზეიმის განწყობილება. შემოდინ მაგული და გიგო).

მაგული — ნახეთ ჩვენი საამქროები.

გიგო — ო, რა თვალწინ იზადება მანქანა. რა სანახავია, დაზვიდან დაზგაზე გადადის, იძენს თავის ნაწილებს, თანდათან იწყობა და გამზადებული ეშვება ძირს. იქ შოფერი ხვდება, მერე მისრიალებს და დადგება მწკრივში.



- მ ა გ უ ლ ი — შენ სხვებზე ადრე გვესტუმრე, გიგო!
- გ ი გ ი — რა გიკვირს. მე და გოდერძის მთელი ღამე წამწამზე არ მოგვეკრა ძილი, წამოვდექით და დავიწინაურეთ. ისე კი ბევრი ხალხი მოგვსტუმრებოდა.
- მ ა გ უ ლ ი — აი, ჩემი გაიანეც მოსულა! გარშემო იხედება, ალბათ მე მეძებს თვალით.
- გ ი გ ი — მე მგონია, ის უფრო მურმანს ეძებს.
- (ყველანი მიდიან. შემოდინა ჯ უ მ ბ ე რ ი, გოდერძი, გაიანე და ივლითი).
- ჯ უ მ ბ ე რ — მობრძანდით, ივლით.
- ი ვ ღ ი თ — საკითხავი არა ხართ, მოსალოცადაა თქვენი საქმე.
- გოდერძი — აქ ყველაფერი კარგადაა, მხოლოდ ჩვენზე შეფობას რამდენად გააძლიერებს, ვერ ამოვითქმევინე.
- ი ვ ღ ი თ — არა უშავს, ჩვენც ისეთ ახალგაზრდებს გამოვუგზავნით, არ დაგივიწყებს.
- ჯ უ მ ბ ე რ — ამ ახალგაზრდების გამოკეთებაშიც ცოტას არ გეხმარებით. აქ ზოგი ისეთი იქცა გმირად, რომელიც კოლმეურნეობაში ვერ დაწინაურებულა.
- გოდერძი — რატომ, ჩემთანაც არიან დაჯილდოვებულნი, შრომის გმირებიცა მყავს.
- ჯ უ მ ბ ე რ — ისინი ჩვენთან ახალ საქმეს სწავლობენ.
- გოდერძი — არა, ჩემო ჯუმბერ, ძველებურად არც ჩვენთან მოდის წარმატება. ახლა რთულ ბრძოლაში ვართ ბუნებასთან, მკენარეულობას და ცხოველებს ვასხვავებთ, ჯიშებს ვაუმჯობესებთ.
- ი ვ ღ ი თ — ეს მართალია, ახლა სოფელი იცვლება, ქალაქს უახლოვდება. დღეს ზოგი კოლმეურნეობა ქარხანას უფრო ჰგავს, ვიდრე ძველი დროის სოფელს.
- ჯ უ მ ბ ე რ — არა, სიტყვას შორს ნუ გაყვებით. მე მხოლოდ თქვენების წარმატებაზე ვლაპარაკობ ჩვენს ქარხანაში.
- ი ვ ღ ი თ — მე მაინც უფრო კარგად მინდა გავიგო აქ ჩვენების მუშაობა. რუსუდანის აგებულ შენობას თვალით ვხედავ, შენი ამბავი თავიდანვე ვიცოდით, ჩემო გოჩა, მხოლოდ მურმანი როგორ გამოვადგათ? ალბათ ჯუმბერი არც იცნობს.
- გოჩა — მურმანს კითხულობთ?
- ი ვ ღ ი თ — დიახ, გაიანესაც უნახავს აქ, მაგრამ მას აქეთ თვალებში მიყურებს და ვერაფერს მეუბნება.
- ჯ უ მ ბ ე რ — მურმანს როგორ არ ვიცნობ, გოჩაც იტყვის, რომ ის ხალასი ოსტატია.
- გოჩა — ის ჩემი მარჯვენაა მთელ სამქროში.
- გაიანე — ზომ გესმის, დედა.
- ი ვ ღ ი თ — კი, მხოლოდ შენი ყურით არ მესმის. ჩემი ყური აქ უფრო გაუმართლარია, შევილო. (შემოდინა გოგიტა და ჯიბილო).
- ჯ უ მ ბ ე რ — აი ეს ბიჭებიც თქვენებია. მაშ ცოტა გული მოიქავე ამ ნათესავებში, გოჩა, და ამოდი. მერე სტუმრებს შეეხვლებით და მანქანების კოლონას გამოვუშვებთ.



ივლით — ოჰ, ეს ხომ ჯიბილო და გოგიტა!?!..

გოჩა — დიახ, გახსოვთ?

ივლით — რა დამეიწყებს. ცოტა ტანითაც წამოზრდილან.

გოდერძი — ტანით კი, მართალია.

ჯიბილო — (ჩუმად გოგიტას) ტანით წამოზრდილანო, ხომ იცი, ჩაგვკრეს.

გოგიტა — (ჯიბილოს) კი. სიტყვა პასუხში არ მოვტყუვდეთ.

ივლით — როგორ ხარო, ბიჭებო!

ჯიბილო — ვცხოვრობთ, არა გვიშავს.

ივლით — ყოჩაღ!

ჯიბილო — თქვენ როგორ გიკითხვით, ამხანაგო ივლით.

გოგიტა — ხომ კარგად!

ივლით — მე ისე ვარ, როგორც წინათ ვიყავი, თქვენსავეთ არ გამოკვეთებულვარ.

ჯიბილო — რას ბრძანებ, პატივცემულო ივლით, ჩვენ კიდეც რამდენი ტყავი უნდა გამოვიცვალოთ, სანამ ისეთები გავხდებოდეთ, რომ არ დაგვიცინონ.

ივლით — არა, ბიჭებო, მე არ დაგვიცინით, მხოლოდ თქვენი სიკეთე მიხარია და ამიტომ მელიმება.

გოგიტა — სიკეთე ჯერ კიდეც სანატრულად გვაქვს.

ივლით — მაინც რას ნატრობთ?

გოგიტა — ჩვენმა ხელმა გვაქციოს კაცად.

ჯიბილო — კარგი ოსტატები გვინდა შევიქნეთ.

ივლით — გესმის, გაიანე, მეგონა, სამოსელი უშოვნიათ-მეთქი და თურმე არც ჭკუაზე არიან ქესატად.

გაიანე — დიახ, დედა, ამან გამოაცა, ჭკუას როგორ გვიმაღაღდნენ სოფელში!

გოგიტა — ეს რა ქართულია ვითომ?

გაიანე — კი... ბნელები იყავით... არ გახსოვთ, რომ ოჩოფეხებით დადიოდით სოფელში!

ჯიბილო — ჩვენ სინათლე მუდამ გვენატრებოდა.

გოგიტა — ჰოდა, ჩვენს სანთელს აქამდე მოვდიეთ პეპელებივით.

გაიანე — რა სინათლეს მოსდიეთ?

ჯიბილო — მურმანი გვინათებდა.

ივლით — ოო!

გაიანე — იქ დიდ ჭკუას არც ის იჩენდა, მხოლოდ გული კი ღია ჰქონდა.

გოგიტა — ჭკუის დანახვას ჭკუა უნდა და გულისას გული.

ჯიბილო — შენ კი იცი, გაიანე, მისი ფასი, მაგრამ ჩვენზე წკებლის მოჭნევა ისე გეხალისება, კული რომ მასაც მოხედეს, არ გეზოგება.

გოჩა — ეს კარგად მოგიგეს.

ივლით — აჰ სულ დადინჯებულან ეს ბიჭები.

გოჩა — დიახ, თავის ხელფასით ამ ვაეებმა წიგნებიც შეიძინეს და ჯგუფში სწავლობენ წესიერად.

გაიანე — ო, ეს კი არ ვიცოდი თვალდამდგარმა. კითხულობთ ბიჭებო?

გოგიტა — დიახ.

გაიანე — ო, მე კი ყურს არ ვუჯერებდი, როცა თქვენგან მარგალიტი მესმოდა, ბრტყელი ენა აქვთ, შემთხვევით ამოყვით-მეთქი, ვფიქრობდი

და თურმე კითხვით მართლა შეგიძენიათ. ასე, ძმებო, გაეზარეთ, ნეტავ თქვენს ახალგაზრდობას.

ივლით — მურმანიც აქაა ახლა, ამხანაგო გოგიტა?

გოგიტა — ამის სათხოვრად ვიახელით, პატივცემულო ივლით, რომ მურმანის ნამუშევარი ნახო.

ივლით — (ცოვად) მისი ამბავი გავიგონე.

ჯიბილო — გეინდა, კარგად გაიგოთ მისი საქმე.

გოჩა — მაშ, თუ წამობრძანდებით, მე გაგაცნობთ ყველაფერს.

ივლით — კარგი, წავიდეთ, ჩემო გოჩა. ამასაც შეგისრულებთ, ახალგაზრდებო.

გაიანე — (ცალკე გოჩას) გოჩა, ახლა შენზეა.

გოჩა — ყველაფერს ვნახავთ.

(გოჩა, ივლითი, ჯიბილო და გოგიტა მიდიან, რჩებიან გაიანე და გოდერძი).

გოდერძი — რამ დაგაფიქრა, გაიანე?

გაიანე — ზოგჯერ რა ძნელია, შენი სიმართლე გააგებინო ადამიანს.

გოდერძი — ამაზე ნუ სწუხარ, გაიანე, ჩვენში სიმართლე ადრე თუ გვიან ყოველთვის გაიმარჯვებს და, როცა გაიმარჯვებს, მაშინ ხომ ბრმა დაინახავს.

გაიანე — გააჩნია, რითაა დაბრმავებული. თუ სულ არ გიყვარს ადამიანი, მის ღირსებას ძალიან ძნელად დაინახავ.

(შემოდის გიგო).

გიგო — რა ამბებია, ხედავ?

(შემოდის რუსუდანი).

გიგო და გაიანე — მომილოცავს, რუსუდანი! მომილოცავს გამარჯვება.

რუსუდანი — გმადლობთ. მურმანი ნახე? იქ გეძებს.

გიგო — მაშ, მე მოვიყვან. (მიდის).

(შემოდის გოჩა).

გაიანე — გოჩა!

გოჩა — მომილოცავს, რუსუდანი!...

რუსუდანი — მე რა ვარ. გამირობა შენ ჩაიღინე და კიდევ დაგიფასეს.

გაიანე — უმადლესი ჯილო მიიღო.

გოჩა — კარგია, თუ მეგობრები გვახარე. გაიანეს კი ორმაგ საზეიმოდა აქვს საქმე. თვითონ კოლმეურნეობაში გაიმარჯვა, საქმრომ ქარხანაში.

გაიანე — ახლა ერთი მეც მკითხე!

გოდერძი — შენ რა გაქვს სათქმელი.

გაიანე — მურმანმა აქ მაგრად გაიდგა ფესვი, ჩემთვის კი კოლმეურნეობის მიტოვება ძნელია, ასე რომ ორივეს გამარჯვება ბევრი სულის საბერავი ფაფა შეიქმნა.

რუსუდანი — მერე, ამას არ მოეველება?

გაიანე — ვაითუ ეს დაიხვიოს დედამ და ძველებურად შეეცადოს ჩვენს დაშორებას.

რუსუდანი — ნუ გეშინია, გაიანე.

გაიანე — არ იციო, რა ჯიუტია, თუ რამე გადაწყვიტა!

- გოდერძი — დარდი ნუ გაქვს, აქამდე, თორემ ახლა, როცა ფონს ვაქიდა მურმანი, რა ვაფიქრებს.
- გოჩა და რუსუდანი მიდიან. შემოდინ გაიანე, მურმანი და გიგო.
- გიგო — ჰო, ჰო, რა პატივი გცეს ამხანაგებმა, როგორ მოგეფერნენ!
- გაიანე — აბა, რა თეთრი გული უჩვენეს.
- გიგო — გოჩამ როგორ გადაუშალა შენი ნაოსტატები ივდითს?
- მურმანი — მერე, რა თქვა?
- გიგო — თვალს არ უჯერებდა, ამას როგორ გააკეთებდა მურმანო.
- გაიანე — მის ნახელავად არ იცნო?
- გიგო — მაგრამ ჰაერში რომ აიტაცეს ეს ბიჭი, შენს ივდითს ცრემლი მოადგა თვალზე და სინანულით თქვა, რა უსამართლო ვიყავიო.
- გაიანე — რა ენა გაქვს, შე დამწვარო, მეც მომაყენე ცრემლი თვალზე.
- გიგო — მაინც როგორ აგამალღეს, მურმანი!... კიდევ შემრცხვა, რომ მე, შენი ამხანაგი, ასე პატარა კაცი ვარ.
- გაიანე — არაფერია, გიგო ჩვენს ქვეყანაში ბედი ყველას საკუთარ ხელში ვაქვს. მხოლოდ მეშინია, მურმანი ისევ არ დაპატარავდეს.
- გიგო — რას ამბობ, სად აიწია, ვერ დაინახე!
- გაიანე — რამდენად მალლა აიწევი, ჭკუაც იმდენზე უნდა აატანო, რომ არ ჩამოვარდე.
- გიგო — ახლა ერთს გკითხავ, მურმანი.
- მურმანი — ჰო.
- გიგო — ხომ ძალიან ტკბილია ეს ქება და ტაში. ერთხელ ნეტავ მეც გამასინჯასულ რომ, მთელი სიცოცხლეა, ყველა მებღურება.
- მურმანი — ტკბილია, მაგრამ იქვე ეპარება ვალის გემო. ტყუილად კი არ გადმოიჭრა გაიანემ, ერთხელ რომ შეგაქებენ, სულ — მუდამ უნდა გაამართლო.
- გაიანე — ჰოდა, დავედვი გული იმ დაზგას. ისაა შენი ამწევი და დამწევი. (შემოდინ ჯიბილო და გოგოტა).
- გოგოტა — აქეთ, პატივცემულო ივდით.
- (შემოდის ივდითი).
- ჯიბილო — დიახ, აქა მურმანი.
- მურმანი — მე მეძებს, ივდითი?
- ივდით — გეძებს კი არა, იქიდან მოვდივარ, სადაც შენი სიმართლე დაეინახე.
- მურმანი — სად?
- ივდით — გოჩამ მაჩვენა შენი ნამუშევარი, მურმანი, და იქ გიცანი.
- გიგო — ასეა, მაშ, კაცს საქმით იცნობენ.
- ივდით — მურმანის გამარჯვება მისთვის მიხარია, ახალგაზრდებო, რომ ამით ჩვენი და სოფლების გამარჯვება შეინიშნება. ეს სოფლის მერცხალია ქარხანაში.
- გოგოტა — ხომ გესმის, გაიანე!
- გაიანე — ეს მეც ვიცი.
- ივდით — მაშ დღეს გოჩასთან რა გქონდა საწუწუნო?
- გაიანე — არა, მასთან ეს ვთქვი, რომ მე სოფლის მეურნეობაზე ვარ, მურმანი კი ქარხანაშია დაფუძნებული, და როგორ შეხედავს დედა-მეთქი.

ივლით — მე ვხედავ, შეილო, რომ შენ მიწიდან ამოგყავს სასახლეო ყვავილები ჩვენი ქვეყნისათვის, მურმანს კი ლითონისაგან გამოგყავს...

გაიანე — მერე?

ივლით — თუ სიყვარული გექნებათ, სიმებივით შეეწყობით ერთმანეთს და ყველა დაგეხმარებით.

გაიანე — მაშ, შენც ხელს შეგვიწყობ?

ივლით — ყველაფრით, ჩემო გაიანე.

გაიანე — რა მადლიანი გახდი უცბად, დედა! ისე მოგიბრუნდა გული მურმანზე, მგონია, ჩემს თავს გირჩევენია.

ივლით — ნუ გეწყინება, თუ ასეა, ჩემო გოგონა.

მურმან — გაიანე!...

გაიანე — გავჩუმდეთ, ბიჭო.

გიგი — არა, აწი ეს ბედი სად წაგივათ, კამათელით კი არ მოვსვლიათ, თვითონ გამოჩიტეთ.

გოგოტა — გესმის, ჯიბილო, რა კარგად თავდება საქმე?

ჯიბილო — გულდაგულ ბედნიერად!...

გაიანე — მაშ, ხელს შეგვიწყობ, დედა?...

ივლით — ეს ზეიმი რომ მოთავდება, წამოდით და მე ტაბაკვარში ყველაფერს მოგიმზადებთ ხელის მოსაწერად, პატარა სუფრასაც გაგიმართავთ.

გიგი — ო, სუფრაზე მე ძველი ოსტატი ვარ, რაც უნდა პატარა იყოს, გავაფართოვებ. მე ვიცი, ივლითი საჭიკიკეს არ მოგვაკლებს ჭურვიდან!

მურმან — მე ახლა პერიც კარგად მათრობს.

გიგი — ჯიბილოს და გოგოტას ამ კოსტუმებით პირველად დაესვამ სუფრაზე და კაცებად მოვნათლავ.

გოგოტა — ჩვენ მურმანმა დახვაზე მოგვანათლა.

ჯიბილო — ჰოდა, ჩვენ ტოლებსაც აქეთ ვუზამთ პირს.

(აპირებენ წასვლას).

გიგი — ესენი დღეს იქორწინებენ და მაშინვე მყუდრო ცხოვრებას დაიწყებენ. ჩვენ კი რამდენი ხანია დავქორწინდით და სიამ-ტკბილად ცხოვრება ჩვენთვის ჩიტის რძესავით სანატრელი შეიქნა.

მაგული — ეს საქმე მე კარგად მოვაგვარე, გიგი, და გადავწყვიტე — ამ ზეიმის დროს გითხრა. შენ ამ ქარხნის ინსტიტუტში მოეწყობი, ისწავლი. ეს საქმე მრგვარებული მაქვს, მე კი ნაყოფიერად ვიმუშაებ.

გიგი — ოო!

მაგული — ხომ მოგწონს ეს საქმე?

გიგი — ჩვენი ქორწილიც დღეს ყოფილა.

გოგოტა — ამხანაგებო, ნიშანს იძლევიან, რომ ყველაფერი მზად არის საზეიმოდ.

ჯიბილო — ახალი მანქანების კოლონა გამოდის.

ხმები — კოლონა მოდის!..

(გამოჩნდება ახალი მანქანების მიმავალი კოლონა ყოველი მხრიდან. ისმის „ეჰაჰ“, მუსიკა და შეჩაბილები: „გაუმარჯოს შრომის გამრებს, მთელ ქვეყანაზე მშვიდობისათვის მებრძოლებს, გაუმარჯოს მშრომელი კაცობრიობის ბელადს დიდ სტალინს!“ მუსიკა).

ფარდა



## ხეების სიმღერა



### საბადური

უღრანში ფუტკრის ისმის ზუზუნი,  
 ცვივა ყვავილთა თეთრი შხეფები,  
 შვინდის ბუტკოთა ტკბილი ძუძუნი  
 იშრიტებიან ნესტრის შეხებით.  
 და უღაბური ტყე საბადურის,  
 მურა დათვივით გამუქებული,  
 შფოთავს ერთთავად, მუხებს გაუღის  
 მძლავრი გუგუნე გამუდმებული.  
 საბადურს იქით მაგრანეთია, —  
 ვერ დაინახავ ტყიდან ვერასგზით;  
 ტყე ხომ ბევრია, მაგრამ ერთია  
 ასეთი ბნელი და ბუმბერაზი.  
 როგორ გაივლი აქ უგუნებოდ,  
 როცა სიცოცხლე წინ გადაგშლია.  
 აქ მთელი გულით აგუგუნება  
 გწყურდება ხეთა ხმის დასაჩრდილად.  
 აქ უნდა მეხად იქცეს უძლურიც,

ჩრდილში სოკოსებრ რომ არ  
 გაყვიოთღეს.  
 უნდა მოვარდეს ლექსიც გუგუნით,  
 თავს თავისთავად რომ წაგაკითხებს.  
 უღაბურია ტყე საბადურის,  
 მურა დათვივით გამუქებული,  
 შფოთავს ერთთავად, მუხებს გაუღის  
 მძლავარი გუგუნე გამუდმებული.  
 და მინდა გულით სწორედ ასეთი  
 ტყე შრიალებდეს დედა  
 თბილისთან,  
 თრთოდნენ მუხები — ბუმბერაზები  
 ქარხნების მილთა შემახილისას.  
 მინდა წაბლს ვწვაედე წაბლთა ჩეროში,  
 ხოხობმა ახლოს მინდა იყივლოს,  
 ის, რაც კარგია საქართველოში,  
 დედაქალაქთან მინდა ვიხილო.



### თუთა

თუთის ხე და ზედ ყმაწვილი  
 კეტით ტოტებს ბერტყავს ცვრიანს,  
 თუთის შალზე თითქოს ტკბილი  
 ცერის სიმსხო სეტყვა ცვივა.  
 როგორც ჩიტის ბარტყი ბუჩქში  
 თმებში თუთა იხლართება,  
 თეთრ ტილოზე თუთის ფუნჯით  
 მიწის სიტკბო იხატება.  
 რძეზე უტკბეს მიწის სიტკბო  
 ტოტებიდან მოდის სტვენით,  
 ამ სტვენაში ისმის, თითქოს  
 მიწა მღერის ხოხბის ყელით.  
 მე მწყურია ეს სათუთი  
 ხე გამრავლდეს და გახშირდეს,

ახარებდეს ცვენა თუთის  
 გამარჯვებულ ქვეყნის შეიღებს.  
 ვოლგა-დონის არხის წყალიც  
 უსველებდეს უკვდავ ფესვებს,  
 როგორც თეთრი, ნაზი ქალი  
 ძღვნად იღებდეს თუთა ლექსებს.  
 იქ ხარობდეს, საღ დაძრულა  
 კვამლი თოფის და ხანძრების,  
 არ მოაკლდეს გარჯა, ზრუნვა  
 მას დონელი ჰატარძლების.  
 აბრეშუმის თოთო ფოთლის  
 კრეფით ჩამოქანცულები  
 დე, ტბილობდნენ ტბილ ნაყოფით  
 კახოკველი ქალწულები.



მაშ აიღვას თუთამ ფეხი,  
შორს შეირხეს ეშხიანად,  
სიტყბო თესოს დიდი ქვეყნის  
ტრამალებზე ხემ შრიალამ.

მაშინ რუსმა ბერიკაცმაც  
რომ იხილოს მისი ბერტყვე  
გაიოცოს — სეტყვის ნეტყველი  
როგორ მოდის ტკბილი სეტყვა.

ბორკის ქუჩაზე



თმებშეთოვლილი და ხანდაზმული  
ცოლქმარი ვნახე სამი წლის წინათ,  
მათი ღიმილი ახალგაზრდული  
ხეს ეღვრებოდა აპრილის წვიმად.  
დარბაისელმა კაცმა უღელაში  
გადაიგრიბა და ქალს ვახედა:  
— ქალო, მოსკოვის გარეუბანში  
ჩვენი შეხვედრა არ გაგახსენდა?...  
ეს ხე იქ იდგა, ახლა აქ არის,  
შეხედე თითქოს თრთის სიხარულით,  
თითქოს ნამდვილად ახდა ზღაპარი,  
ვის მოსწრებია ხის სიარული!..  
მრავალწლოვანი, დიდი ჰადარი,  
გორკის ქუჩაზე ახლადდარგული  
ამაყად იდგა მწკრივში ჩამდგარი,

ტანაშოტილი, მხარგამართული.  
ღედაქალაქის გარეუბნიდან  
გადმოუნერგავთ ხე ახოვანი,  
ცოლ-ქმარსაც სწორედ ეს გაუყვარდა.  
წარწერა იცნეს ტკბილსახსოვარი.  
წარწერა იცნეს ხანდაზმულებმა  
ახალგაზრდობის დროს ამოკრილი.  
ჰადარიც რხევით ადასტურებდა:  
— ვარ სიყვარულის მონა-მორჩილი.  
ჩუქურთმებიან მაღალ სასახლის  
ჩრდილს სულდგმულივით  
შეფარებული,  
ხეც კი მღეროდა რტოთა ცახცახით  
ღიად ქალაქზე შეყვარებული.



რა დამასხენებს...

მყავდა მოხუცი პაპა მეზალე,  
ღიმილი ჰქონდა ტკბილი ზილივით,  
კარებს ბალისას სადაც შევალეზ,  
სუყველგან მხედება მისი ღიმილი.  
ამყნობდა გულაბს, გარგალს ამყნობდა,  
სულ ხისკენ ჰქონდა ხელი გაწედილი.  
იღწვოდა კაცი და ამყნობდა:  
— ეს ხე ვახლავთო ჩემი ვაზრდილი.  
არ ვიცი ახლა, იქნებ პაპისგან  
მომღვეს ჯავარად ხის ტრფიალებს.  
იქნებ ამიტომ ლექსად გადიქვა,  
გულში რა ფიქრიც მიტრიალებდა.  
არ ვიცი ახლა, იქნებ ამიტომ  
შევხარი ახალ ნერგის გაჩენას.  
მე ვხარობ, როცა კვირტი ყვავილობს,  
მე ვნადვლობ, როცა ხე იტანჯება.

მე მესმის ახლა ხეთა სიმღერა,  
მესმის მომავლის ტყეთა გუგუნი.  
გავცქერი ხეებს — ნეტარ სხივებად  
როგორ ევლება მზე საუკუნის.  
ხეებიც ძლევენ გრძელი მკლავებით  
ყინვის და გვალვის მწარე განსაცდელს,  
დღეს მეექვსედი ჩვენი პლანეტის  
იკვამს ნერგების მწვანე ტანსაცმელს.  
ისევ ვიხსენებ მოხუც მეზალეს, —  
ღიმი რომ ჰქონდა ტკბილი ზილივით.  
კარებს ბალისას სადაც შევალეზ,  
სუყველგან მხედება მისი ღიმილი.  
ხეთა სიმღერა პაპას მახსენებს,  
პაპის ხსენება, — ხეთა სიმღერას.  
ასეთ მომღერალს რა დამასვენებს,  
ქვეყნად რამდენი ხე დაირხევა...

# ფილოზოფიკური ჯარისკაცი

## პოემა



1.

შელამებისას ბათუმის ქუჩებს  
თეთრად ებურვის ფაქიზი ნისლი,  
შავი ზღვის ტალღებს რა გააყურებს. —  
შუა ქალაქში გუგუნი ისმის.

მშვიდობიანი ქალაქი ჩემი,  
ხალხით ავსილი მდინარე-ქუჩა,  
ნაპირებს ლოკავს ზღვაური ჩქერი,  
ცას ბედნიერი ღიმილი უჩანს.

ზღვას არ ედგება რული თვალებზე.  
ღივილებს ზვირთი ვერცხლად  
დაღვრილი —  
და ცის გაყინულ ოკეანეზე  
მთვარე მიცურავს, როგორც მარხილი.

მივყვები ქუჩას, ძმაცაცი მახლავს,  
მივსაუბრობთ და გვხიბლავს ყოველი,  
მის სახელს ყველგან იცნობენ ახლა,  
არის მენათვე სტახანოველი.

აღბათ ვსმენიათ, — დროს რომ  
გაასწრო...

მის მედგარ შრომას ყველა აფასებს,  
მაგრამ მე მინდა მაინც გაგაცნოთ:  
— შაქრო ხაბაძე.



შაქროს ოთახი,  
თეთრი და ფართო,  
სახლში ხალისი სუფევს უჩვევი,  
კვითხულობთ  
ვარჩევთ,

ვაქებთ,  
ეკამათობთ,

ნავთის ქარხნის და ლექსის მუშები.  
დედას შემოაქვს ეურნალ-გაზეთი, —  
მოგვიტანესო დაგვიანებით.  
შაქრომ აიღო, გაშალა ერთი  
და გადახედა დაღლილ თვალებით.

გესმით, რამდენი ამბავი არის!..  
იგი კითხულობს და ვუსმენთ ყველა,  
„მოსკოვი. კრემლი, ამხანაგ  
სტალინს“ —  
პატაკს უგზავნის ქვეყანა ბელადს.

შენდება არხი, შენდება „პესი“,  
უდაბნოს უბეს ბაღებით ვავსებთ,  
რომ ადამიანს ულამაზესი  
ცხოვრება ჰქონდეს დედამიწაზე....

ის კითხულობდა.  
და შემდეგ უცებ

გაჩუმდა.  
ადგა, ვერარა მითხრა,  
გაკვირვებული უმზერდა ფურცელს, —  
რამ გააფითრა?!...

რამ გააოცა ხაბაძე ნეტავ?...  
წამოდგა დეღვით მთლად შეპყრობილი.  
— გესმის?!

სურათზე დროშით, ხომ ხედავ?  
ეგ არის ფრანგი...  
ჩემი ძმობილი.

და ვერ გავიგე მაინც მე მისი.  
სურათს დახედე, წერდნენ ბოლოში:  
-დემონსტრაცია ქალაქ რეიმსში,  
და წინ ნოზაყი მშვიდობის დროშით“.  
ის წინა პლანზე ჩანდა გარკვევით,



თვალანთებული გრუზათმიანი,  
როგორც გრიგალი, როგორც ნამქერი,  
აზვირთებული ადამიანი.

თითქოს გვესმოდა— „ომი არ გვინდა!..“  
რისხვა ეხატა ყველა წერტილზე,  
მუშტგაშვერილი წყევლას გზავნიდა,  
ალბათ, ფრანგული პარლამენტისკენ.

მან კვლავ შეხედა და მითხრა წყნარად:  
— ჩვენ სამ წელიწადს ერთად  
ვიბრძოდით,  
ჩვენ საფრანგეთის ტყე გვქონდა  
ფარად,  
ჩვენი საერთო საქმე ვიცოდით.

ეს კი, — მის გვერდით რო მიაბიჯებს,  
ხედავ? — ნოზაკის მეუღლე არის,  
ის მუდამ ცეცხლში ჩვენ გვახლდა  
ბიჭებს,  
მართლაც ყოჩალი და მტკიცე ქალი.

აი, ფრანგები, როგორ იწვალეს,  
ომში რამდენი სისხლი დაღვარეს,  
ეგონათ — ბოლოს მშობელ მიწაზე  
მშვიდობა მოვა და გავიხარებთ...

მაგრამ მოტყუედა მშრომელი ფრანგი,  
ის ხომ ტყვეის წინ თავს არ იხრიდა,  
მაგრამ დღე მანც ვერ ნახა კარგი,  
მთავრობამ ფაშისტს მისცა ვით ხარკი,  
ახლა ასევე ტრუმენს მიჰყიდა.

მე მაგონდება გამოთხოვება:  
მათ განშორების წვადათ ცრემლები,  
და მეგობრობის მოსაგონებლად  
მაგრად მიჭერდნენ ხელზე ხელებით.  
მოსკოვისაკენ მატანდნენ კოცნას  
და ვცილდებოდი ხალხის მდინარეს,  
მთხოვდნენ: — მაძლობა და ჩვენი

ლოცვა

უთხარ საბჭოთა ადამიანებს.  
ვეთხოვებოდი, და თან მიწოდდა  
ათასჯერ მეტქვე სათქმელი ერთი;  
რომ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობას  
დაიცავს კრემლი ფოლადის შკერდით.

ახლა როდესაც ომის ანრდილი  
ქვეყნიერებას ბურუსში ახვევს,  
როდესაც მღერის ფრანგი ნამღვილი  
დღეს რაიმონდა დიენის სახელს.

რომელმაც თავის პატარა ტანით  
ლიანდაგების ჩარაზა კარი, —  
ინღონეზია და ვიეტნამი,  
რომ ყოფილიყო მარად ცოცხალი.

როცა ის იბრძვის, რომ არ დაუწვან  
სახლი ოფლით და სისწლით ნაშენი...  
როცა მილიონ კაცის წინაშე  
სიტყვით გამოდის მარსელ კაშენი.

და მოუწოდებს:

— ამხანაგებო.

ჩვენი მიზანი მხოლოდ ის არის,  
ქვეყნის ჯალათებს რისხვა ვაგემოთ  
და შეეკავშირდეთ მშვიდობისათვის.

როცა თანდათან ბრძოლა გრძელდება,  
რადგან არ უნდათ ყოფნა მონებად,  
საჭირო არის ეს გახსენება,  
საჭირო არის ეს მოგონება.

2

სიჩუმის წუთი დაირღვა ბოლოს,  
სინათლეს აფრქვევს ელექტროლამპა,  
შაქრომ დაიწყო:

— გეტყვიო მხოლოდ

ნოზაკთან ერთად გადახდილ ამბავს.

დაკრილი მხარი მტკიოდა ისევე  
და ვიგონებდი ბრძოლას ბოლონდელს,  
მე ვიგონებდი ოცნებით იმ დღეს,  
ჩვენი ბიჭები როგორ ომობდნენ.  
როგორ დამიხშო ტკივილმა თვალი;  
როგორ ვიგრძენი სიმძიმე მწუხრის,  
როგორ მსურდა და არ მქონდა წყალი,  
როგორ უეცრად მომეჭრა მუხლი.

ტყვიების წვიმა იყო და ხშირი  
თითქოს ღრუბელი გადამაფარეს,  
თითქოს ათასი ფუთი ნახშირი  
მოიტანეს და თვალთ ჩამაყარეს.

აფეთქებულმა მიწამ დამთოვა  
და ჩავეხუტე კონდახს დახრილი,  
უბედურებამ იქ მიმატოვა  
გონდაკარგული, მიწაწაყრილი...

... და შემდეგ, როცა ბნელში სიძნელით  
მკედარი სამყარო გახსნა თვალბმა,  
მწარე სიცხადე უმაღ ვიგრძენი, —  
ფაშისტის თოფით იღვა კარებთან...

რაინში იყო ჩვენი ბანაკი,  
შემდეგ ფრანგებთან, —  
ვერდენის ახლოს,  
ტალახიანი გვექონდა ალაგი,  
შავი ტყე ეკრა პატარა მალღობს,

დღიური საქმე ეს იყო ჩვენი, —  
გჭრიდით ხეებს და ვზიდავდით მორებს,  
და წყალს ვატანდით იქ, სადაც ჩქერი  
კლდიდან დაცემით ამღვრედა მორავს.

ვზიდავდი იქით,  
მე მახლდა ერთი —  
უკრაინელი, — კრივჩენკო მახლდა...  
შევნიშნე ერთხელ:  
ტუჩის სისხლის წვეთი  
მოწყდა, დაეცა პერანგის კალთას.

მზრებით მიგვექონდა ნედლი მორები,  
კანს გვილურჯებდა და წელს გვიხრიდა,  
და უთვალავჯერ განმეორებით  
ვზიდავდით ხეებს  
სუნთქვა გვიჭირდა.

კრივჩენკო შედგა, და ჩაიკეცა,  
მშვიდად ხვდებოდა სიკვდილს  
ტყისმჭრელი.

მას დაფლეთილი ფარაჯა ეცვა,  
ქეებს დაესერა ფეხი შიშველი.

დაეცა იგი...

და გაიწივლეს მისი  
ყურთან ფაშისტის მატრახმამწველად,  
ზურგს წითლად ზოლი დაეტყო  
წყვილად  
და მეც თვალეზი ჩამომიბნელა.

შურისძიებით თვალამღვრელი  
ევმზერდი, ვგრძნობდი, —  
დავრჩით მარტონი,  
წამოვიწიე მთელი სხეულით  
და ყელში ვეცი ერთი ნახტომით.

ვერც კი მოასწრო ხმის ამოღება,  
ისე მოვალრჩე მხეცი, მოძალე,  
ჯალათი ვეღარ გადაგირჩება,  
სიმართლის რწმენა თუ გამოძრავებს.

ზიზლით ვისროლე კლდიდან აფთარი,  
ბილწი სხეული ჩაყლაპა ქაფმა,  
და მეც კრივჩენკო, ის ცოცხალ-  
მკვდარი  
ავწიე,  
ზურგზე მოვივდე სწრაფად.

ძლივს მივიწვედი,  
ნაბიჯი თითო  
წყვეტდა ყოფნის და არყოფნის  
საკითხს...  
თუმცა ფაშისტთა ჯგუფი შორს იყო,  
ჩვენ გვეშინოდა მათი დანახვის.

და ასე ხოხვით მივადექ წყლისპირს,  
საშიშროებას მე უკვე ვძლიე,  
წინ მივიწვედი და ზურგზე ის კი  
სუნთქავდა შიშველად.

წუთიც არ იყო მცირედი მოცდის, —  
თუ დაგვინახეს — ჩავარდა საქმე,  
რომ გადავლაზეთ პატარა ბორცვი,  
მე აღარ მახსოვს, თუ შემდეგ რა ვქენ...

ალბათ მინელდა გული და კუნთი,  
გონწართმეული ვიწვექი დიღხანს,

შემდეგ, თვალი რომ გაეხსენი წუთით,  
რაც ვნახე, მე ის როგორღა გითხრა?...  
— მკითხავდა, მაგრამ

მე არ მესმოდა მისი ფრანგული.  
მე არ მესმოდა მისი ფრანგული.

ის არ სუნთქავდა ფოთლებზე  
მწოლი, —  
ჩვენ შორის მწუხრმა გააელო ზღვარი,  
და უცნობ ტყეში ვიყავით ორნი.  
ერთი ცოცხალი და ერთი მკვდარი.

3

რკევედა ყურში ზარი მწუხარი  
და ვხედავ ირგვლივ სიბნელე არი,  
არა მაქვს თოხი, არა მაქვს ბარი,  
არ მაქვს ფარანი...

და მიპყრობს ღელვა,  
და ღამე ორმაგ წუხილში მახვევს,  
ვწუხვარ, — არ ძალმიძს უკანასკნელად  
შუქი მოვფინო მეგობრის სახეს.

ყურებში წივის ხმა განსაცდელის,  
შეძახის მწარედ: აღარ არისო,  
და შესაზარი გზა გამცლელი, —  
გზა უკუნი და სამარადისო.

წავედი,  
დარდი წაველე მხოლოდ  
მისი აჩრდილი კვლავაც დამდევდა,  
ტყის დასასრულთან მივედი ბოლოს  
მინდორს მივადექ და თან გათენდა.

შორით შევნიშნე: უცნობი ბილიკს  
მოჰყვება,  
როცა შემხედა, შედგა....  
„ფაშისტი მოდის იქნებ ამ დილით“,  
და გადავწყვიტე შეხედერა მელგრად.

მსურდა ვცემოდი...  
ვცემოდი, მაგრამ  
მანიშნა, რომ ის არ იყო მტერი,  
მომიახლოვდა და იქვიც გაჰქრა,  
თითქოს ვიცანი კაცური მზერით.

მან გამიღიმა და მითხრა რაღაც,  
მოვლბი და წუთით დაწყნარდა გული,  
მეუბნებოდა...

ტყის ნაპირნაპირ, ეიწრო ბილიკით  
გავედი,  
სოფელს დავხედეთ მალლით,  
ჩანდა მდინარე,  
ნაპირზე, იქით  
ხეხილში იდგა პატარა სახლი.

მე თითქოს ვიცან ის პარტიზანი,  
მსმენია ბრძოლის ამბავი ფრანგთა,  
და ერთი იყო ჩვენი მიზანი,  
ორივეს ერთი მოსისხლე გვყავდა...

გული გულს იცნობს, როგორც  
იტყვიან,  
და მიკარნახა გულმა მინდობა,  
სხვა არაფერი არ მიფიქრია,  
გარდა იმის, რომ ბრძოლა მინდოდა...

შემოიარა მან შორი გზებით,  
რომ არ ენახა მტერს ჩვენი კვალი...  
მალე მივედით,  
სახლს მივადექით,  
შემოგვეგება კარებთან ქალი.

ღიმილით შემხედნენ მე უცხო  
სტუმარს,  
კეთილი იყო ღიმილის სითბო. —  
თითქოს ნაცნობი ჭერი მეხურა,  
ჩემს ახლობლებთან ვიყავი თითქოს.

მე მშობლიურად მეჩვენა იგი, —  
მშრომელი ფრანგის უბრალო სახლი,  
და ოცნებაში ცხრა გორას იქით  
შვილი ვისმენდი სამშობლოს ძახილს.

უხედავდი თითქოს დედას ნაღვლიანს,  
რომელიც მეძებს, რომელიც მელის,  
ჩემი ლოდინით როგორ დაღლილა —  
და ფრონტიდანაც ვერ იღებს წერილს.

და ოცნების დროს მე მომაგონდა  
გულის ჯიბეში სურათი მქონდა, —  
დაუვიწყარი ფოტოსურათი,  
წამოღებული საქართველოდან.

ის ორ წელიწადს ვატარე ჯიბით,  
და სამუდამოდ გულთ ვატარებ,  
ო, იცი, როგორ  
მიყვარდა იგი, —  
ხან დღეს ვადარე, ხან მზეს ვადარე.

ზღვისფერთვალემა, პირმომცინარე,  
გოგონა ჩემი მშობელ ქალაქის,  
თუმცა ევროპა შემოვიარე,  
გულს მაინც ჰქონდა მისთვის ალაგი.

მას მზია ჰქვია...  
თუმცა რად ვიწყებ?...  
იქნებ სხვა ამას გვერდსაც აუვლის,  
მაგრამ, ზომ იცი, ვერ დაივიწყებ,  
თუ კი ნამდვილად გაქვს სიყვარული.

მე ის დამდედა,  
დამეს ათედა,  
ერთად ვებრძოდით ომს ბნელგზებთან,  
ის და ბათუმი,  
ხმაური ჩქერთა  
რამდენჯერ ერთად დამსიზმრებია.

... და იმ ფიქრებში მე მომაგონდა —  
გულის ჯიბეში სურათი მქონდა,  
გასაოცარი ფოტოსურათი  
წამოღებული საქართველოდან.

მოვსინჯე, ვნახე და ამოვიღე,  
მაგრამ... ის უკვე სურათს არ გავდა,  
ის ალბათ წყალში დაფლეთილიყო...  
და სინანულით გული გაქვავდა.

გული გაქვავდა, დამეწვა მკერდი,  
ჩამიდგა თვალში მძიმე ნალექელი, —  
რომ სამშობლოდან ამ ერთადერთი  
სახსოვრის ველარ გავხდი მნახელი.

4

სუფრა გაშალა დიასახლელსა  
კეთილი, თუმცა იყო მცირედი  
და მე ერთხელაც ბედმა მალირსა  
ცხელი საუხმე.

სითბო,  
იმედი....

შემდეგ მათ რალაც უთხრეს  
ერთმანეთს,  
ქმარმა გაშალა უბის წიგნაკი,  
და მან რუსულად ფურცლის ერთ  
მხარეს  
ნელა დაწერა: პიერ ნოზაკი.

შემდეგ დაწერა ქალმა — მარია,  
მე დავიხარე ნაცნობ ანბანზე,  
(ვიცან რუსული და მიხარია),  
მეც მივაწერე: შაქრო ხაბაძე.

მაშინ დავლოცე რუსული ენა,  
ენა მალალი, ძლიერი, დიდი,  
რომ უცხოეთშიც მე გამითენა  
და მეგობრობის გამიძღო ხიდი.

მაშინ დავლოცე რუსული სიტყვა,  
და სამუდამოდ ის შევიყვარე,  
თუნდაც შორს იყავ, ბნელეთში იყავ,  
ის მაინც ყველგან გაგიღებს კარებს.

5

უკვე თანდათან მოვლონიერდი, —  
მტერმა ჩემი გზა ვეღარ დაჩრდილა,  
უცებ ღიმილით ადგა პიერი  
და უცნაური გახსნა განჯინა.

დაფიქრებული,  
თვალანთებული  
აკვირდებოდა ყოველ ნივთს იგი,  
ბოლოს მათდში გამოხვეული  
გამოიტანა მან ერთი წიგნი.

გახსნა, არ იყო ნაცნობი ჩემთვის,  
წიგნი უჯრიდან გამოტანილი,

მაგრამ ვიცანი პირველი გვერდით, —  
მარშლის მაზარით იდგა სტალინი.

მე ჩავეხუტე წიგნს გახელებით,  
მან გამახარა და მზე მომფინა,  
შემდეგ მოვხვეთ პიერს ხელები, —  
ბელადის ნახევამ დაგვაამოზილა.

თითქოს იქამდე სუსტი, უღონო,  
ახლა მწვერვალზე ძლევით ავედი,  
თუმცა ვიყავით ორივე უცხონი,  
მინც ვიცანით ჩვენ ერთმანეთი.

ბელადს ვხედავდი...  
აუსახავი,  
ბედნიერება მეუფლებოდა,  
ჩვენს შორის ჩადგა ის მამასავით  
და ბრძოლის ამბავს გვეუბნებოდა.

ფოლადად ვიქვეც მე მისი ნახვით,  
ბოლო არ ჰქონდა ჩემს აღტაცებას.  
ის მოსულყოფი ფრანგის ოჯახში  
და ასწავლიდა მტრის დამარცხებას.

მისი სიტყვაა მარად მართალი,  
მზის მომფენია მისი მოხედვა,  
იგი მსოფლიოს მთავარსარდალი  
ასე ჩერდება ყველა ქოხებთან.

მისი ღიმილი ძლევით შეგმოსავს,  
და ფოლადივით გამოიწრთენები,  
მის მართალსა და ტარმალალ დროშას  
მზედ თელიან ფრანგი კომუნისტები.

პიერს მიზანი ჰქონდა მარტივი, —  
მტრისგან დაეხსნა მიწა მთლიანად  
და ისტორიას ჩვენი პარტიის  
სწავლობდა, როგორც ბრძოლის  
იარაღს.

6

თავის სოფელში იგი ომამდე  
გლეხის შეილებთან მასწავლებლობდა,  
მშვიდობიანი იყო ეს საქმე.....  
მაგრამ ასეთი სიბავე მოხდა,

მაგრამ ასეთი მოხდა მიწისძვრა,  
ქარმა ასწია ცხელი ფაფარქვენი  
და მზე ღრუბლებში სქუტუნდნდნდნ  
ჩამოაბნელა ომმა მთა-ბარი.

წუხილი ჩადგა თვალის გუგამი,  
უცებ დაჩლუნგდა კაცის მხნეობა,  
მტერმა გასროლილ პირველ ფუფასით  
გადაამტუტა სკოლის შენობა.

პიერმა ბევრი ტანჯვა აზიდა,  
უბედურება გულით ატარა,  
ახსოვს — ეზოში ტყვიით ფაშისტმა  
როგორ მოუკლა ბიჭი პატარა.

მას ჟანი ერქვა,  
ის ერთადერთი  
იმედი იყო ნორჩი ოჯახის,  
და მტერმა ტყვიით გაუპო მკერდი,  
ჩაქრა ნათელი პატარა სახის.

ჩაქრა იმედიც...  
და რალა დარჩა,  
გარდა ბრძოლის და შურისძიების,  
როს გაზაფხულით ტყე შეიფარჩა,  
ტყისკენ გაუდგა მაშინ პიერიც.

ტყეში ყოფილა სულ საფრანგეთი,  
სხვა რალა ჰქონდა ბრძოლის გზის მეტი,  
თავისუფლების დროშის მმართველი  
არის პარტია კომუნისტების.

კომუნისტური, —  
აი პარტია  
ხალხის დარაჯად დგას ერთადერთი.  
მან უძნელესი ღამე ათია,  
რომ არ დაეწვა ცეცხლს საფრანგეთი.

პიერმა ქვეყნად სწორი გზა ნახა,  
ამ გზის სისწორე ყველგან იციან,  
და კომუნისტი ამიტომ გახდა. —  
რადგან ისინი უკვე იბრძვიან.

7

მიდის ფერდობზე ბილიკი ერთი, —  
ელვა ღრუბელზე დაკიდებული...  
თითქოს დაგვეყურებს სიკვდილის  
ღმერთი.  
ცა ისე არის ჩაბინდებული.



მოგვადგა შავი ტყეების ტვერი,  
წინ უკვე ბილიკს ველარსად ვხედავ,  
როდის შემხედება პირისპირ მტერი  
დნებრის ნაპირზე დაკარგულ მხედარს?

სად ვეგულები სამშობლოს ჩემსას, —  
მისი მებრძოლი არა ვარ მკედარი!...  
როდის იქნება დაღლილმა შევსვა  
მე საქართველოს ანკარა წყალი?...

ლოყას მილოკავს უცნობი ნისლი,  
და არ ჩერდება ნაბიჯი მარდი,  
შურისძიებას თვალებით ვისვრი,  
შურისძიება ჩემს გვერდით დადის.

მიზანი ერთი —  
სიკვდილი ფაშისტს  
შქონდა ფრანგსაც და საბჭოთა კაცსაც.  
ვით ახლა ხალხის მიზანი არის  
დღეამიწაზე მშვიდობის დაცვა.

ჩვენ ერთნაირად მიგვექონდა ღელვა  
ვზომავდით ნაპრალს თვალთა ნათებით,  
და მიიწყედნენ მთისაკენ წელა  
ჩემს გვერდით ფრანგი პარტიზანები.

## 8

უკვე გამოჩნდა მათი ბანაკი  
და წინამძღოლი,  
ჩვენი მხლებელი  
წინ გაემართა პიერ ნოზაკი,  
სოფლის ყოფილა მასწავლებელი.

ვერც კი მოვასწარ გაცნობა მათი,  
შტაბმა მიიღო ცნობა მზვერაეთა,  
რომ ეშელონი ფაშისტთა ჯარით  
ვერდენისაკენ გამოემართა.

მტერმა მოხსნათ მთელი არმია,  
ლამანშთან ბრძოლა არ იყო თითქმის.  
ინგლისელები წყნარად არიან,  
მაგრამ ამაზე არ ღირდა ფიქრი.

ყველას თვალებში მე წაეკითხე  
შური,  
პროტესტი, გესლი და შფოთი,  
აქ მოკავშირე თურმე თვით იხვეს,  
დაცარიელდა მთლიანად ფრონტი.

და აღმოსავლეთს აშურებს მტერი,  
იქ ზომ სიკვდილის დღე გაუთენდა...  
რუსეთში მიჰყავს არმია მთელი...  
და მე ოცნება წუხილში მხვევდა.

აღმოსავლეთი. —  
ზომ იქით არის  
ჩემი მიწა და დილა იმისი,  
აღმოსავლეთი,  
სახლი და კარი,  
ჩემი მოსკოვი, ჩემი თბილისი.

ჩემი ბათუმი, ჩემი ქოროზი,  
ჩემი მტკვარი და ჩემი რიონი,  
ჩემი ყანების თითო გოროზი,  
ჩემი ამაყი კავკასიონი.

აღმოსავლეთი,  
ჩემი ბავშვობის  
დღეები, როგორც თეთრი პეპლები,  
ჩემი ოჯახი, — მამის ნაშრომი,  
სიყვარულით რომ შემოვევლები.

მიწა ლამაზი,  
ხალხი გულადი  
და სიყვარულის გზები ფართონი,  
ჩემი დაფლეთილ ფოტოსურათის  
შორს დარჩენილი ნაზი პატრონი.

მტერს უნდა ფეხით გადამიტელოს  
და მზეს მოუსპოს აღმოსავლეთი.  
ჩემს უკრაინას, ჩემს საქართველოს  
აღარ აღირსოს დილის ნათელი.

მეთაურებმა იწყეს თათბირი;  
დღეს განსაცდელი მოგველის დიდი,  
ვინ გვეყოლება გმირი ნამდვილი,  
რომ აუფეთქოს ეშელონს ხიდი?..

კომუნისტები. —

ხომ ძულთ მათ ომი,  
მაგრამ არ უდგათ შიში თვალებში,  
კომუნისტები,  
აი, სანდონი.

აი, მამაცი ყოველ საქმეში...  
გამოჰყვეს ჯგუფი ექვსი კაცისა,  
პარტიზანები ექვსი მეღვარი,  
მათ შორის პიერ ნოზაიცი ვიცან,  
ჩემი მხლებელი და მეგობარი.

და მეც შევთხოვე:  
— არ მსურს დარჩენა,  
მეც გამაყოლებთ იმათ მეშვიდედ,  
იქნებ არც გველის ჩვენ გადარჩენა,  
მაგრამ სიკვდილთან რატომ  
შევშინდე?...

ჰყავდათ რუსულის მცირემცოდნენი  
და მეთაურებს სწრაფად უთარგმნეს.  
მოთხრეს: — შენ მხოლოდ ახლა  
მოხვედი,  
ვერ დაგვალებთ ამ მძიმე საქმეს.

მე თხოვნას ისევე ვიმეორებდი...  
საქმეს ზომიერად მაშინ წამებში,  
დათანხმდნენ...  
და ჩვენ ვიწრო ხეობით  
რკინიგზისაკენ სწრაფად დავეშვიით.

9

ხევში თანდათან წებოდა ბინდი,  
ემატებოდა ჩვენს გულებს ღელვა,  
ლიანდაგებთან ელავდა ხიდი,  
ვით დაგდებული მიწაზე ელვა.

მარჯვენა მხარეს იცავდა მტერი,  
საჭირო იყო მისვლა ფარული,  
უნდა გვეცადა ჩვენ ყველაფერი,  
რომ არ შეგვექმნა მცირე ხმაურიც.

მაგრამ უცერად, კლდიდან ჩასვლისას,  
ღრმა ნაპრალებს რომ ბინდი ფარავდა,  
დარტყმის მაგვარი ეხო გაისმა  
და ხეობაში ლოდი ჩავარდა.

Р. „მნათობი“, № 5.

საშიშროება იგრძნო სრულებით,  
მტერმა დაანთო ცეცხლი თაყარა,  
საექვეო მხარის მიმართულლებით  
ავტომატები ააქაჯანა.

ვერც კი ნახავდი ხელის მოხაკიდს,  
არც რამე იყო მიეფარებოდი,  
ქვევით დავეშვიით მე და ნოზაიცი,  
რომ წყლისპირიდან მიეპარებოდი.

ხოხვით მივედით ცეცხლქვეშ ხიდამდი  
და ფაშისტებმა კვალი ვერ ნახეს,  
ჩვენ დავადექით თავზე პირდაპირ  
და შევეტაკეთ მცველებს ხელდახელ.

ჩვენს დაჯახებას ვეღარ უძლებდა,  
გავტეხეთ იგი, — თუმცა ვეწამეთ,  
ორი გავთოკეთ სიტყვაუთქმელად,  
დაგვემორჩილა თავად მესამე.

უკან გავედით ისევე ხოხვით  
და შევეფარეთ შამბნარს შლამიანს,  
შვიდნი მდუმარედ ეუმზერდით ბოდმით  
გალმა ნაპირებს შაეს და ხრამიანს.

ახე გაკეთდა, გულით რაც გესურდა,  
კმაყოფილება გვანდა სახეზე,  
დავალბებული საქმე შესრულდა,  
და ხიდი უკვე იდგა ნალმებზე.

ლოდინს წუთები არ დაეღეკა,  
თითქო გრძელდება ეამი ვანგებით,  
...მაგრამ იკვილა მატარებელმა  
და აზუზუნდა ლიანდაგები.

მე მქონდა ხელში ცეცხლის სადავე,  
უნდა მოეცა ნოზაკს სიგნალი,  
რომ გაზომილი დროის მოსულამდე  
არ გამეხარჯა ტყვილად გრიგალი. —

უკვე დრო არი...  
— მძებო, ვეცადოთ, —  
იღვა ცეცხლმა ჩემმა შერთულმა  
და ეშელონის ცხვირთან ზეტამდე  
კვამლი ავარდა ჯოჯოხეთურად.

შვიდმა ჩაეღწეთ შვილიათასი,  
 შვიდში ერთი ჩემი მარჯვენაც,  
 — ტკბილო სამშობლოვ, ეს მცირე  
 ღვაწლი  
 მე მოვახმარე შენს გადარჩენას.

10

გერმანელებმა სოფელი შეჰკრეს,  
 სურდათ რომ ჩვენი ენაბათ კვალი,  
 მოსახლეობა წინ გაირეკეს,  
 ყველა მოხუცი, ბავშვი და ქალი.

მტერი ეზოებს შემოხვევოდა,  
 განგაში იდგა გლეხის სახლებთან,  
 ქმრები გაეციოთ, — თორემ ელოდა  
 სოფელს დაწვა და ცოლშვილს  
 დახვრეტა.

აღბათ არ გასცეს თავისიანნი,  
 სიტყვა არ უთხრეს ერთი მარცვალი,  
 ამიტომ იყო ცისკენ სრიალით  
 ასკდა, აიჭრა შავი ხანძარი.

ქედზე ვიდექით სახეშეცვლილი,  
 და გულსაც ცეცხლი მოედო ნახვით.  
 მე დაეინახე, როგორ მხეცივით  
 კვამლმა ჩაყლაპა პიერის სახლი.

როგორ აენტო ბოღმით პიერი  
 და შეეცვალა უცებ გუნება,  
 მაგრამ კაცი ზომ არის ძლიერი,  
 როცა სიმართლეს ემსახურება!..

სწრაფად შეთანხმდნენ პარტიზანები;  
 — დატყვევებულნი უნდა დავიხსნათ,  
 ჩვენი ბავშვები, ჩვენი ქალები...  
 და მეთაურის სიტყვა გაისმა...

მტერი შეეკარით,  
 განგაში ატყდა,  
 უსასტიკესი ბრძოლა გაჩაღდა  
 ჩვენ არ შეგვეძლო გასროლა, რადგან  
 მოსახლეობა იდგა ყაჩაღთან.

ქუხილმა შეძრა მთელი მთაბარი  
 ცეცხლი ღელავდა გასაკვირველად,  
 და მე არ ვამბობ ამას ტრაგიკულით,  
 — წინ, წინ, — შეეძახე მებრძოლთ  
 პირველმა.

თითქოს ვიყავი დნეპრის გადაღმა,  
 გზას მინათებდა ჩემი მზის თვალი,  
 მე დავიძახე მაშინ ხმამაღლა:  
 — სამშობლოსათვის,  
 სტალინისათვის.

იყო ჩეხვა და სისხლის ჩქაფიანი,  
 სიკვდილ-სიცოცხლის ბრძოლა საზარი,  
 უკან ამდგარი კვამლის საფარში  
 ანადგურებდა სოფელს ხანძარი.

11

ვინ ცოცხალია და ვინ მკვდარია? —  
 შემაზარუნია საქმე მომხდარი.  
 უცებ ჩვენს შორის ჩადგა მარია  
 და ჩაეხვია ერთურთს ცოლ-ქმარი.

თვალებს დაეტყო ცრემლი და მწუხრი,  
 უბედურებამ ზეცა მონისლა,  
 ვეცეებოდა მარიას მუხლი  
 ტანჯვისაგან და დაღლილობისგან.

იხედებოდა იქითკენ ნაღვლით,  
 სადაც დატოვა სახლი პატარა,  
 და აღარ ჩანდა ზეხილში სახლი, —  
 იგი ჩაქოლა ცეცხლის დადარმა.

იგი ჩაქოლა,

გადაამტრუტა,  
 ჩაანახშირა მათი სახლკარი,  
 უცებ საშინლად მეტყინა გულთან  
 და ჩემს თავს ვკითხე: — წიგნი სად  
 არი?

ნუთუ აღარ გვაქვს ის მაღლიანი  
 წიგნი, მარადი შეუქის მაღანი,  
 ქვეყნად ყოველი ადამიანის  
 გზისგამკაფავი და ჩირაღდანი.

პიერს შეეხედე. შუბლი შეეკრა,  
მასაც ჩემსავით წვადა ეს ელდა,  
დაღუშებულებს სიტყვა ვერ გვეთქვა,  
სიტყვას ამბობდა ჩვენი შეხედვა.

და თითქოს მიხვდა გულისწვას ქალი,  
(ის საოცრება მე ახლაც მიკვირს), —  
ნაფლეთ უბიდან ხელის კანკალით  
მან ამოიღო ბელადის წიგნი.

და თითქოს გახსნა სინათლემ ზეცა,  
ისევ ჩაგვიდგა ძალა უტეხი,  
თუმცა ეს მიწა გარუჯა მხეცმა,  
მიწაზე მაინც გვიდგია ფეხი.

ჩვენი ფიქრი და ძალა ერთდება,  
შეტევამ ღამე უნდა განდევნოს,  
ბნელი თავისით აღარ თენდება,  
საჭირო არის, რომ გავათენოთ.

მკერდთან ეკირა წიგნი მარიას,  
როგორც იმედი, როგორც ნუგეში,  
ისე ვით დედა, როცა ქარია  
თავის შვილივოს ფარავს უბეში.

12

ამღვრეულ დღეთა ფონს გადაედიოთ  
და მივადექით ნაპირს დასახულს, —  
მზე შემოჰქონდა აღმოსავლეთის  
ცხრაასორმოცდახუთის გაზაფხულს.

აღმოსავლეთის ქარები ქროდნენ,  
ესუნთქავედი, ესვამდი მას გატაცებით,  
უკვე გამოსცდნენ სისხლიან ოდერს  
ჩემი მამულის ჯარისკაცები.

უკვე გაივსო სინათლით სივრცე,  
რისთვისაც ბევრმა თავი გასწირა,  
და სიამაყით მე უფრო ვიგრძენ,  
რომ გამარჯვების ჯარისკაცი ვარ.

რომ დაებრუნდები და სამშობლოში  
ჩემთვის სიცოცხლის არის ადგილი  
მისთვის მეც სისხლი დაღვარე ომში  
და მეომარი ვიყავ ნამდვილი.

მაგრამ მე ფიქრი დამქონდა ერთი  
ფიქრი, რომელსაც ვატანდი წიგნს, —  
რომ რა ხანია წერილს ატარებდი  
და იქნებ აღარ ვახსოვარ მწიანს.

იქნებ აღარ მთვლის ცოცხალთა შორის  
და სიყვარულის დახურა კარი...  
მელანდებოდა —

მიდიან ორნი;  
შხია და მისი უცნობი ქმარი.

•  
•  
•

მე კარგად მახსოვს  
დილა აპრილის;  
ცა დაჰყურებდა მიდამოს ლურჯად,  
აღარ უჩანდა ქუჩას ნაპირი,  
ხალხით ავსებულ რეიმსის ქუჩას.

და საფრანგეთი ტყიდან დაიძრა,  
გულმტკიცე ხალხი თავის მამულის,  
უბრუნდებოდა სახლსა და მიწას,  
ნამდვილ მშვიდობით და სიყვარულით.

და გაჰყურებდა ის ნალვლიანი  
გამურულ კედელს ეზოს ნაცრიანს,  
ვეება ღროშა აღისფრთიანი  
მიუძღვებოდა დემონსტრაციას.

მეც მივეყვებოდი ტალღას მღელვარეს,  
მეც ამ მდინარის ზვირთი ვიყავი...  
და შორით ნათელ მშობლიურ მხარეს  
სწედებოდა ფიქრი გაურთიყავი.

მშვიდობის შუქი გვეხატა გულზე  
და მივეყვებოდი ტალღების რხევას,  
და ახლა, როცა ამ სურათს ეუმზერ,  
მგონია, რომ მეც მათ შორის ვღავევარ.

ჩვენ მოვიდოდით ძლევეთ და მტკიცედ,  
მზე უკვე აღგა მიწას ბინდიანს,  
ჩვენ მივდიოდით ამაყად, ისე  
გამარჯვებულნი როგორც მიდიან.

მაგრამ გაისმა ზეციდან უცებ  
თვითმფრინავების ქვეა საზარი,  
და მშვიდობიან ქალაქის ქუჩებს  
ისევ მოედო რისხვა-ზანზარი.

ისევ ავარდა კვამლი მახლობლად  
და აფეთქებამ დაიმჭუნხარა,  
ისევ დაეცა ჩვენს წინ მალლობთან  
მტრულად ნასროლი ციდან ყუმბარა.

შეჩერდა ხალხი,...

და იქვე ჩემთან  
ატირდა ბავშვი დედას მიკრული,  
შეჩერდა ხალხი და ხმამ იფეთქა:  
— ამერიკული.  
— ამერიკული!

ამერიკული — ქარიშხლიანი  
ღელავს ხალხი და რისხვა ედება,  
როგორც ზღვის ღელვა ან ტყის შრიალი  
ისმის ჩურჩული — „ომი გრძელდება...  
ამერიკული“. ხალხის წინაშე  
დადგა პიერი, ვით ქანდაკება;  
— მშებო, მშვიდობა სისხლით ვაშენოთ,  
ვიცოდით ბრძოლა და თავდადება.

მაგრამ არ უნდათ სული მოვითქვათ,  
არ უნდათ ტკბილი ლუკმა გვაგემონ,  
მაშ უფრო მძლავრად. —

და იქნებ დიდხანს.  
უნდა ვიბრძოლოთ, ამხანაგებო!..

ჩვენ შეგვრჩენია ძალა ისევაც,  
ჩვენს გულში ცეცხლი ისევ ანთია,  
მართალი დროშა კვლავაც იელვებს,  
წინ გაგვიძლევა დიდი პარტია

და მეც ავმალდი, — ლოდზე შევდექი,  
თუმცა მიკირდა სიტყვის მიგნება,  
მაინც ვთქვი:

— ჩვენი ძმობა შემდეგი  
უფრო დიდი და მტკიცე იქნება.

ჩვენი კავშირი არის მაგარი,  
ხალხს შეუძლია ბრძოლა, <sup>გმირობაც</sup>  
ჩემი სამშობლოს მიპყრეთ შავალითს,  
რადგან სავალი მხოლოდ ამგვარი  
აურჩევია კაცობრიობას.

ჯერ ბრძოლის ამინდს არ გაუვლია,  
შუქს მოიპოვებთ ბნელთან შეხლილნი,  
... ჩემს სამშობლოში გაზაფხულია,  
ჩვენი მამების სისხლით შექმნილი.

## 13

ახლოვდებოდა წამოსვლის დილა...  
ჩვენ ესაუბრობდით,

ვიჯექით წყვილად.  
უცებ ნოზაკი ადგა და მითხრა:  
(მაშინ მარიაც გაჩნდა ჩვენს გვერდით)  
— შენ ახლა უკვე რუსეთში მიხვალ,  
მაშ ჩემი თხოვნაც წაიღე ერთი...

მხარზე მათბობდა ხელი პიერის,  
არ მაშორებდა ანთებულ თვალებს:  
— შენ ზომ ნამდვილად ხარ  
ბედნიერი, —  
დაუბრუნდები სინათლის მხარეს.

— დაუბრუნდები საბჭოთა მიწას,  
ჩვენი ნატერის და ოცნების ალაგს,  
შენ ნახავ მოსკოვს — ჩვენს  
დასაფიცარს, —  
სტალინის მზეს და  
სტალინის ქალაქს.

ჩვენს გულისწვაზე უთხარი ბელადს,  
იმედს რომ გვაძლევს შუქად აწვდილი,  
უამბე მამულს.

უამბე ყველას,  
როგორ იბრძოდა ფრანგი ნამდვილი.

უამბე, როგორ დავხარჯეთ დღენი,  
რომ უღლეობა არ გაგვეცადა,  
უთხარი ყველა წადილი ჩვენი,  
რა სურვილი და ოცნება გვწვავდა.

უთხარი, როგორ გვესროლეს გულში,  
რომ ისევ ცეცხლში ჩაგვყარონ უნდათ,  
უთხარ — მშვიდობას ესროლეს გულში  
და ჩვენაც ტკივილს ვატარებთ გულთან.

მაგრამ თავს მტრისწინ მაინც არ  
დაეხრით.

ავლამავთ ომის განმეორებას...  
დღეს საფრანგეთის მართალი ზალხი  
იანკებს მონად არ დანებდება.

ჩვენ ურღვევ კედლად  
ავმართავთ ხელებს,  
მტერს მრისხანებით თვალეებში  
ვუშვებთ...

მადლობა უთხარ სტალინგრადელებს  
და ვისაც ნახავ, აკოცე შებლზე.



დილით წავედით ტყეში, იმ გორთან,  
სადაც კრიგენკოს იყო საფლავი,  
და მწუხარებით მე მომაგონდა  
მისი დაცემის დღე გულსაკლავი.

ჩვენ შევამაგრეთ საფლავი ქვებით,  
და ვერ ჩაქოლავს მას ეამთა დენა.  
ომი გააპო მან ხიშტის ქნევით  
და სხვასთან ერთად დღე გაითენა.

თითქოს წარმოთქვა პიერმა ღიცი, —  
სიტყვა მეხივით ავარდა ცაში;  
— ჩვენ რუსი კაცის ბუნება ვიციით,  
მისი გმირობა ჩვენს გულში ფრთას  
შლის.

მისი სიმტკიცე და სასწაული,  
მისი ქუხილი მსოფლიოს გასწვდა,  
რუსი მეომრის ამაყი სული,  
არ ძალუმს არცერთ სიკვდილს რომ  
დაწვას.

მე მაგონდება გამოთხოვება,  
მათ განშორების წყევდათ ცრემლები,  
უფრო და უფრო წინ მეხატება  
გამოშვერილი მათი ხელები.

მოსკოვისაკენ მატანდნენ კოცნას  
და ვცილდებოდი ზალხის მდინარეს,  
მთხოვდნენ, — მადლობა და ჩვენი  
ლოცვა

უთხარ საბჭოთა ადამიანებს.  
ვეთხოვებოდი და თან მინდოდა  
ათასჯერ მეთქვა სათქმელი ერთი;  
რომ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობას  
დაიცავს კრემლი ფოლადის მკერდით.

14

აი, ბათუმი,  
ჩემი ბათუმი,  
ჩამოველ და ის შემხვდა კარლია,  
მშვიდობიანი შრომით გართული  
ქალაქია და თანაც ბალია.

მე სიყვარულის ალით ვენთები,  
სხვაგვარად მხიბლავს პალმების რიგი,  
ბათუმს დიდი ხნით რომ დაცილდები,  
შემდეგ გაიგებ რა არის იგი.

შემხვდა მშობელი, შემხვდნენ ყველანი,  
და სიხარულით გული აჩქარდა,  
მაგრამ თანდათან იმით ვლეღავდი,  
რომ ის რატომღაც არსად არ ჩანდა.

იგი არ ჩანდა...  
მე ვერ გავბედე,  
საზღში მისვლა და ამბის გაგება,  
მაგრამ შევიტყვე მეორე დღესვე,  
ასე მიაშვებს ამხანაგებმა:

— შარშან მოსკოვში წავიდა მზია,  
იგი ნავთობის ინსტიტუტშია.

სწავლობს და ახლა როგორც იტყვიან  
ახალი გზები გადაუშლია.

როგორ მივწერო?...  
თუმცა მიყვარდა,

მისი თვალების მზე მეხვევოდა,  
მაგრამ იქნება სხვას ეტრფის, რადგან,  
ალარ მელოდა...

მიზეზად კიდეც სხვას ვთვლიდი ადრე  
და მითომ ერთხანს არ ვწერდი წერილს,  
ვფიქრობდი — იქნებ ალარ მიკადრებს,  
რადგან გახდება ის ინჟინერი.

ანდა საერთოდ ალარ ვახსოვარ,  
ვინ იცის დღეებს საით მიჰყავდა,  
სულ დამივიწყა,  
სულ მიმატოვა,  
ალარ იგონებს, როგორ მიყვარდა.

მაგრამ...ეჰ,

უნდა გაუძლოს კაცმა,  
უნდა გაუძლოს ცხოვრების ამ წესს,  
თუ მე ფაშისტის ტყვიამ ვერ დამცა,  
აქ სიყვარულის კრილობამ დამცეს?..

სწავლას თუ იტყვი:

ვინ კეტავს კარებს?... —  
ვიწრომებ და თან ვისწავლი კიდეც,  
მოვემზადები და დავამთავრებ  
აი, —საღამოს უნივერსიტეტს.

ეს თუ მზიაზე იქნება გვიან,  
არ გავიტეხავ მე მაინც იმედს, —  
ხუთი წელია მებრძოლი მქვია,  
შეიგნებს ამას და მაპატიებს...

მე მას მივწერე წერილი კრძალვით:  
„მზია, შენ მაინც შორსა ხარ ახლა,  
და მე კვლავ ნატურის მეღება ალი,  
მაინც ვერ შევძელ მე შენი ნახვა.

მე ჩამოვედი...

იქნებ არც გინდა,  
რომ ჩემზე ფიქრი თუნდ შეაჩერო,  
მას შემდეგ ბევრმა დაგვფარა ბინდმა,  
რაც მე პირველად გითხარი — „ჩემო“.

მე გული ისე ბავშვური არ მაქვს,  
რომ ეს ბარათი ცრემლებით ვალბო,  
მაგრამ ეგ სახე რომ გულით დამაქვს,  
ამ გაუბედავ სტრიქონში ვამბობ.

იუკადრისებ იქნება კიდეც,  
გულცივი მზერით

შეხედავ წერილს,  
...შენ უკვე მაღალ ცოდნას მიიღებ,  
დაგვიბრუნდება აქ ინჟინერი.

მაგრამ თუ გახსოვს შავი ზღვის ჩქერი,  
ერთმანეთისკენ კენჭების სროლა,  
შემდეგ საომრად გაწვევა ჩემი,  
ბრძოლა,

დაკარგვა,  
და ისევ ბრძოლა.

სუნთქვას გაუგებ ამგვარ სტრიქონებს,  
გაგახსენდება,

გაგახსენდება,  
ჩვენი ბავშვობის წლებს მოიგონებ  
და ხელშეორედ შეგიყვარდები“.

•  
•

გაებედე მისი გაგზავნა მოსკოვს,  
და თანაც ჩემი ოცნება გაყვავა...  
როდის იქნება, რომ ექვებს მოსპობს  
მისი გულთბილი ბარათის ნახვა?..

მაგრამ პასუხი დიდხანს არ ჩანდა,  
უსაზღვრო იყო დღეების სიგრძე,  
თვალეში ფიქრის ღრუბელი ჩადგა,  
ცოტა არ იყოს, მოწყენა ვიგრძენ.

ერთ დღით მაინც გამეხსნა ბედი,  
მემახსოვრება ის დღე მარადის,  
ფოსტალიონმა ჩემთან ცისფერა  
შემოიტანა მისი ბარათი.

მწერდა: „არ ვიცი, როგორ დავწერო,  
მგონი დავკარგე ფიქრის უნარი...  
ახლა არ მინდა გაგანაწყენო,  
თორემ რამდენი მაქვს სამღურავი...“

აბა რას მწერდი,  
 ან რას ფარავდი. —  
 ორაზროვანი მოჩანს სტრიქონი,  
 განა არ იცი, შენი ბარათი  
 ჩემთვის ყოველთვის ღირს მილიონი?

მახსოვს და მუდამ მემახსოვრება,  
 თუშეა დღეები ჩქარა მიჰქრიათ,  
 შენ აღარ ჩანდი, მაგრამ ცხოვრება  
 უშენოდ მაინც არ მიფიქრია.

წუხხვარ, რომ საქმე ბევრია ახლა  
 და შენს ნახვამდე როგორღა შევდეგ?...  
 მაგრამ რას იზამ.

ჩამოვალ, გნახავ —  
 საგაზაფხულო გამოცდის შემდეგ.

შენ ხომ არ იცი ამდენხანს თუ მე  
 რას ვაკეთებდი და რას ვსახავდი...  
 მაგრამ ჩამოვალ და ვისაუბრებთ,  
 მასპრტიე, რომ გტოვებ....  
 ნახვამდის“.

15

მასთან შეხვედრის მღელვარე საათს,  
 არ შემოძლია, ველარ ავიწერ,  
 ვარდის ღიმილით შემომანათა  
 და თვალებიდან შუქი ავიკინძე.

ვერ შევიკავე ღელვა,  
 ვერ შევდექე,  
 გულში, რომ ამდენ ღამეს ათევედა,  
 და ექვსი გრძელი წლის გასვლის  
 შემდეგ  
 პირველად ვიგრძენ სითბო ბაგეთა.

\*  
 \*  
 \*

შაქრო შეჩერდა. თითქოს დასრულდა  
 დიდი ცხოვრების ერთი ფურცელი.  
 მზიაც აქ არის. ფიქრში წასულა  
 და გაღიმებით შაქროს უცქერის.

თითქოს ამაღლდა ჰერი სახლისა,  
 თითქოს ომიდან ახლა მრეკელი...  
 რაფაზე ტკბილი რეკვა გაიხმა,  
 კრემლის საათმა დაჰკრა თორმეტი.

შეიშრილა გარეთ ნიავმა,  
 ჰერქვეშ მშვიდობა სუფევს  
 მხარგაშლით,  
 მშვიდობიანად, იმედიანად  
 აგერ პატარას ძინავს აკვანში.

არსად არ ქრება შუქი გვიანი,  
 სითბო მატულობს კარისკარამდე,  
 სინათლიანი, მშვიდობიანი  
 ქალაქი ახალ დღეში გადადის.

ელექტროლამპა აფრქვევს აღმასებს  
 და არ იღვევა ჰერში ნათელი...  
 უცებ წამოდგა შაქრო ხაბაძე,  
 ალბათ დაურჩა კიდევ სათქმელი:

— და ახლა ქარხნის დაზგასთან  
 ვიბრძვი,  
 ვერ მოღლის მკლავებს დღიური საქმე,  
 რას ვაძლევ მამულს მე კარგად ვიცი,  
 მე ყოველ ნაბიჯს მშვიდობას ვარქმევ.

ამიტომ მივეყვებ კვამლიან ბილიკს  
 და ბევრი ნორჩი დღეები დავწვი,  
 რომ გამარჯვების სხივიან დღილით  
 მზე მოჰფენოდა სიცოცხლეს  
 ხანგრძლივს.

გათენდა....  
 აი ქარხანა ჩემი  
 გუგუნებს,  
 სიტყვა ვისწავლე მისი,  
 ფოლადის ძარღვში მქუხარებს  
 ჩქერი, —  
 ნავთის,  
 ბენზინის მღელვარე სისხლით.

გვეკირდება მისი ყოველი წვეთი,  
 დანიშნულება იმისი ვიცი;  
 ნგრევა-სიკვდილი არ მოხდეს მეტი,  
 მხოლოდ და მხოლოდ ამიტომ იწვის.



იგი ჩადგება ტრაქტორის გულში,  
რომ შეუტოს სახნისმა ყამირს,  
რომ გალღვეს თესლი ნოყიერ ხნულში,  
თესლი, რომელშიც სიცოცხლე ჰყვავის.

იგი მოტორებს ალბობს და აძლებს,  
შარაგზას აღმა მიჰყვება აეტო,  
და მინდა ასე მივდიოთ ამ გზებს, —  
აღმა და აღმა, —  
მე ამას ვნატრობ.

მხოლოდ ასეთი სურვილი მაგზნებს.  
მე სხვანაირად ვერასდროს გავძლებ,  
ამაყად ვდგევარ მშვიდობის ვახტზე,  
ხალხს მშვიდობისთვის მასალას  
ვაძლებ.

მაგრამ მე ვიცი, მტერი რას ლამობს,  
იგი ქვეყანას აქცევს და ტანჯავს  
და ხალხის სისხლით შეფერილ  
ნავთობს,  
მხოლოდ სიკვდილის საქმეზე ხარჯავს.

ფუგასი აღნობს მიწას და რკინას,  
კორეის ლაქვარდს პირატი აპობს,  
მე კორეელის ტკივილი მტკივა  
და მასთან ერთად მეც წყევლას ვამბობ.

მზეს ემუქრება სიბნელის დელგმა,  
მოაქვს ტყვია და შხამი უღევი,  
და ამზადებენ სიკვდილის გეგმას  
პენტაგონელი კაცთმოძულენი.

მე ვიცი მათი ზრახვა ბოროტი,  
უნდათ ხმელეთი რუჯონი ომითა,  
ხალხმა ვერ ნახოს სითბო ბოლომდი,  
სული კაცურად ვეღარ მოითქვას.

სურთ მსოფლიოში მხოლოდ ანგრიონ,  
ქობებში დარჩეს სიკვდილის ჩრდილი,  
უნდათ რომ ტყვიით კიდევ გაგმირონ  
პიერ ნოზაის მეორე შვილიც.

ჩვენი სისხლით და ჩვენი წვალებით  
სურთ თავიანთი ჯიბე გაივსონ,  
კვლავ დამაშორონ მზიას თვალები  
და სიყვარული აღარ მაღირსონ.

უნდათ ჩინეთი იყოს შავ დღეში,  
ვერ მოიცილოს, ცრემლები, დარდი,  
მაგრამ მშვიდობა აღმოსავლეთში  
ჯარისკაცური ნაბიჯით დადის.

ვის შეუძლია ჩაჰკლას ეს გული,  
ლეწოს მშვიდო. . . სისხლით ნაგები,  
ხედავთ?! ხელიხელ ჩაჭიდებულნი  
ვღგევაართ მსოფლიო ამხანაგები.

ჩვენია მიწა, ზღვა და ნიავე,  
მოვსპობთ ზეცაზე უამინდობას,  
გვიძღვის ფოლადის ადამიანი  
და გაიმარჯვებს ომზე მშვიდობა.

## ბ. ლომიძის „ფორთოხალა“ და „ბერძენული“



ნაწარმოებისა თუ გმირის სახელი სრულიადაც არ არის გულგრილი ელემენტი მხატვრული ფორმისა. მისი შერჩევა ისევე მოითხოვს ოსტატობასა და გემოვნებას, როგორც სხვა მასალის ორგანიზაცია. სახელში ყოველთვის არის ნაწარმოების სულის ერთგვარი კონდენსაცია.

ამ შემთხვევაშიაც ასე გვეგონია, რომ თვით სახელი „ფორთოხალა“ გვიპირდება რაღაც ნათელ რომანტიკას, ნათელ ლირიკულ ხმებს.

მართლაც, პოემის პირველი ტაქებიდანვე პოეტი გვიპყრობს თავისი ლექსის ძლიერი ლირიკული ტემპით, რომანტიკული აღფრთოვანებით.

„ეს რა ცეცხლი დამახალა  
ცისფერთვალა  
ფორთოხალა?“

და ჩვენ უკვე ვგრძნობთ იმ გულწრფელ პოეტურ მღელვარებას, იმ დიდ სიყვარულს, რომლითაც ეკიდება პოეტი თავისი შთაგონების საგანს.

ლირიკული პოემის ტრადიციამტკიცედ დამკვიდრდა საბჭოთა პოეზიაში. რასაკვირველია, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მხოლოდ ლირიკული პოემა ერთადერთი სახე საბჭოთა პოემისა.. საბჭოთა პოეტურ ეპოსს უფლება აქვს თავისი მასალის უკეთესი ორგანიზაციისათვის ფორმათა მთელი მრავალფეროვნებიდან გამოიყენოს ყოველი ხერხი, ყოველი საშუალება. საშუალებათა არჩევა კი დიდად არის დამოკიდებული შემოქმედის ინდივიდუალობაზე. თუ ეპიკურ პოემაში ფაბულის გასაშლელად, ხასიათებისა და ვითარებების გასახსნელად

აუცილებელია მწყობრი სიუჟეტი და მტკიცედ შეკრული კომპოზიცია, ლირიკულ პოემაში ყოველივე ეს არც თუ ისე სავალდებულოა.

„ფორთოხალა“ გვიტაცებს ჩვენ არა თავისი სიუჟეტური აღნაგობით, არამედ იმ დიდი ლირიკული ენერგიით, რომლითაც გამოძერწილია აქ გმირის სახე, ორგანიზებულია პოემის მთელი მასალა.

ფორთოხალა ძველი ქართველი მშრომელი დედის შემკრებლობითი სახეა. პოეტი მას იწვევს გარდასულ საუკუნეთა სიღრმეებიდან, როგორც ისტორიის ცოცხალ სულს. იგი თავისი ფიზიკური არსებობით, თავისი ცხოვრების პირობებით მთლიანად წარსულშია, მაგრამ, როგორც ხალხის სულის უკეთეს თვისებათა გამომხატველი, როგორც სიცოცხლისა და სიკეთის დამამკვიდრებელი, მუდამ წინმისწარაღულია, მუდამ მომავალშია. პოეტმა ამ სახეში გამოხატა ისტორიის ნამდვილი შემოქმედის — ხალხის ძალის, მისი უკუდაცემის, მისი გონების ღრმა რწმენა. ცხოვრების მემკვიდრეობითი სათავეების უმძაფრესი განცდაა იმაში, რომ პოეტი ასე გულმზურვლედ, ასე დედაშვილურად და ასეთი უღრმესი მადლიერების გრძნობით ესაუბრება და მისევე ცხოვრებას უხატავს ათასი წლის სიშორიდან გამოხმობილ ქართველ დედას. ცხოველმყოფელი პუმანიზმით გამსჭვალული პოეზია თითქოს დროსაც იმორჩილებს... და ეს ყელმალალი გლეხის ქალი, ეს სახე-მშენებელი ფორთოხალა ჩვენთვისაც

ღვიძლი და ახლობელი; ჩვენ ვგრძნობთ მის უქნობ ღედობრივ არსებას, გვადლევენ მთელი მისი ბიოგრაფია, რომელიც ასეთი რომანტიკული აღფრთოვანებით გადავიწვია პოეტმა თვალწინ. მთელი სიდიადე და სიმშვენიერე ამ შრომელი ქართველი ღედისა სწორედ იმაშია, რომ იგი საშინელი მტრული ძალების გარემოცვაში მტკიცედ ინახავდა და ინარჩუნებდა ხალხის ცხოვრების ჩაუქრობელ კერას, სიცოცხლის დამფუძნებელი ძალის დიდ სიკეთეს.

ჩვენ ვხედავთ მას, როცა მხიარული და ყელყარყარა გოგონა—შუბლზე თმაჩამოშლილი თამაშობდა ღეინქილათი, თხა დაჰყავდა საძვარზე, მამის ბადეს ამრობდა, ყვავილების გვირგვინს წნავდა. მაგრამ ირგვლივ პირქვეში სინამდვილე სუფევდა. კოლო იჯდა მის აკვანზე, კოლო ჰქონდა ჩახვეული მის მარჩენალ ღემის ყანას; მისი მებადური მამა ვერასოდეს ვერ იჭერდა ოქროს თევზს—სიღარიბედან თავის დაღწევის ამ საოცნებო საშუალებას, შექმნილ ხალხის ფანტაზიით, მაგრამ მარად მიუწევდომელს; მის ღედას მუდამ აციებდა, ხოლო

„უბედური, ბერწი მიწა  
თითვე ჰკლავდა, რასაც შობდა;  
დამხალ წყლებზე, დამღარ ტბებზე  
წიების ბუშტი თამაშობდა...“

ისე როგორც ყვავილს არ შეუძლია იცოდეს თავისი სურნელება, ფორთოხალასაც არ შეეძლო ცოდნოდა, რომ ის იყო უწმინდესი და უმშვენიერესი სათავე იმ დიდი ადამიანური ძალებისა, რომლებიც ეამთა სელაში შებორკავდნენ ბუნების ველურ სტიქიას და ადამიანის სამსახურში ჩააყენებდნენ მას.

მკითხველს ხიბლავს ის შესანიშნავი ლაკონურობა, რომლითაც გადმოგვცემს პოეტი ვითარებათა და გრძნობათა ყოველ მოძრაობას. აზრიანი პოეტური მიგნებანი, რომლებიც უხვად მოიპო-

ვება ამ პოემაში, უბრალოდ არ მოჰყვებიან კალმის წვერს. ისინი ყოველ შემთქმედებითი წვის შედეგად იზადებიან.

აი, უკვე გასათხოვრად შეღერებული ფორთოხალა:

„სასუგარს ქსოვდი... ნასუგეში  
გოვარდა ვეფხის ზოლები,  
თან ოცნებობდი შენ ვეფხვზე  
ერუანტელით და ერეოლებით...“

ნასუგეში ვეფხვის ამ ზოლებს თითქოს განდობილი აქვს ქალური საწყისის მუდმივი ღტოლვა ძლიერებისაკენ, მამაკაცურისაკენ.

პოეტი ხალხური მეტყველების მდიდარი საუნჯიდან ამოკრეფილი ძარღვიანი გამოთქმებით აგვიწერს უკვე ზუთი შეილის ღედის—ფორთოხალას შრომასა და გარჯას:

„არ იფავ მდღეებალე,  
იფავ ზღვამომავალე  
კერაზე ცეცხლის შენახას  
შრომა სჭიროდა მრავალ“.

მაგრამ მეთაფლე ფუტკარივით გამორჯე ფორთოხალა თავისი ნაოსანი ქმრის დახმარებითაც ვერ ერეოდა „ასნაკეც სიღარიბეს“. მალე ქმარიც ზღვამ დაუხრჩო და მის ჯადვას, მის ტანჯვას არ უჩანდა ბოლო. იგი სიცოცხლეს მაინც აფუძნებდა; თუ ღღისით ოჯახის დასაბურებლად იღწვოდა, ღამით ცეცხლის პირას თავის ბავშვებს უყვებოდა ზღაპრებს. ზოგჯერ ჩონგურსაც შეარჩევდა და თავის სიმღერით „ზღვას აჩუმებდა“. ალბათ ამ ზღაპრებსა და სიმღერებში მწარე ფიქრებთან ერთად აქსოვდა მჭურვალე ოცნებასაც ბედნიერ მომავალზე.

უმზეო და უქარსკვლავეო იყო მისი ცხოვრება, მის მოსავალს სჭამდა ქაობი „და ბატონი-ბელზებელი“. ფორთოხალა კი ერთხელაც ხმას არ იღებს უსამართლობის წინააღმდეგ. ეს პროტესტის ხმა პოეტმა მას უეჭველად დააკლო, თორემ არ შეიძლებოდა ტანჯულ ღედას გული სავსე არ ჰქონდა მწარე

სამღერავით უკუღმართად მოწყობილი ქვეყნის მიმართ.

დიდი ლირიკული დაძაბულობით გამოირჩევა პოემის ის ადგილი, სადაც ლაპარაკია ლაქაშებსა და ქაობში ჩაძირულ ფორთოხალას კუბოზე:

„ზედ ავღია ყელმოქლობით  
გრძელი ნისლი — ფრთა ფარფარა,  
ფორთოხალას ლეჩაქია —  
ნისლად იქცა, არ დამპალა“.

ნისლი — გაუხრწნელი ლეჩაქი დედისა — უქვეყლად პოეტურ სახეთა კლასიკურ ნიმუშებს მიეკუთვნება. ძლიერი და ღრმააზროვანია პოეტის მიმართეა ამ მრავალტანჯული მშრომელი დედის აჩრდილისადმი:

„ფორთოხალა, ჩემო დედა,  
დავეძებდი მე შენს საფლავს;  
შენს ცხოვრებას უმთენაროს,  
სულ მწარეს და გაუთავლავს...  
მეშინოდა, შენი ძელები  
დაეწყებამ არ გათელოს;  
შენ ხომ ჭოთანს უღუღებდი,  
პურს უცხოზღვი საქართველოს!“

რა დიდი გრძნობა, რა დიდი მადლიერებაა ამ სტრიქონებში.

რწმუნა იმისა, რომ მხოლოდ მშრომელი ხალხი, რომ მხოლოდ მშრომელი დედები ჰქმნიდნენ ქვეყნის მომავალს, საბჭოთა პოეტის მსოფლმხედველობისათვის ორგანულია ისე, როგორც არც ერთი სხვა მსოფლმხედველობისათვის. ეს შეადგენს ჩვენი საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთ არსებით თვისებრივ სიახლეს.

ქართველი მშრომელი დედის რომანტიკული სახის გამოძერწვასთან ერთად პოეტმა დაგვიხატა ძველი კოლხეთის მკაცრი, ველური, ძუნწი ბუნება, რომელიც მტრულ სტიქიურ ძალად ევლინებოდა ადამიანებს. და პოეტს ყოველივე ამის კონტრასტად სურს თვალწინ გადაგვიშალოს ახალი კოლხეთი, გარდაქმნილი და განახლებული სტალინის გენიის ცხოველმყოფელი ძალით: სურს

გვიჩვენოს, რომ ის ქაობი, სადაც რაფეხზე იდგა ფორთოხალას, შევედგება, ლაერენტი ბერიას დღემდე მუშაობდა დღეს ბალნარად არის გადაქცეული. აქ არის გულწრფელი ლირიკული მიმღერება ახალი ცხოვრების სიმბოლოსადმი — ახალი ნერგისადმი:

„იზარდე, ნერგო, გამაგრდი,  
სტალინის ხელმა გახარა  
ნერგო, შენ დაერგო ბელადმა  
შეე პირზე ვადაგაყარა!  
შენ არ გახმები გოლავში  
და არც ყინვაში დახრები,  
შენს კოკორში და ყვავილში  
ქვეყვის სტალინის აზრები“.

მართალი გრძნობა, მართალი აზრია ამ სტრიქონებში. ბუნების ყოველ ახალ ფორმაში, რომლებსაც ქმნიან საბჭოთა ადამიანები, გამოხატულია ჩვენი ეპოქის დიდი სიბრძნე — სტალინის აზრი და ნებისყოფა.

მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია არ დავეთანხმოთ საბჭოთა კრიტიკაში უკვე გამოთქმულ აზრს იმის შესახებ, რომ პოემის იმ ნაწილში, რომელიც თანამედროვე კოლხეთს შეეხება, პოეტს გაუფერმკრთალდა საღებავები; აქ უკვე საქმე გვაქვს განახლებული კოლხეთის ზოგადი ნიშნების ჩამოთვლასთან, მართალია, პოეტურ ჩამოთვლასთან, მაგრამ მაინც ჩამოთვლასთან. აქ აღარ არის ცოცხალი ახალი ადამიანი თავისი დიდი ვნებათაღელვით, თავისი ახალი მსოფლმეგრძნობით, თავისი ახალი ურთიერთობით ბუნებასთან. გოგოები, რომლებიც ბალს თოხნიან „სიცილით და ტკარცალითა“ და უმღერიან ახალ ლუქეს, ახალ ცხოვრებას, პოემის მხოლოდ დეკორაციული ელემენტებია და, ცხადია, მათი ყოფა პოემაში ვერ ჩაიტევედა კოლხეთის ახალი ცხოვრების დიდ პოეზიას.

მაგრამ პოემა კვლავ ძლიერ პოეტური ელტრის კალაპოტში ვარდება, როცა ერთხელ კიდევ გამოჩნდება ფორთოხალა. აი, ახალი კოლხეთის ბალნარა-

ში გაისმის შრომის წერიალა სიმღერა და ამ ბედნიერ სიმღერას „გზის გადაღმა ვინმე ქალი“ გულისფანქვალით უგდებს ყურს:

„ტალღარქვეშ ჩუმად მგდარი  
დავინახე ფორთოხალა,  
გოგოების მუშაობას  
გასკურთხა თვალდათვალა...“

ეს უეჭველად ძლიერი პოეტური ხალგაა.

ფორთოხალა ეხმიანება ამ ბედნიერ გოგოებს, შესწივის თავის ბედამწერობას და შენატრის მათ თავისუფალ, ლალ ცხოვრებას.

მაგრამ ეს არ არის ხმა სამარიდან, ეს არ არის მკვდრის მისტიკური მოლანდება: ეს არის ისტორიის ცოცხალი სულის ძახილი, ეს არის ხალხის დედის უკვდავი ხმა, და პოეტიც მას ასე ცოცხლად ხედავს, ხედავს იმასაც კი თუ როგორ ისწორებს იგი მორცხვად თავშალს, როცა თავის ცხოვრებაზე დაწერილ ლექსს ისმენს. პოეტის იდეა ნათლად არის გამოხატული პოეტის მგზნებარე მიმართვაში თავის გმირისადმი:

„ათასი წლის პანძილიდან  
შვილურ აღურსს ვაგიბედავ,  
საქართველოს დიდ ცხოვრებას  
შენა ქმნიდი, ტკბილო დედავ!  
დიდ ვაჟიყებს, დიდ ოტატებს  
შენი კაბის კალთა ზრდიდა,  
ვინც ეტრატზე სწურდა ქართულს,  
ვინც ჩუქურთმას ქვაზე სჭრიდა“.

ხალხს, ერს ყოველთვის შრომელი დედა უღელდება ქოთანს, უცხოება პურს, აწოვებდა ძუძუს. მაგრამ წარსულის შევბენელ და უკუღმართ სოციალურ სისტემებს ისინი, ვინც თავისი შრომითა და ღვაწლით ნამდვილად ქმნიდნენ ქვეყნის დიდ ცხოვრებას, მუდამ გათელილი და მივიწყებული ჰყავდა. მივიწყებული ჰყავდა ისინი გაბატონებული კლასების მატიანესაც, ლიტერატურასაც, ხელოვნებასაც. პო-

ეტიც წარსულის ამ უკუღმართობას ჰგმობს, როდესაც თავის კვლევებზე უღებება:

გ. ი. კ. მ. მ. მ.

„მატიანე შენს სახელზე  
აღბათ მიტომ გაინაბა,  
მარგალიტით ჩაქსოვილი  
რომ არ გეცვა ოქროს კაბა“.

დღეს, მხოლოდ დღეს, დიად სტალინური ეპოქა ქმნის სიმღერებს ისტორიის ნამდვილ შემოქმედებზე. „ფორთოხალაც“ ეს ლირიკულ-რომანტიკული პოემა — ერთი ამ სიმღერათაგანია. პოემის ღრმა რეალიზმი კი იმანია, რომ იგი გამოხატავს ხალხის უკვდავების დიდ სიმართლეს.

„ბერშოულაც“ ხალხის დიდ თემაზე დაწერილი პოემაა. აქაც პოემის გმირი უბრალო შრომელია. მაგრამ ბერშოულა უკვე სულ სხვა ფორმაციის ადამიანია, იგი გამარჯვებული და გახარებული კაცია, რადგან დაესწრო ქვეყნის შესვლას მარადიულ ახალგაზრდობაში. ამ ბებერი ახალგაზრდის სულში სტალინური ეპოქის დიდი შექი დგას და ამიტომ მთელი მისი მსოფლშეგრძნება გამსჭვალულია იმ დაუცხრომელი ოპტიმიზმით, რომელიც მხოლოდ ცხოვრების აქტიურ მშენებლებს ეუფლებათ. ბერშოულა უბრალო საბჭოთა ადამიანის ტიპურ თვისებებს ასახეირებს. იგი უაღრესად საზოგადოებრივი ადამიანია. მისი ნათელი და მთლიანი ხასიათისათვის უცხოა შინაგანი წინააღმდეგობანი და შინაგანი რღვევა, რაც მხოლოდ ეგოისტებს, ინდივიდუალისტებსა და საერთოდ კაპიტალიზმის მანკიერებებით დაავადებულ ადამიანებს ახასიათებს. ბერშოულას მთელი არსება გაცისკროვნებულია სიცოცხლის დიდი სიყვარულით:

„გულში ვარდა სულ უყავის  
შეთაფლული სიტყვა ივის,  
თუ პურის მადლს დაიფიცავს,  
ეს იქნება მტკიცე ფიცი“.

პურის მადლის ფიცი — ეს შრომის მადლის ფიცია. და ისე არაფერი არ აკეთილშობილებს ადამიანის სულს, როგორც შრომის მადლი. ეს ფიციც მშრომელი ხალხის წიაღშია დაბადებული, როგორც მისი ზნეობრივი ბუნების გამოხატულება. ბერშოულას თან მოაქვს ეს კარგი ტრადიცია. იგი ახლა თავის ქვეყანას უყურებს ბედნიერი კაცის თვალთ. მისთვის ეს ქვეყანა დაუღუპელი სიკეთითა და სიტკბოებით არის საესე და სურს, რომ ადამიანიც ტკბილი იყოს:

„როგორ მიყვარს მსხმო ვენახი,  
გაფთოლილი, პირლამაზი...  
კაციც უნდა ტკბილი იყოს,  
ვით სიტკბოთი საესე ვახი!“

მაგრამ არ იფიქროთ, რომ ბერშოულა უბრალო, უქმი და უფერული კეთილი კაცი იყოს, რომელიც მხოლოდ ქვეყნის ნათელი ფერების პასიური სპერეტიტ სტკბება. არა, მისი მზიური სულიერი სამყარო სრულიადაც არ არის მოკლებული დიდ შინაგან ძაბვას, დიდ ადამიანურ ვნებათაღელვას. ამ ოთხმოც წელს მიღწეულ კაცს, რომელსაც სიკბბუკის ქარი უკვე კარგა ზანია დაყუჩებული აქვს გულში, მიინც სურს წუთისოფელს უყუროს ვმაწვილური თვალთ, ამრავლოს სიცოცხლის ძალები. მისი სული, მისი გონება პირდაპირ ჩირაღდანავით არის ანთებული სიცოცხლის დამკვიდრების, სიცოცხლის მშენებლობის უქლიერესი მისწრაფებით:

„ნეტამც ვიყო მე ოსტატი,  
სულ სააკენ ფიციარს ვოლიდ  
და ომენი გამეთალოს  
ვოვლოდ, ვოვლოდ, ვერ დავთვლიდ“.

ბერშოულას ამ შესანიშნავ სიტყვებში გამოხატულია მთელი ჩვენი ხალხის, მთელი საბჭოთა ქვეყნის უღრმე-

სი ჰუმანისტური სულისკვეთება. სწორედ ეს ჰუმანიზმი საბჭოთა იდეოლოგიის ერთ-ერთი ქვაკუთხედი უნდა იქნებოდეს, ასეთი სულისკვეთება შეიძლება საყოველთაო იყოს მხოლოდ იმ ქვეყნის ხალხში, რომლის არსებობისა და განვითარების საფუძველს შეადგენს მისწრაფება მშრომელთა კეთილდღეობის განუწყვეტელი ზრდისაკენ. იქ კი, სადაც ყველაფერი ემორჩილება იმპერიალისტური მტაცებლობის, კერძო-კაპიტალისტური მომხვეჭელობისა და მოგების ველურ ეინს, გაბატონებული იდეოლოგია არ შეიძლება იყოს პროგრესული და ჰუმანისტური. განა იმპერიალისტური ამერიკის რეაქციონერი თეორეტიკოსები არ ქადაგებენ დღეს ახალ მალთუსიანიზმს? განა ისინი არ მოითხოვენ ადამიანთა გამრავლების შეჩერებასა და კაცობრიობის შემცირებას ომების, ებიდემიებისა და კასტრაციების საშუალებით? განა მათი ლიტერატურა და ხელოვნება გუნდრუკს არ უკმევს დღეს სიცოცხლის დამარღვეველ ძალებს? დღეს ისინი ბაქტერიოლოგიურ ბომბებს აყრიან თავს კორეელებსა და ჩინელებს და უკვე პრაქტიკულად ახორციელებენ კაცობრიობის გაყუჩვის საზიზღარ გეგმებს. მაგრამ კაცობრიობას იხსნის გონებისა და სიკეთის ის ძალები, რომლებსაც მეთაურობს საბჭოთა კავშირი და რომელთა რწმენით გასხვივსნებულია საბჭოთა ადამიანის მსოფლმხედველობა.

აი, შეხედეთ ამ უბრალო საბჭოთა ადამიანს, შეხედეთ ბერშოულას! იგი თორმეტი შვილის მამაა. უმცროსი ვაჟი მას საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში დაღუპვია, მაგრამ ის გაუტეხავია, შვილის სამახსოვროდ გზაზე წყაროს აშენებს, რომ მოწყურებული მგზავრები გაახაროს. ბერშოულა ჰირშიაც და ლხინშიაც თავის ხალხთან არის. იგი გულმხურვალედ უმღერის სამშობლოს დიად გამარჯვებას; და თუ ზოგჯერ

მის ხმას გაბზარავს დარდი დაკარგულ შვილზე, ეს მისი ადამიანური ტკივილია და არა სისუსტე. ბერშოულები, უეჭველად, მომავალშიაც ასევე დიდი სიზარულით უმღერებენ გონებისა და მშვიდობის ძალების გამარჯვებას კაცობრიობის ბოროტ მტრებზე.

საბჭოთა ადამიანის მალალ მორალურ თვისებებში, მის იდეოლოგიაში გამოსახულია როგორც საბჭოთა საზოგადოებრივი ურთიერთობის სული, ისე წასული გონებრივი ცხოვრების უკეთესი ტრადიციები. ამ მხრივაც პოეტს უეჭველად მართლად აქვს გააზრებული თავისი გმირის ბიოგრაფია. ამ ხანდაზმული ქართველი კაცის ცხოვრების განვლილ გზას დიდი შექი აფენია. იგი წარსული რევოლუციური ბრძოლების უშუალო მონაწილეა, მის ტყვიასაც განუგმირავს ხალხის მტარვალები. იგი სამართლიანი სიამაყით ამბობს, ხალხის მტერს „ბევრს კრილობა გვატანე, დავუხუჭე ბევრსაც თვალი“. მაგრამ ბერშოულას ყველაზე დიდი სიამაყე ის არის, რომ იგი პირადად შეხედრია და გასცნობია ჰაბუკსოსო ჯულაშვილს. და, აი, ბერშოულას შთაგონებული მოგონებებიდან იყურება ჰაბუკსოსოს ცეცხლოვანი თვალები, მოჩანს მისი შეავრუზა თმა, მოისმის მისი წკრიალა „ორველა“.

„ცანგალა“, „ქონა“ „გაფრინდი შავო მერცხალო“ და „ეარხალალო“; მოჩანს ისიც, თუ როგორ უგდებდა სოსო დიდხანს ყურს ბერშოულას „ურმულს“ და ბოლოს როგორ დაკრა მას ბეჭზე ხელი და უთხრა: „ტკბილი ხმა გაქვს, ბერშოულავ, მუღბუღივით მართლა მღერი“. ყოველივე ამაში ნათლად არის გამოხატული ის ურღვევი კავშირი, რომელიც მუდამ ჰქონდა დიდ სტალინს ხალხთან, ხალხის ჰირეარამთან.

შემდეგ ბერშოულა იგონებს სამი სოფლის გლეხობის დიდ პურობას, სადაც

თავადებმა გლეხებს მოხთხოვეს ემღერათ ძველი წესით, ემღერათ დაჩოქებით. ბერშოულა ყველაზე მეტად გაუძალიანდა ადამიანის ამ საშინლად დამამცირებელი წესის შესრულებას, რისთვისაც მას ერთმა თავადმა გულზე ხანჯალი დაანათა. მაგრამ სოსოს ხმამ — „იყავ კლდეზე უმაგრესი“ უტეხი სიმტკიცის სული შთაბერა ბერშოულასა და მის თანამოძმეებს.

„არ ვიმღერებთ! — ვიზრალეთ, გადავალეთ რისხვის ტალღით. თავი მოწმონს, რომ დავერაზმა მამის სოსომ სოფლის ხალხი“.

ახლა კი ამ დეაწლმოსილი მოხუცის, ამ ლალი და თავისუფალი ადამიანის უდიდესი ნატურაა — ერთხელ მაინც ნახოს და ხელი ჩამოართვას ხალხთა ბედნიერების ბრძენ შემოქმედს — დიდ სტალინს. უძლიერესი პოეტური ექსპრესიითა და უღრმესი ლირიზმით არის შესრულებული პოემის ის ნაწილი, რომელშიც გამოთქმულია ბერშოულას ეს სანუკვარი ოცნება. იგი ქართულ საბჭოთა პოეზიაში მუდამ დარჩება ბელადისადმი ხალხის უძლიერესი სიყვარულის, ხალხისა და ბელადის ურღვევი ერთიანობის წარმატებულ პოეტურ სიმფონიად. პოეტი აქ ორმად არის ჩამწვდარი საბჭოთა ადამიანების უწმინდეს გრძნობებს მათს უშუალობაში, მათს ხელთუქმნელ არსებაში. ბერშოულას განზრახული წერილი ბელადისადმი დაწერილია იმ ინტიმური გზნებით, მამაშვილური გულითადობით და იმ ძარღვიანი ხალხური ენით, რომლითაც ბერშოულა მართლაც მისწერდა წერილს თავის ღვიძლ და უახლოეს ადამიანს:

„ერთხელ ჩვენსავე მოიცალე, ინახულე შენი კერა, კვლავ ჰაბუკსო შევიქნები, ახალ ჩოხას შევიყვარა!.. ერთხელ ერთად გვიმღერია ურმული და გვიოქვამს „ქონა“.

ტყვიან ზევით გახსოვს ღამე,  
 ვით შერეული ვარდის კონა?  
 გახსოვს ჩვენი ცხელი პური,  
 ჩვენი გული, ჩვენი ლექსი?  
 გორისციხე, ქართლი გახსოვს,  
 მტკვრის ნაპირი ქაფ-ნალღისი?  
 ვიცი, ბერი გვაგს ნაცნობი,  
 არივება-ჩარივება.  
 ისიც ვიცი, ბერშოულა  
 არ გახსოვდე, არ იქნება.  
 ჩამოდი და ნახე მაშინ,  
 შეიღს მადლობას როგორ ვუხდით.  
 ბერშოულა გეგვეწები,  
 ჩამოდი და ჩამოშუქდი“.

მართლაც, მხოლოდ შეიღს, მამას, ოჯახის ღვიძლ წვევრს მისწერენ ასეთ წერილს. დიდი ბელადიც ხომ ყოველი საბჭოთა ოჯახის უსაყვარლესი წვევრია. საბჭოთა ქვეყნის ყოველი ადამიანი — კოლმეურნეა თუ მუშა, მეცნიერია თუ პოეტი, მასწავლებელია თუ მოსწავლე — მუდამ გრძნობს უმტკიცეს სულიერ კავშირს ბრძენ ბელადთან, რადგან დიდი ბელადი ხალხის ნების, ხალხის გონების უმაღლესი გამოხატულებაა.

ამ დიდი საყოველთაო გრძნობის შესანიშნავი პოეტური ინდივიდუალიზაციაა ბელადის სტუმრობის ის სურათიც, რომელსაც ოცნებით ხატავს ბერშოულა. ამ სურათში მკაფიოდ მოჩანს სოციალისტური სოფლის სიუხვე და სილამე, თავისუფალი შემოქმედე-

ბითი შრომის შესანიშნავი ნაყოფიერება და სულის ის დიდი ძალა, რასაც ახალი ცხოვრება აძლევს და მკაცრტარას, ახალგაზრდას და მოწუცს. განა ბერშოულას სულის ახალგაზრდული ძალა არ იგრძნობა თუნდაც ამ სიტყვებში:

„სამ დღე-ღამეს არ გავუშვებ,  
 გინდაც ყულო მოიქანცოს,  
 ვატყვევინებ: რამდენი რამ  
 შეგძლებია, ბერიკაცი!“

ბერშოულა თავის ნატერას ამთავრებს ბელადის აღფრთოვანებულ სადღეგრძელოთი, რომელშიაც გამოთქმულია ხალხის უღრმესი რწმენა ბელადის სიბრძნისა და ნებისყოფის უძლეველობისადმი.

ბევრი სიტბო, სინათლე და ხატოვანებაა გიორგი ლეონიძის „ფორთოხალასა“ და „ბერშოულაში“. ამ პოემების იდეურ არსსა და მთელ პოეტურ მასალაში მკაფიოდ მოჩანს საბჭოთა ადამიანების ნათელი, ოპტიმისტური მსოფლშეგრძნება, საბჭოთა იდეოლოგიის ცხოველმყოფელი ძალა. ამიტომაც ეს პოემები ადვილად იკვლევენ გზას საბჭოთა მკითხველის გულისაგან.

ამ პოემებისათვის გ. ლეონიძეს მიმდინარე 1952 წელს მიენიჭა სტალინური პრემია.



## ნიკო ლომოური



ნიკო ლომოურიმა, 1907 წელს თვალი რომ გადაავლო თავის ნაწერებს, გულისტკვილით თქვა: ცხადია, რომ ცოტაა, მაგრამ ყველა მამატიებს, ვინც კი იცის ჩემი ყოველდღიური ცხოვრებაო. ხოლო ნიკო ლომოურის ყოველდღიური ცხოვრება იყო საყვარელი და მომქანცველი პედაგოგიური მოღვაწეობა ერთდროულად გორის საოსტატო (სამასწავლებლო) სემინარიაში, ჭალთა პროგიმნაზიაში, კერძო ოჯახებში; მონაწილეობა სხვადასხვა საგანმანათლებლო-საქველმოქმედო საღამოებში, ლიტერატურულ-დრამატულ წრეებში. ყოველივე ეს დიდ დროს ართმევდა მას; უმთავრესად დიდ დროს ართმევდა სამსახური, საიდანაც, თავის დაღწევას ცდილობდა ყოველთვის; განსაკუთრებით ბოლო წლებში, მაგრამ ეკონომიური ხელმოკლეობა საშუალებას არ აძლევდა სასწავლებლებისათვის თუ არა, კერძო გაკვეთილებისათვის მაინც დაენებებინა თავი.

1908 წ. თავის უსაყვარლესი მასწავლებლისა და შემდეგ უგულითადესი მეგობრის იაკობ გოგებაშვილისადმი გაგზავნილ ბარათში ნიკო ლომოური წერს: „სამსახური გამირთულდა, თავისუფალი დრო ცოტა მრჩება, პენსიის სამსახური გავთავე ამ წელსა, მინდა რომ ხუთი წლის ვადით დამტოვონ სამსახურში. ამ ხუთი წლის შემდეგ კი შვილები წამომეზრდებიან და თუ მშვიდობა იქნება, შეიძლება მაშინ თავი დავაღწიო აწინდელ სამსახურს. მენატრება ეს დრო თავისუფლებისა, მაგ-

რამ ვაი თუ ველარაფრის გაკეთება შევძლო და რაც შეადგენს ჩემი ნატურის საგანს, — ლიტერატურული მოღვაწეობა, — იმას ველარაფრით გამოვადგე!“

ეს ნატურა ნატურადვე დარჩა. ნიკო ლომოურს არ შეხვედრია თუნდაც ერთი წუთი, რომ მთელი არსებით მისცემოდა თავის ნატურის საგანს, რომ მოუსვენარი, მზრუნველი ფიქრებით არ ყოფილიყო აღსაესე. გარეგნულად დინჯი და აუჩქარებელი, ნამდვილად კი ყოველთვის მღელვარე და მოუთმენელი, დიად მომავალზე მეოცნებე და მის მოსაპოვებლად ბრძოლისათვის უშიშარი წამქეზებელი ისე გამოეთხოვა წუთისოფელს, რომ ვერ მოიპოვა სანატრელი დრო თავისუფლებისა და, ალბათ, უკანასკნელ წუთს გაიფიქრა: „ცხადია, რომ ცოტაა. მაგრამ ყველა მამატიებს!“

ნიკო ლომოურს ერთიანად სძულს როგორც საზოგადოებრივი ბოროტებანი, ისე ბუნების ავი ძალები, სძულს ყოველივე, რაც ხელს უშლის მშრომელ ადამიანს. ნიკო ლომოური ჭეშმარიტი რეალისტის ალღოთი გრძნობს, რომ მშრომელი ადამიანი ექსპლოატაციისაგან თავს იხსნის მხოლოდდამხოლოდ ძალით, ძალასთან დამირისპირებით. შესანიშნავმა რეალისტმა კარგად იცოდა, რომ მისი გლეხი უფრო უმწურო იყო ბუნებასთან ბრძოლაში, ვიდრე მჩაგვრელ კლასებთან, თავადაზნაურობასა და ბურჟუაზიასთან ბრძოლაში. და ნიკო ლომოური გაბედულად აწერს რევოლუციამდელი გლეხის უსასობას.

ბუნების მოვლენათა წინაშე. ვის დაუხატავს მასზე ძლიერად სეტყვა და გვაღვა, — გვაღვა, სოფლის მეურნეობის ეს უსაშინელესი მტერი? ვის აღუწერია მასზე უფრო სრულყოფილად ქვენა ქარი, — ქარი, რაზეც ქართველ გლეხს უთქვამს: მისი არც რა შემოტანილი მიწა, არც რა გატანილი? გაზვიადებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ადამიანი და ბუნება ერთად, ორგანულ მთლიანობაში ნიკო ლომოურზე უფრო მეტი გულმოდგინეობითა და სრულყოფილობით ბევრს არ დაუხატავს. გვაღვა, მშრალი და ცხელი ქარები აწუხებდა და აწუხებს კაცობრიობის დიდ ნაწილს. ადამიანი ებრძოდა და ებრძვის მეურნეობის ამ საშინელ მტერს, ბუნების ერთ-ერთ ბოროტ ძალას. რაღა თქმა უნდა, ბუნების გარდაქმნისათვის ბრძოლას არსად და არასოდეს მიუღია ისეთი გრანდიოზული სახე, როგორც ჩვენს დიდ საბჭოთა ქვეყანაში. მარტო იმ მიდამოში, სადამდეც ნიკო ლომოურის გმირებს თვალი მიუწვდებოდათ, გაიყვანეს და გაჰყავთ ტირიფონის, სალთისის, კეხვის, ვანათის, ტაშისკარის, თუზი-ოკამის არხები, რაც ბოლოს მოუღებს ლომოურის გმირთა საქულველ ქვენა ქარის მავნე გავლენას სოფლის მეურნეობაზე.

ნიკო ლომოური კარგად იცნობდა გლეხობას, ზედმიწევნით იცოდა მათი ავ-კარგი, მისწრაფება, ვნებანი, სიღუხვირის მიზეზები, ყოფაცხოვრებითი წვრილმანები, აღწერდა მათ შესანიშნავი რეალისტურ-მხატვრული ოსტატობით. ამიტომ ნიკო ლომოურს უწოდეს ხალხოსნური მოძრაობის ტიპური გამომხატველი, ტიპური ხალხოსანი მწერალი. ნიკო ლომოური ცხოვრობდა და მოღვაწეობდა გორში, ქართული ხალხოსნური მოძრაობის ცენტრში. დაახლოებული იყო მოწინავე ხალხოსნებთან, მათ რევოლუციურ წრებთან, იგი წერდა მხოლოდდამხოლოდ გლეხობაზე და აქედან გამოქონდათ დასკვნა მისი

ხალხოსნობის შესახებ. მართალია, ნიკო ლომოური იყენებს ხალხოსანთა ზოგიერთ შეხედულებას, მაგრამ რაღა არღვევს რეალისტის უღმრთეს მარჯვენით. ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში ნიკო ლომოურზე უფრო ძლიერად არავის გამოუხატავს, თუ რა მარცხი განიცადეს ხალხოსნებმა ხალხთან შეხვედრისას. „რევოლუციური ინტელიგენტური ახალგაზრდები, — ვკითხულობთ „საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიაში“ — გლეხობის ტანსაცმელში გადაცმული დაიძრა სოფლისაკენ, — „ხალხში“, როგორც მაშინ ამბობდნენ. აქედან წარმოდგა თვით სახელწოდება „ნაროდნიკები“ (ხალხოსნები), მაგრამ გლეხობა არ გაჰყვა მათ, ვინაიდან ისინი არც გლეხებს იცნობდნენ, როგორც საჭიროა და არც ესმოდათ მათი“. სხვას რას გამოხატავს, თუ არა ხალხოსნებისათვის ამ საბედისწერო მოვლენას გიგო ღრუბელაშვილისა და მისი თანმხლები ასულის შეხვედრა გლეხებთან? „ჰეი, ჰეი! — შესძახებს ერთი გლეხი გიგო ღრუბელაშვილს, როცა ის გატაცებით ჰყვება თავის იდეალებს, — როგორ გავილესია ეგ ენა და, ღმერთია შენი თავდები, შენ ან ადუკანტი იქნები, ან მწერალი!“ ხოლო გლეხი დედაკაცი მძულვარედ შეუტყვის: „ნეტა ერთი რას დაეხეტებით! რასა მასხარაობთ! ამ მეორედ მოსვლის დროს ვისა სცალია თქვენთვის?!“ „როგორ გავილესია ეგ ენა!“ „რას დაეხეტებით!“ „რასა მასხარაობთ!“ აი, როგორ გამოხატავს ნიკო ლომოური გლეხების აზრს ხალხოსნებზე. მოვლენის ამ რეალისტურ ასახვასთან ერთად აქ იგრძნობა არა თანაგრძნობა, არამედ რეალისტის პირუთენელი მსჯავრი, რამდენადაც ხალხოსნები — გიგო ღრუბელაშვილი და მისი თანმხლები ასული არ იცნობდნენ ხალხს. არ იცოდნენ მათი გაჭირვების ნამდვილი მიზეზები და არც ხსნის რეალური სა-

შუალებები გააჩნდათ. მართალია, გიგო ღრუბელაშვილი ფიქრობს, რომ მედიცინის, პედაგოგიურ და იურიდიულ მეცნიერებათა შესწავლით, ასეთ სწავლულთა გამრავლებით შესაძლებელი იქნება ხალხის ხსნა. მაგრამ ნიკო ლომოურს არც ეს მიაჩნია საბოლოო რეალურ საშუალებად. ამიტომაც, რომ გიგო ღრუბელაშვილსვე ათქმევინებს: „ოცი, ორმოცი წლის შემდეგ შეიძლება რაიმე დიდმა შემთხვევამ აწინდელი საერთო ვითარება ძირიან-ფესვიანად შესძრას, შეარყიოს. მაშინ ჩვენც ვავიბერტყავთ მშვიდობიანობის მტვერსა და თავგანწირულ მამულის შვილებთან გამოვალთ ბრძოლის ველზე“. ნიკო ლომოურმა იცის, რომ საზოგადოების გარდაქმნა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ მდგომარეობის ძირფესვიანად შერყევით, ე. ი. რევოლუციით, და ისიც კარგად იცის, რომ გიგო ღრუბელაშვილს, ხალხსნებს ძალა არ შესწევთ საამისოდ. მათ არ ძალუძთ რევოლუციის მომზადება, — შეუძლიათ მხოლოდ დაელოდონ.

ეგებ ნიკო ლომოური იზიარებდა ხალხსნების იდეას, თითქოს თემი წარმოადგენდა სოციალიზმის ჩანასახს, სოციალიზმის ბაზისს? არა, არ იზიარებდა! „ბერუა ქრისტესიაშვილი“, რაც ჩვეულებრივ მოჰყავთ ნიკო ლომოურის თემურ-პატრიარქალური შეხედულებების ნიმუშად, პირიქით, წინააღმდეგს ამტკიცებს. ბერუა ქრისტესიაშვილის ოჯახი დაშლის გზაზეა. ისეთი მრავალრიცხოვანი ოჯახები აღარ არსებობენ, უკვე დაიშალნენ, კაპიტალიზმის განვითარებამ დიდი ხანია შეარყია მათი სიმტკიცისა და არსებობის საფუძვლები. და ბერუას დიდი ოჯახი თუ კიდევ ბოგინობს, თუ კიდევ ერთ ჰერკვეშ სუნთქავს სხვადასხვა აზრ-შეხედულებათა მქონე რამდენიმე თაობა, განა იმიტომ, რომ რაიმე მტკიცე საფუძველი შეუნარჩუნებია ამ ოჯახს? არა! ოჯა-

ხის წევრებს აკავებთ მხოლოდ უფრო-სისადმი—ბერუსადმი მიმი, მორიდება და აშკარად იგრძნობა უფროსი არა ბერუა, დაიქსაქსება დიდი პატრიარქალური ოჯახი. რღვევა უკვე დაწყებულია. ბერუს შვილიშვილი დათიკა ქალაქს წასულა. იგრძნობა, რომ სხვა ახალგაზრდების გზაც ქალაქისკენაა. მართალია, დათიკა ჯერ გარკვეულ გზას ვერ დასდგომია, ხან „ადელკანტონაა“, ხან სირაჯთან, მაგრამ ნიკო ლომოურმა იცის ქალაქს წასულთა უფრო გარკვეული გზაც: არაშენდაანთ კაკო („ალი“) ხელოსანი ხდება. კულაკმა და ვაჭარმა გააჩანაგა არაშენდაანი. კლასობრივმა ბრძოლამ დაანგრია არაშენდაანთ პატრიარქალური ოჯახი. ასეთივე ბედი ელის ბერუა ქრისტესიაშვილის დიდ ოჯახს. ასეთი დასკვნა გამომდინარეობს მოთხრობის უქანასკნელი თავიდან. თემურ-პატრიარქალური ოჯახი იშლება და დგება გაპროლეტარების გზაზე. „საშუალო წოდების წინანდელი დაბალი ფენები, — წერდნენ კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი ჯერ კიდევ 1848 წ. „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“, — წვრილი მრეწველები, ვაჭრები და რანტიები, ხელოსნები და გლეხები, — ყველა ეს კლასები პროლეტარიატის რიგებში ცვივიან, ნაწილობრივ იმის გამო, რომ მათი პატარა კაპიტალი საკმაო არ არის მსხვილი სამრეწველო წარმოებისათვის და იგი ვერ უძლებს მსხვილი კაპიტალისტების კონკურენციას, ნაწილობრივ იმიტომ, მათ ხელმარჯვეობას ფასი ეკარგება წარმოების ახალი წესების მეოხებით. ასე გროვდება პროლეტარიატი მოსახლეობის ყველა კლასიდან“. ნიკო ლომოური ზედვს და ზატავს გლეხთა კლასის დაშლის, გაპროლეტარების დასაწყისს, უღმობელი კლასობრივი ბრძოლის შედეგად და, ცხადია, ნიკო ლომოური ამ შემთხვევაშიც ბევრი რამით განსხვავდება ზოგიერთი თანამედროვისაგან.

ეგებ ნიკო ლომოურს ჰგონია, რომ მეფის მთავრობას თუ აუხსნი და გაუმარტავ, თვითონვე მოაწესრიგებს მდგომარეობას? „მათ ისე ჰგონიათ, — წერდა ლენინი ხალხოსნებზე, — თუ ამ მთავრობას კარგად და უფრო ალერსიანად სთხოვ, მას შეუძლია ყველაფერი კარგად მოაწყოს.“ განა ნიკო ლომოურსაც ასე ჰგონია?! არა, არა ჰგონია! ნიკო ლომოურის ყველა მთავარი პერსონაჟი მტრულადაა განწყობილი მეფის მთავრობისა და მმართველი, ექსპლოატორი კლასების მიმართ. მთავარ პერსონაჟებს გარდა არც ხალხს სწამს რაიმე მეფის ხელისუფლებისა. მათში იშვიათად შეიძლება გამოირჩეს ვინმე, ვინც მეფის ხელისუფლებისაგან შედევითის მიღების იმედს გამოთქვამს. მაგრამ ნიკო ლომოური ამ „იმედს“ იქვე აქარწყლებს და დასცინის ასეთ „იმედლიანებს“. აი, მაგალითად, ადგილი მოთხრობიდან „ყოველის მხრიდან“: „ლაპარაკის დროს გამოირკვა, რომ მათ ყველაზე მეტად აწუხებდათ სახელმწიფო ხარჯი. ამ საგანმა საზოგადოება ორად გაჰყო: რამდენიმე გლეხი თხოულობდა არზის დაწერას მთავრობასთან, უმრავლესობა წინააღმდეგი იყო ამისა“. და შემდეგ, როცა მაინც დაწერეს და გაგზავნეს, „გავიდა ორი თვე და მესამე თვის დამდეგს მოვიდა ჩვენი არზის პასუხიცა. როდესაც ეს პასუხი ხალხს გამოეცხადა, ურწმუნო უმრავლესობა თავის ქნევით და მწარის ღიმილით შეხვდა არზის მომხრე მეზობლებს, რომელნიც თავჩაქინდრულნი იდგნენ და ისე იცქირებოდნენ აქეთ-იქით, თითქოს ვერ მიმხვდარიყვნენ ამ პასუხის შინაარსსა“. ანდა მეტად ნათელი ალეგორია „გიგო ღრუბელაშვილიდან“: „ყმაწვილებმა... დაინახეს მთელი ზროვა სოფლისაქენ მიმავალი მტაცებელი ნადირებისა, რომელთაც პირში რაღაც დაწერილი ქაღალდები ეჭირათ“; „ღორი კანონებს იძლე-

ვა, მგელსა და მელას აღსრულებაში მოჰყავთ იგინი“. ეს კარგად არჩევის ნიკო ლომოურის შეხედულებების მეფის მთავრობაზე, მის ხელქვეითებზე, სოფლის მტარვალებზე. ნიკო ლომოურის გმირები მათგან კარგს არაფერს ელიან, შეძლებისდაგვარად თავს იცავენ და შეტევებზე გადადიან: სცემენ და აძევენ ბოჭაულს, მამასახლისს, მევახშეს („ალი“), ჰკლავენ სოფლის მტარვალს („წუთისოფელი“), შეერთდებიან და მემამულეებს წაართმევენ წყალს („ბედი უბედურთა“), და იზრდება წინააღმდეგობა, იზრდება ჩაგვრის სახეობათა ზრდასთან ერთად. გლეხები რწმუნდებიან, რომ წარმატება მოსდევს მხოლოდ შეერთებულ — შეკავშირებულ ბრძოლას: „დაიფიცა ყველამ, რომ როგორათაც ჩადენილ ამბავში, ისე მომავალ საქმეში არ უნდა ელაღატათ ერთმანეთისათვის, უნდა ყოფილიყვნენ ყველანი ერთად“ („ბედი უბედურთა“). და კიდევ, აქვე ვხვდებით ასეთ ადგილს: „დადგება ისეთი დრო, როდესაც თქვენ ერთი ორად გადაუხდით თქვენს მტერსა... ჩვენი სკოლიდან შეგირდები გავგზავნოთ ხოლმე სხვადასხვა სკოლებში, მომეტებულად სამხედრო სკოლებში, რომ იქ თოფ-იარაღის ხმარება თვით ისწავლონ კარგად და მერე გვასწავლონ ჩვენცა... მაშინ... ამრიგად, ნიკო ლომოურს ხსენისა და განთავისუფლების ერთად ერთ რეალურ საშუალებად მიანია იარაღი და ორგანიზაცია, ე. ი. რევოლუცია. მაგრამ, საგულისხმოა, რომ ნიკო ლომოური რევოლუციისა და აჯანყების ფართო სურათებს არ ხატავს, თავს იკავებს, რადგან იცის, რომ გლეხობას არ შეუძლია მტკიცედ დარაზმვა, ბოლომდე ერთსულოვანი მოქმედება, რომ მათში ყოველ გადაწყვეტ მომენტში თავს იჩენს დაბნეულობა; გადაწყვეტი მომენტიც არაა საჭირო, მათში ყოველ წუთს ცნაურდება წვრილბურჟუაზიული მიდრეკილებანი, დაქ-

საქსელობის მიზეზები. („ბედი უბედურთა“). დიას, ნიკო ლომოური ზედმიწევნით იცნობს გლეხს, კარგად ხედავს და ხატავს მისი სულის ყოველ ხვეულს, როგორც მის ლატაკ ქობს, ღარიბ კარმიდამოს. რეალისტმა მხატვარმა კარგად იცის, რომ ორგანიზაციულობისათვის, თანამიმდევრული, შეუპოვარი გადამწყვეტი ბრძოლებისათვის სხვა ძალა, სხვა ადამიანებია საჭირო. მართალია, ეს ადამიანები არა ჩანან ნიკო ლომოურის მხატვრულ ნაწერებში, მაგრამ მწერალმა იცის მათ შესახებ.

ალ. გარსევანიშვილის გადმოცემით იოსებ დაეითაშვილის დახასიათებისას ნიკო ლომოურს უთქვამს: „აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გლეხი მგოსანი მეტად დაინტერესებულია ქალაქის მუშების ბედობლით“. მისივე გადმოცემით, 1881 წლის სექტემბრის დასაწყისში ანტონ ფურცელაძის ბინაზე შემდგარ ხალხოსანთა კრებაზე, ნიკო ლომოურს სიტყვა წარმოუთქვამს და განუცხადებია: „საჭიროა, აგრეთვე, ქალაქის მუშებთან გვექონდეს ორგანიზაცია“. უამისოდ ხალხის მოძრაობას ექნება ცალმხრივი ხასიათი და ვერ მივალწევთ იმ შედეგს, რასაც მოველითო“. ჩანს, ნიკო ლომოური იცნობდა მუშებს, გრძნობდა მათ ძალას, მაგრამ ამან გამოხატულება ვერა ჰპოვა მის შემოქმედებაში. და როცა ნიკო ლომოური თავის ნაწერებზე ამბობს — ცოტაა, ვინ იცის, ამაში რაოდენობის გარდა იმასაც გულისხმობს, რომ შესაძლებლობა ჰქონდა დაეხატა საზოგადოების ერთი ნაწილი და არა მთელი საზოგადოება, თავის დროის სრულყოფილი სურათი. ხოლო რასაც შეეხო, რაც გამოხატა, გამოხატა ბრწყინვალე რეალისტური ოსტატობით, გამოხატა რევოლუციამდელი გლეხი, რევოლუციამდელი სოფელი თავის სიბნელითა და სინათლით, ნაკლითა და ღირსებით,

სასოწარკვეთითა და იმედით, რაც მთავარია, — იმედით. იმედით უკველიზე ცხოველყოფელი და დინამიკურად მოულის შემოქმედებაში. იმედი ზოგადად არ არის გამოხატული, იმედი უკვეშირდება ახალგაზრდობას, მომავალ თაობას, რომელიც თავისუფლება წინა თაობის ნაკლისაგან, თავს აღწევს სიბნელეს და გაბედულად მიემართება წინ. ნიკო ლომოურს უსაზღვროდ უყვარს ეს თამაში და საიმედო თაობა. ამიტომ, რომ ხშირად, რაც უნდა სეკლიან ამბავს ჰყვებოდეს, რაც უნდა ტრაგიულ სურათს ხატავდეს იგი, გამონღლება თუ არა ახალგაზრდა, ბავშვი შვების, სიხარულის ნათელი მოეფინება ტანჯვისა და ვაების, ცრემლისა და სისხლის გარემოს. ნიკო ლომოურს ღრმად სწამდა, რომ ეს თაობა გარდაქმნიდა საზოგადოებას, განაახლებდა ცხოვრებას, ეს თაობა გაამშვენიერებდა სიცოცხლეს, რის შემდეგ შესაძლებელი იქნებოდა ბუნების მშვენიერების განცდა. ხოლო მანამდე „რას ნიშნავს ბუნების მშვენიერება, — წერდა ნიკო ლომოური, თუ ადამიანის გულსა და სულში აღზნებული ცეცხლი ანთია! თუ ნამდვილი მშრომელი ადამიანის არსებაცხოვრების უმსგავსო გარემოებათა წყალობით, ისე დატანჯულია და იტანჯება, რომ დამიწებული გვამის მდგომარეობა მისთვის სანატრელი გამხდარა!“ მშვენიერების სრულყოფილად განცდის შესაძლებლობა, თავისუფლება, მშვიდობა, — აი, რა იმედებს უკავშირებდა მომავალ თაობას ნიკო ლომოური. ქართველი ხალხი, რომლის შრომისმოყვარეობით გაოცებული და აღტაცებული იყო ნიკო ლომოური, ქართველი საბჭოთა ადამიანები კომუნისმის მშენებლობისა და მშვიდობისათვის ბრძოლის დღეებში მადლიერების გრძნობით იგონებენ იმ უღარესად იმედიან, ღირსშესანიშნავ რეალისტ მწერალს და თავდადებულ საზოგადო მოღვაწეს.

## ლეონარდო და ვინჩი



არც ისე დიდხანია მას შემდეგ, რაც საბჭოთა ხალხმა, მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებით ფართოდ აღნიშნა ეიქტორ ჰიუგოს და ნიკოლოზ გოგოლის საიუბილეო თარიღები. დიდი იტალიელი მხატვრის ლეონარდო და ვინჩის დაბადებიდან 500 წლისთავის აღნიშვნა ამ კულტურულ-ისტორიულ თარიღებთან ერთად უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენაა. მშვიდობის მსოფლიო საბჭოს თავმჯდომარის ფრედერიკ ჟოლიო-კიურის განცხადებით, ყველა ამ იუბილეს ჩატარება დაეხმარება ხალხებს და ადამიანებს ერთმანეთი გაიციონ და წავიდნენ იმ გზით, რომელზედაც „წყველიანი გაიფანტება, ნდობასა და მშვიდობაზე დამყარებული მომავლის განთიადი გაჩაღდება“. თანამედროვე იმპერიალიზმი ცდილობს გათიშოს მშვიდობისმოყვარე ხალხები, განავითაროს კაცთმოძულეობისა და მკვლელობის ინსტიტუტები. ამიტომ არის, რომ ამერიკელი იმპერიალისტები უარყოფენ ხალხების სუვერენიტეტს და ჩქმალავენ ყოველივე იმას, რაც მათ წარსულში ჰქონდათ პროგრესული, მოწინავე და რეალისტური.

ლეონარდო და ვინჩი იტალიური ალორძინების უდიდესი წარმომადგენელია. ფრ. ენგელსის განმარტებით, იტალიური ალორძინება (ანუ რენესანსი, რინასანსიმენტო) „იყო უდიდესი პროგრესული გადატრიალება, როგორც კი მანამდე კაცობრიობას განუცდია, ეს ისეთი დრო იყო, რომელსაც ტიტანები ესპიროვებოდა და რომელმაც ტიტანე-

ბი წარმოშვა, ტიტანები აზრის სიძლიერით, გზნებითა და ხასიათით, მრავალმხრივობითა და განსწავლულობით“.

გერმანული ფამისტური ლიტერატურა და მის კვალზე მიმავალი იმპერიალისტური ბურჟუაზიის ხელოვნებთმცოდნეობა უარყოფს იტალიური ალორძინების არსებობას, როგორც გადატრიალების, გარდატეხის ეპოქას, რომელიც პროგრესული იყო თავისი სოციალური, ეკონომიური და კულტურული შინაარსით. იტალიური რეაქციული „მეცნიერება“ აღიდებს შუასაუკუნეების სქოლასტიკას, მისტიკას, კათოლიციზმს და ფეოდალურ წესებს. ნეაპოლის უნივერსიტეტის პროფესორი ჯუზეპე ტოფანინი იტალიური რენესანსის უარყოფის რეაქციულ თეორიას ავითარებს. ერთ დროს ცნობილი მწერალი, ახლა მართლმორწმუნე კათოლიკე-ფამისტი, 70 წლის მოხუცი, ჯოვანი პაპინი, რომელიც „რენესანსის შესწავლის ნაციონალურ ინსტიტუტს“ შეთაურობს, წერს სტატიას „ლეონარდოს რელიგია“ (1943 წ.), სადაც იუზუიტურად „ამტკიცებს“, თითქოს რენესანსმა კათოლიკური რელიგია განამტკიცა. ფრანგი ფიზიკოსის, კათოლიკისა და შოვინისტის პიერ დიუჰემის აზრით, ლეონარდოს მიღწევები შუასაუკუნეობრივი, სქოლასტიკური ტრადიციის მომწიფებულ ნაყოფს წარმოადგენს. ამერიკელი დეინე დიურენდი 1943 წელს წერდა, რომ ლეონარდო „შუასაუკუნეობრივი ტრადიციის განვითარების უმაღლესი წერტილია“. ასე აპირებენ უოლსტრეიტისა და ვატიკანის ლაქიები

გაუმკლავდნენ პროგრესული კაცობრიობის უდიდეს ადამიანს—ლეონარდო და ვინჩის, შუასაუკუნეობრივი რეაქციის წინააღმდეგ ენერგიულ და მგზნებარე მებრძოლს, გენიალურ მხატვარს, მოაზროვნეს და მეცნიერს. მათი აზრით, იტალიური აღორძინება „უდიდესი პროგრესული გადატრიალება“ კი არ იყო, არამედ შუასაუკუნეობრივი ტრადიციის უბრალო გაგრძელებას წარმოადგენს. მაგრამ ასეთი ფალსიფიკაციით ბურჟუაზიული „მეცნიერები“ ვერ მიჩქმალავენ იტალიური აღორძინების, კერძოდ ლეონარდო და ვინჩის, უდიდეს მნიშვნელობას კაცობრიობის კულტურის ისტორიაში. რენესანსი ახალი, მოწინავე მოვლენა იყო, რომელსაც თავისი ხალხური, დემოკრატიული საფუძვლები ჰქონდა. ანტიკურ ხელოვნებასთან ერთად იტალიური რენესანსის ხელოვნებას ერთ-ერთი უპირველესი ადგილი უკავია საბჭოთა ქვეყანაში წარსულის მხატვრული მემკვიდრეობის კრიტიკულად ათვისების და შესწავლის დარგში.

ფლორენციელი ნოტარიუსის სერ პიერო და ვინჩის და სოფელ ანკინოს გლეხი ქალის კატერინას შვილი—ლეონარდო დაიბადა 1452 წელს. 14 წლამდე იზრდებოდა იგი პატარა ქალაქ ვინჩიში, რომელიც ალბანოს მთებს ეკვროდა. აქ სოფელ ბიკებთან, ტოსკანის წარმტაცი ბუნების წიაღში უყვარდა პატარა ლეონარდოს ხეტიალი. იგი ბუნების სხვადასხვა მოვლენას ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდა და შემდეგ ყოველივე ამას ნახატების სახით აღბეჭდავდა თავის უბის წიგნაკში, რომელსაც პატარობიდანვე თან ატარებდა. როდესაც მამამისი ფლორენციაში გადასახლდა, ლეონარდო პირველად მოხვდა იმდროინდელი იტალიის ერთ-ერთ დიდ ქალაქში. იტალია მე-15 საუკუნეში ევროპის ყველაზე მოწინავე ქვეყანა იყო, ფლორენცია კი ახლადგზავდამული იტალიური ბურჟუაზიის ვაჭრობისა და

მრეწველობის ცენტრს წარმოადგენდა. ფეოდალური ფორმაციის წყიფი ფლორენცია კაპიტალისტურ უკიდურესობაზე ს განთიადს მოესწრო. მატყლის და აბრეშუმის მრეწველობის, საკრედიტო ოპერაციების წარმოების (ფლორენციის უგვირგვინო მეფეები — მედიჩები — ბანკირები იყვნენ), ხელოვნებისა და ლიტერატურის ჯერ არნახული აყვავების გამო ფლორენცია ევროპის მოწინავე ქალაქად იქცა. ფლორენცია ბურჟუაზიული ჰუმანიზმისა და რეალისტური ხელოვნების ცენტრი შეიქნა. შუასაუკუნეობრივი საზოგადოების წიაღში აქ პირველად ჩაისახა ახალი, ბურჟუაზიული ურთიერთობანი, მაგრამ ფ. ენგელსის თქმით: „ადამიანები, რომლებიც ბურჟუაზიის თანამედროვე ბატონობას ამყარებდნენ, ყველაფერი იყვნენ, მაგრამ ბურჟუაზიულად შეზღუდულნი არ ყოფილან, პირიქით, მათ მეტნაკლებად აჩნდათ თავიანთი დროის ავანტურისტული ხასიათი“.

ფლორენციაში სერ პიერომ თავის მგებობარ მხატვარს ანდრეა ვეროკიოს მიუტანა ლეონარდოს ნახატები. განცვიფრებულმა ვეროკიომ ურჩია პიეროს 14 წლის ბავშვი მოეთავსებინა მის სახელოსნოში. ვეროკიო (1435 — 1488) განთქმული მოქანდაკე, ოქროშედელი და მხატვარი იყო. მისი სახელოსნო (ბოტეგა) ერთ-ერთი მოწინავე იყო მთელ ფლორენციაში. აქ აწარმოებდნენ გაბედულ ცდებს მხატვრობის ტექნიკის დარგში, სწავლობდნენ მათემატიკას, ანატომიას, პერსპექტივას. აქ სინამდვილის რეალისტურად გამმოცემა უურადლების ცენტრში იდგა, ამრიგად, ხელოვნება და მეცნიერება ახალგაზრდობაშივე გახდა ლეონარდოს ინტერესებისა და მისწრაფების საგანი.

ვეროკიოს სახელოსნოში ყოფნის დროს (1466 — 1476 წლები) ახალგაზრდა ლეონარდომ თავისი მასწავლებლის სურათში — „ნათლისღება“—

დახატა ანგელოზი. ლეონარდოს პირველი ბიოგრაფი ჯორჯო ვაზარი წერს: „ვეროკიომ დაავალა ლეონარდოს დახატოს ანგელოზი, რომელსაც ტანისამოსი უკავია ხელში. და თუმცა ის ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, მაგრამ ისე შეასრულა ნახატი, რომ ლეონარდოს ანგელოზი უკეთესი გამოვიდა. ვიდრე ვეროკიოს ფიგურები“. ეს ამბავი დაახლოებით 1470 წელს მოხდა, როდესაც ლეონარდო 18 წლისა იყო. მამასაღამე, უკვე ამ დროიდან იწყება ლეონარდოს სწრაფი წინსვლა. მისი ანგელოზი „ნათლისღებაში“ უკვე ნოვატორული მოვლენა იყო იმდროინდელი ფლორენციული მხატვრობის ფონზე.

1472 წელს ლეონარდომ დახატა „ხარება“, რომელიც ახლა ლუერის მუზეუმში (პარიზი) ინახება. ეს პატარა სურათი თითქოს ჯერ კიდევ არ განსხვავდება კომპოზიციით, ფაქტურით, მადონას და ანგელოზის ტიპით ვეროკიოს „ხარებისაგან“, მაგრამ ლეონარდომ აქაც შეიტანა თავისი დამოუკიდებელი მოტივები: პეიზაჟი და მადონას პოზა სრულად ორიგინალური და ახალია. ასე თანდათანობით უახლოვდება ლეონარდო თავისი ახალგაზრდობის შედეგს — „მადონა ყვავილით“. ეს სურათი საბჭოთა კავშირის უდიდესი მუზეუმის — ლენინგრადის ერმიტაჟის — ერთ-ერთ მშვენიერეს წარმოდგენს 1913 წლიდან. მას შემდეგ, რაც ის შეიძინეს არქიტექტორ ლეონტი ბენუასაგან.

ერმიტაჟის „მადონა“ დახატულია დაახლოებით 1478-80 წლებში. ამ სურათის მნახველი არ შეიძლება არ მოხიბლულიყო ლეონარდოს გენიალობით. მართალია, აღორძინების მხატვრობის მიერ მრავალი მადონა (ღვთისმშობელი) იყო დახატული მანამდე, მაგრამ შეიძლება თამამად ითქვას, რომ აქამდე არსად არ ყოფილა დედობის თემა ისე მკაფიოდ, ღრმად და სიმართლით გახსნილი, როგორც ერმიტაჟის

სურათში. ეს არის ნამდვილი რეპტიმისტური, ცხოველმყოფელი პრეზენსია. ახალგაზრდა დედა შეჭმარის თავის ფუნქციულა, ფანსალ ბავშვს; დედის სახეზე აღბეჭდილია სიამაყე და სიხარული. ანატომიის იშვიათი ცოდნითაა დახატული ბავშვის შიშველი სხეული. მთელი სურათი მკრთალი სინათლით გამჭვირვალე ვერცხლისფერშია გახვეული, რაც კონტურებს არბილებს, ფორმებისა და ხაზების სიმკაცრეს სპობს. მაყურებლის ყურადღება მთავარისადმია მიჰყვრბოილი: დედა უჩვენებს ბავშვს ყვავილს, რომელსაც ბავშვი დიდი სერიოზულობით შესცქერის. ლეონარდო შეგნებულად გაურბის დეტალიზაციას, სურათის დატვირთვას მეორეხარისხოვანი ამბებით, რითაც მანამდე ასე იყენენ გატაცებული ფლორენციელი რეალისტები. დედა და შვილი მოცემული არიან მუქ-მომწვანო ფარდის ფონზე, მხოლოდ ღია სარკმელიდან მოჩანს განათებული ცა. დედის ფართოსახელოებიანი მწვანე-ცისფერი ქვედა ტანსაცმელი, ვიწროსახელოებიანი ყვითელი ზედა ტანსაცმელი, ცისფერმწვანე მოსასხამი, რომელიც მუხლებს აფარია — ყოველივე ეს რეალისტურად, მართლად და მომხიბლველად არის გადმოცემული.

ერმიტაჟის „მადონა“ ნოვატორული სურათია. მანამდე ლეთისმშობელს, ეკლესიის დოგმის მიხედვით, ტახტრევანზე ათავსებდნენ. ლეონარდომ გაბედულად ჩამოიყვანა მადონა ტახტრევანიდან, მოათავსა უბრალო სკამზე მარტივად მორთულ ოთახში, მისი ფიგურა ორი მეოთხედით მოაბრუნა მაყურებლისაკენ და ამით შექმნა ოჯახური სცენა. ამ იდეურ-მხატვრულმა ნოვატორობამ უდიდესი გავლენა მოახდინა შემდეგი თაობის რეალისტ მხატვრებზე. რათაელის „მადონა მიხაკით“, „მადონა ირლენანის სახლისა“ და სხვ. ლეონარდოს ამ „მადონით“ არის შთაგონებული. ვაზარი გადმოგვცემს: „როდესაც



რაფაელმა დაინახა ლეონარდო და ვინჩის ნაწარმოები... ლეონარდოს მანერამ არაჩვეულებრივად გააოცა და გააბრუა... და იგი შეუდგა მის შესწავლას“.

ფლორენციაში ყოფნის დროიდან (1466 — 1482) დარჩა კიდევ ორი სურათი, სამწუხაროდ, დაუმთავრებელი: „მოგვების თაყვანისცემა“ (უფიცო) და „წმ. იერონიმე“ (ვატიკანი). უნდა ითქვას, რომ თემის რელიგიური შინაარსი არასდროს არ ანტერესებდა ლეონარდოს. მანამდე მხატვრები „მოგვების თაყვანისცემაში“ მარიამს ათავსებდნენ სურათის ერთ მხარეში, მოგვები კი უახლოვდებოდნენ მას სურათის მეორე მხარიდან. ლეონარდო არღვევს ამ დაკანონებულ სქემას. მის სურათში ყველაფერი მოძრაობაშია: ადამიანები ცნობისმოყვარეობით იყურებიან, ერთ-ერთს ეჯახებიან, ეკითხებიან, თუ რა მოხდა, ზოგი გაოცებული თაყვანსაცემს ახლადშობილ ბავშვს, ზოგიც სხვებს უჩვენებს მას. აქა-იქ მოჩანან ხელაპყრობილი და კისერწაფრძელებული ადამიანების ფიგურები. პროფილური გამოსახვის ნაცვლად ლეონარდო ფიგურებს მყაურებლისკენ აყენებს. თავის იდეურ-თემატურ კონცეფციას ლეონარდომ სათაიადო მხატვრული ფორმა გამოუნახა: მრავალ ფიგურებიან ჯგუფს მხატვარი აერთიანებს პირამიდალური კომპოზიციით, რაც უთუოდ ნოვატორული, მანამდე უცნობი, ტექნიკური ხერხი იყო. ამას ლეონარდო იყენებს არა იმისათვის, რომ დახატოს ქრისტიანული მითოლოგიის სცენა, არამედ სურს მოგვეცეს აღელვებული და აღტაცებული ადამიანების ფსიქოლოგიური დრამა, რომელსაც ისინი განიცდიან ახლადშობილი ბავშვის დანახვისას. რაც შეეხება „წმ. იერონიმეს“, ეს უფრო ანატომიური სიზუსტით დახატული ეტიუდია, ვიდრე იმ წმინდანის გამოსახულება, რომლის სახელსაც ატარებს სურათი.

ფლორენციაში გატარებულ წლებს ლეონარდოს განვითარებაში დედა მწიშნელობა ენიჭება. აქ დაეკავცა ის, როგორც მხატვარი და მეცნიერი. ამიტომ მთელი თავისი ტრაგიკული ცხოვრების მანძილზე ლეონარდო ყოველთვის პატრიოტული სიამყარით გაიძახოდა, რომ იგი ფლორენციელია. სწორედ ამიტომ ცდებიან ბურჟუაზიული ხელოვნებათმცოდნეები, რომელნიც ცდილობენ გამოიყვანონ ლეონარდო, როგორც მოხეტიალე კოსმოპოლიტი, რომელსაც თითქოს თავისი სამშობლო არ უყვარდა. ფლორენციაში ლეონარდომ შეისწავლა თავისი დიდებული წინამორბედის მანანოს თრესკები, დონატელოს ქანდაკებანი, სან-მარკოს ბალებში სწავლობდა ანტიკური მარმარილოების კოლექციას, კოლუმბის მეგობრის პაოლო ტოსკანელის (1397 — 1482) მეცნიერულ წრეში ტექნიკისა და გამომგონებლობის საკითხებს ამუშავებდა. ანტონიო პოლიულოს მსგავსად ლეონარდო — ადამიანის ანატომიის შესწავლის მიზნით — გვამების გაკვეთას აწარმოებს. ახალგაზრდა ლეონარდოს რეალიზმი თანდათან თავისუფლდება წერილმანი დეტალიზაციისაგან, ყოფითი აქსესუარების გადმოცემისაგან, რაც ჯერ კიდევ მის „ხარებას“ ემჩნეოდა. ამ მხრივ დამახასიათებელია ერმიტაჟის „მადონა“ და „მოგვების თაყვანისცემა“, რომლებითაც ლეონარდო მხატვრული განზოგადების ფართო გზაზე გამოდის.

1482 წელს 30 წლის ლეონარდო სტოვებს მშობლიურ ფლორენციას და მიემგზავრება მილანს. ამ დროს იგი მხატვრული და მეცნიერული ცოდნით აღჭურვილი და ყოველმხრივ განვითარებული, „უნივერსალური ადამიანი“ („uomo universale“). საინტერესოა, რომ ამ დროს მიქელანჯელო ჯერ კიდევ 7 წლის ბავშვი იყო, ტიციანი — 5 წლისა, რაფაელი კი ჯერ დაბადებული არ იყო.

მილანი იტალიის ერთ-ერთ კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა. საყურადღებოა, რომ მილანის პერსონაჟმა ლოდოვიკო მორომ ლეონარდო ჩარცხა თავის კარის ინჟინრად და არა მხატვრად. მილანში ლეონარდომ 17 წელი დაჰყო (1482 — 1499 წ. წ.), აქ იგი უწინარეს ყოვლისა შეუდგა ლოდოვიკო მოროს მამის — ფრანჩესკო სფორცას ცხენიანი ქანდაკების შექმნას. („gran Colosso“). მხატვარი 7 წელს შეშობდა ქანდაკების მოდელზე. 1490 წელს ხელახლა გადაამუშავა მან მოდელი, მაგრამ 1499 წლისათვის ჯერ კიდევ არ შესდგომოდნენ მის ჩამოსხმას. ამ დროს კი მილანში ურიცხვი ჯარით შემოვიდა საფრანგეთის მეფე ლუი XII, მისმა პასკონელმა მსროლელებმა დაანგრეს ის თიხის მოდელი, რომელიც პერსონაჟის სასახლის წინ იდგა. ამრიგად, ლეონარდოს ეს დიდი განზრახვა განუხორციელებელი დარჩა.

ამავე დროს, დაახლოებით 1491-94 წლებში, ლეონარდომ შეასრულა ერთ-ერთი თავისი უკეთესი შედეგები: „მადონა მღვიმეში“, რომელიც ლუვრის მუზეუმში ინახება. ამ სურათმა მთელი გადატრიალება მოახდინა მსოფლიო ფერწერაში. ლეონარდომ, პირველმა ევროპის მხატვრობაში, შექმნა ნამდვილი სურათი, როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმი. ეს სურათი წარმოადგენს არა ცალკეული ნაწილების (ფიგურების, პეიზაჟის, აქსესუარების) ხელოვნურ შეკოწიწებას, არამედ კომპოზიცია ერთი იდეითაა გაერთიანებული. ამ სურათში ლეონარდო უფრო ღრმად ავითარებს იმ თემატურ-იდეურ კონცეფციას, რაც მას ჯერ კიდევ ერმიტაჟის „მადონაში“ ჰქონდა მოცემული. დედის სიყვარული ბავშვებისადმი (ქრისტე და იოანე) დიდ განზოგადობამდე არის აყვანილი. ოთხი ფიგურა მოცემულია ბუნების წიაღში, ბაზალტის კლდეების პეიზაჟის ფონზე. მღვიმეში ბინდი ჩამოწოლილა, მაგრამ

მარცხნიდან ნაზი აკორდით იჭრება სინათლე და მთელი კომპოზიციური ელვარებით ბრწყინავს (დავისწილდეთუნი მზნანდასახულების განსახორციელებლად ლეონარდო მიმართავს იმ მხატვრულ-ტექნიკურ ხერხს, რომელიც მას ჯერ კიდევ „მოგვების თავანისცემაში“ ჰქონდა გამოყენებული. ფიგურების ერთმანეთთან მჭიდრო დაკავშირების მიზნით მხატვარი ათავსებს მათ პირამიდალურ სამკუთხედში, რაც იძლევა არჩვეულებრივი სიმშვიდისა და პარმონიულობის შთაბეჭდილებას. ამ სურათმა დიდი გავლენა მოახდინა ლეონარდოს სკოლის მოწაფეებზე, ამასთანავე ისეთ დიდ მხატვრებზე, როგორიც იყვნენ რაფაელი, მიქელანჯელო და კორეჯო.

მაგრამ ლეონარდოს მილანის პერიოდის უდიდესი ნაწარმოებია „საიდუმლო სერობა“, რომელიც ფრესკის სახით დახატულია მილანის მახლობლად მდებარე სანტა მარია დელა გრაციის მონასტრის სატრაპეზოში (1496-98 წლები). ეს ფრესკა ლეონარდოს მთელი მხატვრული შემოქმედების მწვერვალია, მსოფლიო მხატვრობის განვითარების ისტორიაში კი — ერთ-ერთი უდიდესი ეტაპი. ამ ფრესკით ლეონარდომ სახელი გაითქვა არა მარტო იტალიაში, არამედ მისი საზღვრების იქითაც. ცნობილი იტალიელი ნოველისტი ბანდელი ლეონარდოს მუშაობის შესახებ წერდა: „მზის ამოსვლიდან ღამის სიბნელემდე არ ტოვებდა ფუნჯს და ხატავდა შეუსვენებლივ, ისე რომ ჰამასმაც ავიწყდებოდა“. თანამედროვის ეს მოწმობა სავსებით აბათილებს ბურჟუაზიული ხელოვნებათმცოდნეობის ცილისწამებას, თითქოს ლეონარდო მუშაობას გაუბოდა და მრავალი სურათი დაუმთავრებელი დატოვა. „საიდუმლო სერობაში“ აღებულება ქრისტიანული მითოლოგიის ერთ-ერთი სცენა. ეს ის სცენაა, როდესაც ქრისტე ეტბნება თავის მოწაფეებს: „ერთი

თქვენგანი გამცემს მე“, მაგრამ ლეონარდოს სულ არ აინტერესებს სახარების ლეგენდა. ლეონარდომ ტრადიციული სიუჟეტი გამოიყენა, რათა თავისი ეპოქის ტრაგიკული ყოველდღიურობა გადმოეცა. ცნობილია, რომ რენესანსისდროინდელი იტალია დაქუცმაცებული იყო რამდენიმე სახელმწიფოებად. ფლორენცია, ვენეცია, მილანი, გენუა ერთმანეთს ეჭიშკებოდნენ და ცდილობდნენ ერთი მეორის დასუსტებას. იტალიელ ვაჭრებს სრულებით არ აინტერესებდათ ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანება. მკვლევობა, გამცემლობა, ინტრიგები მეტად დამახასიათებელ მოვლენას წარმოადგენდა პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში როგორც იტალიის სახელმწიფო-ქალაქებში, ისე რომის პაპის სამფლობელოში. დიდმა ჰუმანისტმა და მგზნებარე პატრიოტმა ლეონარდომ „საიდუმლო სერობაში“ გამოხატა უდიდესი აღშფოთება და გულისწყრომა საშობლოს მოღალატე ტირანებისა და მტარვალების მიმართ. „ლეონარდოს სურათის მთავარი აზრი-გამცემლობის მკაცრი და შეურიგებელი გაკიცხვაა“ („Большевик“ 1952, № 6). მიუხედავად იმისა, რომ ქრისტე კომპოზიციურად სურათის ცენტრშია მოთავსებული, იგი აქ სრულიად უმნიშვნელო ფიგურას წარმოადგენს. მთავარია ის დრამა, რომელიც ამ დაბალქირიან და მკრთალად განათებულ ოთახში დატრიალდა. „საიდუმლო სერობაში“ შექსპირისებური სიძლიერით არის გამოკვეთილი ადამიანის ხასიათები. ყველა თორმეტი მოციქული ლეონარდოს თანამედროვენი არიან თავიანთი სპეციფიკური ხასიათით და ტემპერამენტით. ისინი ყველა, იუდას გარდა, მამაცი და პატიოსანი იტალიელი ხალხის წარმომადგენლებია, რომლებიც ვერ ურიგდებიან დანაშაულებრივ გამცემლობას. თითოეული მათგანი თავისებურად გამოხატავს იმ გრძნობას, რაც

გამოიწვია მათში ქრისტეს სიტყვებმა. მხატვარი აქ იძლევა ფსიქოლოგიურ დიფერენციაციას, ადამიანებს ინდივიდუალური ხასიათის, რაც მიღწეულია პოზების, მიმიკისა და ექსტეზის სხვადასხვაობით. გოეთე ამბობდა, რომ ლეონარდომ „თავის სურათში შთაბერა ძლიერი შეძრწუნება და ამაღლვებელი მოძრაობა“. მართლაც, დიდი ფსიქოლოგიური დრამა გადმოცემულია ფიგურებისა და, განსაკუთრებით, ხელების მოძრაობით. 26 ხელი ექსპრესული მოძრაობით მონაწილეობას ღებულობს დრამაში. გარდა ამისა, ხელების მოძრაობა ერთმანეთს აკავშირებს მოციქულების სამსამფიგურიან ოთხჯგუფს.

დიდი დრო და შრომა დასჭირდა ლეონარდოს იუდას განსახიერებისათვის. იუდა „გამცემლობისა და არაადამიანურობის განსახიერებას“ უნდა წარმოადგენდეს, — სახე, რომელშიაც „თავმოყრილი უნდა იყოს უკიდურესი სულმდაბლობა“, იგი უნდა იყოს „ჯოჯოხეთის მოციქული“. ლეონარდომ შეძლო ყველა ამ თვისებების გამოხატვა. თუ მანამდე მხატვრები იძლეოდნენ იუდას მხოლოდ გარეგულ დახასიათებას (იგი ყოველთვის განცალკევებით იჯდა), ლეონარდო გაბედულად არღვევს საუკუნეებით დაკანონებულ ამ ტრადიციას: იუდა ქრისტეს უსაყვარლესი მოწაფის — იოანეს გვერდით ზის. იგი შეშინებული მოძრაობით სამაროლეს ხელსა ჰკრავს, ამავე დროს მარჯვენა ხელით მაგრად ჩაებლაუქება ოცდაათი ვერცხლით სავსე ფულის ქისას. მკვეთრი მობრუნების გამო, იუდას თავი ჩრდილშია მოქცეული. ლეონარდომ იუდას სახე ისეთი სიძლიერით დახატა, რომ როგორც თანამედროვენი გადმოცემენ, ეს სურათი მაყურებელში უდიდეს ზოზლსა და გაკიცხვას იწვევდა. როცა 1499 წელს კონდოტიერმა ბერნარდინო და კორტემ მილანი ფრანგების ჯარს

უბრძოლველად ჩააბარა, ლოდოვიკო მოროს მოაგონდა ლეონარდოს ფრესკის იღდა და წარმოთქვა: „იღდა ისკარიოტელის დროიდან არ მოიძებნება ისეთი პირქუში ავაზაკი — მოლაღატე, როგორც ბერნარდინო და კორტეაო“.

ლეონარდომ ეს ფრესკა არ დახატა სველ კირზე ტემპერით, როგორც ამას ყველა ფრესკისტი აკეთებდა, არამედ ზეთის საღებავები სცადა, რამაც საბედისწერო შედეგი გამოიღო. კედლიდან გამოჟონილმა სინესტემ წლების განმავლობაში ისე იმოქმედა, რომ უკვე 1517 წელს ფრესკა დაზიანებული იყო. 1811 წელს სტენდალი იტალიაში მოგზაურობის დროს წერდა: „დარაჯმა გვიჩვენა კედელზე რაღაც გაურკვეველი მოხატულობა. ეს იყო ლეონარდო და ვინჩის „საიდუმლო სერობა“. მეორე მსოფლიო ომის დროს ამერიკელმა ბომბმა კედელი თითქმის მთლიანად დაანგრია. ასე მოსპევს დრომ და ბარბაროსებმა მსოფლიო ხელოვნების უდიდესი ქმნილება. მით უფრო უნდა ვამაყობდეთ ჩვენ, რომ საბჭოთა კავშირში, ერმიტაჟში, არსებობს „საიდუმლო სერობის“ შესანიშნავი ასლი, რომელიც ლეონარდოს მოწაფემ მარკო დოჯონემ შეასრულა ჯერ კიდევ თავისი მასწავლებლის სიცოცხლის დროს.“

მილანში ცხოვრების ეს პერიოდი მეტად ნაყოფიერი და ბედნიერი აღმოჩნდა ლეონარდოსათვის. მან დააარსა აქ სახელოსნო, სადაც მუშაობდნენ მისი მოწაფეები: ანტონიო ბოლტრაფიო, ჯაკომო სალაი, მარკო დოჯონე და სხვ. მილანში ლეონარდო ისეთ მეცნიერთა წრეში ტრიალებდა, როგორც იყვნენ არქიტექტორი ბრამანტე, ანატომი მარკანტონიო დელა ტორე, ფრანჩესკო მარტინი, ჯაკომო ანდრეა და მათემატიკოსი ლუკა პაჩოლი.

1500 წელს ლეონარდო ვენეციაზე გავლით დაბრუნდა თავის მშობლიურ ქალაქ ფლორენციაში, სადაც მან დახა-

ტა სურათი „წმ. ანა, მარიამი და ბავშვი“ (ლუვერი). თემატიკურად სერუფო ლეონარდო დედობრივ სიყვარულს გამხატვლავდა ასე ბრწყინვალედ გადმოგვცა ლეონარდომ მადონის სხვა სურათებში. ამ სურათში მარიამი ანას მუხლებზე უზის, და ხელებს უწვდის ბავშვს, რომელიც ბატკანს ეთამაშება. მიუხედავად იმისა, რომ ანა, როგორც მარიამის დედა, უფრო მოხუცი უნდა ყოფილიყო, ლეონარდომ შეგნებულად დახატა ანა ისეთივე ლამაზი, მოლიმარე და ახალგაზრდა, როგორც მისი ქალიშვილი. ლეონარდოს ნაწარმოებში ვერ ნახავთ მოხუცებულობის, დაკრძომილობისა და ტანჯვის სურათებს. ვაზარის სიტყვით, ამ სურათმა „გააოცა ყველა მხატვარი და ორი დღის განმავლობაში დადიოდნენ მის სანახავად კაცები და ქალები, ახალგაზრდები და მოხუცები, როგორც რაღაც დღესასწაულზეო“.

1502 წელს ფლორენციას სათავეში ჩაუდგა პიერო სოდერინი, რომელმაც გამოაცხადა კონკურსი „პალაცო ვეკიოს“ ახალი დარბაზის კედლის მოსახატავად. კონკურსში მონაწილეობა მიიღეს ლეონარდომ და მიქელანჯელომ. ლეონარდომ თემად აიღო ისტორიული ამბავი „ანგიარის ბრძოლა“, რომელიც მოხდა 1440 წლის ივლისს ფლორენციის და მილანის ჯარებს შორის. ფრესკისათვის ორივე მხატვარმა კარტონები შეასრულა 1504—1505 წლებში. ბენვენუტო ჩელინი წერდა: „სანამ ეს ორი კარტონი იდგა, ისინი ყველასათვის სკოლას წარმოადგენდნენ“. და მართლაც, ლეონარდოს კარტონი ბატალური ფერწერის ბრწყინვალე ნიმუში იყო. მან უდიდესი გავლენა მოახდინა ამ ეპოქის ყველა მომდევნო მხატვარზე. ლეონარდომ თავის სურათში გამოხატა „დროშისათვის მებრძოლი ცხენოსან მხედართა ჯგუფი“ ისეთი რეალისტური სიძლიერით, რომ, როგორც ერთი მკვლევარი აღნიშნავდა, ამ სურათში დენთის სუნი იგრძნობა.

ჰაერი საესეა კვამლით და მტვერით, მოისმის ხრინწიანი ღრიალი, ადამიანები ერთმანეთს სცემენ, აქეთ-იქით ეხეთქებიან, ცხენები ყალხზე დგებიან, ქიხვინებენ, ერთმანეთს კბენენ. სამწუხაროდ, ლეონარდოს ეს ნაწარმოები არ იყო გადატანილი კედელზე. კარტონი კი დაიკარგა. 1600—1608 წლებში, როცა რუბენსი იტალიაში ცხოვრობდა, მან გადმოხატა ლეონარდოს კარტონი, რითაც კაცობრიობას შეუნახა ლეონარდოს ეს კომპოზიცია. თვითონ რუბენსმა ამ სურათის დიდი გავლენა განიცადა, რაც მის მთელ ბატალურ ფერწერას ემჩნევა (მაგალ. „ამორძალების ბრძოლა“, „ლევკიკეს ქალიშვილების მოტაცება“ და სხვ.).

ფლორენციაში ამასთანავე ლეონარდომ შეასრულა თავისი მხატვრობის შედეგური „მონალიზა“ ანუ „ჯოკონდა“, რომელიც ლევრში ინახება. არც ერთი სურათის შესახებ არ დაწერილა იმდენი წიგნი და სტატია, რამდენიც დაიწერა მსოფლიო პორტრეტული ფერწერის ამ ბრწყინვალე ნიმუშის გარშემო. სურათზე წარმოდგენილია ლიზა გერარდინი, რომელიც 1495 წელს ფრანჩესკო დელ ჯოკონდოს მისთხოვდა. ლეონარდომ შესწლო რეალისტური სიძლიერით ამ ქალის სახის გამოსახვა. ჯერ კიდევ ახალი ვრძნობდა ამ პორტრეტის რეალიზმს, როდესაც აღწერდა „სხივისან და წელიან თვალებს, კისრის ჩაღრმავებაში შესამჩნევი პულსის ფეთქვას“. მაგრამ როგორც ლეონარდოს თანამედროვეებს, ისე შემდეგ თაობებს ყველაზე უფრო აოცებდათ მონალიზას ღიმილი. ამ ღიმილის შესახებ ბევრი იდეალისტური, ზოგჯერ რეაქციული, რამ დაიწერა. ლეონარდოს მძლავრი რეალიზმი იმაში გამოიხატება, რომ მან უარყო პორტრეტისტიკაში მანამდე გამეფებული იერატიული უძრავობა. ლეონარდომ ღიმილით გააცოცხლა, გაასხივოსნა ადამიანის უძრავი, სტატიკური სახე. ეს იყო იმ დროისათვის „გაუ-

გებარი“, „იდეალური“, მკრეხელობა. მაგრამ ლეონარდოს ღიმილის განსაკუთრებულობა და თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ღიმილი არა მარტო ბაგეების ნაოკებშია მოცემული, არამედ ღიმილი ანათებს მთელს სახეს, იგი ლოკალური არ არის. ამიტომ ეს ღიმილი თითქმის შეუმჩნეველია. ჯოკონდას ეს მიმიკური თვისება ლეონარდომ შემდეგ სხვა სურათებშიაც გამოიყენა (მაგალ. ლევრის „იოანე“ და „ბაკხი“) ბურჟუაზიულმა ხელოვნებათმცოდნეობამ, რათა მიჩქმალოს ამ პორტრეტის უდიდესი რეალიზმი. „ჯოკონდა“ გამოუცნობ, გაუგებარ სურათად გამოაცხადა. მეფის რუსეთში იდეალისტი ა. ვოლინსკი რაღაც „იდეურ დემონიზმს“ ხედავდა ამ სურათში. ჩვენს დროშიც კი კოსმოპოლიტი ა. ეფროსი 1935 წელს წერდა, რომ „ეს ფრანჩესკო დელ ჯოკონდოს მეუღლის პორტრეტი არ არის, იგი რაღაც ნახევრადადამიანური, ნახევრადგველური არსების გამოსახულება“.

ლეონარდო ნოვატორი იყო არა მარტო თემის რეალისტურად დამუშავების დარგში, ის ნოვატორი იყო ხაზის და ფერწერის ახალი მეთოდების შექმნითაც. მან პირველად გამოიყენო სინათლე-ჩრდილის საიდუმლოება, რაც შემდეგში გენიალურმა რემბრანდტმა ბრწყინვალედ განავითარა და გამოიყენა. ლეონარდომ ჯოკონდას პორტრეტი ახალ პრინციპზე ააგო: თუ მანამდე ადამიანის პორტრეტს მხატვრები ჩვეულებრივად წელამდე ხატავდნენ, ლეონარდომ პირველად გამოაჩინა ადამიანის ხელები, რითაც პორტრეტს შესძინა ადამიანის ფსიქოლოგიური დახასიათების ახალი მძლავრი საშუალება.

მთიანი პეიზაჟი, რომელიც ჯოკონდას ფონზე არის გადაშლილი, ტოსკანას რეალური პეიზაჟია და, როგორც ეს მეცნიერმა ფელიქს როზენმა დაამტკიცა, გამოსახავს მდინარე არნოს შუაწყლის ადგილებს სანმეცანოს ციხე-კოშ-

კის მახლობლად. ცხადია, აპენინის მთების განშტოების ეს რეალური პეიზაჟი ლეონარდოს შემოქმედებითად გადამუშავებული სახით აქვს გამოსახული თავის სურათებში („მადონა მლივიში“, „ანა, მარიამი და ბავშვი“ და სხვ.). ამიტომ ამ პეიზაჟში არაფერია მისტიკური და ფანტასტიკური, როგორც ამას „ამტიკეებს“ ბურჟუაზიული ხელოვნებათმცოდნეობა. „ჯოკონდა“ არა მარტო რენესანსის, არამედ მსოფლიო პორტრეტული ხელოვნების უმაღლესი მწვერვალია, სისხლჭარბი, ცხოველყოფელი რეალიზმის უბადლო ნიმუში.

1513—1515 წლებში ლეონარდო რომში იმყოფებოდა. ეს წლები ყველაზე მძიმე დრო იყო ლეონარდოს ცხოვრებაში. მიუხედავად იმისა, რომ რომის პაპის ტახტზე ფლორენციელი ჯოვანი მედიჩი (ლეონ X) იჯდა, ლეონარდოს არ აძლევდნენ შეკვეთებს, ეჭვის თვალით უყურებდნენ, მის გარშემო რომის პაპის ჯამუშები ტრიალებდნენ. იგი ერთეკოსად და ღვთის მგმობლად იყო აღიარებული. მაინც ლეონარდომ რომში დახატა ანტიკური თემის მიხედვით სურათი „ლედა“, რომელიც დიდხანს ინახებოდა საფრანგეთში, ფონტენებლოში. ამ სურათით აღტაცებული იყვნენ თავის დროზე რუბენსი და პუსენი, მაგრამ 1694 წლის შემდეგ „ლედა“ დაიკარგა. არსებობს მხოლოდ რაფაელის ჩანახატი. რომის პერიოდს მიაკუთვნებენ, აგრეთვე, ლუერის „იოანე ნათლისმცემელს“. ამ სურათზე გამონახტულ ახალგაზრდას არაფერი აქვს საერთო იმ წმინდანთან, რომელსაც იგი უნდა გამოსახავდეს. ეს უფრო ანტიკური ბაკხია, ვიდრე ნათლისმცემელი. საყურადღებოა, რომ ამ სურათზე გამოსახული ახალგაზრდა ძალიან წააგავს ლეონარდოს მოწაფის ჯოვანი ბოლტრაფიოს (1467—1516) „წმ. ლუდოვიკოს“, რომელიც ერთიტაჟში ინახება. ამ „ლუდოვიკოს“ შესახებ საბჭოთა მკვლევარი ე. ლიბგარდტი წერდა: „რო-

მელიდაც მილანელი აზნაურის პორტრეტი უნდა იყოს, შეიძლება, თეოდორ ბოლტრაფიოს აეტომპორტრეტისათვის ეს ასეა, უნდა ვიფიქროთ, რომ ლუერის „ბახუსის“ და „იოანეს“ სახით წარმოდგენილია იგივე ბოლტრაფიო, რაც ხსნის ყოველგვარ საიდუმლოებას ამ „უცნაურ“ სურათებისაგან.

1516 წელს ლეონარდო თავისი მოწაფით ფრანჩესკო მელციით საფრანგეთში გადასახლდა საფრანგეთის მეფის—ფრანცისკო პირველის მიწვევით. მეფემ გადასცა მას ციხე-კოშკი კლუ ქალაქ ამბუაზის მახლობლად. აქ გაატარა ლეონარდომ თავისი სიცოცხლის უკანასკნელი წლები და 1519 წლის 2 მაისს გარდაიცვალა. ლეონარდოს გარდაცვალების შესახებაც შექმნილია ლეგენდები, თითქოს ლეონარდო შეურიგდა ეკლესიას და ფრანცისკოს ხელზე მიისვენა. ამ თემაზე შეიქმნა კიდევაც რამდენიმე სურათი ენგრის, ფლერის და ჟიგუს მიერ. მაგრამ ფრანჩესკო მელცი (1491—1570), რომელიც ლეონარდოს ყველაზე საყვარელი მოწაფე და მისი ანდერძის აღმსრულებელი იყო, არაფერს წერს ამის შესახებ. ბორის ბროკელის აზრით, ლეონარდოს „სიკვდილის წუთებში მეფე მის გვერდით არ იმყოფებოდა, ის იყო მაშინ სენ—ქერმენშიო“. ედმონდო სოლმი წერს: „დადასტურებულია, რომ ფრანცისკო პირველი არ შეიძლება ყოფილიყო ამბუაზში და ლეონარდოს ოთახში 1519 წლის 2 მაისს“. ამრიგად, ვაზარის მიერ შექმნილი ლეგენდა საბოლოოდ უარყოფილად უნდა ჩაითვალოს.

იმ რამდენიმე სურათის გარდა, რომელიც ზემოთ იყო განხილული, ლეონარდოს აუარებელი ნახატები დარჩა. ისინი ახლა ინახება ევროპის დიდი ქალაქების სხვადასხვა მუზეუმსა და ბიბლიოთეკაში. როგორც ერთი მკვლევარი წერს, ლეონარდოს „ნახატები — მისივე აზრებია, მისივე მსჯელობანი, მისივე დაკვირვებანი, მისივე ინტუიტური მილ-

წევები, მისივე აღმოჩენები“. მისი ნახატებიდან ყველაზე უფრო ცნობილია 1473 წლის პეიზაჟის ეტიუდი (უფიცის მუზეუმში), ნახატი კალმით, რომელიც ტოსკანას ნამდვილ ნატურას წარმოადგენს. ამ ეტიუდით ლეონარდო წინ უსწრებს დიურერის, ტიციანისა და რუბენსის ანალოგიურ ნახატებს. ამაში ჩანს ბუნების უშუალო დაკვირვება, პლასტიკურობის გასაოცარი გრძობა და სივრცის შეუღარებელი ათვისება. ვინძორის მუზეუმში ინახება „ხის ეტიუდი“ და „ჰეკა-ჰუხილი მთაში“. ამ ნახატებიდან ჩანს რომ ლეონარდო ბუნებას სწავლობდა არა როგორც მშრალი პედანტი, არამედ როგორც პოეტი და მეცნიერი.

მაგრამ „ლეონარდო და ვინჩი მარტო დიდი მხატვარი როდი იყო, იგი ამასთან ერთად დიდი მათემატიკოსი, მექანიკოსი და ინჟინერიც იყო, რომლის წყალობით ფიზიკას სხვადასხვა ნაწილში მნიშვნელოვანი აღმოჩენები აქვს მოპოვებული“ (ფრ. ენგელსი), და მართლაც, მეცნიერების ისტორიაში ლეონარდოს დიდი ხანია, რაც დამკვიდრებული აქვს ადგილი ისეთ მეცნიერთა რიგში, როგორიც იყვნენ კოპერნიკი, გალილეი, კეპლერი და ნიუტონი. მხატვარი, მეცნიერი, ფილოსოფოსი ლეონარდო თავისი ეპოქის ყველაზე მოწინავე იდეებისა და მისწრაფებების გამომხატველი იყო. თავისი მეცნიერული და მხატვრული მოღვაწეობის ზოგიერთი მომენტებით ლეონარდო უთუოდ გამოხატავდა ხალხის მისწრაფებებს და ოცნებებს. სიყვარული ბუნებისადმი, ცხოვრებისადმი, ადამიანისადმი — აი ლეონარდოს ოპტიმისტური ფილოსოფიის პათოსი. „მატერიალისტური ფილოსოფიის ისტორიაში მას ეკუთვნის მნიშვნელოვანი ადგილი. იგი მრავალ შემთხვევაში ჯორდანო ბრუნოს და ბეკონის წინამორბედა, ზეცესობის, სქოლასტიკის წინააღმდეგ მისმა გადამწყვეტმა ბრძოლამ კი მნიშვნელოვანი როლი შე-

ასრულა აღორძინების ეპოქაში სინამდვილის შესახებ მატერიალისტური შეხედულებების განმტკიცებაში“ („Большевик“ 1952, № 6). ბუნების შესწავლა ლეონარდოსათვის თავისთავადი მიზანი როდი იყო, მას სურდა ბუნების დამორჩილება ადამიანის კეთილდღეობისათვის. ფრ. ენგელსის თქმით „ბუნების კვლევაც მაშინ საყოველთაო რევოლუციის ვითარებაში მიმდინარეობდა და თვითონაც თავიდან ბოლომდე რევოლუციური იყო“. ლეონარდო უარყოფდა რელიგიურ კრიტერიებს მეცნიერულ დარგში, მისი მთავარი მეთოდოლოგიური თეზისია: ყოველი მეცნიერული დებულება უნდა იყოს შემოწმებული ცდის საშუალებით, „ცდა ერთადერთი წყაროა შემეცნებისა“, „სიბრძნე-ცდის შვილია“. ლეონარდო აღიარებდა, რომ ობიექტური რეალობა არსებობს ადამიანის შეგნების გარეშე, იგი აღიარებდა ყოფიერების პირველადობას. „სახე არ აღმოცენდება ხილული სხეულის გარეშე“, „საგანი ამოძრავებს შეგრძნობას“ (*l'obbietto muove il senso*) ესე იგი ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას. „მთელი ჩვენი შემეცნება იწყება შეგრძნობიდან“. აქ შეიძლება მოვიყვანოთ ვ. ლენინის სიტყვები: «*Это и есть материализм: материя, действуя на наши органы чувств, производит ощущение*» (ტ. XIII, 45) მაგრამ ლეონარდოს მატერიალიზმი მეტაფიზიკური და სტიქიურია. მას არ ჰქონდა შემუშავებული დასრულებული ფილოსოფიური სისტემა, ლეონარდოს ფილოსოფია შუასაუკუნეებრივი კათოლიციზმთან ბრძოლის ძლიერი იარაღია. ლეონარდო სულის შესახებ წერს, იგი თავის ტვინში იმყოფებაო. რაც შეეხება ღმერთს, ლეონარდო ირონიულად გაიძახის, რომ ამის გამორკვევას ანდობს ბერებს, რომელთაც „ყველა საიდუმლოება იცინაო“.

ლეონარდო შეგნებული მოწინააღმდეგეა აბსტრაქციებისა, შეურიგებელი

მტერია ყოველგვარი დოგმატიზმისა. იგი ანტიკური აზროვნების მიღწევებს უკრიტიკოდ როდი ღებულობს. „ვინც კამათის დროს ეყრდნობა ძველების ავტორიტეტს, იგი თავის მესხიერებას იყენებს და არა გონებას“. თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთობის საკითხს ლეონარდო ასე წყვეტს: „პრაქტიკა დაფუძნებული უნდა იყოს კარგ თეორიაზე“, „მეცნიერება-კაპიტანია, პრაქტიკა-ჯარისკაცები“. ლეონარდო არასდროს არ ემაყოფილებოდა თავისი ნაწარმოებებით და მეცნიერული მიღწევებით. იგი მუდამ სრულყოფილებას ეძებდა. „ვერ გამტებს წინააღმდეგობა. უკან არ იხედება ის, ვინც ვარსკვლავს შეჰყურებს“. ასტრონომიის დარგში ლეონარდო ჯერ კიდევ კოპერნიკამდე ამტკიცებდა, რომ „მზე არ მოძრაობს“, „დედამიწა-ვარსკვლავია“. ლეონარდო დარწმუნებული იყო, რომ დედამიწა არც მზის წრის და არც სამყაროს ცენტრშია. დიდი მიგნებანი აქვს ლეონარდოს მთელი რიგი სხვა მეცნიერებაში. მექანიკა, გეოლოგია, პალეონტოლოგია, ოკეანოგრაფია, ჰიდრაულიკა, ჰიდროსტატიკა, ჰიდროდინამიკა, ოპტიკა, აკუსტიკა, თერმოლოგია, ბოტანიკა, ზოოლოგია, ლინგვისტიკა ყველა ამ დარგში ლეონარდოს ახალი იდეები, აღმოჩენები და გამოგონებანი აქვს. ლეონარდო „ნათლად ხედავდა, რომ ადამიანი უნდა დაიპყროს ჰაერის სტიქიონი“, ამიტომ არა მარტო გამოარკვია ავიაციის მთავარი პრინციპები, არამედ აეროპლანის მსგავსი აპარატის პროექტიც კი შეადგინა. ანატომიის დარგში ლეონარდო ეჭვალისის წინამორბედი. ჯიროლამო კარდანო ლეონარდოს ზოგიერთი მათემატიკური იდეების განმარტებელია. ბევრი დიდი აღმოჩენები აქვს ლეონარდოს აგრეთვე ფიზიოლოგიისა და ბიოლოგიის დარგში.

ლეონარდო — აზროვნების და ხელოვნების ტიტანი იყო. თანამედ-

როვე ბურჟუაზიული მეცნიერება ყოველგვარ ზომებს ღებულობს. ლეონარდოს ხელოვნების, მეცნიერებისა და ფილოსოფიის ფალსიფიკაციისათვის. ლეონარდოს სამშობლოში უოლ-სტრიტის ლაქიები და ვატიკანის ხუცეები ავრცელებენ „აბსტრაქტულ ხელოვნებას“, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს სინამდვილესთან და ადამიანთან. დე-გასპერის და შელბას ოფიციალური ხელოვნება — „აბსტრაქტული ქრისტიანული ხელოვნებაა“, მისი მეთაურია კათოლიკე-აბსტრაგისტი იენო სევერინი. დღეს ლეონარდოს სამშობლო ამერიკელი იმპერიალისტების, უოლ-სტრიტის მონოპოლისტების ხელშია. ფლორენციაში, სადაც გაიზარდა და დაეუკაცდა ლეონარდოს გენია, დღეს ამერიკელი გენერლის შლეტერის სამხედრო-საჰაერო შტაბი იმყოფება. მაგრამ დღითიღვე იზრდება იტალიელი ხალხის წინააღმდეგობა, ნაციონალურ-გამათავისუფლებელი მოძრაობა, მშვიდობისათვის და დემოკრატიისათვის ბრძოლა. ქვეყანაში, რომელმაც მისცა კაცობრიობას ლეონარდო, რაფაელი და მიქელანჯელო, მოწინავე მხატვრები ხალხთან ერთად იბრძვიან მშვიდობისათვის, თავისუფლებისათვის. გამოჩენილი მხატვარი-კომუნისტი რენატო გუტუზო, მსოფლიო პროგრესული მხატვრობის ერთერთი უშიშარი წარმომადგენელი, წერდა: „მტკიცედ მწამს, რომ ხელოვნება არსებული სინამდვილის გადაკეთებისა და შეცვლის, კაცობრიობის უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის ერთერთი იარაღია“. ლეონარდო დღეს მთელ პროგრესულ კაცობრიობას ეხმარება მსოფლიო რეაქციული ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში. მშვიდობისათვის ბრძოლა-ეს ამავე დროს ბრძოლაა იმ კულტურის შენარჩუნებისათვის, რომლის ერთერთი საუკეთესო წარმომადგენელი ლეონარდო იყო.



## ბიბლიოგრაფია



მარინამ გარიძეშვილი, „ტრაპეზობისტი“.

„საბჭოთა მწერალი“, 1951 წ.

მ. გარიძეშვილის მოთხოვნის ერთ-ერთი მთავარი გმირი მარო კეთილად ღარიბი გლეხის შვილია. როგორც ბევრი სხვა ღარიბი გლეხი, მაროს მშობლებიც საბჭოთა ხელისუფლებამ გაჭირვებისაგან იხსნა. მარომ ტრაპეზობისტის პროფესია აირჩია და სახელმწიფოს ხარჯზე სამტრედიის რაიონში წულუკიძის სახელოსნო სასწავლებელთან არსებულ სატრაპეზობო კურსებზე შეავლინა ამ პროფესიის შესასწავლად. იქ სწავლობდა აგრეთვე მელიტონი კაკაბაძე, რომლის მამამ — იელიანემ მოჯამაგებობაში გაატარა თავისი სიყრმის წლები და ავად თუ კარგად იმდენი ფული შეაგროვა, რომ შემდეგ ქუთაისში საკეთარი სამიციტრო გახსნა. მას სერეილი ჰქონდა, რომ თავის ერთადერთ ვაჟს ესწავლა, მაგრამ მელიტონმა ეს იმედები არ გაუმართლა. დედისერთა განუბეჭვრებელი ბიჭი სწავლას გულს არ უდებდა და ფუქსავატ ცხოვრებას ეწეოდა. იგი მამამ თავის ქვისს წულუკიძის სახელოსნო სასწავლებლის ზენკალს და კოლის დას — წულუკიძის ძაგსაღები ფაბრიკის მუშა ქალს გაუგზავნა. — კარგი მშრომელი იჯახია და მათთან გამოიზრდება, კარგ ჩვევებს მიიღებსო. მართლაც, მელიტონი გარდაქმნება, ბიძას ის სატრაპეზობო კურსებზე შეჰყავს.

იქ შეხვედბიან ერთმანეთს მელიტონი და მარო. ემაწვილ კაცს მოეწონება ემზიანი ქალი-შვილი, მაგრამ ამისაგან მხოლოდ წარბებზეყარული მზერა ერგო.

კურსების დამთავრების შემდეგ მელიტონიც სამტრედიის მტს-ში ეწეობა სამუშაოდ. იქ იგი ხედება სკოლის ამხანაგს ჩაგუ გვეუჩაქეს, რომელიც უღებამოდ გაიხარდა ბავშვთა სახლში, შეისწავლა საავტომობილო საქმე, დაუბრუნდა თავის სოფელ მელოურს და ახლა მტს-ის სატრაპეზობო ჯგუფის ბრიფადორია.

ჩაგუ და მარო თანასოფლელები არიან. მათ ბავშვობიდანვე შეუყვარდათ ერთმანეთი, როდესაც მელიტონი კაკაბაძე გაიგებს მაროსა და ჩაგუს სიყვარულის ამბავს, გესლით აივსება მეგობრის მიმართ და ყოველნაირად ცდილობს დაამციროს თავისი მეტოქე.

ჩაგუს ჰყავს ბიძაშვილი მამია, რომლის დედლისა დედის მაგივრობას უწევს უღებამოდ დარჩენილ თავის მახლისწულს. მამია თანაუგრძობს ბიძაშვილის რომანს მაროსთან და ყოველნაირად ხელს უწყობს.

მარო, მელიტონი და ჩაგუ თავდადებით შრომობენ საკომუნურნო მიწებებზე. ისინი ჩვენი სოციალისტური ეპოქის სამაგალითო ადამიანები, საშობლოს მგზნებარე პატრიოტები არიან. ტრაპეზობისტი — ქალი მარო, მიუხედავად თავისი პროფესიისა, როდი ჰყარავს ქალურ სიყვარულს და კდემამოსილებას. როდესაც საჭეს სცილდება, სარკესთან კოტაობს, უყვარს ლამაზად ჩაქმა და ზალში გამოსვლა. ჭობულების სანატორიუმში დასვენებისას, მაგალითად. იგი შესანიშნავად ცეკვავს სტუმრად ჩამოსულ ჩაგუსთან ერთად „პართულს“. დამსვენებლებს არა სჯერათ, რომ ისეთი მშვენიერი, ნარნარი ქალი შეიძლება ტრაპეზობისტი იყოს. მაროს სახით აქტორმა რეალისტურად დამატული ტრაპეზობისტი ქალის ტიპი მოგვცა.

საბჭოთა ადამიანების მშვიდობიან შრომას წყვეტს პიტლერული გერმანიის მიერ ჩვენი ხალხისათვის თავზე მოხვეული ომი. იწყება თავდადებული ბრძოლა საშობლოს ღირსებისა და თავისუფლების დასაცავად, ოქტომბრის რევოლუციის დიად მონაპოვართა ვადასარჩენად.

სამტრედიის სამანქანო-სატრაპეზობო სადგურის მუშაობა დიდი უმეტესობა ფრონტს მიაშურებს. მათ შორის არიან ჩაგუ და მამია. მელიტონს ომი წულუკიძეში უსწრებს, სადაც იგი სამუშაოდ გადავიდა. მან ბოლოს შეიგნო უღირსობა თავისი საქციელისა როგორც ჩაგუს, ისე მაროს მიმართ. და როდესაც ომის ხანძარი ავიგვიხიზდა, იგი შინ ვერ ჩერდება, გული იქითვე მიუწევს, სადაც საშობლოს მედი წყდება. ეს მიდის საშხედრო კომისარიატში და აღწევს იმას, რომ ჯარში ავზავნიან. მოქმედ არმიამი მიმავალი მელიტონი გზად მელოურში გაივლის, მარო რომ ინახულოს, ბოდიში მოიხილავს მის წინაშე თავისი უღირსი საქციელისათვის. მელიტონი იმ დროს მიდის სოფელ მელოურში.

როდესაც ქალები და, მათ შორის, მაროც გაცხადებულ შრომაში არიან გართულნი — მოსავალს იღებენ და აბინავენ.

როგორც ცნობილია, ომის დღეებში ფრონტზე წასული მამაკაცები სასახლოდ შესცვალეს ზურგში ქალებმა, რომლებიც უჩვენებდნენ შრომითი მამაკაცისა და გმირობის ბრწყინვალე მაგალითებს, თავს არ იზოგვდნენ იმისათვის, რომ ფრონტი და ჩვენი საშობალოს დამცველები უზრუნველყოთ ყველაფრით, რაც საჭირო იყო მტრზე გამარჯვებისათვის. საბჭოთა ქალების ეს თვალაღება დამაჯერებელი სიმართლით აქვს გადმოცემული ავტორს.

შესანიშნავად ჰყავს დახატული შვერალს ღირსა, ეს ნამდვილი საბჭოთა დედაა, რომელიც სულთ კი არ ეცემა დღისურთას ომში დაკარგვის გამო, არამედ ამ მწუხარებას გმირულად იტანს, მისთვის შრომა ყველაზე დიდი პანთეონებელი ხდება. მას შობილიური მზრუნველობა თავის მავლისშვილის, მის ხელში გაზრდილი ჩაგუს ოჯახზე გადააქვს. ირკვევა რომ მამია ტყვედ ჩაუვდიათ გერმანელებს, მაგრამ მას მოუხერხებია ტყვეობიდან თავის დაღწევა. შეერგებია პარტიზანულ რაზმს და აქტიურად უბრძოლია მტრის ზურგში. ომის დამთავრების შემდეგ იგი ცალფხა ბრუნდება შინ. მამიას მტკის პარტიზანოს მდივანდ ირჩევენ.

ჩაგუ სატანო ნაწილს შეთაურობს; ომში წასული მელტონი მასთან მოხედება ტანის მძლილად; ფრონტზე ისინი უერთგულები მუგობრები ხდებიან და მედგრად იბრძვიან მტრის წინააღმდეგ. მაგრამ ერთ სასტიკ ბრძოლაში მელტონი იღუპება, მამიედ დაპირილ ჩაგუს კი ძაუჯიყვას პოსპიტალში გზავნიან. მას მკავში ხელწაჭრილს და ცალთვალს ნახულობს მასთან წამოსაყვანად იქ ჩასული მარო. შინ დაბრუნებულ ჩაგუ და მარო ქორწინდებიან და ჩვეული ბეჯითობით განაგრძობენ შრომას სოფლის მეურნეობაში, — ჩაგუ კოლმეურნეობის თემეკდომარედ, მარო — ისევ ტრაქტორისტად. მათ იყვი უჩნდებოდ და ბედნიერად ცხოვრობენ. ომის თაუდადებული შრომით საერთო სახალხო დოვლათს ქმნიან.

ასეთია მოკლედ ამ მოთხრობის შინაარსი.

ავტორის მიერ დახატული ტაპები კემშარტი საბჭოთა ადამიანები არიან მთელი თავისი აზრით, გულით და მისწრაფებებით, უყვართ საშობალო, უყვართ შრომა და ამ სიყვარულით არიან შესისხლბორცებული ერთმანეთთან.

მაგრამ საქმე ისაა, რომ მოთხრობის ავტორი ამ შრომას ვერ უჩვენებს ჯეროვანი სისრულით. მხოლოდ ერთი-ორი ეპიზოდით გვიხატავს იგი სამტრედელი ტრაქტორისტების მუშაობას — სოციალისტურ მიმდევრებზე, მამინ როდესაც ნაწარმოების თვით სათაური მოითხოვს, რომ ტრაქტორისტთა ეს შრომა იყოს

წამოწეული წინა პლანზე. ამის ნაცვალდ უმეტესი ნაწილი ნაწარმოებში (დროშობა) ქვეს სამტრედელ ტრაქტორისტთა (დროშობა) ქვეს სხვა ვითარებებში.

ერთ ადგილას ავტორი იჩენს გულმეოწურებას, როდესაც იგი ავთწერს მაროს მოგზაურობას ძაუჯიყვამი საქართველოს სამხედრო ვახთ. იგი 101-ე ვერდზე ვაუწყებს: „მანქანამ კარგა ხანია უკან მიატოვა ეინვალი, აანური, ფასანური, მღეთის გადასასვლელი და მალე ყახზეგიც გამოჩნდა“. მომდევნო გვერდზე, ერთი აბხაის შემდეგ, ავტორი კი ვაემცნობს — „ამ გადასასვლელიც“... თუ „მანქანამ კარგა ხანია უკან მიატოვა ეს გადასასვლელი“, საიდანღა გამოჩნდა იგი ახლა?

წიგნში ვახედება ასეთი მხატვრულად გაუმართავი ადგილები და სახეები, სტილისტური და გრამატკული შეცდომები, როგორცაა: „მატები გუბეში ვერუქმალობდნენ, მერე თავს ამოყოფდნენ... და კისერმოგრეხილი ცალი თვალთ ზეცისაყენ იხედებოდნენ“. „კისერმოგრეხილი თვალი“ სად ნახულა? „მელიტონმა ადვილად მოახერხა იქ წასვლა, სადაც გული მიუწევდა“. „სადაც გული მიუწევდა“, თუ „სათაოც გული მიუწევდა?“ არ ვარგა ასეთი გამოთქმაც: „ხანია გრძობდა მაროს სხვანაირ დამოკიდებულებას ამ ბიჭისადმი?“ ან კიდევ: „წიგნისგან იატაკი დაშბალიყო“. ფიცარი შეიძლება დასველდეს, გაიყლინთოს წყლით, მაგრამ ამ დროს იგი როდი ღებება, თავის სიმყარეებს როდი ჰკარგავს. ან რა მხატვრული თქმეა: „ჩაგუს ანგარიშსწორების სურვილი სდევდა“.

ერთ-ერთ გმირს ავტორი ასე ალაპარაკებს: „ყოველ წუთიერად ადევნებდა თვალურს“. იგივე გმირი ამბობს: ტრაქტორისადმი „გულისხმიერება ვერ გამოივინეო“. გულისხმიერებას ადამიანებისადმი იჩენენ მხოლოდ, მკვებისა და ნივთების მიმართ ეს სიტყვა არ იხმარება. ვაუგებარია ასეთი გამოთქმებიც: „ვისმესთვის პირის მოწმენდა“, მიწის „ნაღარად“ მოხენა. ვერაფერი მხატვრული შედარებაა „ინიბანი (ზღვაში) შატის ფრთებივით იმღებოდნენ“, ან კიდევ: „იქვე ახლოს ფრთებზეგვექცნელი, ბუნაყალბივით დაღრეცილი „მესერაშიტები“ აყირავებულოყენენ“. სად ნახულა დაღრეცილი ბუნაყალი?

სწორი ქართული არ არის: „სანამ ზელები მერჩის“. ცნობილია „გული მერჩის“, „ღონე მერჩის“, ხოლო „ზელები მერჩის“ არაბუნებრივი ფორმაა. ფოსტალიონმა მაროს „საყუთხედად დაეცილი პატარა ზომის კონვერტი ვაუწოდა“. აქ კონვერტი სრულიად ზედმეტია. საქმე შეეხება თუთოდ ფრონტიდან ჩაგუსავან გამოგზავნილ წერბოს, რომელიც უკონვერტოდ იყო გამოგზავნილი სამკუთხედად შევსული.

საიდან გაჩნდა კონვერტა და ისიც სამკუთხედად დაეცილი? კონვერტს რაღა დაეცვა უნდა?

გვხვდება გრამატიკული ნორმების დარღვევის სხვა მაგალითებიც: მე-18 და მე-19 გვერდებზე ვკითხულობთ: „მის შეხაროდნენ ორივე ცოლქმარი“, „ორივე ცოლქმარმა მიიღეს“

უნდა იყოს — „ორივე ცოლქმარი შეხაროდა“. „ორივე ცოლქმარმა მიიღეს“ — ანუ მაგალითების დასახელების აღარ გავაგრძელებთ, ვიტყვიტ მხოლოდ, რომ ნაწარმოები ენობრივად საესეებით სრულყოფილი ვერ არის

ანბ. კალენჯერიძე.

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო კადავროვიური ინსტიტუტის შრომები, X, 1951 წ.



ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ორგანოს — შრომების — მორიგი (X) ტომი იხსნება ი. სტალინის გენიალური საენათმეცნიერო ნაშრომით — „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“.

გ. როგავას წერილი „ახალი, სტალინური ეტაპი საბჭოთა ენათმეცნიერებაში“ ეხება დიდი ბელადის ენათმეცნიერული მოძღვრების უმთავრეს დებულებებს.

სტალინურ ენათმეცნიერებაში მთელი სიღრმით და სიეხადით გადაჭრილია ენის რაობის, ენისა და საზოგადოების ურთიერთობის, ენისა და დიალექტის რაობისა და ურთიერთობის, ენის განვითარების, ენის წარმოშობის, ენათმეცნიერების წამყვანი დარგების, ენისა და აზროვნების ურთიერთობის, ენათმეცნიერების მეოთხდის და სხვა ძირითადი მნიშვნელობის საკითხები, ი. სტალინმა გამანადგურებელი ღახვარი ჩასცა ნ. მარის „ახალ საენათმეცნიერო მოძღვრებას“, რომელსაც პრეტენზია ჰქონდა, ყოფილიყო მარქსისტული თეორია ენის შესახებ და იდეალისტურად ნათლავდა ენათმეცნიერულ ძიებას, რომელიც არ იქნებოდა დაფუძნებული იაფეტიდოლოგიის პრინციპებზე.

სარეცენზოა წიგნში მოთავსებულია პროფ. სიმონ ყაუხჩიშვილის მნიშვნელოვანი ნაშრომი ანტიკური ბათუმის ისტორიის საკითხებზე („ანტიკური ბათუმის ისტორიისათვის“). ეგ საკითხი წამოიჭრა ლაზური ციხე-სიმაგრის — პეტრას ლუკაიზაციის საკითხთან დაკავშირებით. მე-6 საუკუნის საისტორიო წყაროებში მოხსენებულია ეს ციხე-სიმაგრე, რომელიც შავი ზღვის პირას ყოფილა გაშენებული და რომელიც ამ მხარის ეკონომიური ცხოვრების უმთავრესი ადგილი იყო. საგულისხმოა, რომ ამ ტექსტში ბათუმი არ არის დასახელებული სიმ. ყაუხჩიშვილი აღნიშნავს, რომ ნავსადგური და ქალაქი ბათუმი მე-6 საუკუნეში ან არ არ

სებობდა, ანდა არსებობდა, მაგრამ ბერძნებმა მის უწოდეს „პეტრა“. იტყვივა, რომ მე-6 საუკუნის წინაღობისდელი ცნობები პეტრასა და ბათუმის შესახებ არსებულა, პირველად ყოფილსა, ავტორი ასახულებს, რომ არ არის სწორი სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული აზრი იმის შესახებ, თითქოს სტრაბონი იხსენიებდეს ბათუმს („ტა ბატა“); „ბატა“ ანაბს უნდა ნიშნავდეს. სამაგიეროდ, ძველ ბერძნულსა და რომაულ წყაროებში მოხსენებულია მდინარე „ბათოს“, რომელიც ქალაქსაც ერქმეობდა. ბერძნებს მოუნდომებიათ ამ სახელის გააზრება ბერძნული ენის საფუძველზე. მართლაც, ბერძნულად არსებობს ამ სახელის მსგავსი სახელი „ბათოს“, რომელიც „ლრმას“ ნიშნავს. ამრიგად, „ბათ“ ადგილობრივი სიტყვაა და აქედან მიღებულია ქართული „ბათ-ომ-ი“, რაც მკავს ბერძნულ სიტყვას „ბათოს“ (ნიშნავს „ლრმას“). ამ ბერძნული გააზრების საფუძველზე მიღებულია ამ პუნქტის ლათინური სახელწოდება: „პორტუს ალტუს“.

ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის ზოგიერთ საკითხს მივძღვნება გიორგი ყოყმაშვილის სტატია — „ზოგიერთი ბიოლოგიური ტერმინის შესახებ“. ზვენს სამეცნიერო ენაში ლათინური species გადმოცემულია ფორმებით: „სახეობა“, „სახე“. ბიოლოგიურ ლიტერატურაში უფრო ფემოცილებულია „სახეობა“. ავტორი ფიქრობს, რომ „სახეობა“ უმართებულად ფორმა და ამიტომ უნდა განიდევენოს ტერმინოლოგიიდან. როგორია ძველი ქართული ლიტერატურული ენისა და თანამედროვე ცოცხალი ენისათვის მონაცემები? „სახეობა“ ზელოენური წარმოება: „სახე“ სიტყვა ნაწარმოებია „ობა“ სუფიქსით. ძველ ქართულ წყაროებში „სახე“-ს არა ჰქონია ბიოლოგიური ტერმინის მნიშვნელობა; ამ მნიშვნელობით მე-11 საუკუნეში სხვა სიტყვა იყო მიღებული. „სახე“ ძველად ნიშნავდა: სხვაგვარი, სხვანაირი, აშვარი

და ა. შ. მაგალითად, ოთხთავის ტექსტებში „სახე“ გარკვეობის, ობიექტის განმასხვავებელი თვისობრიობის აღმნიშვნელი სიტყვაა. როგორც სპეციალური ტერმინი, იგი აღნიშნავდა ზნეს, ჩვეულებას, нравს-ს. მე-10 საუკუნის ძველში („სახის — მერტუელი“) ეს გაგება დაკანონებულია, ლათინური species-ის (რუსული вид) შინაარსით ძველად იხმარებოდა ტერმინი „გვარი“. ეს კი ქართული ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის კეთილშობილებაა. დღევანდელ ქართულში კი „გვარი“ გამოხატავს species-ზე უფრო მაღალ ტაქსონომიურ ერთეულს genus-ს, род-ს. ქართულ საბუნებისმეტყველო ლიტერატურაში წმინდა ბიოლოგიურ საკლასიფიკაციო ტერმინად „სახე“ იხმარება პირველად მე-19 საუკუნის პირველ მესამედში. ავტორი ასახელებს იოანე ბაგრატიონის „კალმასობას“ და აღნიშნავს, რომ იოანე ბაგრატიონის ცხოველთა და მცენარეთა საშვაროების ასეთი ტაქსონომია შეესაბამებოდა მე-18 — 19 საუკუნის მიჯნაზე ბიოლოგიაში განმტკიცებულ საკლასიფიკაციო გჯგუფების აღნიშვნას.

ამრიგად „ბიოლოგიური კატეგორიისათვის დაბალი ტაქსონომიური ერთეულისათვის ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში species-ის შესატყვის ტერმინად მიღებული ყოფილა ჯერ „გვარი“, შემდეგ „სახე“ (გვ. 32). რაც შეეხება „სახეობა“-ს იგი ნაწარმოებია „ობა“ სუფიქსით, რომელიც განყენებულ სახელთა სწარმოებელია (ჟე-ო-ობა, ბავშვობა). „სახე“ ტერმინის საფუძვლად კი, ავტორის დასკვნით, იწარმოება ბოლნისართიან სიტყვები: „სახებრივი“ — видовой, „სახეთაშორისი“ — межвидовой, და სხვ.

გ. კოკიაშვილი არკვევს, აგრეთვე, ლათინური ордо-ს და რუსული отряд-ს ქართულ ევკლიდურს. ორი ტერმინიდან — „რანგი“ და „რიგი“ ავტორი ასახელებს „რიგის“ უპირატესობას.

დავით მაკეაბიანის წერილში „ქნელ სუფიქსი ქართულში“ გარკვეულია „ქნელ“ სუფიქსის წარმოშობა. „ქნელ“ იშლება ასე: „ქნ-ელ“. ცნობილი „ელ“ სუფიქსის გამოყოფით რჩება „ქნა“, რომელიც შეუქმნელი ფორმაა „უქნან“ სიტყვისა, რომ ავიღოთ ამ სუფიქსის შემცველი სიტყვა, ვთქვათ, „უქანასკნელი“, თავდაპირველად მისი სახე იქნებოდა: „უქანანის-უქნელ“ (ვ. ი. კომპოზიტური წარმოება ყოფილა), ამ გზის გავლით: „უქნანისუქნელ“, შემდეგ — „უქნანისკნელ“, შემდეგ „უქანასკნელ“. ენის განვითარების პროცესში „სკნელ“ ელემენტმა დამოუკიდებლობა მიიღო და დაერთო სხვა ძირებსაც: „ქნესკნელ“, „ხესკნელ“, „გარესკნელ“, „შინასკნელ“. ეს უქანასკნელი სულ ახალა წარმოებაა. ვაიხსენებთ ი. გრიშაშვილის ლექსიდან: „ამბობენ, რომ უხსოვარ დროს, ათ-

სეულ წლებს წინათ, ტბაწყურის შინა ქველში წყარო სქმეფდა პაწაწინა“ (შედარე, აგრეთვე, მისივე: „...გულის შინასკნელს შექმნებულა... ე-ატრში, „ლიტ. ძიებანი“, II, 193). ამასთან ერთად, კრებულში წარმოდგენილია დიალექტოლოგიური ნაშრომები, რომლებიც დაფუძნებულია ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის მიერ მოპოვებულ მასალებზე.

ქეთევან ძოწენიძის ნაშრომი — „ევ სუფიქსისათვის ზემოიშერულში (სოფელ პერევის მეტყველებაზე დაკვირვების მიხედვით) წარმოგვიადგენს ზემოიშერულში გავრცელებულ სუფიქსს, რომელიც საინტერესოა ქართული ენის მორფოლოგიის თვალსაზრისით. ამ სუფიქსით აწმუის წარმოება უცნობია სალიტერატურო ენასათვის და, ამავე დროს, სხვა ქართული კილოებისათვის (გარდა შთარაქულისა). ამასთან დაკავშირებულია ძველი ქართულის „ავ“ და „ამ“ სუფიქსიანი ზმნების უწყვეტლის წარმოება. ამ უქანასკნელის შესახებ კი ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრებანი: 1) პირველი, მეორე და მესამე პირის განსხვავებული ვითარება ერთი და იმავე წარმოების სხვადასხვა სახეა, ე. ი. ფონეტიკურ ფაქტორის მოქმედებაა, 2) საქმე ვაქვს მორფოლოგიურად განსხვავებულ ორ წარმოებასთან. ავტორის აზრით, ვე-სი სახით მორფოლოგიურ ოდენობასთან გვაქვს საქმე და არა ფონეტიკურ ფაქტორთან — ასიმილაციის მოქმედებასთან. ეს იგივე სუფიქსიათ, ამბობს ქ. ძოწენიძე, რომელიც გამოავლინა ა. შანიძემ ზემოიშერულში და რომელიც ა. შანიძის თვალსაზრისით, „ევ კილოსათვის“ იყო დამახასიათებელი.

სარეცენზიო წიგნში წარმოდგენილია იმერული ლექსიკის მასალები. ლექსიკონში შეტანილია იმათი სიტყვები, რომლებიც ან სულ უცნობია ქართულ ლექსიკოგრაფიულ ლიტერატურაში, ან განსხვავებულ მნიშვნელობით იხმარება, სიტყვათა წარმატებას ერთვის ფრაზეოლოგია. ამავე დროს, საკვიროების შემთხვევაში, მიითებებოდა სათანადო ლექსიკოგრაფიულ წყაროებს.

მიხეილ ალაიძეს მნიშვნელოვანი ლექსიკური მასლა შეუერთებია იმერეთის ერთ-ერთ საინტერესო დიალექტოლოგიურ რაიონში — ოკრიბაში. მასში შეტანილია სამასზე მეტი ტექნიკური თუ სხვა ხასიათის ტერმინი სოფლის მეურნეობის, ხელოსანობისა და საოჯახო საქმიანობის სხვადასხვა დარგიდან. ამ მასალის ძირითადი ნაწილი უცნობია და პირველად შედის ლექსიკოგრაფიაში. აღსანიშნავია, რომ აქვე შემოღის ქვემოლენხუმური ლექსიკის ზოგიერთი ნიმუშიც (ესაა ოკრიბის ჩრდილოეთით მოსაზღვრე სოფლები — დერჩი, დღნორისა, სახხერეი და სხვ.) ოკრიბული ლექსიკის ზოგიერთ ნიმუშს უბოვია ლიტერატურული გამოხატულება

(მწერალ რაჟდენ გვეტაძის ნაწერებში გამოყენებულია ამ შეტყუებების მასალა). მ. ალავიძის ლექსიკონში დამოწმებულია ეს ლიტერატურული წყარო ჩვენთვის საინტერესო თვალსაზრისით.

გვაქვს ზოგიერთი მცირეოდენი შენიშვნა: 1) „დღისაველი“ იგივე დღესასწაულია; 2) „დაჯენა“ დაცობაა, მაგრამ საჭიროა აღინიშნოს, რომ იგი მეტაფორულად შექმნილია „დაჯდენა“ სიტყვას მიხედვით; 3) „იმათხოვრა“ — სახეობით ბუნებრივი ფორმაა იმერულ კილოში; 4) „მოქანთრიშებას“ ზოგადი შინაარსიც აქვს: საერთოდ მოლაქუცებას, ჰირფრობას აღნიშნავს; 5) „ტანაჯორის“ განმარტების დროს უნდა იყოს მითითებული ალ. გვენცაძის გამოკვლევაზე — „ტანაჯორის მნიშვნელობისათვის „ვეფხისტყაოსანში“ („ა. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო სამასწავლებლების შრომები“, 1, 1947). ჯერ კიდევ „ვეფხისტყაოსნის“ თავართქილაძისეულ გამოცემაში „ტანა“ ახსნილია როგორც „მოზრდილი წილის“. კახეთში „ტანა“ დღესაც უცხადია და ნიშნავს ზამთარგამოვლელ (ერთი წლიდან ორ წლამდე) შინაურ ცხოველს. გამოთქმულია მოსაზრება, რომ „ტანაჯორი“ შესაძლოა ნიშნავდა ჯორს, რომელიც ერთ წელზე მეტი ხნისაა მშობნ რუსთაველის სიტყვები — „ბრუნავს ვითა ტანაჯორი“ უფრო ვასაგები ხდება; 6) „ჯა“ სიტყვის განმარტება უნდა დაუკავშირდეს ცნობილ „ბეჯა“ სიტყვას.

მღიდარი მასალა. აგრეთვე, მოცემული პ. ჯაჯანიძის ნაშრომში („მასალები იმერული ლექსიკონისათვის“). აქ განმარტებული ზოგი სიტყვა ღირსია შევიდეს სალიტერატურო ენაში.

გვაქვს ორიოდ შენიშვნა: 1) „ბოჭიალა“ სიტყვის ფრაზეოლოგიაში გვხვდება ფორმა

„ბოჭიალებს“. ეს კი არ გამოდგება ნაწილად ილუსტრაციად; იგი „ბოჭიალი“ სიტყვის პირველი ფორმაა და, მასმასაღამ, რეკონსტრუქციულ ენა უნდა იყოს გადატანდლში „ბოჭიალი“; 2) „გლუნჯის“ პარალელურად იხმარება „გლურჯი“; 3) „დაკანანება“ სიტყვასთან არაა მითითებული ვეცოლ ბერძნის „სიტყვის კონაზე“, სადაც ეს სიტყვა უნდა მოიძებნოს „კანან“ სიტყვასთან; 4) სასურველი იყო აღნიშნულიყო „არემა“ სიტყვის მეტაფორული საწყისი; 5) „უფბარი“ — „უფბარი“ სიტყვასთან უნდა იყოს მითითებული საბა ორბელიანის, ზუბინაშვილის, ქლენტის ლექსიკონებზე.

უურადღებებს იხყრობს ირაკლი მათურელის წერილი „ვახუშტი ბაგრატიონის კარტოგრაფიული ნაშრომების ერთ-ერთი ასლი“, რომელიც მნიშვნელოვანი მასალაა ქართული კარტოგრაფიული ლიტერატურის შესასწავლად. ვახუშტის კარტოგრაფიული ნაშრომებიდან ჩვენამდის მოღწეულია საქართველოს ორი გეოგრაფიული ატლასი და რვა ცალკე არსებული რუკა. როგორც სტატიაში აღნიშნულია, მათ საფუძვლად უდევთ მრავალი აღწერითი მონაცემი და გრაფიკული ხასიათის მასალა, რომელიც საქართველოში წლების მანძილზე უნდა დაგროვილიყო. ავტორს 1949 წელს საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში მიუყვალვია ვახუშტის კარტოგრაფიული ნაშრომის ერთ-ერთი ასლისათვის. სარეცენზიო წერილში მოცემულია ვრცელი დახასიათება ვახუშტის ამ საუურადღებო ნაშრომისა.

სარეცენზიო წიგნში, ამასთანავე, მოთავსებულია ნაშრომები გეოლოგიიდან, ფიზიოლოგიიდან, ფსიქოლოგიიდან, და სხვა.

შოთა ძიქიბური.

**ბ. სიხარულიძე, „მ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი ამიერკავკასიის ხალხთა მემორბრობის სულისჩამდგმელები და ორგანიზატორები“.**

გამომცემლობა „კომუნისტი“, 1951 წ.



მე-19 საუკუნის დამლევადან ამიერ-კავკასიის ხალხებმა თავიანთა ბედი დაუკავშირეს რუს ხალხს, რითაც საზღვარი დაელო თურქეთისა და ირანის ექსპანზიის — ხელში ჩაგდლოთ ამიერ-კავკასიის ტერიტორია და დაემონებიათ ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხები. დიდი რუსი ხალხის დახმარებით ქართველები, სომ-

ხები და აზერბაიჯანელები გადაურჩნენ ფიზიკურ განადგურებას.

ამიერ-კავკასიის ხალხებს რუსი მშრომელები ქვეშაობით მეგობრებდნენ მიიჩნდათ. ამასთანავე ცარისტის კოლონიურმა პოლიტიკამ ამიერ-კავკასიაში სასტიკი წინააღმდეგობა გამოიწვია. მოწინავე ინტელიგენციაში ჩაისახა ცარისტის

წინააღმდეგ მიმართული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც შემდგომ ფართო მასშტაბით გაიზარდა, ამ მოძრაობის მეთაურები, — საქართველოში — ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, აზერბაიჯანში — ბ. ფ. ახუნდოვი, ს. ა. შირვანი და სომხეთში — მ. აბტურ ახოვიანი და მიქელ ნაღზანდანი აღზარდნენ ბელინსკისა და გერცენის, ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის მოწინავე იდეებზე.

მეგრამ ამიერკავკასიის ხალხთა ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლებმა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა მასობრივ მოძრაობად ვერ გადაქცირეს, რადგან ეს მოძრაობა დაკავშირებული არ იყო პროლეტარულ მოძრაობასთან. მარქსიზმ-ლენინიზმი გავსაჩუქლის, რომ ნაციონალური საკითხი პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის საერთო საკითხის ნაწილია და ნაციონალური საკითხის გადაწყვეტა დაკავშირებულია უშუალოდ პროლეტარული რევოლუციის საკითხის გადაწყვეტასთან.

ამრიგად, საჭირო იყო ამიერ-კავკასიის ხალხთა ნაციონალურ მოძრაობას სათავეში ჩასდგომოდა მებრძოლი პროლეტარიატი, რომელსაც შეეძლოა სოციალისტური რევოლუციის მიხედვით და, მასთანაღმდეგ, ეროვნული საკითხის გადაწყვეტაც.

ამიერ-კავკასიის მეშთა კლასი სამოღვაწეო ასპარეზზე 90-იანი წლებიდან გამოდის. 1898 წლიდან მას სათავეში უდგებმა „რევოლუციური მარქსისტული ჯგუფი“, „მესამე დასის“ უმცირესობა ი. სტალინის ხელმძღვანელობით. ი. სტალინის მეთაურობით ამიერ-კავკასიის მეშთა მოძრაობა ლენინური სტრატეგიისა და ტაქტიკის ხაზით წარიმართა, ეროვნულ-გამათავისუფლებელმა მოძრაობამ რევოლუციური ხასიათი მიიღო.

გ. სიხარულიძე თავის წიგნში აშუქებს ამიერ-კავკასიის შრომელთა ბრძოლას თავისუფლებისათვის ლენინისა და სტალინის მიერ დასახული გზით. წიგნში გარკვევით არის ნაჩვენები საქართველოში და ამიერ-კავკასიაში ბურჟუაზიული და ოპორტუნისტული პარტიების ანტიხალხური საქმიანობა, რის წინააღმდეგ ბოლშევიკები ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით თანმიმდევრულ ბრძოლას ეწეოდნენ.

ამიერ-კავკასიის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა მრავალფეროვანი იყო, რასაც მეფის მთავრობა თავის მიზნების განსახორციელებლად იყენებდა. ცარიზმი ამიერ-კავკასიის ხალხებს ერთმანეთს უსისიანებდა, რითაც ეს ხალხები სუსტდებოდნენ. თითმყურონელების რუსეთი ცდლობდა შრომელთა ყურადღება

კლასობრივი ბრძოლის საკითხისაკენ აცილებინა.

**ეროვნული**

ამეთ პირობებში გადაუდებელად იჭრებოდა წარმომადგენელი ამიერკავკასიის მრავალფეროვანი მეშთა მოძრაობის დაკავშირება რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციურ მოძრაობასთან. ამისათვის კი, უწინარეს ყოვლისა, საჭირო იყო ამიერ-კავკასიის ხალხთა მჭიდრო თანამშრომლობის განმტკიცება, მარქსიზმის იდეების დანერგვა. ამიტომ აშხანავი სტალინი თავისი მოღვაწეობის დასაწყისიდანვე შეუდგა ამიერ-კავკასიის ხალხთა გაერთიანებას პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე. ამავდროს, აშხანავი სტალინი ებრძოდა იმ ნაციონალისტურ და წყიბლბურეზიულ ინტელიგენციას, რომელიც თავისთავს თვალთმაქცურად მარქსიზმის მიმდევრად თვლიდა. ამ ინტელიგენციის მთავე იყო „მესამე დასის“ ოპორტუნისტული უმრავლესობა ნ. გორდანიას ხელმძღვანელობით. აქედან შეზღვევ ქართული მეწეულებში წარმოიშვა, ანალიგურ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი სომხეთში და აზერბაიჯანში, სადაც შეიქმნა სომხური ნაციონალისტური პარტია „დაშნაკუტუნი“ და აზერბაიჯანულ პანსლამისტების „დემოკრატიული“ პარტია — „მუსავატი“.

ამეთ რთულ ვითარებაში აშხანავი სტალინი აქმნის ჯერ თბილისის ხელმძღვანელ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას, ხოლო შემდეგ მთელი ამიერ-კავკასიის ლენინურ-ისკრულ ორგანიზაციებს, რომლებიც მთელ რუსეთში ბოლშევიზმის მძლავრ დასაყრდენად გადაიქცნენ“ (გვ. 8).

აშხანავი სტალინი წერდა: „თავისი წარმოშობიდანვე (90-იანი წლების დამდეგი) კავკასიის ორგანიზაციები უღარესად ინტერნაციონალურ ხასიათს ატარებდნენ. ერთიანი ორგანიზაცია ქართველი, რუსი, სომეხი და მუსლიმანი მეშეების, რომლებიც ხელიებლჩაიდებულნი ებრძოდნენ მტერებს, — ასეთი იყო პარტიული ცხოვრების სურათი“ (ი. ბ. სტალინი, ტ. 2, გვ. 308 — 309).

ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით ნაციონალისტურ მიმდინარეობათა წინააღმდეგ ბრძოლაში მებრძად ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ ლ. კეცხოველი, ალ. წულუკიძე, სტ. შუშიანი, სურენ სანადარაიანი. მათ დიდი ღვაწლი მიუძღვით ამიერ-კავკასიის ხალხთა შემოქმედრობისათვის, პროლეტარიატისა და გლეხობის პოლიტიკური შეგნებულობის ამაღლებისათვის, ბურჟუაზიული ნაციონალიზმისა და შოკინიზმის გამოსყარავენისა და აღმოფხვრისათვის ბრძოლაში.

ამიერ-კავკასიაში გაჩაღებულ რევოლუციურ მოძრაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ რუსეთიდან გადმოსახლებული რევოლუციონე-

რები. მაგალ, 1900 წლის აგვისტოს თბილისის გაფიცვაში აქტიური მონაწილეობა მიიღო პეტერბურგიდან გადმოსახლებულმა მ. კალანდოძემ, რომელმაც ამიერკავკასიის მუშებს გაუზიარა პეტერბურგის მუშათა რევოლუციური გამოცდილება. ეს ფაქტი ლაზარაშვილის ამიერკავკასიისა და რუსეთის მუშათა შეგობობაზე, რაც იმთავითვე საფუძვლად დაედო ამიერკავკასიის რევოლუციურ მოძრაობას.

მსოფლიო პროლეტარიატის გენიალური ბელადი ე. ლენინი დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს ამიერკავკასიის ბოლშევიკების ბრძოლას, რომლის ორგანიზატორი იყო ი. სტალინი. ამ ბრძოლის შესახებ არაერთხელ აღვნიშნავს ლენინის „ისკრას“, რომელიც წარმოადგენდა როგორც რუსეთის, ისევე ამიერკავკასიის ბოლშევიკების საყრდენ თეორიულ და პოლიტიკურ ორგანოს.

ლენინური „ისკრის“ შემდეგ საუკეთესო მარქსისტული გაზეთი რუსეთში სტალინური „ბრძოლა“ იყო ვახუთ „ბრძოლის“ პირველი ნომრის მოწინავე წერილში — „რედაქციისაგან“ ამხანაგი სტალინი წერდა: „ქართული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა არ წარმოადგენს კერძო მარტო ქართულ მუშათა მოძრაობას საკეთარი პროგრამით. ის ხელისმძლავრებულია იმ მთელი რუსეთის მოძრაობასთან და, მაშასადამე, ექვემდებარება რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას“ (ი. სტალინი, ტ. 1, გვ. 6).

1904 წლის 1 სექტემბერს ვახუთ „პროლეტარიატის ბრძოლაში“ დაიბეჭდა ამხანაგი სტალინის სტატია „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატის ნაციონალური საკითხი?“. ამ სტატიაში ი. სტალინი განმარტავს პარტიის თეორიასა და პროგრამას ნაციონალურ საკითხში, ბოლომდე ამხელს პროლეტარიატის ერთეული გამოჯენის ოპორტუნისტულ პოლიტიკას, მტკიცედ იცავს და ავითარებს პროლეტარიატის კლასობრივ ორგანიზაციის ინტერნაციონალურ წყობას. ი. სტალინის სტატია საფუძვლად დაედო ბოლშევიკების მუშაობას ერთეულ საკითხში.

აგრორი იხილავს ი. სტალინის სტატიას „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატის ნაციონალური საკითხი“ და აღნიშნავს: „ამ სტატიათ ამხანაგი სტალინი გამოვიდა. როგორც ნაციონალური საკითხის დიდი თეორეტიკოსი, მარქსისტული დიალექტიკის ოსტატი. ამ სტატიაში ჩანასახის სახით მოცემულია ის იდეები, რაც ამხანაგი სტალინიმ შემდეგ განათვარა შრომაში „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“, რომელიც მთელი ჩვენი პარტიის პროგრამა გახდა ნაციონალური საკითხში“ (გვ. 14—15).

მუშათა კლასის და გლეხობის პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღ-

ზრდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად გადაიქცა. ცარიზმი კარგად ხელდაედა, რომ ინტერნაციონალიზმი მძლავრი მარქსისტული პროგრამის ბოლშევიკების ხელში. ამიტომ „ამხანაგი მოძრაობის მუშაობამ განიზრახა გამოეწვია ერთეული შუილი ამიერკავკასიის ხალხებს შორის, ცარიზმისა და მემამულეთა წინააღმდეგ მიმართული კლასობრივი ბრძოლა ერთეული ნიადაგზე გადაეტანა. ეს პროვოკაცია მზადდებოდა პეტერბურგში შინაგან საქმეთა სამინისტროსა და კავკასიის მაშინდელი მთავარმართებლის გოლიცინის მიერ წინასწარ მოფიქრებული გეგმის საფუძველზე“ (გვ. 16—17). მეფის მთავრობამ თავის მიზნის მისაღწევად პრაქტიკულ ნაბიჯი გადადგა და 1905 წლის 6 თებერვალს ბაქოში სიმეჭბოა და თათართა შორის შმათა სისხლისღვრა მოხდა.

რ. ს. დ. მ. კ. კავკასიის კავშირის კომიტეტმა, რომელსაც ამხანაგი სტალინი ხელმძღვანელობდა, სასწრაფოდ მიიღო ვეულა ზომა, რათა თავიდან აეცილებინა ამიერკავკასიის რევოლუციური ძალთა გათიშვა. ბოლშევიკური პრესა ააშკარავებდა და ამხილებდა მეფის მთავრობის ბოროტმოქმედებას. დაიწყო გაფიცვები, ფართო რევოლუციური მღელვარებანი მთელს ამიერკავკასიაში.

ამხანაგი სტალინიმ შეაჯამა ბოლშევიკების მიერ ამ მძიმე დღეებში ჩატარებული მუშაობა. ამხანაგი სტალინი წერდა: „დიდი იმედები და იმედების დიდი ვაცრუება! ერთეული შუილის ნაცვლად — ურთიერთ სიყვარული და ნდობა! შმათა მკვლელი რბევის ნაცვლად — განდობილი რედაქციის ნაციონალიზმი, რბევის ამ დამნაშავეს, წინააღმდეგ! დაეშო მეფის მთავრობის იმედები: ვერა და ვერ მოახერხა მან ერთმანეთისთვის გადაეკიდებინა თბილისის ერთეულებანი.“ (ი. სტალინი, ტ. 1, გვ. 82).

აგრორი ფართოდ იხილავს 1905 წლის რევოლუციის შემდეგ შექმნილ მდგომარეობას. მეფის მთავრობამ გააძლიერა რეპრესიები, განსაკუთრებით ე. წ. „განაპირა ქვეყნების“ შრომელების მიმართ. ბურჟუაზიული ნაციონალიზმი უფროდღაფრო სასტიკ ხასიათს ღებულობდა და „მუშათა მასების ჩათრევისას ღამობდა“ (ი. სტალინი, ტ. 2, გვ. 313). ამ პერიოდში პარტიის მთავარი ამოცანა იყო, წინააღმდეგობა გაეწია ნაციონალიზმისათვის, დემოკრატიკობისათვის ინტერნაციონალიზმი, დაეცვა კლასობრივი ბრძოლის ერთიანობა და განუყოფლობა.

ნაციონალური საკითხი განსაკუთრებული სიმწვაით დაისვა მოფლიო მუშათა მოძრაობაში 1912—1913 წლებში, როდესაც გაერკვლა შპინგერისა და ბაუერის კულტურულ-ნაციონალური აგრონომიის კონტრარევოლუციური თეორია. ამიერკავკასიის ოპორტუნისტები ცდილობდნენ ამ რაქციული თეორიის გამოყენებას

ამიერკავკასიის პირობებში. ამხანაგი სტალინი წერდა: „კულტურულ-ნაციონალური ავტონომია, რომელიც უყარვისა საერთოდ, კიდევ უფრო უაზრო და სულელურია კავკასიის პირობების თვალსაზრისით“ (ი. სტალინი, ტ. 2, გვ. 376).

1913 წლის დასაწყისში გამოდის ამხანაგ სტალინის გენიალური ნაშრომი „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“. ამ ნაშრომში „ამხანაგმა სტალინმა სასტიკად გააკრიტიკა ავსტრიული ნაციონალისტური სკოლა და მისი ბუნდელი და კავკასიელი ემიგრანტი და მოგვკა გენიალური მითითებანი კავკასიაში ნაციონალური საკითხის გადასაწყვეტად“ (გვ. 41). ამ ნაშრომის სახით მსოფლიო პროლეტარიატმა მიიღო ნათელი პროგრამა ნაციონალურ საკითხში და შეკნინებული თიგრაბა ერის შესახებ.

შემდეგ ავტორი იბილავს ამიერკავკასიის ხალხთა შეგობობის საკითხს პირველი მსოფლიო ომის დროს. მეფის მთავრობა შრომებელ ხალხს იმპერიალისტური ომის ფრონტებზე მიერეკებოდა. მენშევიკები გაბატონებულ კლასებს ეხმარებოდნენ ამიერკავკასიის შრომელთა რევოლუციური მოძრაობის დასუსტების საქმეში.

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ შეშთა მოძრაობის ვერც ერთი საკითხი ვერ გადაწყვიტა, მით უმეტეს, ნაციონალური საკითხის გადაჭრა სრულიად ვერ შესძლო. თებერვლის რევოლუციამ რუსეთში დაამხო მეფის მთავრობა, მაგრამ ამას ამიერკავკასიაში არსებითი ცვლილება არ მოუხდინია. მეფის ნაცვალი კონტაქტში შედის რუსეთში შექმნილ დროებით ბურჟუაზიულ მთავრობასთან, ცდილობს „დახსლიოს რევოლუციური მოძრაობა“ და აღადგინოს „სახელმწიფობრივი ცხოვრების ნორმალური მიმდინარეობა“. ამ „მთავრობასთან“ ამიერკავკასიის მენშევიკები საქმიან დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ. მენშევიკების გაზეთი „თანამედროვე აზრი“ წერდა, რომ „1917 წლის 4 მარტს კავკასიის მეფის ნაცვალმა, იმპერატორ ნიკოლაზ მეორის ბიძამ, დიდმა მთავარმა ნიკოლაზ ნიკოლოზის-ძემ რომანოვმა ნ. ყორღანი და ნ. რამიშვილი სადარბაზოდ მიიწვია“ (გვ. 59).

ნაციონალური საკითხის ნამდვილი გადაწყვეტა და შრომელი ხალხის საბოლოო განთავსეფლება შესძლო მხოლოდ ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ. 1917 წლის 3 დეკემბერს სრულიად რუსეთის სახკომსაბჭომ ამხანაგ სტალინის წინადადებათ შექმნა კავკასიის საქმეთა საგანგებო კომისიის პოსტი, რომელზედაც დაინიშნა ს. შუმიანი. მის, ცხაყასთან ერთად ს. შუმიანი ჩაუდგა სათავეში კავკასიის ხალხთა ბრძოლას სამჭოთა ხელისუფლებისათვის.

1917 წლის 15 ნოემბერს ამიერკავკასიაში შეიქმნა ანტისამჭოთა კოალიციური მთავრობა — ამიერკავკასიის კომისარიატი. ამასთან და-

კავშირებით ავტორი ეხება ამიერკავკასიაში გერმანელი და ინგლისელი იმპერიალისტების ინტერვენციის საკითხს. ამიერკავკასიაში საჭურჭდა ხელისუფლების ხაწინააღმდეგ ბრძოლამ ლაიკდარბად იქცა. ამიერკავკასიის ხალხები გაფიცვებსა და შეიარაღებულ აჯანყებებს აწყობდნენ როგორც შინაურად, ისე უცხოური მმართველების წინააღმდეგ. 1920 წლის 28 აპრილს სამჭოთა ხელისუფლება დამყარდა აზერბაიჯანში, ხოლო ამავე წლის 29 ნოემბერს — სომხეთში.

1921 წლის დამდეგს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება საქართველოში შეიარაღებული აჯანყების მოწოდების შესახებ. ლენინსა და ი. სტალინის მითითებით აჯანყებულ ქართველი ხალხის დასამხარებლად გამოეშურა სახელოეანი მე-11 არმია, რომელსაც ს. ორჯონიკიძე და ს. კირაფი მეთაურობდნენ. ექვე 1921 წლის 25 თებერვალს ს. ორჯონიკიძე დეკლემო ატობინებდა ვ. ლენინსა და ი. სტალინს: „თბილისზე ფრიალებს სამჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა. გაუმარჯოს სამჭოთა საქართველოს!“ (გვ. 84).

ამიერკავკასიის ხალხთა სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვდნენ სახალხო მეურნეობის აღდგენასა და შემდეგომ განვითარებას. ავტორი იბილავს იმ დაბრკოლებებს, რომლებიც ამიერკავკასიაში სამჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ხელს უშლიდა სამეურნეო აღმშენებლობის საქმეს (მაგალ., ნაციონალ-უკლონიზმი). 1921 წლის 28 ნოემბერს ვ. ლენინმა შეადგინა ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის პროექტი, რომლის განხორციელებაც ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებს დაევალო.

ამავე თავეში ავტორი მოგვითხრობს, თუ რა უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს ამიერკავკასიის სამჭოთა რესპუბლიკებმა მას შემდეგ, რაც მათ სათავეში ჩაუდგა ლ. ბერია. „ამიერკავკასიის ფედერაციამ ბრწინვალედ შესარტულა მის წინაშე მდგარი ამოცანები: აღმოფხვრა ნაციონალური შეუღლი ამიერკავკასიის ხალხებს შორის, ამიერკავკასიის რესპუბლიკების ძალეში გაეერთიანა ამ ქვეყნების სამეურნეო და კულტურული აჯეჯებისათვის. ამასთან ერთად ამიერკავკასიის ფედერაციის არსებობის პერიოდში აღიზარდნენ ადგილობრივი კადრები სახალხო მეურნეობის ეველა დარგისათვის“ (გვ. 107 — 108). ამიერკავკასიის ფედერაციამ შესარტულა თავისი ამოცანები და იგი 1936 წელს გაუქმებულ იქნა.

სამამულო ომის დღეებში საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის შრომელები დიდი რუსი ხალხის წინამძლოლობით, სტალინური შეგობობით შეყავშირებულნი, მამაცურად იბრძოდნენ ფაშისტური ურდოების გასანადგურებ-



ლად. 1942 წლის 24 აგვისტოს, როცა გერმანელი დამპყრობლები კავკასიის ყარებს მოადგნენ, ამიერკავკასიის ხალხთა შეილები თბილისში შეიკრიბნენ ანტიფაშისტურ მიტინგზე და დიდ სტალინს შესვიცეს, რომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებენ საბჭოთა სამშობლოს დასაცავად.

დიდი სამშულო ომის დამთავრების შემდეგ ამიერკავკასიის ხალხები იბრძვიან სახალხო მე-

ურსეობისა და კულტურის ფრონტებზე ახალი ახალი გამარჯვებისათვის, მსოფლიოში მშვიდობისა და დემოკრატიის განმტკიცებრათვის.

სარკვევნიო წიგნი დაბარებას გაუქვეს ჩვენს მკითხველებს ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის საკითხის შესწავლაში.

ილ. ფიქიჩიშვილი

**მ ნიორაძე — საბჭოთა ლიტერატურის სწავლების საკითხები ქართულ საშუალო სკოლაში. 1951 წ.**



საბჭოთა ლიტერატურის სწავლების მეოქოდიკის მეცნიერულ საფუძვლებზე დამყვადრებისათვის ჩვენს ქვეყანაში ამაჟამდ სერიოზული მუშაობა ტარდება: უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლებში, ინსტიტუტებში, სახალხო განათლების ორგანოებთან არსებულ მეთოდკამინეტებში სისტემატურად ვწყობა მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენციები, იწერება და ყოველწლიურად გამოდის წიგნები, სადაც განზოგადებულია მოწინავე პრაქტიკოს-მასწავლებელთა მუშაობის გამოცდილებანი და საბჭოთა ლიტერატურა განხილულია, როგორც აღმზრდელობათა სწავლების უმნიშვნელოვანესი საშუალება.

ამ მხრივთა საყურადღებო საქართველოს სსრ პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტის მიერ გამოცემული გ. ნიორაძის წიგნიც, რომელიც მიზნად ისახავს საბჭოთა მწერლობის შესახებ არსებული ლიტერატურის, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო პროგრამების, სახელმძღვანელოების, მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილებების ანალიზის საფუძველზე საბჭოთა ლიტერატურის სწავლების უმნიშვნელოვანესი საკითხების გარკვევას.

წიგნის პირველ განყოფილებაში განხილულია საბჭოთა ლიტერატურის სწავლების პრინციპები. ამასთან დაკავშირებით ავტორი ებება ს.ჯ. კ. ბ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ძირითად გადაწყვეტილებებს საბჭოთა ლიტერატურის შესახებ. მათი მიმოხილვით სარკვევნიო შრომაში ნაჩვენებია, თუ რა გულისხმიერად ურდიდა და ავითარებდა ჩვენი პარტია საბჭოთა ლიტერატურას, რომელსაც პირველი ადგილი უჭირავს ყველა დროისა და ყველა ქვეყნის ლიტერატურათა შორის.

საბჭოთა ლიტერატურის სწავლების ამოცანები, ავტორის განსაზღვრით, „ორ ჯგუფად გა-

იყოფა: პირველ ჯგუფს ეკუთვნიან ამოცანები, რომელთაც შეეცნებოთი, სასწავლო საგანმანათლებლო ხასიათი აქვთ, მეორეს კი ამოცანები, რომელთა გადაწყვეტა ახალგაზრდობის იდეურ პოლიტიკურ აღზრდას ეხმარება და აღმზრდელობითი ხასიათი აქვთ“.

საბჭოთა მხატვრული ლიტერატურის სწავლების პირველ ამოცანად ის უნდა ჩითვლოს, რომ ლიტერატურის სასწავლო ყურსმა ხელი შეუწყოს მოსწავლეებში მშობლიური საბჭოთა ხალხისა და სამშობლოსადმი მგზნებარე სიყვარულის აღზრდასა და განვითარებას. ამ მიზნისათვის, როგორც ავტორი მიეთითებს, მდიდარ მასალას იძლევიან ნ. ოსტროვსკის „როგორ იწრთობოდა ფოლადი“, ა. მირცხელავას „ქმედი“, ვ. ლენინის „გარი“, ნ. ტიხონოვის „კიროვი ჩვენთან არის“, ა. აბაშელის „თბილისი“ და სხვ., რაც ქართულ საშუალო სკოლაში ისწავლება.

სამშობლოს სიყვარულის თემასთან განუყოფლად დაკავშირებულია დიდი ბელადების ვ. ი. ლენინისა და ი. შ. სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მხატვრული ასახვა. ამიტომ შეუძლებელია სკოლაში ისწავლებოდეს პატრიოტული ნაწარმოებები ისე, რომ მათი ანალიზის დროს მასწავლებელმა ერთმანეთს არ დაუკავშიროს სამშობლოსა და ბელადის თემა.

ლიტერატურის სწავლების პროცესში ასევე დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ხალხთა სტალინურ მეგობრობას, სოციალისტური პუმანიზმის და ყველა სხვა იმ უკეთილშობილესი თვისების გამოხატვას მხატვრულ ნაწარმოებებში, რაც საბჭოთა ადამიანს ახასიათებს.

წიგნის მეორე განყოფილებაში მიმოხილულია მასალაზე საბჭოთა ლიტერატურის სწავლების მდგომარეობის შესახებ ქართულ საშუალო სკოლაში 1921 — 1945 წლებში. ავტორის მიერ

საანალიზოდ შერჩეული ცნობები ცხადყოფენ, რომ საბჭოთა თანადროულობის ამსახველი მხატვრული ნაწარმოებები პირველად ქართული ლიტერატურის 1925 წლის პროგრამით იქნა გათვალისწინებული, რისთვისაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის ე. პ. ბ) ცენტრალური კომიტეტის 1925 წლის 18 ივნისის ცნობილ რეზოლუციას „პარტიის პოლიტიკის შესახებ მხატვრული ლიტერატურის დარგში“.

1925 — 1931 წლები ჩვენი რესპუბლიკის სკოლებში საბჭოთა ლიტერატურის სწავლების პირველ ეტაპს წარმოადგენდა. მეორე ეტაპი მოიცავს 1931 — 1941 წლებს, როდესაც თავისი ადგილი დაიჭირა სწავლების ისეთმა მეთოდებმა, როგორცაა წიგნზე მუშაობა, საუბარი, თხრობა, სასკოლო ლექცია, თხზულების წერა და სხვა. სწავლების ასეთი მეთოდი ავტორის აზრით „ხელს უწყობდა ტექსტის საფუძვლიან შესწავლას და მის იდეურ-თემატურ და მხატვრულ ანალიზს“. მესამე ეტაპი მოიცავს 1941 — 1945 წლებს, როდესაც საბჭოთა ლიტერატურის სწავლებას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა და ოპიამდელ წლებთან შედარებით სკოლებში ასწავლიდნენ საბჭოთა ნაწარმოებების მერ რაოდენობას.

წიგნის მესამე განყოფილებაში ავტორი ეხება ომის შემდგომ პერიოდს, როდესაც საბჭოთა ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესების საკმეში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს საკ. ე. პ. ბ) ცენტრალური კომიტეტის 1945 წლის 14 და 26 აგვისტოს ისტორიულმა დადგენილებებმა ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე, აგრეთვე, ამხანაგ ა. ვდანიოვის მოხსენებამ ეურნალების „ხვეზდასა“ და „ლენინგრადის“ შესახებ, მისმა გამოსვლამ ფილოსოფიის საკითხებისადმი მიძღვნილ დისკუსიაზე, ცენტრალურ და რესპუბლიკურ პრესაში გამოიღმა ბრძოლამ კოსმოპოლიტიზმისა და ანტიპარტიოტიზმის წინააღმდეგ. ამ დოკუმენტების „გამოქვეყნება და დემონტაჟი თერთმეტწლიანი სწავლების შემოღებას ჩვენი რესპუბლიკაში“.

წიგნში მოყვანილია ცნობები, რომლებიც მოწმობენ, რომ საბჭოთა ლიტერატურის სწავლების ხარისხის ამაღლებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლების თერთმეტწლიანი სისტემის შემოღებამ. ამ ღონისძიების შედეგად, რომელიც სავაჭრო მთავრობის ნებართვით განხორციელდა, მნიშვნელოვნად გაიზარდა საბჭოთა ლიტერატურის შესასწავლად გამოყოფილი საათების რაოდენობა.

იმ მიზნის განსაზოციებლად, რომელსაც საბჭოთა ლიტერატურის სწავლება ისახავს, დღე მნიშვნელობა აქვს სასწავლო მასალის შერჩევას. ამ მხრივ არსებული მდგომარეობის საი-

ლუსტრაციოდ წიგნის ავტორი მიმოიხილავს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოქმედ სასწავლო პროგრამებს და ახეხებს მათში დაშვებულ შეცდომებს, როდესაც „უტყობი ეტაპ V, VI, VII, VIII კლასებში 1950 წლის პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო მასალას, საშარტლიანად აღნიშნავს, რომ პროგრამა არ ითვალისწინებს საკომეურნეო სოფლის ცხოვრების ამსახველ ნაწარმოებებს, გარდა ამისა, „V — VIII კლასებში შესასწავლად გათვალისწინებულ საბჭოთა ნაწარმოებების დიდი ნაწილი პოეტური ნაწარმოებებია“. ლიტერატურის სასწავლო პროგრამებში შემჩნეულ ამ ნაწილს უკვე მაქცია ყურადღება საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ.

წიგნის ამავე განყოფილებაში განალიზებულია 1948 წლის ზაფხულში „ლიტერატურისა და ხელოვნების“ ფურცლებზე საბჭოთა ლიტერატურის სწავლების შესახებ დაწვეული დისკუსიის მასალები. დისკუსიამ და დისკუსიის შემდეგ ჩატარებული თათბირის შედეგებმა ცხადყოფს ლიტერატურის პროგრამებისა და სახელმძღვანელოების ის ნაკლოვანი მხარეები, რაც უნდა იქნეს აღმოფხვრილი სახალხო განათლების ორგანოების მიერ.

წიგნს წმინდა პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. მასში გარჩეულია დამახატებელ მასწავლებელთა მიერ ჩატარებული გაკვეთილები. ამ გაკვეთილების ანალიზი, რომელსაც ავტორი ახდენს, ჩვენი სკოლების ბევრ ახალგაზრდა მასწავლებელს გამოადგება სახელმძღვანელოდ.

ენათმეცნიერების საკითხებზე ხალხთა ბელადის ი. სტალინის ფუძემდებელი შრომების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით ავტორი წერს: „ყოველი ნამდვილი მოწინავე და ხალხის ინტერესებისათვის მებრძოლი მწერალი არა ატყუებული და გაუგებარი ენობრივი და პოეტური ფორმებით ქმნის თავის ნაწარმოებს, არამედ ცალკალი, ხალხისათვის გასაგებია ერთიანი, საერთოგონიერი ენით, ნათელი, ბუნებრივი პოეტური სახეებით“.

ავტორი მიუთითებს, რომ მხატვრული ნაწარმოების ანალიზის დროს მასწავლებელმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს თხზულების ენას. ეს, რა თქმა უნდა, სწორია. საჭირო იყო გვეთქვა მეტიც: სახელმძო, საჭიროა აღინიშნოს, თუ კონკრეტულად, როგორია მუშაობა უნდა აწარმოოს პედაგოგმა ლიტერატურული ნაწარმოების ენობრივი ანალიზისათვის.

შრომის დასასრულს ნიშნისათვის წარმოდგენილია მეთოდური ხასიათის შენიშვნები ე. ლინიძის პოემის — „სტალინი. ბავშვობა და ყრობა“ ანალიზისათვის, „ამ პოემის შესასწავლად — ამბობს ავტორი — წყობილი უნდა იქნეს „ოისებ ბესარიონის-მე სტალინი. მოკლე ბიოგრაფია“ (მეორე შესწარებული და შესწავ-

ბული გამოცემა: პ. კაპანაძის „ბელადის ბავშვობა და ყრობა“, ქ. ელისაბედაშვილის „ყრობა“, ნარკვევები გორზე და, აგრეთვე, ყველა ის მასალა, რაც ბელადის ბავშვობისა და ყრობის წლებს შეეხება“. მართალია, ამ მასალის გამოყენება დიდად შეუწყობს ზეს ჰოემის ტექსტის სულთელანად გავება-შესწავლას, მაგრამ ქართული ლიტერატურის სასკოლო პროგრამით ჰოემა „სტალინი. ბავშვობა და ყრობა“ XI კლასში ისწავლება და მას ოთხი საათი ეთმობა. ეს დრო ძალზე მცირეა, ამიტომ, ავტორი მოვალე იყო, ქართული ლიტერატურის ამ ლირსმეანობის ნაწარმოების შესასწავლად საჭირო საათების მოპოვების საპრობლემაზე მეთვითობინა, ან შეემოტირებინა ამ მასალის მოცულობა, რომლის გამოყენებაც, მისი აზრით, სასურველია მოსწავლეებისათვის ჰოემის ტექსტის გასაგებად.

წიგნის მე-17 გვერდზე ავტორი ეხება შალვა დადიანის ისტორიულ-რევოლუციურ ღრამას „ნაპერწყლიდან“ და აღნიშნავს, რომ „ეს ნა-

წარმოები ასახავს 1901—1902 წლებში დიდი სტალინის ზელმძღვანელობით ბათუმის მუშათა კლასის რევოლუციურად დარღვევას და მის ბრძოლას ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ...“ ჯერ ერთი, ამ წინადადებაში ენობრივად ყველაფერი რიგზე როდია. მაგალითად, იქ სადაც ნათქვამია „შთა“ უნდა იყოს „შის“, რადგან ეს ნაცვალსახელი ამ შემთხვევაში მხოლოდობით რიცხვში დასმული სახელის — „კლასის“ ექვივალენტია; მეორე, შ. დადიანის ღრამა ასახავს 1901—1905 წლებში ახალგაზრდა სტალინის ბრძოლას ლენინურ-ისერული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნისათვის საქართველოსა და ამიერკავკასიაში. ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ 1901—1902 წლებში დიდი სტალინის ზელმძღვანელობით ბათუმის მუშების მიერ მოწოდებული გაფიცვები და დემონსტრაციები კი ამ ნაწარმოებში ასახული მოქმედების ერთი ეპიზოდია.

დ. იოსავშილი.

## ი. დოლიძე — „ადრინდელი უმოღაურე სამართლის ძეგლები“



შრომა ვათვალისწინებელია სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის დაშხმარე სახელმძღვანელოდ სახელმწიფოსა და სამართლის ზოგად ისტორიაში. იგი სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორიის ერთ ნაწილს შეეხება, სახელდობრ ადრინდელი ფეოდალური ეპოქის სამართლის ისტორიას (ფრანკების სახელმწიფო). ავტორი სწორად მოიქცა, როცა ფრანკების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის საკითხები ცალკე გამოყო, რამდენადაც ამ პერიოდის ძეგლებიდან ქართულ ენაზე ცნობილია მხოლოდ პრაფ. გ. ნათაძის მიერ გამოქვეყნებული „კაპიტულარები მამულების შესახებ“. საერთოდ, ფრანკების პერიოდის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის შესახებ არ მოგვეპოვება არც ნათარგმნი და არც ორიგინალური შრომები. ამ შრომე ი. დოლიძის ნაშრომი აესებს ამ ხარეულს.

შრომის შედგენილობა ასეთია: წინასიტყვაობა, შესავალი და ფრანკების პერიოდის ძეგლები. წინასიტყვაობა აქნობს მკითხველს შრომის დანიშნულებას, ჩამოთვლის იმ იურიდიულ აქტებს, რომლებიც მოცემულია შრომაში და მი-

უთითებს წყაროებზე. საიდანაც არის ამოღებული ესა თუ ის ძეგლი. შესავალში გარჩეულია მერიონების პერიოდის სახელმწიფო და სამართლის ინსტიტუტები.

ავტორი შრომას კრებულს უწოდებს, მაგრამ კრებულის ხასიათს ატარებს მხოლოდ შრომის შესამე ნაწილი, სადაც მოცემულია გერმანული ტომების სამართლის 6—9 საფურცელთა ძეგლები, მთავარი ადგილი სალიკურ სამართალს უკავია. შეიგადამივ მოცემულია ძველის მოკლე კომენტარი და ზოგიერთი ინსტიტუტის ახსნა-განმარტება.

თავის გამოყვლევაში ავტორი, უწინარეს ყოვლისა, აბისათებს ფეოდალური ეკონომიური ფორმების წარმოშობასა და მის განვითარებას. ი. დოლიძე მართებულად არყვევს ფეოდალური ეკონომიკის საფუძველს და გერყვენებს. მისი განვითარების ძირითად მიმართულებას.

ავტორი ეძებს იმ მიზეზებს, რომლებიც გამოიწვია სალიკური სამართლის შექმნა. მისი აზრით, სალიკური სამართლის შექმნის „მთავარ მიზეზს წარმოადგენდა ის შწავეე სოციალური ბრძოლა, რომელიც არსებობდა ახლად წარმოშობილ მსახურეულ არისტოკრატისა და მსხვილ

მიწამფლობელებსა, ერთის მხრივ, და თავი-სუფალ გლეხკაცობასა, ლიტებსა, ვაზატებუ-ლებსა და მონებს შორის, მეორე მხრივ" (გვ. XIII).

დაწერილებითაა მოთხრობილი მოსახლეობის ცალკეული კატეგორიების შესახებ სალიკური სამართლის მიხედვით და ხაზგასმულია, რომ სალიკური სამართლის ეპოქაში "ფრანკთა სა-მეღმწიფოს სოციალურ დასაყრდენს თავისუ-ფალი გლეხობა წარმოადგენდა (გვ. XXI). ამის-თანავე დახასიათებულია მოსახლეობის სხვა კატეგორიებიც: მსახურეული არისტოკრატია, მონები, ლიტები და სხვა.

როგორც მოსალოდნელი იყო ავტორი დაწე-რილებით არჩევს მეროვინგების სახელმწიფო-ებრივ წყობილებას. აღნიშნულია, რომ მერო-ვინგების დროს სახელმწიფო ხელისუფლება შედარებით სუსტი იყო. მეფე "სახელმწიფოს განაგებდა მსახურეულ არისტოკრატისა და მსხვილ მიწამფლობელებთან ერთად. სამართ-ლიანდაა წარმოჩენილი მაიორდომების განსა-კუთრებული როლი მეროვინგების სახელმწი-ფო აპარატში. ასევე მართებულადაა დახასია-თებული მეროვინგების სამეფო მოხელეები: რეფერენდარი, გრაფი, ზაზინდარი, კონტაბ-ლი, სენშალი და სხვ. ი. დოლიძე ერთმანეთს უდარებს მარტისა და მაისის მინდორს და უთი-თებს იმ დიდ განსხვავებაზე, რომელიც არსე-ობდა კაროლინგების მაისის მინდორსა და მე-როვინგების მარტის მინდორს შორის: "მარტის მინდორი" ჯარის საბრძოლო დათვალერების ადგილი იყო, კაროლინგების "მაისის მინდო-რი" კი მსხვილი მავანტების ყრილობა, რომე-ლიც სწვევდა საფინანსო, სავადასაბადო, ლაშ-ქრისა და სხვა საკითხებს". (გვ. XXXI).

სწორად არჩევს ავტორი სასამართლო ორ-განობის დანიშნულებას ფეოდალურ საზოგა-დებაში, საერთოდ, და მეროვინგების სახელ-მწიფოში, კერძოდ. ცენტრალური ხელისუფლე-ბა ცდილობდა სასამართლოს საჯარო ხასიათი მისცემოდა და ამ მხრივ მაქსიმალურად შეზ-ღუდულყო ადგილობრივი ფეოდალები; იგი ამ ცონისძიების საეხებით გატარებას ფეოდალური წყობილების დროს ვერ ახერხებს, მაგრამ ასე-თი მისწრაფება მის ყოველთვის აქვს.

სასამართლო წარმოება, სალიკური სამართ-ლის მიხედვით ძირითადად დაფუძნებული იყო კერძო ინიციატივაზე, მხარეებზე; მხოლოდ ზოგ-ჯერი, გამონაკლისის სახით, მძიმე დანაშაულის დროს, საქმის გარჩევაში საჯარო ხელისუფლე-ბა იმჩენდა ინიციატივას.

მტკიცების საბუთებს შორის სალიკური სა-მართალი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მოწმე-თა ჩვენებას, გარდა ამისა, სალიკური სამართ-ლი მტკიცების საშუალებად იყენებდა ფიცს, ორდალიებს, ორთაბრძოლას და სხვა.

წიგნი დახასიათებულია დანაშაულისა სის-ტემა სალიკური სამართლის მიხედვით: ემსიფი-ნავე აღნიშნულია, რომ სალიკურმა სამართალ-მა არ იცის სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმარ-თული დანაშაული. ავტორის აზრით, ასეთი მნიშვნელოვანი დანაშაულის გამოტოვება აიხს-ნება იმ გარემოებით, რომ ეს დანაშაული ადო-თობრივი ნორმებით სასტიკად ისჯებოდა და საქმით არ იყო კრებულში მისი შეტანა.

ავტორი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სალიკური სამართალი ცალკეული შემთხვევა-ბის საფუძველზე შედგენილი და ამიტომ და-ნაშაულისა გარკვეულ სისტემას იქ ვერ ენახუ-ლობთ. სალიკური სამართალი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საკუთრების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს და ასეთი დანაშაულისა-თვის მძიმე სანქციას ითვალისწინებს, რადგან-ც საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშა-ული იმავე დროს ვაბატონებული კლასის წინა-აღმდეგ მიმართული დანაშაულია. ასეთი დანა-შაულის წინააღმდეგ კი სისჯელი უმთავრე-სად ექსპლიატირებული მასების წარმომად-გენლების წინააღმდეგ არის მიმართული.

დასასრულ, ავტორი ჩერდება სამოქალაქო სა-მართლის ინსტიტუტებზე სალიკური სამართლის მიხედვით. ამ ძირითადი ყურადღება ექცევა სა-კუთრების უფლების ინსტიტუტს და ნაჩვენე-ბია პროცესი ფეოდალური საკუთრების უფ-ლების წარმოშობა-განვითარებისა. ავტორი გვხატავს იმ ბერდიდულ რეციმს, რომლითაც დახასიათდება შენეფციუმი, ალოდი და სხვ. დახასიათებულია იმენიტეტი, როგორც ფეო-დალური საზოგადოების დამახასიათებელი ინსტიტუტი.

სალიკური სამართლით საოკაშო ურთივრე-ობა ქალისა და მამაკაცის უთანასწორობაზე იყო აგებული: ოჯახის უფროსი იყო მამა, რომელიც მერუევობას ახორციელებდა ოჯახის ყველა წევრის მიმართ (მათ შორის ცოლის მი-მართ). ვარდა ამისა, ქორწინება ნებადართული იყო მხოლოდ თანასწორთა შორის; თუ თავისუ-ფალი ქალი ცოლად მონას წაუხვევებოდა თავი-სუფლებას კარგავდა.

მემკვიდრეობა, სალიკური სამართლის მიხედ-ვით, ქალიშვილს არ უნდა გადასცემოდა. შეშ-დეგ სალიკური სამართლის ეს დებულება შეი-ცვალა და ვაბატონებული კლასის წარმომად-გენელი ქალიშვილი ალიარებულ იქნენ მემკვიდ-რეებად.

შრომა მეთოდოლოგიურად სწორად არის აგებული. ავტორი გასაგებად და მიმზიდველად გადმოგვცემს საქმიად რთულ პრობლემებს. მიუხედავად დადებითი მხარეებისა, შრომა მაინც იწვევს ზოგიერთ შენიშვნას. ავტორი აღნიშნავს, რომ მე-6 საუკუნეში ფრანკთა სახელმწიფოში მეფის ხელისუფლები-

დასუსტება დაიწყო მსხვილი მაგნატების სასარგებლოდ; შემდეგ, განაგრძობს ავტორი, იგივე ტენდენცია თავს იჩენს კაროლინგების დინასტიის დაცემის მომდევნო პერიოდში (გვ. XXXVIII). იმალება კითხვა: რა მდგომარეობა იყო კაროლინგების იმპერიის დროს? საქმე ისაა, რომ, მიუხედავად მოჩვენებითი სიმდიდრისა, არც კარლოს დიდის დროს იყო მეფის ხელის უფლება ძლიერი. ამის მიზეზი მასში შემავალი ხალხებისა და ტომების სიმრავლე და განვითარების სხვადასხვა საფეხურზე დგომა იყო. საერთოდ, კარლოს დიდის იმპერია საინტერესო პერიოდი იყო ფეოდალიზმის ისტორიაში და მისი უგულვებელყოფა გაუმართლებელია.

ნაშრომში სქემატურადაა მოცემული ფეოდალური საყუთრების უფლების განმარტება. საკითრ იყო საყუთრების უფლების უფრო ღრმად შესწავლა. ფეოდალური საზოგადოების იერარქია საყუთრების უფლების დანაწევრებულ შინაარსისაგან გამოიშინარეობს. სენიორი შეიძლება იყოს უმაღლესი მესაყუთრე, რომელსაც შეიძლება ჰყავდეს მთელი რიგი დამკვლევებელი მესაყუთრეები: სენიორი, ვასალი, ვასალის ვასალი და ა. შ. უმაღლესი მესაყუთრე შესაძლოა თავისი მიწის ნაწილის ექსპლოატაციას უშუალოდ ეწევა, სხვას კი თავის ვასალს გადასცემს. ფეოდალური საყუთრების შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ გამატრეებულმა ელასმა მთლიანად უნდა გაინაწილოს გლეხების ექსპლოატაციის შედეგი. ვასალის რომელიმე სახის ვალდებულება სენიორის მიმართ (მიღებული მიწის გამო) ელასის საერთო ინტერესებს ემსახურება. ფეოდალთა ასეთი დანაწევრებული საყუთრების გარდა ფეოდალურ საზოგადოებაში საქმე გვაქვს გლეხის საყუთრების უფლებასთანაც. ფეოდალური საყუთრების თავისებურება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ფეოდალური საყუთრების განსაკუთრებული სიძრევის გამო ცნება ფეოდალური საყუთრებისა გლეხის საყუთრებასაც იტყვას, სულ ერთია, რა შინაარსისადაც არ უნდა იყოს ის. შრომაში ამ საკითხებზე პასუხი არ არის გაცემული.

მიუხედავად იმისა, რომ ავტორმა გამოაქვეყნა ფრანკების სახელმწიფოს სამართლის ძეგ-

ლები მე-6—9 საუკუნეებისა, იგი მხოლოდ ი საუკუნის მეროვინგების პერიოდის სახელმწიფოებრივი წყობილებისა და სამართლის ისტორიაზე ჩერდება. შრომის შინაარსის ასეთი შეზღუდვა არ არის გამართლებული. ან არ უნდა გამოქვეყნებინა მას სალიურის სამართლის ვარდა სამართლის სხვა ძეგლები და შრომისათვის ასეთი სათაური გამოეთქვინა „ფრანკების სახელმწიფო და სამართალი სალიურის სამართლის მიხედვით“, ანდა სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტების ანალიზი უნდა მოეცა გამოცემული ძეგლების საფუძველზე (ივლისსხვება 6—9 საუკუნეები).

როგორც წინასიტყვაობაში აღნიშნული ავტორის შეარებილი აქვს აღრიცხული ფეოდალური შინაარსის ძეგლები (6—9 საუკუნეებისა), მაგრამ ამ ძეგლებთან ერთად მას გამოცემული აქვს 13 საუკუნის ძეგლიც (საქსონის სარკე)

მონათმფლობელური არისტოკრატიული ტრეპუბლიკის პერიოდი რომში დასრულდა პირველ საუკუნეში (ძველი წელთაღრიცხვით), შემდეგ დაიწყო მონარქია, რომლის ეტაში (პრინციპატ) გავრცელდა მესამე საუკუნის ნახევრამდე. შემდეგ კი დომინატი იწყება. ავტორი პრინციპატის დასაწყისად მიიჩნევს პირველ საუკუნეს ახალი წელთაღრიცხვით (გვ. V—VI).

ა. დოლიძის აზრით, „ტრენინი და ცენტენარიუსი, როგორც დაბალი სასამართლო თანამდებობის პირები, „არჩევენენ“ შედარებით უფრო მცირეწილურად სამოქალაქო ზასიათის საქმეებს“ (გვ. XLIII). მართალია, ტრენინი და ცენტენარიუსი წერილ საქმეებსაც არჩევენენ, მაგრამ საქმე ისაა, რომ სისხლისა და სამოქალაქო ზასიათის საქმეებს მაშინ ერთმანეთისაგან არ ახსავებდნენ.

ავტორი ფიქრობს, რომ სალიურ სამართალში კანონმდებელი ჯგუფის მიერ დანაშულის ჩადენის დროს „თანამონაწილეობის პრინციპზე“ დგას (გვ. LXIII). გაუგებარია, რისი თქმისურს ავტორს.

მიუხედავად ამ შენიშვნებისა, უნდა ითქვას, რომ შრომა დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობას და საერთოდ სამართლის ისტორიით დაინტერესებულ მკითხველებს.





სახელმწიფო გამომცემლობა



საქართველოს  
ხელისუფლება

3. ი. ლენინი — რა ვაკეთოთ? გვ. 251, ფასი 8 მანეთი.
- ა. ბ. სტალინი — ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში საქ. კ. შ. (ბ) მე-16 ყრო-  
ლობას, გვ. 310, ფასი 6 მანეთი.
3. ტაბიძე — ტომი V, რედ. ა. თევზაძე, გვ. 242, ფასი 12 მანეთი.
- თეგერეი — ამოებების ბაზარი (თარგ. ალ. ვამერულიძისა). რედ. შ. კვესელავა. გვ. 630,  
ფასი 10 მანეთი.
- ა. შირვანზადე — ქაოსი (თარგ. ი. ტატოშვილისა და ს. აგიაანისა). რედ. არ. დავითიანი,  
გვ. 431, ფასი 10 მანეთი.
- კ. ბობოხიძე — ლექსები. ერთგომეული, რედ. გ. კაპხიძე, გვ. 455, ფასი 12 მანეთი.
- იხ. გვარჯალაძე, თ. გვარჯალაძე — ინგლისურ-ქართული ლექსიკონი, რედ. შ. კრავი-  
შვილი, გვ. 740, ფასი 45 მანეთი.
6. აღქმისძე — ბოსტნისა და ბაღის კულტურების მანუალები და მათთან ბრძოლა.  
რედ. ირ. ბათიაშვილი, გვ. 120, ფასი 4 მანეთი.
- შ. შანიძე — ქართული მუსიკალური ნაწარმოებების საბავშვო კრებული. რედ. გრ. კილაძე,  
გვ. 58, ფასი 12 მანეთი.
- შ. იაშვილი, ნ. კვინიტაძე — არითმეტიკა, II კლასისათვის. რედ. ტ. ტყეშელაძე, გვ. 128,  
ფასი 3 მანეთი.
6. რიბკინი — გეომეტრიულ ამოცანათა კრებული, I ნაწ. პლანიმეტრია, VII — X კლ.  
რედ. ნ. კიკვაძე, გვ. 140, ფასი 5 მანეთი.
6. რიბკინი — გეომეტრიულ ამოცანათა კრებული. ნაწ. II, სტერეომეტრია. რედ. ტ. ტყე-  
შელაძე, გვ. 108, ფასი 3 მანეთი.
- ა. კიხელიძე — არითმეტიკა, V, VI კლასებისათვის. რედ. ტ. ტყეშელაძე, გვ. 185,  
ფასი 4 მანეთი.
- ა. კიხელიძე — გეომეტრია, II ნაწ. სტერეომეტრია, IX, X კლასებისათვის. რედ. ტ. ტყე-  
შელაძე, გვ. 128. ფასი 3 მანეთი 50 კაპ.
- ა. კიხელიძე — ალგებრა, ნაწ. I, VI, VIII კლასებისათვის, რედ. ტ. ტყეშელაძე, გვ. 169,  
ფასი 1 მან. 30 კაპ.
- მუსუღლიანი — ქართული ლიტერატურის კრეატომათია არა ქართული სკოლების IX კლა-  
სისათვის. რედ. დ. ჯავახია, გვ. 114, ფასი 1 მანეთი.
- ი. სოკოლოვი — ფიზიკის კურსი, ნაწ. I, მე-9 კლასისათვის, რედ. ნ. კიკვაძე, გვ. 240,  
ფასი 6 მანეთი.
6. რიბკინი — სწორხაზოვანი ტრიგონომეტრია, მე-10, 11 კლასებისათვის. რედ. შ. იაშვილი,  
გვ. 164, ფასი 3 მან. 50 კაპ.
- დ. დონდუა — გეოგრაფია, IV კლასისათვის. რედ. გ. გებტმანი. გვ. 174, ფასი 1 მან. 60 კაპ.
- ა. ხარაბაძე — არითმეტიკული ამოცანებისა და მაგალითების კრებული, III კლასისათვის.  
რედ. ტ. ტყეშელაძე, გვ. 136, ფასი 1 მან. 40 კაპ.
- პერეშკინი — ფიზიკა, ნაწ. მე-2, VIII კლასისათვის, რედ. ტ. ტყეშელაძე, გვ. 248,  
ფასი 2 მან. 15 კაპ.
- ბ. უტეგხო — სისხლის სამართალი, რედ. ე. ყურაშვილი, გვ. 227, ფასი 10 მან. 50 კაპ.

საბავშვო მწერალი

- ლესია უკრაინკა — ლექსები, პოემა, პიესები. რედ. ლ. ასათიანი, გვ. 232, ფასი 15 მანეთი.
- ილია ხოშტარია — სიმღერები სამშობლოზე. რედ. კ. ბობოხიძე, გვ. 88, ფასი 7 მან. 70 კაპ.
- ალოი ადამია — დილა მტკვრის ხეობაში (მოთხრობები), რედ. რ. გვეტაძე, გვ. 226,  
ფასი 4 მან. 70 კაპ.
- ალ. ქუთათელი — პირისპირ, წიგნი მე-4, რედ. რ. გვეტაძე, გვ. 414, ფასი 18 მან.
- აკაკის ნაკვებები. რედ. გ. ნატროშვილი, გვ. 178, ფასი 3 მან. 50 კაპ.



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-  
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„М Н А Т О Б И“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ